

ა ი ჯ ნ ა

№3 (18) ოქტომბერი, 2020 წელი



მოქმედება - თუ ყველა სახულხოა სახულს.
მხოლოდ ას აღმასნი შეიძლება იწოდოს მწერლა,
რომელიც განავებს მას და განავებს უნარს, გამოიწონ
ას სხვაში.

სავეფან ვვაჩა

გოჯხება

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 3 (18), სექტემბერი, 2020


დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-
თიანება და შპს „გამომცემლობა
„მიჯნა“, რეგისტრაციის
№ B12127840

რედაქტორ-
გამომცემელი
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
კემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X



სარჩევი

კლასიფიკაცია

სტატუს დოკუმენტი

ბალზაკი 3

პოეზია

ზაურ მოლაშვილი

ლექსები 9

თორნიკო ქავშაია

ბიცოლა ორბი 13

სიმონ ზაქარაია 80

სიმონ დომენტის ქე ზაქარაია 20

ჩვენი მილოცვა 22

რაზდენ ქარლავა

აფხაზეთის ტრაგედიის პიროვნული მოწმე 24

კუკური ფიცია

საინტერესო მეცნიერი და პიროვნება 25

ვაჟა ეგრისელი

სიმონ ზაქარაიას ფენომენი 25

შალვა ლავითაშვილი

ვამაყობთ 26

ნუგზარ კვაშილავა

მამულიშვილი! 26

ილია კატაშური

ჭეშმარიტი ქართველი 26

სიმონ ზაქარაია

ლექსები 27

ალექსანდრე ჩაჩანიძე

გზა მშვიდობისა, მოძღვარო! 30

პროზა

ლაშა გვასალია

ცოტნე დადიანის ქვევრი 32

გია ხუსა

„უტუ მიქას“ მოგზაურობა განმუხურში 34

წერილები

მურმან ზაქარაია

„ფიქრის კაცთა“ ცნობიერი სამყარო რომანში

„უტუ მიქა“ 36

ლაშა გვასალია

ქართული მწერლობის მრავალლონე 56

21-ე საუკუნის შემოქმედი, ანუ ზაალ

ჯალალინის პოეტური საწიერი 57

ენით ქართულით 61

ნიგნის თარო

მრავალტომეული აფხაზეთის ქართული
მწერლობის ისტორიაზე 63

მედეა კვარაცხელია

რამაზ კუპრავა 64

ნანა არასამია

დალი ცაავა 68

ჯემალ მონია

რედაქტორისაგან 76

თვალსაზრისი

კუკური ფიცია

მეგრული (იბერიული) ბგერა-სიტყვები –
ებრაული ასონიშნების შექმნის საფუძველი 77

მოსაზრება „ფაზისისა“ და „აიას“ საერო-
სამეცნიერო აკადემიების წევრის, ბატონ
კუკური ფიციას ნაშრომზე „მეგრული
(იბერიული) ბგერა-სიტყვები ებრაული
ასონიშნების შექმნის საფუძველი“ 85

ჭიდაობის ისტორიიდან

თენების კუპლაშვილი

გვახსოვდეს ჭიდაობა! 87

დევნილის სტრიქონები

შუშუნა კახაია-ლოლუა

გაგრის მონატრება 89

ჩვენისტუმრები

რაისა მუზიჩევეო 90

ვლადიმერ ჩეჩიძე 93

თერეთი გრანელი 97

კვალი ნათელი

ნანული ნებიერიძის ხსოვნას 105

სტევან ცვაიგი

ბ ა ლ ზ ა კ ი

1. ბალზაკის აღმოჩენა შემოქმედების საგანზე

ბალზაკი ყოველ ადამიანს ხედავს გასწვრივ, სულის სიღრმემდე. მან გამოიცნო ადამიანის საიდუმლოებანი. საჭიროა მხოლოდ ყველა ამ პერსონაჟის შეჯახება, საზოგადოების ყველა სფეროს ჩვენება, ბოროტისათვის ბოროტის წოდება, კეთილისთვის – კეთილის, საჭიროა სიმხდალეს ფარდა ახადოს, ეშმაკობა და სიმდაბლე ამხილოს, ისე რომ მორალის ქადაგება არ გამოვიდეს. მოქმედება – აი ყველა საწყისთა საწყისი. მხოლოდ ის ადამიანი შეიძლება იწოდოს მწერლად, რომელიც განაგებს მას და განაგებს უნარს გამოიცნოს ის სხვაში.

ამ წლებში ბალზაკმა აღმოაჩინა დიდი საიდუმლოება. ყველაფერი სიუჟეტია, ყველაფერი მასალაა. სინამდვილე დაულეველი მაღაროა, თუ გაქვს წიალის დაზვერვის უნარი. საჭიროა მხოლოდ კარგი დაკვირვება და რომელიც გნებავთ მოკვდავი შეიძლება გახდეს „დვთაებრივი კომედის“ მსახიობი.

არ არსებობს დაბალი და მაღალი, შეიძლება ამოირჩიოთ ყველაფერი, რაც გნებავთ, და – ასეთია ბალზაკის გადაწყვეტილება – უნდა აირჩიოთ ყველაფერი. ვისაც სურს ასახოს ქვეყნიერება, ნუ გამოტოვებს მის ნურც ერთ ასპექტს, რანგების საზოგადოებრივი ცხრილის ყოველი მხარე უნდა იყოს წარმოდგენილი: მხატვარი და ადვოკატი, ექიმი, მელვინე და მეკარე ქალი, გენერალი და რიგითი ჯარისკაცი, გრაფის ქალი, პატარა ქუჩის მეძავი, თულუხი, ნოტარიუსი და ბანკირი, – რადგანაც საზოგადოების ყველა სფერო იღებს ურთიერთმოქმედებაში მონაწილეობას, ყველა ხვდება ერთიმეორეს. სწორედ ასევე უნდა იყონ წარმოდგენილი ხასიათები. პატივმოყვარე და ძუნნი, ინტრიგანი და კეთილშობილი, მფლანგველი და ანგარებიანი – ადამიანთა მოდგმის ყველა მოელვარე წახნაგი, ყველა ჩრდილი და ელფერი.



მერე, სულაც არ არის აუცილებელი ყოველი ახალი წარმოებისთვის ახალი გმირების გამოგონება, – შეიძლება გონივრული დაჯგუფებით გაიმეოროს ერთი და იგივე ფიგურები, გამოიყვანოს ერთი ექიმი ყველას მაგიერ, ერთი ბანკირი – ბანკირთა მთელი ბრძოს ნაცვლად. ასე თუ არ მოიქცა, ვერც დაატევს მთელს ამ წარმოუდგენელ სიღრმესა და სიგანეს ერთი წარმოების ჩარჩოებში. სულ უფრო გარკვეულ სახეს იღებს



ბალზაკისათვის იმისი წწმენა, რომ არსებობის საერთო სისრულის დასამორჩილებლად, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოხაზოს რაიმე გეგმა – ცხოვრების გეგმა, შრომის გეგმა, რომ მან, ჭეშმარიტმა რომანისტმა, არ უნდა შექმნას დაქუცმაცებული წარმოებები. ერთი წარმოები უკვე ჩასმულია მეორეში, ყველანი გადაჯაჭვული არიან ერთმანეთში. ამრიგად, ის უნდა გახდეს „ვალტერ სკოტი და დამატებით არქიტექტორი“. არ კმარა „კერძო ცხოვრების სცენების“ შექმნა – ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სწორედ მათი კავშირი და ურთიერთობა.

ბალზაკს ჯერ თვითონაც არა აქვს ნათლად წარმოდგენილი „ადამიანური კომედის“ კონცეფცია მთელი თავისი გრანდიოზული მას-

შტაბით. კიდევ გავა ათი წელი, ვიდრე დაინახავს იმის გამოკვეთილ კონტურებს. მაგრამ ერთი რამ მისთვის უკვე ცხადია – თხზულებები, რომლებიც შევა მის „კომედიაში“, უბრალოდ არ უნდა მისდევდნენ ერთიმეორეს. ყოველი მათგანი უნდა გამოჩნდეს ისე, როგორც გიგანტური კიბის საფეხურები.

1834 წლის 26 ოქტომბერს, როცა ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენია თავისი გრანდიოზული შრომის მასშტაბი, ბალზაკი წერს:

„მე ვფიქრობ, 1838 წელს ამ გიგანტური ქმნილების სამი წანილი, თუ დამთავრებული არა, ყოველ შემთხვევაში, აყვანილი იქნება ერთიმეორებზე დადგმული სართულების სახით იმ ზომამდე, რომ შესაძლებელი იქნება მასზე მსჯელობა მთლიანობაში.“

„ეტიუდებსა და ზნეობებში“ ასახული იქნება ყველა სოციალური მოვლენა, ასე რომ, არც ერთი სოციალური მოვლენა, ცხოვრების არც ერთი სიტუაცია, არც ერთი ფიზიონომია, არც ერთი ხასიათი, ქალის თუ კაცის, ცხოვრების არც ერთი ფენა, საფრანგეთის არც ერთი პროვინცია – არაფერი იქიდან, რაც ეხება სიყრმეს თუ სიბერეს, სიმწიფეს, პოლიტიკას, ომსა და მართლმასჯულებას, არავინ და არაფერი არ იქნება დავიწყებული.

როცა ყოველივე ეს განხორციელებული იქნება – ადამიანის გულის ისტორიის ყოველი ნაბიჯი გაიზომება, საზოგადოების ისტორია ყოველმხრივ შეისწავლება, – მაშინ წანარმოების საძირკველი ჩაყრილად ჩაითვლება. ჩემს ქმნილებაში ადგილს ვერ იპოვნიან მოგონილი ფაქტები, მე აღვწერ მხოლოდ იმას, რაც ხდება ყველგან.

მაშინ დაემატება მეორე იარუსი – „ფილოსოფიური ეტიუდები“, რადგანაც შედეგებს უნდა მოჰყვეს მათი მიზეზების ჩვენება. „ეტიუდებში ზნეობებზე“ მე აღვწერ გრძნობების თამაშს ცხოვრების მანძილზე, „ფილოსოფიურ ეტიუდებში“ საიდან იქმნებიან გრძნობები, რა არის ცხოვრება. რანაირია გარემოებები, პირობები, ურომლისოდაც არ შეუძლიათ არსებობა არც საზოგადოებას, არც ცალკეულ ადამიანს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიმოვისილავ საზოგადოებას, რათა აღვწერო, შევუდგები მის აღნერას, შევუდგები მის მიმოხილვას, რათა განაჩენი გამოვუტანო. ამრიგად, „ეტიუდებში ზნეობებზე“ თავმოყრილი არიან ტიპიზირებული ინდივიდუალობანი, „ფილოსოფიურ ეტიუდებ-

ში“ – ინდივიდუალიზირებული ტიპები. გვიან, შედეგებისა და მიზეზების შემდეგ უნდა განისაზღვროს საგანთა საწყისი. ზნეობანი – ესაა სპექტაკლი, მიზეზები – კულისები და სცენის მექანიზმი, დასაწყისი – ესაა ავტორი. მაგრამ მის მიხედვით, რაც უფრო უახლოვდება წანარმოები აზრის სიმაღლეს, ის, მსგავსად სპირალისა, იკუმშება და მკვრივდება. თუ „ეტიუდებს ზნეობებზე“ დასჭირდება ოცდაოთხი ტომი, „ანალიტიკური ეტიუდებისათვის“ საკმარისი გახდება მხოლოდ ცხრა ტომი. ამრიგად, ადამიანი, საზოგადოება, კაცობრიობა აღინირებიან განუმეორებლად, განიხილებიან და მსჯელობის საგნად გახდებიან წანარმოებებში, რაც იქცევა დასავლეთის თავისებურ „ათას ერთ ღამედ“.

როცა ყოველივე დასრულდება... ფუნჯის უკანასკნელი გასმა გაარკვევს, მართალი ვიყავი თუ ვცდებოდი. მას შემდეგ, რაც დაგამთავრებ ცხოვრების მთელი სისტემის ახლად შექმნას, დავიწყებ მის მეცნიერულ აღნერას „ცდაში ადამიანურ ძალებზე“. და ამ სასახლეს მე, მხიარული და მიამიტი ბავშვი, დავამშვენებ უზარმაზარი არაბესკებით – „ასი ოინბაზური მოთხრობით!“

ასე, თავისი მომავალი შრომის განუზომლობით აღფრთოვანებულმა და შეშინებულმა მწერალმა შესძახა:

„აი წანარმოები, აი უფსკრული, აი კრატერი, რაც ჩემ წინ ძევს, აი მასალა, რისი ხორცულება მნაც განზრახული მაქვსა!“

შეგნება იმისა, რომ მის წინაშე მისი სიცოცხლის შრომაა – აი, ამისი შეგნება განსაზღვრავს ამიერიდან ბალზაკის ცხოვრებას. თავისი საკუთარი ძალის, ამოცანის სიღიადის გრძნობა – აი მისი მონაპოვარი, ვისაც ერთიორი წლის წინ თავისი თავი ჯერ კიდევ დამწყებად მიაჩნდა; ამ გრძნობამ მოუპოვა ფოლადივით მტკიცე, ამიერიდან შეურყეველი თვითშეგნება. 1833 წლის სექტემბერში ბალზაკი წერს:

„მე გავხდები ევროპის სულიერი ცხოვრების მბრძანებელი! კიდევ ორი წლის მოთმინება და შრომაც – და მე თავებზე გადავაბიჯებ ყველას, რომელთაც სურდათ ჩემთვის ხელები შეეკრათ და ჩემი წინსვლა შეეჩერებინათ! დევნამ და უსამართლობამ ჩემი ნებისყოფა სპილენძივით გაამყარა“.

იცის, თვალწინ უდევს თხზულება, უკან ჰყავს მკითხველი საზოგადოება, და გადაწყვეტილი აქვს აღარავის შეუკრას პირობები, აღარ მიუსადაგოს თავისი საქმიანობა გამომცემლო-

ბისა და გაზეთების მეპატრონეთა სურვილებს. ცალკეული უსიამოვნებანი და მცირეოდენი წყვენა მისთვის საშიში აღარ არის, ყოველივე ამ წვრილმანმა ბალზაკზე ძალაუფლება დაკარგა. ის კარნასობს გამომცემლებს თავის პირობებს, ერთიმეორეზე იცვლის მათ, ვიდრე სურვილებსა და მოთხოვნებს არ აუსრულებენ, წყვეტის კავშირს პარიზის უძლიერეს ჟურნალისტებთან, თუ თავს ოდნავი ურჩიბის ნებას აძლევენ, თვით უმნარესი ფინანსური სიძნელების უამს, და ზიზლით აქცევს ზურგს ჟურნალისტებს, რომელთაც თავი საზოგადოებრივი აზრის მედროშებად მიაჩინათ. დე, გაულანძლონ ზოგიერთი ნანარმოები – რა უძლურნი არიან ეს საცოდავი მჩხრეკელები, რომელთა სულ უფრო ფართო და გაძედული პროპორციები მას ნათლად უდგას თვალწინ! დე, შეუტიონ, დასცინონ და გაქურდონ გონებამახვილურ საგაზეთო ნაცოდვილარებში და სცადონ მისი სასაცილოდ გამოხატვა ღვარძლიან ანეკლოტებში! დე, თითხნონ მისი კარიკატურები და ბეჭდონ ჟურნალ-გაზეთებში, მისი შურისძიება იქნება ულმობელი და შემოქმედებითი: მთელ ამ ხროვას, ძლიერსა და იმავე დროს უძლურს, თავის რომანებში ასახავს; სამარცხვინო ბოძზე გააკრავს „და კარგულ ილუზიებში“ საზოგადოებრივი თვალსაზრისის კორუფციას; რეპუტაციებითა და სულიერი ღირებულებებით საბირუო ვაჭრობას საუკუნის კედელზე ჩაუქრობელი ცეცხლის ასოებით წააწერს. დე, გული გაუწვილონ თამასუქებითა და საჩივრებით მევალებმა, აუწერონ ავეჯი – სულერთია, ერთ ქვასაც ვერ წაიღებენ, ერთ მუჭა მინასაც ვერ დააკლებენ იმ სამყაროს, რომელსაც ის ააშენებს. ვეღარაფერი შეარყევს მას შემდეგ, რაც არის გეგმა და ძალა ქმნილებისათვის, რაზედაც იცის, რომ მხოლოდ ერთადერთ ადამიანს შეეძლო მისი მოხაზვა და ერთადერთ ადამიანს შეუძლია მისი დაძლევა: თვითონ მას, პონორე და ბალზაკს.

2. ჟურნალ „რევიუ პარიზიენის“ დაფუძნება

ბალზაკს არ შეუძლია დიდი ხნით დააოკის თავისი ნებისყოფა, ნინ აღუდეს სურვილს, რომ ისევ უშუალოდ გაანდოს საზოგადოებას თავისი პოლიტიკური, თავისი ღირერატურული, თავისი სოციალური იდეები. ბალზაკს სურს ილაპარაკოს დროში და დროსთან. რაკი ის დაიღალა სხვა გაზეთებთან დამოკიდებულებით; რაკი იცის, რომ ყოველ დამოუკიდებელ სიტყვას ახშობენ,

ასხვაფერებენ და ადუმებენ; რაკი ჟურნალისტებსა, გამომცემლებსა და რედაქტორებს შორის თავისი დამოუკიდებელი მოქმედებით მტრები შეიძინა, – დაგუბებული გრძნობისა და აზრის მოზღვავებამ რომ არ დაახრჩოს, დროგამოშეგბით მას თავისი საკუთარი ნაღარა ესაჭიროება, საკუთარი სალაპარაკო ორგანო, ნაღარა.

ამჯერად ჟურნალს უწოდა „რევიუ პარიზიენი“ და ეჭვი არ ეპარება ნარმატებაში, რადგან გადაწყვეტილი აქვს, თითქმის მთელი ჟურნალი თვითონ დაწეროს. განა მთელი პარიზი, მთელი მსოფლიო არ მიაპყრობს სმენას, როცა პონორე დე ბალზაკი, საფრანგეთის ერთადერთი თავისუფალი და დამოუკიდებელი პოლიტიკოსი და მოაზროვნე, თავის პოლიტიკურ მოსაზრებებს ყოველკირულად გადაუშლის მკითხველს? როცა პონორე დე ბალზაკი, ღირერატურის მარშალი, ყოველ ახალ უმნიშვნელოვანეს წიგნსა და თეატ-რალურ დადგმაზე მიმოხილვას გამოაქვეყნებს? როცა პონორე დე ბალზაკი, ევროპის პირველი რომანისტი, თავის ნოველებსა და რომანებს დაბეჭდავს? მხოლოდ ასე გამოვა აქედან რაიმე – თუ საქმეს სხვებს არ მიანდობს. რაც ხუთ კაცს მოეთხოვება, იმას ბალზაკი თავის თავზე აიღებს, იმავე დროს არ მოიშლის პიესების წერას, რეპეტიციებს ჩატარებს და რომანებს დაწერს. ხელმძღვანელობას გაუწევს ფინანსურ მხარეს, კორექტურას წაიკითხავს, ურედაქტორებს ჟურნალს მარტოდმარტო და დაწერს ყველაფერს თვითონ, თავისი ხელით. აი, ელაპარაკება მბეჭდავებს, აჩქარებს ასოთამწყობებს, თვალყურს ადევნებს საცალო გაყიდვას. ალიონიდან ღამემდე გახსნილ სერთუქს დააფრიალებს, თვილსა ღვრის და ორთქლი ასდის, ხვნეშითა და ქშენით დააბოტებს სარედაქტორო ოთახიდან საამნიყობოში და იქიდან ისევ რედაქციაში. საერთო დავიდარაბაში ისევ უჯდება სახელოებდაკაპინებული თავის დასვრილ-დალაქულ მაგიდას და სასწრაფოდ წერს რაიმე საშუალ სტატიას, იმავე დროს კიდევ ყველი მხრით დავალებებსა და განკარგულებებს იძლევა. განცვიფრებული გებულობს რომელიმე შემთხვევითი მნახველი, რომ ეს ჭუჭყიანი, დასვრილი, ჩამოფლეთილი, ჩასუქებული კაცი, რომელიც მაგიდასთან კორექტურებს კითხულობს და რომელიც პატარა ასოთამწყობი მუშა ეგონა, თვითონ ბალზაკია, სახელგანთქმული მწერალი, ვილ დ'ავრის ციხე-სიმაგრის ლეგენდარული მფლობელი.

სამი თვე მუშაობს ასე ბალზაკი. მარტო

ის, რასაც ამ გაზეთისათვის წერს ამ მეოთხედი წლის განმავლობაში, სამ თუ ოთხ ნორმალურ ტომს შეადგენს. მაგრამ მალე კიდევ ერთ იღუზიას დაკარგავს. არც პარიზსა და არც მსოფლიოს არ სურს იცოდეს, რას ფიქრობს ბალზაკი პოლიტიკაზე, არც მისი ლიტერატურული, ფილოსოფიური და სოციალური შეხედულებები ეჭაშნიკება ვინმეს. სამი თვეც გადის, ბალზაკი ბედის ამარა ტოვებს გაზეთს და გაზეთი – ბალზაკს. განქარდა ეს ილუზიაც. ძალთა უმაგალითო ხარჯვა კიდევ ერთხელ ამაო აღმოჩნდა.

3. სტენდალი და ბალზაკი

და მაინც არცთუ მთლად უაზროდ, არცთუ მთლად უშედებოდ. მთელი სამი თვის განმავლობაში რომ „რევიუ პარიზიენში“ არაფერიც არ დაბეჭდილიყო, გარდა ბალზაკის სტატიისა სტენდალის „პარმის სავანეზე“, ამ ორგანოს უკვე ფასდაუდებელი სამსახური ექნებოდა განეული ფრანგული ლიტერატურის წინაშე. არასოდეს არ გამოვლენილა ბალზაკის შინაგანი დიდსულოვნება და განსაცვიფრებული ალლო ხელოვნების ქმნილებათა შეფასებაში უფრო გრანდიოზული მასტებით, ვიდრე ამ სრულიად უცნობი წიგნის შეფასებაში, რაც ნამდვილი ჰიმნია და კეთილშობილი სულის ღალადისი. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცოტა ვიცით ასეთი უანგარო მეგობრობისა და გამჭრიახობის მაგალითები. რომ შევძლოთ შევაფასოთ ჯეროვნად და ღირსებისამებრ მივუზღათ დიდსულოვნებას, რითაც აქ საფრანგეთის უდიდესი რომანისტი თავის უდიდეს თანამებრძოლს რომანის უანრში ხალისითა და უშურველად უწვდის პალმას და ცდილობს – აქაც მთელი ასი წლით უსწრებს თავის ეპოქას – „ასწიოს უმაღლეს ადგილზე, რაც კანონიერად ეკუთვნის“, საამისოდ საჭიროა შევადაროთ ამ ორი ადამიანის ცხოვრების წმინდა გარეგანი პირობები.

1840 წელს ბალზაკის დიდება ქუხს ევროპის ერთი კიდიდან მეორემდე. სტენდალი კი, პირიქით, იმდენად უცნობია, რომ მისი გარდაცვალების შემდეგაც კი, ნეკროლოგებში, – თუ საერთოდ ასეთ რამეს იმეტებდნენ გაზეთები, – სტენდალის ნაცვლად სტენალს უწოდებდნენ, ხოლო ბეილის ნაცვლად „ბაილს“ ბეჭდავდნენ. ფრანგი მწერლების ჩამოთვლაში სტენდალის სახელი არც კი შეჰქონდათ. სხვა მწერლებს აქებენ, ადიდებენ, კიცხავენ, აქვეყნებენ წერი-

ლებსა და კარიკატურებს ალფონს კარზე, უიულ ჟანენზე, უიულ სანდოზე, პოლ დე კოკზე – ამ გულმოდგინე მთხველებზე, რომელთა სამწერლო მემკვიდრეობაზე დღეს აღარავინ არაფერი იცის, და მაშინ, როცა მათი მდარე ნაწერები ათი ათასობით ვრცელდება, სტენდალის ტრაქტატს „სიყვარულზე“ სულ ოცდაორ ცალს ყიდულობენ, ასე რომ, თვითონვე ხუმრობით „წმინდა წიგნს“ უძახის, რადგან ხელის ხლებას ვერავინ ბედავსო. „წითელი და შავი“ ავტორის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გამოიცა.

პროფესიონალი კრიტიკოსები არც კითხულობენ სტენდალს და არც რას წერენ „პარმის სავანის“ ავტორზე. სენტ-ბევი თავის შენუხების ღირსად არა თვლის „წითელი და შავის“ გამოსვლას და დუმილით უვლის გვერდს, ხოლო მოგვიანებით, როცა წყალობას იღებს, ამასაც აგდებით აკეთებს: თურმე სტენდალის გმირები „მოკლებული არიან სიცოცხლეს, მხოლოდ ფაქიზად აწყობილი ავტორმატებია“. „გაზეტე დე ფრანსიც“ წერს: „ბატონი დე სტენდალი სულელი არაა, თუმცა სულელურ წიგნებს წერს“, და გოეთეს ქება ეკერმანთან საუბარში ცნობილი ხდება მხოლოდ გვიან, სტენდალის გარდაცვალების შემდეგ. ბალზაკმა კი თავისი დახვეწილი გემოვნებითა და ფხიზელი მზერით შენიშნა სტენდალის პირველსავე ნაწერებში განსაკუთრებული ინტელექტუალური ძალა და ფსიქოლოგიური ოსტატობა ამ კაცისა, რომელიც მხოლოდ დროგამოშვებით წერს წიგნებს თავისი სიამოვნებისთვის, როგორც რომელიმე „დილეტანტი“, და აძლევს დასაბეჭდად, მაგრამ პატივმოყვარეობის კარნაზთ კი არა. ბალზაკი ყოველგვარ საშუალებას იყენებს, რომ უცნობს თავისი პატივისცემა აგრძნობინოს. „ადამიანურ კომედიაში“ იხსენებს „სიყვარულის კრისტალიზაციის“ პროცესს, რაც სტენდალმა პირველად აღწერა, და მიუთითებს მის წიგნებზე, რომლებიც იტალიაში მოგზაურობას მიუძღვნა. მაგრამ სტენდალი მეტისმეტად მოკრძალებულია, რომ ამ მეგობრული ნიშნების იმედით დაუახლოვდეს ბალზაკს, დიდ, სახელგანთქმულ მწერალს ერთ თავის წიგნსაც არ უგზავნის. საბედნიეროდ, სტენდალის ერთგული მეგობარი რაიმონდ კოლომბი კისრულობს ბალზაკის ყურადღების შეჩერებას „პარმის სავანეზე“ და სთხოვს მონანილეობა მიიღოს ყველასგან უყურადღებოდ მიტოვებული მწერლის ბედის გადაწყვეტაში. ბალზაკი მაშინვე პასუხობს (1839 წლის 20 მარტს):

„ეს არის წავიკითხე „კონსტიტუსიონელში“ ნაწყვეტი „პარმის სავანიდან“ და შურის ცოდვით ამავსო. მართლაც, ეჭვიანობის ციებ-ცხელებამ დამიარა, როცა ვკითხულობდი ბრძოლის დიდებულ და მართალ აღწერას. ასეთ რამეზე ვოცნებობდი მუდამ ჩემი „სამხედრო ცხოვრების სცენებისათვის“, ჩემი თხზულებების ურთულესი ნაწილისათვის, და ამ სტრიქონებმა აღმაფრთოვანეს, გული დამწყვიტეს, აღმიტაცეს და სასონარ კვეთილებაში ჩამაგდეს. სრულიად გულახდილად გელაპარაკებით... ნუ გაგიკვირდებათ, გეთაყვა, თუ თქვენს თხოვნაზე ერთბაშად ვერ გიპასუხებთ თანხმობით. ჯერ მთელი წიგნი უნდა ვიშოვო. ჩემს პირდაპირობას ენდეთ; მე გეტყვით, რას ვფიქრობ ამაზე. ამ ნაწყვეტის წავითხვამ მეტი მომთხოვნელობის გრძნობით ამავსო“.

ყოველ სულმდაბალ ადამიანს ეწყინებოდა, რომ თავისი მომავალი რომანის მთავარი სცენა, ნაპოლეონის ბრძოლა, სხვა მნერლის მიერ ასე უდავო ისტატობით აღწერილი და უკვე გამოქვეყნებული ენახა, ათი წელია ოცნებობს ბალზაკი ამ რომანზე, რომლის სახელია „ბრძოლა“. მასაც სურს, ბოლოს და ბოლოს, ჰეროიული, სენტიმენტალური, გაჭიანურებული ალნერის ნაცვლად დახატოს ბრძოლის რეალისტური, ისტორიული, პატიოსანი, დამაჯერებელი და თანაც თვალსაჩინო სურათი. ახლა ეს სტრიქონა გააკეთა, მან კი დააგვიანა. მაგრამ შინაგანი სიმდიდრე ხელოვანს ხდის დიდსულოვანსა და კეთილშობილს. ვისაც ასობით გეგმა და ასობით ქმნილება აქვს კიდევ თვალწინ, არ აიგსება ავადმყოფური შურითა და ბრაზით, ეგო-ისტური თავმოთხობით ატანილი არ იგრძნობს თავს გაძარცულად იმის გამო, რომ სხვა მისი თანამედროვეც ქმნის შედევრებს. და როგორც შედევრის, როგორც თავისი ეპოქის უდიდესი ქმნილების გამოსვლას, ისე ზეიმობს ბალზაკი „პარმის სავანის“ გამოქვეყნებას, უწოდებს მას „იდეების ლიტერატურის შედევრს“ და სრულიად სწორად შენიშვნავს:

„ეს დიდი ქმნილება შეეძლო ჩაეფიქრებინა და შეესრულებინა მხოლოდ ორმოცდაათიოდე წლის კაცს ძალთა გაფურჩქვნისა და მთელი თავისი ნიჭის სიმწიფის უამს“.

ბალზაკი იძლევა რომანის შინაგანი მოქმედების ოსტატურ ანალიზს, ხაზგასმით ალნიშნავს, რა დიდებულად ასახა სტენდალმა იტალიური სული მთელ თავის მრავალფეროვნებასა და ვარიაციებში და მის ყოველ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დრომდე.

ამაღლებულია სტენდალის გაოცება და შიში, როცა თავის მიყრუებულ ჩივიტავეკიაში, სადაც კონსულად იყო, სრულიად მოულოდნებულ ხელში ხვდება ბალზაკის სტატია, საკუთარ თვალებს არ უჯერებს. აქამდე თავის ნაწერებზე ფუჭი და უგემური ყებელის მეტი არაფერი გაუგონია. ახლა ეს არის ხმა ადამიანისა, რომელსაც პატივსა სცემს და ეს ადამიანი ისე მიესალმება, როგორც ღვიძლ ძმას. მთელი მისი დაპნეულობა იგრძნობა წერილიდან, რასაც ბალზაკს უგზავნის და რომელშიაც ამაოდ ცდილობს თავშეკავებული ტრინის დაცვას. ასე იწყებს:

„რა მოულოდნებულობა იყო ეს გუშინ საღამოს, ბატონო ჩემო! მგონია, არასოდეს არ ყოფილა ავტორი ასე გაკრიტიკებული გაზეთში და ისიც ისეთი მსაჯულის მიერ, რომელიც ყველაზე უკეთესია ამ საქმეში. თქვენ აიყვანეთ ობოლი ბავშვი, რომელიც ქუჩაში ნახეთ დაგდებული“, და მადლობას უძლვნის „ყველაზე უფრო განსაციფრებელი წერილისათვის, როგორიც კი ოდესმე გამოქვეყნებია მწერალს მწერალზე“.

მაგრამ ჩვეული შორსმჭვრეტელობით, რაც ბალზაკის შემოქმედებით ალლოს უტოლდება, სტენდალიც ხალისით იღებს შემოთავაზებულ ძმობას იმ მწერლისაგან, რომელიც, ისევე როგორც თვითონ, აკადემიამ უარყო. სტენდალი გრძნობს, რომ ორივენი შთამომავლობისათვის უფრო ქმნიან, ვიდრე თანამედროვეობისათვის.

„სიკვდილის შემდეგ როლებს გავცვლით იმ ადამიანებთან, შთამომავლობისათვის უფრო რომ ქმნიან, ვიდრე თანამედროვეობისათვის“.

„სიკვდილის შემდეგ როლებს გავცვლით იმ ადამიანებთან, ვიდრე ვცოცხლობთ, მათ აქვთ ძალაუფლება ჩვენს ნარმავალ სხეულზე. მაგრამ დაკრავს სიკვდილის წამი და მათ სამუდამოდ დაფარავს დავიწყების ნისლი“.

განსაციფრებული ნიშანია, როგორც ცნობს იდუმალი მსგავსებით სულის სუბსტანცია სულს, და განსაციფრებელია იმის მოსმენა, იმდროინდელი ლიტერატურის ზათქსა და ზარში როგორ წყარად, დამშვიდებით, გულდადებით და სამაგალითო რწმენით უყრის თვალში თვალს ერთიმეორეს ეს ორი ადამიანი. იშვიათად უჩერია თავი ბალზაკის მაგიურ მზერას ისე დიდებულად, როგორც აქ, სადაც თავისი დროის ათასობით და ათიათასობით წიგნებს შორის მაინცდამაინც ეს ერთი, ყველაზე უფრო უცნობი, ამოარჩია და განადიდა. მაგრამ თავისი დროის სამყაროში სტენდალის დაცვა ისევე უშედეგო გამოდგა, როგორც პეიტელის დაცვა.

ისევე, როგორც პეიტელს ყველა სასამართლო ინსტანციაზე სიკვდილი მიუსაჯეს, სტენდალიც ყველა ლიტერატურულ სამსჯავროზე გამოიყვანეს და ყველგან უსახელო დასამარება მიუსაჯეს. მგზნებარე დაცვის სიტყვა აქაც შეუსმენელი და უშედეგო დარჩა, თუ შეიძლება ეწოდოს უშედეგო დიდ მორალურ გმირობას იმის მიუხედავად, ექნება თუ არა მოცემულ დროში მას წარმატება.

4. საოცრად შედეგიანი დიდი ნიჭის უშედეგობა

უშედეგოდ! უშედეგოდ! უშედეგოდ! მეტისმეტად ხშირად წარმოთქვამდა ბალზაკი ამ სიტყვას, მეტისმეტად ხშირად ესმოდა ეს სიტყვა. უკვე ორმოცდაორი წლისაა, ასი ტომი დაუწერია, ორი ათასი გმირი ჰყავს თავისი საკუთარი მოუსვენარი ტვინიდან გამოყვანილი და მათგან ორმოცდათი თუ ასი – უკვდავი სახეა. მან ააშენა ახალი ქვეყანა, და არაფერი მიუცია მისთვის ამ ქვეყანას. ორმოცდაორი წლისა უფრო ღარიბია, ვიდრე იყო ლედიგიერის ქუჩაზე ოცი წლის ასაკში. მაშინ ვალების ნაცვლად ჰქონდა ილუზიები, ახლა ეს ილუზიები გაფანტულია. სამაგიეროდ აქვს ორასი ათასი ფრანკი ვალი: ესაა მისი შრომის შემოსავალი.

ვერც ოჯახი შეუქმნია. ქალებს თხოულობდა, უარი უთხრეს; სახლი აიშენა – ვალში აუნერეს და წართვეს; გაზეთები დააარსა – დაეღუპა ერთიც და მეორეც; წამოწყებებში ჩაება – არ გამოუვიდა; თავისი ქვეყნის პარლამენტში ცდილობდა ადგილის მოპოვებას – არ აირჩიეს; აკადემიაში შეიტანა თავისი კანდიდატურა – უკუაგდეს. ყველაფერი, რასაც შეეცადა, ამაო გამოდგა ან უშედეგო ჩანს. ყველაფერზე ხელი მოეცარა, ყველგან ბედი შეეკრა, ყველგან მარცხი განიცადა. როდემდე გაუძლებს სხეული, გახურებული ტვინი, გატანჯული გული ამნაირ

შეხლასა და მარადიულ დაძაბულობას? ნუთუ ვერ შეძლებს თავისი ქმნილების, „ადამიანური კომედიის“ დამთავრებას? ნუთუ ვერ შეძლებს ერთხელ კიდევ მოიქცეს სხვა ადამიანებივით, დაისვენოს, იმოგზაუროს და უდარდელად იცხოვროს? პირველად აქვს ბალზაკს გულგატეხილობის მომენტები. სერიოზულად ფიქრობს მიატოვოს პარიზი, საფრანგეთი, ევროპა, წავიდეს ბრაზილიაში. იქ იმპერატორი დონ პედროა, ის იხსნის, თავშესაფარს მიუჩენს. ბალზაკი წერს წიგნებს ბრაზილიაზე, ოცნებობს, ფიქრობს. გრძნობს, ასე აღარ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, სასწაული უნდა მოხდეს, ამაო შრომიდან უნდა იხსნას, რაღაც უნდა მოვიდეს, უკუნეთი ღამე გაუნათოს, კატორლიდან დააპრუნოს, მეტად უკვე აუტანელი დაძაბულობის ულლიდან გამოიხსნას.

მოვა თუ არა, ამ უკანასკნელ საათს მაიც, ეს სასწაული? თვით ბალზაკი, მარადიული მეოცნებე, ველარ ბედავს ამისი იმედი იქონიოს. მაგრამ აი, ერთხელ დილით, 1842 წლის 5 იანვარს, როცა სანერი მაგიდიდან დგება ღამენატები, მთელი ღამის მუშაობის შემდეგ, მსახურს წერილები შემოაქვს. სხვათა შორის, ერთი წერილია, ნაცნობი ხელითაა დაწერილი, მაგრამ კონვერტია უჩვეულო. შავარშიაშემოვლებული, შავად დაბეჭდილი. სწრაფად ხსნის. ქალბატონი ჰანსკა ატყობინებს, ბატონი ჰანსკი გარდაიცვალა. ქალი, რომელიც დანიშნული ჰყავს, ქალი, რომლის საქმროც თვითონ არის, უკვე ქვრივია და მილიონების მემკვიდრე, ნახევრად დავიწყებული სიზმარი, სანუკვარი ოცნება უეცრად ახდა. „ინციპიტ ვიტა ნოვა!“ – ახლად ინყება ცხოვრება – ბედნიერი მშვიდობიანი, უზრუნველი ცხოვრება. ბალზაკის უკანასკნელი ილუზია დაიწყო, უკანასკნელი, რომლითაც ის იცოცხლებს და რისთვისაც მოკვდება.

შენიშვნა: წერილის ქვესათაურები გაკეთებულია რედაქციის მიერ.





ზაურ გოლაშეია

ოდა, მამაული ოდა!

„ის, ვისაც სადღაც მამის სახლი ეგულება,
სახლიდან გადახვეწილი არ არის“.
ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

I

სახლი გვქონდა მამეული,
სახლი – კოლხის კოხტა **ოდა**;
ჭიშკარს შემოვალებდი და
ვგრძნობდი: – როგორ იღიმოდა...
დილა იყო თუ სალამი –
მზის სურნელი ასდიოდა,
აქ სხვაგვარი ქარი ქროდა,
დროც სხვაგვარად გადიოდა,
თოვლიც თოვდა სხვანაირად,
გულიც უჩვეულოდ თრთოდა...
ზოგჯერ დამით ჩამესმოდა
შორეული ალილო და...
იყო ხმობა თანატოლთა
და ვინ გრძნობდა: – დრო მიქროდა!
ჩემი სიყრმე, სიყმაწილე
წყაროსავით აქ დიოდა...

II

მრავლის გამომზრდელი **ოდა** –
მუდამ ჭიშკარს გასცექროდა,
მოვიდოდი – უხაროდა,
წავიდოდი – ღონდებოდა...
როცა მაგვიანდებოდა –
თურმე ფერი ეცვლებოდა...
დედასავით მომელოდა,
მომელოდა, მომელოდა...
– მერე? – ცეცხლმა გაიტაცა,
დაინაცრა კოხტა **ოდა**!
ჩამეწურა სული სულში,
გული ჯავრმა დამიკოდა!

უღვთომ აღარ შემარჩინა –
რას მერჩოდა, რა უნდოდა!
ალბათ სურდა შეჩვენებულს
გზა-კვალი რომ ამრეოდა!
ჩემი სიჭაბუკის დილა
უცხო ჭერქვეშ გამთენოდა...
მან იცოდა რას შვრებოდა,
რა „სიკეთეც“ მომელოდა!

III

დღეს სიზმარშიც იწვის **ოდა**
ისე, ცხადში რომ იწვოდა, –
თურმე, როცა ლამდებოდა –
რაღაც ნავსად ჩეამდებოდა...
თურმე, არვინ არ ელოდა –
ხანძრის კერა ჩაღდებოდა,
ცეცხლის სული ლალდებოდა,
ტრიალებდა, მაღლდებოდა...
ქარიც თან-თან მძაფრდებოდა,
ალი ლამის ცას სწვდებოდა;
ზეცას მწარედ გაკვნესოდა
ოდა, მამეული ოდა!

* * *

...როდესაც მამა გარდაიცვალა, –
ცელქი მოსწავლე იმ წელს დავდინჯდი

და როცა სახლი მამისეული
მოულოდნელად ჩაიქცა ცეცხლში,
დავკარგე მაშინ
ფრთაშეტრუსული ჩემი ბავშვობა!

დღეს კი, აქ დავალ, ვითარცა მწირი
სხვა პლანეტიდან უგზოუკვლოდ
გადმოხვეწილი.

* * *

I
გზა-გზა, დილამდე, ფერფურს იცვლიან
სხივები – ბევრი მიმართულებით...
გულო, ხანდახან აქაც გვიგრძნია
პატარ-პატარა სიხარულები!

II

ვის მიეღირსა დიდი ხალისი, –
სვესვიანობის წმინდა ნათება?
იმედის სხივი – გასახარისი –
მრავალს და მრავალს რომ ენატრება!

III

უსივრცობაშიც გრძნობენ ერთმანეთს
სხივები – მიწის მიმართულებით...
გულო, ხანდახან აქაც ფეთქავენ
პატარ-პატარა სიხარულები.

ციკლიდან:

„სიჭაპუკის ნახევი“

მას ჟამსა... ხელი ვერ გტაცე,
დღოზედ ვერ მოგიარეო...
შენს მერე სად არ ვეხეტე,
რა გზებზე არ ვიარეო! –
ზოგი ვიხილე მორჭმული
და ზოგიც – მგლოვიარეო,
ზოგი მროკავი, ზოგი კი
სიმორცხვით მკრთომიარეო;
ბევრიც შემომხვდა ყვავილი –
წარმტაცად მობრიალეო...
ისეთი, – რომ ვერ გივიწყებ,
რა ალი მომიალეო!

მზერა განგების...

ათრთოლებს სიმებს
ეოლოსი – ქარების ღმერთი,
საალიონოდ
ილანძება ციური სახე...
თან-თან აღწინდება
ამ პლანეტის უდრეკი მკერდი –
კავკასიონი –
თეთრ სივრცეებს ფრთებივით არხევს...

ოცდამეერთე
დირიულრი მწვერვალზე დადგა,
მსოფლიო ქართა –
მრავალგვართა თრთიან ჰანგები...
შორს, ცათა შინა
იდუმალი ღიმილი გაკრთა –
მალე ცის მადლად
ჩამოთბება მზერა განგების!

უცრად შეკრთა...

უცრად შეკრთა ნამიკრეფია: –
მის თავთუნებზე
სხივმა ცელივით გადაიბრწყინა

* * *

ურუანტლად უვლის ცხელი ვნებები...
მაცდუნებელმა ურცხვად აცთუნა!
ლილითი, ეშმა, მოჩვენებები –
სტუმრობენ თურმე იმის სასთუმალს!
გაბრუებული ქალის სურნელით –
გაიცემირება სანიერს მიღმა...
ხვედრი აქვს მკაცრი თუ სასურველი? –
ლუქს ვეღარ ახსნის დაბეჭდილ იღბალს!
დაუღლელია დრო განჩინებით:
ხან – მოყრუებით, ხან – მრისხანებით...
გადის საწუთორ – მზით და ჩრდილებით,
დაბადებებით და მიცვალებით!

ძლევის გურთი

ბალახი ჩუმად იზრდება ველზე,
ვაზის ლერწებში ცრემლები ფეთქავს;
ვერცხლისფერ ფონზე – გრაფიკულ ვერძებს
ხაზავენ ქარში ტოტები ხეთა...

ვდუმვარ. დუმილით არაფერს ვითხოვ,
ვგრძნობ გარემოსთან მშობლიურ კავშირს...
აქ ძლევის ბურთი მე გამაქვს თითქოს
ყოფნა-არყოფნის უჩინარ კარში!

სინათლი ყოფილი მეგობრის გამო

რაკილა ვდუმდი, გეგონა თურმე
არ შემრჩა ყოფის ჯავარი, ღალა...
იმ დღეს ემსგავსე შენ მეგრულ „ზურნას“
და უდღეურად შენიღბულ ღალატს!
მაშინ

საშინლად ემგვანე კობრას –
როს შესრიალდი ოფისში თვალწინ...
რა გულუბრყვილოდ გთვლიდი მეგობრად,
რა სინანული მიშველის ანი!
სიჭაბუკეში ცით მონუსხული
(მისით ეს გული ახლაც ითრობა...),
ვეღარ ვამჩნევდი შენში გნომურ სულს,
შენს პირშაობას და თაღლითობას!
დღეს მედიდური და ნაყროვანი,
ლაშმოცული დახვალ ბოყინით;

არ გაკარებენ ნიავს ხროვანი...
სულს რა გაგითბობს, იმ სულს – მოყინულს!
იმ დღეს საშინლად ემსგავსე კობრას, –
როს შესრიალდი ოფისში თვალწინ...
რა გულუბრყვილოდ გთვლიდი მეგობრად!
რა სინანული განმკურნავს ანი!

* * *

რას მედიდურობ,
რას მზვაობრობ, საბრალო მატლო, –
ხომ არ გვინია
ცისქვეშეთში შენა ხარ მარტო?

ნუ მიმზერ რიხით!

ნუ მიმზერ რიხით! – ჩრდილიდან
მყიფედ
მიდგმული აივნის...
ე, მაგ მედლებით, ჩინითა,
ახლოს მაინც ვერ გაივლი!

* * *

ხეკაკუნა...
ხეკოდია...
კოდალა...

(ქარმა ნისლი მომხდურივით აოტა:)
მოდგა ჟამი გულის დასაკოდავად, –
გლუვ ზედაპირს აზის დროის კოდალა
და ნისკარტით
ჩხვლეტს გულდაგულ აორტას!

* * *

სიზმრებში ერთურთს ვუცვლიდით სიზმრებს,
რომ ერთმანეთის სული გვენახა...
გვესახებოდა სხვა წრეში სივრცე,
რათა საწუთო გადაგველახა!

* * *

მწვერვალიდან
მოქანაობს ნისლის რბილი ბეწვეული,
მას გზადაგზა
წაედება ხელენილი, ხექცეული...
იმოსება
ნისლეულით დღე საღი თუ დღე სნეული...
ვერ გავლალე
საგულედან გულს დარდები შესეული!

* * *

ძმა მოწყენილი იდგა ახლორე,
მკრთალად შეცვლოდა დასაც იერი...
როგორც ნეგატივს, ვჭვრეტდი მთა-გორებს,
შორს, მწვანდებოდა დასალიერი!

**სიზმრის მიერ ნაჩუქარი
სტრიქონები**

რა უცნაური არის ამინდი,
რა საოცარი ხმაური ცაში...

„ეს აჩრდილები საით მიდიან?“ –
თვალებჭკვიანი კითხულობს ბავშვი!

გახსოვს?

გახსოვს? დღეები ფულივით ფლანგე,
შენ დროის აღარ იცოდი ფასი;
შენ, მიწიერი, მკვიდრობდი ცაში
და ოცნებათა კოშკები აგე!

ბრუალა ბანგი შესვი თუ გასვეს! –
დიდხანს იყავი მთვრალი იმითი...
როს ამოწურე თრობის ლიმიტი –
გაოგნებული აღმოჩნდი გზაზე!

მიმოიხედე, და, დარჩი სახტად!
არავინ გახლდა გვერდით, სრულებით...
იმ დროს მოფხიზლდი კეთილ-სულელი, –
როს ჯეელობის უამდარი წახდა!

დართო, უშველე!

ღმერთო, უშველე,
და-ძმა თუ მოსადევარი,
აუნთე ყველას –
ცა მყოფობის – მზით მოხატული...
ვითარცა დალდე –
იშვიათად შენამზევარი,
ცრიატობს ყოფნა –
დასაბამით ნათელს ნატრული!

* * *

ვიცი, ვინც არის ნიცშე შენთვისაც:
იგია – შენს სულს ვინც შეეთვისა!

ზოგჯერ ამაყობ, ხან ითრგუნები,
ხანაც ზეკაცობ... შენი ბუნებით
დაუცხრომელი – ვარსკვლავს ეწვდები,
მიეტანები, მაგრამ ვერ წვდები!

შენ არ წებდები! ისევ არ ცხრები!
შენ მძლავრი ნება შემოიაბჯრე...
შენ თუ მარცხდები – შენში მარცხდები,
და თუ იმარჯვებ – შენში იმარჯვებ!

* * *

გასცექერი ახლა მზიან მინდორ-ველს,
რა ხდება მაღლა, იქ, ცათა ცაში?
შეუძლებელი ოდეს ინდომე,
შესაძლებელმაც გიგანა მაშინ!

* * *

... განა ადვილად, განა იოლად,
ზღვით გადმოინთხა ნავეშაპარი...
ნინევიაში მიდის იონა,
მისი ნამისნი გახდა ზღაპარი!

რა საჭიროა მუნათ-ჩივილი?
ხმა მოტევების უკვე მოესმის...
უზემოესთან ყინჩი ჭიდილით
რაღას მოიხვეჭს უქვემოესი?

მე გამოვჩინი...

ვჭვრეტ ღრუბლებში
მრუმე ხვრელს თუ მღვიმეს,
ცა და ხმელი ისევ ისე მიყვარს;
დღეს ამ გზაზე,
როგორც მგზავრი ვინმე,
ჩემი თავი ჩემი ხელით მიმყავს...
შორს ბავშვობის სანაპირო მელის,
იქ მიცდიან ტოლ-სწორები – ძმები!
ზოგი ბუქნავს,
ზოგი რიხით მღერის
და... ყირაზე
გადადიან ჩემი სიყრმის წლებიც!
ვაჰე!

ეს ხომ ზმანებაა მხოლოდ!
გაკრეფილა სამეგობრო ჩემი...
ვის რა ვკითხო

ანდა ვის რა ვთხოვო,
ამ ნაპირზე მარტოსულად ვრჩები!
დღეის ღმობა თმენით უნდა ვზიდო,
„ხვალის იმედს“ რა ამაოდ ვენდე!
ვჭვრეტ:
ღაღვრემილ საჩემწილო ღიბოს...
მე გამოვრჩი,
ალბათ, კოლხურ ღმერთებს!

ნატპეური

ოხრავს და მოთქვამს ჭაობი თითქოს,
ალბათ მისტირის თავის ტბაობას, –
როცა სუფთა და კამკამა იყო
და ჰქონდა სულ სხვა მომხიბლაობა,

ის აღმაფრენის მწვერვალს აღწევდა –
დარში, წვიმაში, ქარში, თოვაში...
და გემს თუ არა, ნავს ხომ არწევდა
მეოცნებეთა გულთა თრთოლვაში...

აკოხტავებდნენ ნაპირს ლერწმები,
იყო ტკარჩალი ლამაზ ასულთა...
ლამის ფარდაგზე მთვარის ხელწერა
ისევ ისეა... განა დასრულდა!

თუმც ტბის ადგილას ოხრავს ჭაობი,
სუფთა წყლის ნაცვლად – ლოხი და თიხა...
თან-თან დაუდგა დრო უძრაობის,
თუმცა იბრძოლა საკმაოდ დიდხანს!

კვლავ ჩაუდგება წყალი ნატბეურს,
კვლავ იკამკამებს ტბაში ლაუვარდი, –
ისევ დაარწევს გულებს ანთებულს
გარიურაჟიდან გარიურაჟამდის!

მაღლით გამოკრთა შუპი გარადი

მაღლით გამოკრთა შუქი მარადი,
პირველი სხივი ენილა ყვავილს...
ცამ წაიკითხა დილის ბარათი
და ეს სამყარო ვარდისფრად ჰყვავის.

ეს ხილულეთი რაღამ დააზროს, –
სივრცე სხივებით გადაიქსოვა...
და, მჯერა ახლა, როგორც არასდროს,
ცისა და მიწის მარადისობა!



**თორმეთი ქავშაია**

ჭირობული არტიკული

1) დაპრეზეპა

უსინათლო თვალების ვერცხლოვან ტბებით დაბრუნდნენ
სულმსუყე,
სულმყაყე
ორბები.

მათი დაბრუნება რეანიმირებაა ვისი ან რისი? –
მადლუშფოთველობის დამთრგუნველი,
ე.ი. წინმავლობის მოყვარე,
ისევ ის უბოროტესი მყვარბატონი
თავის უსაყვარლეს მყვარქალბატონთან
და თავის განუშორებელ ბიცოლა ორბთან ერთად დაბრუნდა.
(ბარტყებო! ბარტყებო!

თქვენს გაზრდაში ძალიან
დიდია ბიცოლა ორბის როლი).

ბიცოლა ორბის ხელით პირდაფჩენილ ბარტყებზე გაცემული
პრემიები
გზაჯვარედინებთან

შეყოვნებულ თოვნებს ჩქამწყევლით ავსებენ:
„გაქრით!... არარად დაცხრომისკენ გაქანდით!..“
(მე ვიცი, განუწირველი

ძალმოსილების თბექრობა შეიძლება იყოს მხოლოდ დეპრესიული
ცთომილის ავლში ერთდღლიანი მოხვედრა.

ის გახდავთ თავდაწმენდილი,

გაწონასწორებული

და ჩაუქრობელი...)

ორბების იდეოლოგიური ამოსავალი –

სიტყვაფალსიფიცირებული.

გამოსავალი

უკანასკნელ სხივაცახცახებას ეპოტინება,

რაც, სავარაუდოდ, არის სრული

ურგებლობა.

ო, ნიჭისა – ზედალოცვის ტრადიციული პრივილეგია არეუკიდეგანოდ
მდინარმა წყალქაოსმა ჩაყლაპა
(მოიპარა?..)
მე ვდროტვინავ. მე ციდან მედება სულმოუსვენრობის მსჯავრი.
შენ – ჭკუადაუმჯდარი პიროვნება.
შენ – ფიქრდაუშრეტელობის ჭვარტლით გამურული.
მე შენ წინდახედულობით ყოველთვი მჯობნი.
რაც მე ხვალ უნდა შევიმეცნო,
მისით შენ დღეს უნდა გაიცინო.

2) ბიცოლა ორბის დაკარგული სირცხვილი

თავი I
(თვალებით დანახული, ყურებით მოსმენილი)

პატრიოტობა და სულგაყიდულობა
როცა ერთ სიბილნედ გაერთიანდა,
მაშინ ჩვენ გაგვშორდა ჩვენი ძვირფასი ანგელოზი.
პატრიოტობის და სულგაყიდულობის თანამშრომლობა გაგრძელდა.
ჩვენ ძვირფასი ანგელოზი არ დაგვიბრუნდა.
მაგრამ აგერ, ჩვენმა სულბროლბადახშოსანმა
ბიცოლა ორბმა
ჩვენთვის მოიცალა.
სწორედ ჩვენი დაკრულვილად მოღვაწე
პრიზიდენტ ჸ-ის შემდეგ
გამტკიცდა
მისი მაცდურ-მავნებლური წინამძღოლობა,
რაც არის ფარულისტემური იძულების ფაქტი და დამოწმება.
მისი ტკბილბაგე –
პეპელამიხატული ნავი.
მისი ტკბილბაგე –
ხან მოუბარი, ხან უუბარი ნიავი.
მისი ტკბილბაგე –
არც ლიბერალური და არც ქრისტიანული
აღვსება – სიყვარული.
მისი წუნდაუდებელი ლექსაობა –
პოსტიმპერიული
პოეზიის ანთოლოგიისთვის განკუთვნილი
ხავს-სოკო...
(გულუბრყვილოთა და პირმოთნეთა შესასანსლი
კექსი!..)

(ცხადი და ბურანი)

მარილდათესილი მინდვრები –
კაცთა ცრუობისა გამო, ეთერუსილავ ნაპირზე გასული
ბალახმლაშე სტერილურობა:
ბურანქვეცნობიერში გაუკიდეგანებული გესლი.
მასზე დაუსრულებლად ზღაპრობენ:
ის ცორანოს ცაში მიკრობად იქცა და აქლემის გრიპის წარმომგზავნელი
ვენუსის ტყუპისცალი გახდაო.

ბიცოლა ორბის ხილულმატერიულ და
უხილავმატერიულ სამყაროდან განუშორებელი
მარილდათესილი მინდვრები სხვაგან არსად გაქროლდებიან.
ისინი ჩვენი მძიმე
მდგომარეობის მდორე მდინარებას დაექსელებიან.
ჩვენს ეტლგავარსკვლავებულ ცივილიზაციას,
მისი ზეატმოსფერული სათაელი
ქვეით ჯარისკაცად დაექვემდებარება...

თავი II

(თვალებით დანახული, ყურებით მოსმენილ)

ბიცოლა ორბის მზრუნველობით გამოზრდილი
არაბები –
საქარბუქო ტაროსების სამალავი ორმოები
(სულდგმული ორმოები –
შეუსწავლელი საშიშროება).
„უფლებები!.. „ჩვენი უფლებები!“
სანამ ისინი შავად დაიყვირებენ,
მანამდე, ამ ქვეყნად,
ბევრი დაუშვებლად მიჩნეული ქმედება
იქნება დაშვებული.
ორთქლად აშვებული
ძველი პრინციპები,
ჩვენ ღვთისგან არგამეტებულებს, ცად გამინდვრებული
B და D ლრუბლების ორიგინალური თვალსადევნებიდან
დაგვაკვირდებიან
და კვლავ რკინის ელემენტშერთული უსხივობით დაირეკებიან...
(ცხადია თუ ბურანი, ვერ გაარჩევ)

ბუნებადაკარგული
პიროვნება ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული პროფესორი
(ბუნებადაკარგულობა,
უკიდურესი ბრალგარდახდომილობა...)
მისით აღტაცებულია ბიცოლა ორბი
და ლრუბლებში ანაზდად გაფრენილი
უცნაური ლრმული:
„ვადიდოთ ლმერთი!.. ვადიდოთ თავისუფალი!..“
საქართველოს სათაელი
ძალლუმადურთა შორის რა, ყველაზე წინდახედული და წინმავალი გახდა?!
მან ისე მოიტყუა, როგორც უსვეო ამპარტავანმა იცის ხოლმე:
ის ყველგან პროგრესირდა. მას ღირსებას მატებს თანდაყოლილი მომხიბვლელობა
(ის მხოლოდ საკუთარ სარკეში დაბერდა.
ამქვეყნად ერთადერთი სარკეა, რომ არ იტყუება).

**თავი III
(დასკვნითი ნაწილი)**

გულუბრყვილოთა და პირმოთნეთა შესასანსლი
ლექს-კექსი.
მარილდათესილი მინდვრები.
სულდგმული ორმოები.
ყმაწვილი პროფესორი.
საქართველოს სათაელი! –
საერთო ჯამში, ეს ყოველივე, –
მოქნეული მახვილის ძველილეთური ჰაერკვეთისგან წარმოქმნილი,
ჰიპერმონაქროლი სახეები.
თქვენი მძიმე სულინსტინქტურობის, აღძვრა-გაჩენის ერთ-ერთი
თითით საჩვენებელი მიზეზი:
დედაკაც-მამაკაცის პირუტყვული
კოიტუსის^{1*} სადარი ცოდვა,
ანუ ბიცოლა ორბის დაკარგული სირცხვილი.

**3) ერთხელ რა საკვირველება მოისმინა ბიცოლა ორბმა
ღმერთნაგრძნობ (სიბრძნეშეძენილ) კოლეგა ორბისგან**

არსებობს დასრულებული
სიცოცხლე,
მაგრამ არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ
უკვდავებიდან გამდინარებული
ბურანი.
რაც არის ჩვენი ნაშინაგანი ველსულის ლეგიტიმური სინამდვილე.
რაც არ შეიძლება იყოს მიწიერი მყოფობის ღრუბლნაწამწამი
3153600000 წამი^{2*}.
გონიერვი გახსნილობის ეტლ-ვარსკვლავი,
საკუთარი თავისთვის ნაწყალობევ
არსებუნებას თუ შეინახავს,
ის პანტოკრატის წინაშე,
ნარსდგება უცვალებელ ჭეშმარიტებად,
რამაც ცის კიდეზე,
გაშავთიხიანებულ
სულხორციელთა გამო,
ჰაერყინულოვან ულრანთა და
შუბლშეკრულ ქაოსთა ზღვარზე იბრწყინა.
ერმის ცაში მობიბინე ბაგებალახები ამბობენ:
„ის ყოველთვის იყო, ცრემლმოლაპალუბე და ურვილად სხივმოსილი“.
ის მსხვრევას, მტვრად გაოხრებას გადარჩენილი,
ცა-მყარის მკვიდრად დარჩება...
„არენონასწორობაზე დამოკიდებულმა ჟღუდმა მეტი შეიმეცნა,
ვიდრე ქმოკვდავის გონიერივმა სირთულემ.
თავისუფალმა ინტელექტმა
ფსიქოჩაგვრის „იდეოლოგიური სამსახური“ გამორიცხა.

^{1*} კოიტუსი – (ლათ.) სქესობრივი შერწყმა. ეზრა პაუნდის მიერ გამოყენებული სიტყვა.

^{2*} 31536000000 წამი – 100 წელი.

ქარად თავისუფალმა ინტელექტმა ძემოკვდავი
 ანტილვთის დაუწმინდავი თეორიებით შეარცხვინა!“ –
 ეს მითხრა ზეირთდადევნებულ მწუხრებით გარემოცულმა
 თოვლთრთოლამ.
 იმიტომ მითხრა, რომ მე ახლა მაინც
 არ უნდა ვიყო ბეცი და ჭკუაგაუგნებელი.
4) ამ ლექსმა თითქოსდა შეძრა ბიცოლა ორბი, მაგრამ არავითარი გულისტკენა
თუ გულისწყრომა არ გამოუხატავს. ის ჩვეული თავშეკავებით განშორდა
შეკრებილ აუდიტორიას.
 ჩემი ჩამომავლობა და გვარი
 ყოფილა ოდესლაც მედგარი ხალხის საკუთრება.
 მე ქვეცნობიერად მამძიმებს თეთრად გაფრაშფრაშებული
 წერო.
 მე ბურანად მომიახლოვდა არესივინროვის მალული
 ბედუწყალობობა.
 მე ჩემი ჩამომავლობის და მსოფლშეგრძნებისა გამო
 უგულებელყოფილი,
 ჩვარში გახვეული.
 აბრუგატეხილი.
 შავმრნამსიან ორბებისგან ფსიქოდატერორებული.
 მე მხოლოდ ერთხელ დამესიზმრა, უგვანო თქეში როგორ დაედევნა
 ცრემლმორეულ პეპელას, ოღონდ გაასწრო პეპელამ.
 სხვა შემთხვევაში, წყალმორევმა ჩანთქა პეპელა,
 სხვა შემთხვევაში, ჩემი ხმა გახდა სივრცოვანი
 და თანასწორუფლებიანი,
 მაგრამ თურმე ცბიერის ჩიტბადეს სჭირდება
 „თანასწორუფლებიანი“
 „თანასწორუფლებიანის“ გამოჩენა,
 ხომ იგივეა, რაც ფარულმოძულის აღმოჩენა..
 მე – „ყვავი ზამთარში...“
 მე – წმინდა საყდარში,
 გვარ-ტომობის მოსარჩევთა სულების მზარავი.
 მე, იძულებით მდგომარეობაზე დამოკიდებული,
 ისევ თავენაზე ვწერ
 თუმცა არაფერში არ სჭირდებათ ეს ჩემი ლაყაფად მიჩნეული
 წერა.
 წერის ინკუბატორებში გამოზრდილ
 ორბაეშაგთა პროფესიონალიზმით აღვსილი წერა
 არის თურმე ეროვნული იდეოლოგის შეუბილწავობა.
 რა მოგდის, რატომ არ ხარხარებ, ჩემო ლექს-წერავ?!
 უგონო ხარხარი კი არ არის პოეტის გამწირველი,
 არამედ საკუთარი თვითმყოფადობის უარმყოფელი
 ისტორიული დარწმუნება,
 რომ შეურაცხყოფის მიუხედავად
 ვალდებული ხარ,
 გაბატონებულ
 (ოფიციალურ) ენაზე იმწერლო...
 ჩემი ჩამომავლობა და გვარი
 ყოფილა ოდესლაც მედგარი ხალხის საკუთრება.

**5) უბოლიშო ჟლუდი წარმოუდგენელი შინაარსის ლექს-წერილს
უგზავნის ბიცოლა ორბს**

ამქვეყნიური ნათების იქით ძემოკვდავის ცოდვა-ბრალიანი
სულგადაბინავება
ვერ იქნება უბურუსო ფრთების ლივლივთან შეხვედრა.
ამიტომ შენ „რკინის საგნად“ გადააქციე
შენი თავგადასავლიანი
„გალმა გასვლის“ უმდგრადი თვალთახედვა
და აუდიტორიას განუმარტე
ის, რაც იყო შენგან,
აქამდე განუმარტავი,
გალმა ნაპირზე, გიგანტური მოცულობის ცხადარე,
თავისი წინაპირით ხიბლშერთულ,
სიჩქურე შენაკადებულ
ორბების მტაცებლადა შემართული.
მე წუხელ შენი ალსაზრდელი
ბარტყების მოუბარობას ვათხოვე ყური.
მათი სიტყვაგაზრდილი
ქადაგის მიხედვით,
თურმე ღმერთი მოტყუვდა იმ დღეს, როცა სპეტორკესტრმოდებული
ღრუბელი
მაყვლისფერ ღრუბელს საზავოდ შეატოვა და
კოლხეთის 20 ტომი მეგრულ-ლაზურ ენაზე აამეტყველა.
თურმე უმნიშვნელო წყალნაკადები
ერთ დიდტანიან მდინარედ,
მაგალითად, აკონკაგუად, ან ორინოკოდ, ან კოლორადოდ, ან ამაზონად
უნდა ქცეულიყო.
ბევრი ადამიანური გატაცება
ერთ გატაცებად
უნდა გადაქცეულიყო.
თურმე ღმერთი მოტყუვდა, როცა ვირუსულ ობთან გააჩინა
კაცხორციელის მყარი სურვილი:
რეფორმისტული
ანტიობი
როცა წმინდა კელაპტრებს, მთელი 48 საათი,
ზემთაგონებად
უქცია მქროლარე მღამიობი.
მოტყუვდა, როცა ყველა არაორბულ გონებას სახიბლოდ
დაუქვემდებარა
ცადაპყრობილი მწვერვალები...
(მათ საკუთარი თავის მტერი – გველბოროტი,
გაუბატონა, ვინა? –
შეუსაბამო სამყაროს განცდით ვინც მათ ემწიგობრა, ალბათ იმან...)

6) უბოლიშო ჟლუდი უკანასკნელ ლექს-წერილს აგზავნის ბიცოლა ორბთან

ო, ჩემმა კოლეგა ჟლუდმა
სამზერის ბჭესთან

მოახლოებული,
 ტრამალთოვლიანი
 თვალმქრქალი წრე
 დააფიქსირა, მაგრამ მან
 ის რეალობად ვერ აღიქვა.
 მას იგი
 დღემდე ჰგონია ბურანის მატყუარა „აბრეშუმი“.
 მისი ეთეროვანი ხვრეტილის სივიწროვე
 სხივმფენი იყო და არასხივმფენიც...
 „ასეთი ძროუნვდომი უცნაურობა, ადრე თუ გვიან,
 ჩვენს ზნეარსს ეთვისება ლბილად!“
 მან ასე თქვა. მან თავისი სჯა, ჰეროვან
 ფერთაშორის, ასე განატოტა.
 მშვიდობიანი სახით გამლილ-განტოტებულს კი,
 შესაძლოა ჩუმად მიეახლოს წმინდა წრეგარემო, ანუ
 მოჭარბებული სახის სიჩუმე-კრინტუძრავობა.
 რა, ბიცოლავ, საკოლეგიო საბჭოსთან ერთად
 „სხვანაირად თქმის“ თეთლრუბლებს უნდა მოუხმო?!
 მოუხმე!.. კეთილზნეობრივად
 მოხმობილი
 ალტერნატივა
 ჩვენ ალბათ მალე მოგვენატრება.
 ჩვენი ზღვა-ხმელეთიან
 ენგიდუნის მიმართულებით მოჰქრის, მონავარდობს
 გლობალურკოტი, – ათასნაირი უკიდურესობებით მოცული,
 ბნელნათელი.
 მისგან გამომდინარე იატაკაყრილი ამბოხი
 იქნება ორბთა ძალმოსილების დამამხობელი.
 თუკი ახლა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი
 უურნალის წინა გვერდებს
 ბოროტი სულით შეპყრობილი
 ბებერი პოეტები იპყრობენ,
 მაშინ ამ უმსგავსობას შენი გამოზრდილი
 ბარტყები მოგთხოვენ.
 ბოლოს და ბოლოს, მათი სულმოკლეობა და მიწიერი არეების
 ტრამალთოვლი
 ერთმანეთს ცოდვაგანახლებულ თვალთახედვის გზაჯვარედინზე
 შეხვდებიან.
 ო, რაიც მძიმე რეალყოფიდან იშობა,
 მას ვერც ჟღუდად, ვერც ორბად გამოჩეკილი
 ვერ განშორდება.
 ჩემთვის მეტ-ნაკლებად საცნაურარს „სისტემური გადახალისების“
 ზოგიერთი საკითხი.
 დამონებულ ადამიანთა შორის „სტაბილური ლიდერობის“ ილუზიას ვინც თავი მისცა,
 ეს მან იკითხოს...



სიმონ ზაქარაიას ძე ზაქარაია



სიმონ დომენტის ძე ზაქარაია დაიბადა 1940 წელს გალის რაიონის სოფ. რეფი-შემე-ლეთში. იმავე წელს მისი მამა განვეულ იქნა დიდ სამამულო ომში, 1942 წლის ბოლოს 23 წლისა დაიღუპა ქერჩის ქართველ მებრძოლთა სასაკლაოდ ცინობილ მიზაზე.

დედა – ნუცა თედოს ასული ბაგათელია დაქვრივდა 20 წლის ასაკში, მან მთელი სიცოცხლე შესწირა თავისი ერთადერთი შვილის, სიმონის პატიოსნად აღზრდის საქმეს. იგი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, პროფესიონალი მათემატიკოსი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის მფლობელი. ქ-ნი ნუცა 92 წლის ასაკში გარდაიცვალა დევნილობაში, თბილისში 2010 წელს.

ს. ზაქარაიამ 1958 წელს მედალზე დაამთავრა გალის №2 სამუალო სკოლა, ხოლო 1965 წელს – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ქ. სოხუმში. 1969 წელს მან დაუსწრებლად დაამთავრა ლენინგრადის ვაკილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურა.

1964-1970 წწ.-ში ბ-ნი სიმონი მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, მემცენარეობის კათედრაზე მეც-

ნიერ-თანამშრომლად.

ბ-ნი ს. ზაქარაიას საკანდიდატო ნაშრომი ეხებოდა „კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნიადაგის დაშრობის შემდეგ ეტაპს – ნიადაგის გაკულტურება და მისი ათვისება სასოფლო-სამურნეო კულტურებით“.

1966-1970 წწ.-ში ბ-ნი ს. ზაქარაია სამეცნიერო-ექსპერიმენტულ გამოკვლევებს აწარმოებდა ხობის რ-ნში, ჭალადიდისა და ყორათის სამეცნიერო-საყრდენი პუნქტების ტერიტორიებზე კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნიადაგების დაშრობა-ათვისების საკითხების მეცნიერულად და პრაქტიკულად გადაჭრის მიზნით.

1970 წლიდან ბ-ნი ს. ზაქარაია სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტიდან სამუშაოდ გადაჰყავთ სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც იგი იყო რიგითი მეცნიერ-მუშავი, განყოფილების გამგე, შემდეგ კი მას ნიშნავენ გულრიფშის რაიონის ვარჩის ექსპერიმენტული მეურნეობა-ქარხნის დირექტორად. რამდენიმე წლის შემდეგ ბ-ნი ს. ზაქარაია ინიშნება ეთერზეთების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის დირექტორად, სადაც იგი სოხუმის დაცემამდე მუშაობდა.

1971 წლიდან დღემდე ბატონი სიმონ ზაქარაია მუშაობს მსოფლიოში სიდიდით მე-2 (სეკვოიის შემდეგ), ბამბუკივით ყველაზე სწრაფმზარდი და უნივერსალური გამოყენების მექანიზმი მცენარე ევკალიპტზე.

ს. ზაქარაიას ხანგრძლივი მეცნიერული კვლევები და პრაქტიკული მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება ევკალიპტების ეთეროვან ზეთზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების პრაქტიკაში განხორციელების საკითხებს.

ბ-ნი ს. ზაქარაია არის ათამდე გამოქვეყნებული წიგნის ავტორი. ეს წიგნებია: „დევნილები გოლგოთის გზაზე“, სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები“, „შეუბლალავი მანდილი“, „ესასე, ქრონიკა, პუბლიცისტიკა“, ლექსების კრებული „მონატრება“, „ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები“, „ცოტა რამ ძველი კოლხე-

თის ცივილიზაციის შესახებ“ და სხვ.

ს. ზაქარაია არის საქართველოს მწერალთა და უურნალისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრი, უურნალისტთა ფედერაციის შემოქმედებითი კავშირის ეთიკის და უფლებების დაცვის საბჭოს წევრი, ხობისა და იყალთოს საპატიო მოქალაქე.

ბ-ნ ს. ზაქარაიას გამოსაქვეყნებლად გამზადებული აქვს წიგნები: „გზა უფლისაკენ“, ლექსების კრებული – „სამშობლო ჩემო“, „მითრიდატე ევპატორი“, „ფესტოსის დისკო გაშიფრულია“, „და მაინც ვინ აღმოაჩინა ამერიკა“, „გულადი ვაჟკაცის სიცოცხლის ტრაგიული დასასრული“ და სხვ.

ბ-ნმა სიმონ ზაქარაიამ ქ. თბილისში გარკვეული დრო დაუთმო ლიტერატურულ-უურნალისტურ მოლვანეობას. იყო გაზეთ „დიოსკურიასა“ და „ქალდეას“ რედაქტორის მოადგილე, უურნალ „რინის“ განყოფილების რედაქტორი, უურნალ „ცოტნეიდელისა“ და გაზეთ „ფაზის“ რედკოლეგიის წევრი.

გაზეთებსა და უურნალებში მისი მოღვა-

ნეობის პერიოდში მის მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 100-ზე მეტია. არის რამდენიმე წიგნის რედაქტორი.

ბ-ნი სიმონ ზაქარაია გახლავთ აფხაზეთის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, „ფაზისისა“ და „ქალდეას“ აკადემიების ვიცე-პრეზიდენტი.

ს. ზაქარაია არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის საბჭოსთან არსებული „ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების უზყებათაშორისო კომისიის“ წევრი.

ბატონ სიმონ ზაქარაიას ჰყავს მეუღლე ექიმი ლუდმილა დიხამინჯია, ომის განმავლობაში იგი სოხუმში იყო „ლეჩიკომისიის“ საავადმყოფოს ექიმი, ამავე დროს მუშაობდა ქალაქის პირველი პოლიკლინიკაში მკურნალ ექიმად, ჰყავთ ორი შვილი. ქალიშვილი – ხათუნა. მათ ჰყავთ ოთხი შვილი. ვაჟი – დეკანოზი მამა პავლე (ზაქარაია), მისი მეუღლეა ქ-ნილია ფარცვანია. მათ ჰყავთ 6 შვილი.

ბატონი სიმონ ზაქარაია ზნემაღალი და პატიოსანი ადამიანია, რომელიც დღესაც იღვ-

სიმონ ზაქარაიას მშობლები



ნუცა ბაგათელია

დომენტი ზაქარაია

ნის მაღალი იდეების, მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად.

გაზეთებსა და ჟურნალებში მისი მოღვაწეობის პერიოდში მის მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 100-ზე მეტია. არის რამდენიმე წიგნის რედაქტორი.

ბ-ნი სიმონ ზაქარაია გახდა აფხაზეთის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, „ფაზისისა“ და „ქალდეას“ აკადემიების ვიცე-პრეზიდენტი. ს. ზაქარაია არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საბჭოსთან არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების უწყებათაშორისო კომისიის წევრი.

ბატონ სიმონ ზაქარაიას ჰყავს მეუღლე – ექიმი ლუდმილა დიხამინჯია, ომის განმავლობაში იგი სოხუმში იყო „ლეჩკომისის“ საავადმყოფოს ექიმი, ამავე დროს მუშაობდა ქალაქის პირველ პოლიკლინიკაში მეურნალ ექიმად, ჰყავთ ორი შვილი. ქალიშვილი – ხათუნა, ოთხი შვილის დედა, ვაჟი – დეკანოზი მამა პავლე (ზაქარაია), მისი მეუღლეა ქ-ნი ლია ფარცვანია. მათ ჰყავთ 6 შვილი.

ბატონი სიმონ ზაქარაია ზნემაღალი და პატიოსანი ადამიანია, რომელიც დღესაც იღვწის მაღალი იდეების, მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.



ზენი ძილობება

მიმდინარე წლის ოქტომბერში დაბადების 80 წელი უსრულდება აფხაზეთის დევნილი ინტელიგენციის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, მრავალმხრივ შემოქმედსა და კოლორიტულ პიროვნებას ბატონ სიმონ დომენტის ძე ზაქარაიას.

სიმონ ზაქარაიას მიერ გამოვლილი ეს რვა ათეული წელი აღსავსეა დაუცხრომელი შრომითა და ძიებით, სამშობლოზე, ადამიანებზე ზრუნვით და წარმოადგენს პატიოსნების, ზნეობის, ტრადიციების ერთგულების, სიკეთეზე ფიქრისა და გარვის უებრო მაგალითს.

ბატონი სიმონის ცხოვრება სისხლხორცეულადაა დაკავშირებული თავის სამშობლოსთან, მშობლიური ხალხის ბედთან და მანაც საკუთარ თავზე იწვნია ყველა ის სიკეთე და სიავერაც კი ჩვენს ქვეყანაში მოხდა. ლენატკივილის ამ ცვალებადობაში ოდნავადაც არ შეცვლილა ამ სამაგალითო ქართველი კაცის, ღირსეული კოლხის ზნეობრივი მრწამსი, დასახული გზა და მიზანი, ერთგულება კეთილ საქმეთა კეთებისა და ურყევი ოპტიმიზმი,

რომლითაც მოვიდა იგი დღემდე.

1940 წელს გალის რაიონის სოფელ რეფიშეშელეთში დაბადებული სიმონ ზაქარაია დღესაც მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურება. მან 1958 წელს მედალზე დაამთავრა გალის N2 საშუალო სკოლა, 1965 წელს – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი; 1969 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ლენინგრადის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურა. 1964-1970 წლებში მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის მეცნიერ თანამშრომლად. მისი საკანდიდატო ნაშრომი ეხებოდა კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნიადაგის დაშრობის შემდგომ ეტაპს – ნიადაგის გაკულტურებასა და ათვისებას სასოფლო-სამეურნეო კულტურებით; ატარებდა სამეცნიერო-ექსპერიმენტებსა და გამოკვლევებს. 1970 წლიდან მუშაობდა სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, იყო მისი დირექტორიც სოხუმის დაცემამდე. იგი დღემდე ინტენსიურად მუშა-

ობს თავისი სპეციალობით და ატარებს ფართომასშტაბიან ექსპერიმენტებს.

ბატონი სიმონ ზაქარაია გახლავთ აფხაზეთის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფაზისისა და ქალდეას აკადემიების ვიცე-პრეზიდენტი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობის პარალელურად სიმონ ზაქარაია აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. იგი გახლავთ თვალსაჩინო ლიტერატურულ-ურნალისტური მოღვაწე; გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი წერილი სხვადასხვა საკითხზე; სიმონ ზაქარაიას გამოცემული აქვს წიგნები:

„დევნილები გოლგოთის გზაზე“ ავტორმა აფხაზეთის ტრაგედიას მიუძღვნა, კერძოდ იმ საშინელებას, რომელიც დევნილებმა გაიარეს საკენ-ჭუბერის გზაზე. ამ უმძიმესი დღეების მომსწრე და თვითმხილველი თვითონ წიგნის ავტორი იყო.

სამამულო ომში გმირულად დაღუპული 23 წლის მამის, დომენტი ზაქარაიას ნათელ ხსოვნას მიუძღვნა ს.ზაქარაიამ წიგნი „სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები“; წიგნი აღწერს აფხაზეთის ომის დრამატულ მოვლენებს, გვესაუბრება იმ მამულიშვილებზე, რომლებმაც თავი დასდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. ავტორი თავად მონაწილეობდა სამშობლოს დაცვისათვის ომში, ორჯერ მძიმედაც დაიჭრა და ჰოსპიტალში მკურნალობდა.

მამით თითქმის დაბადებიდანვე დაობლებული სიმონ ზაქარაია დედამ, ქალბატონმა ნუცა თედოს ასულმა ბაგათელიამ ღირსეულად გაზიარდა და ჭეშმარიტ პატრიოტად ჩამოაყალიბა. ქალბატონმა ნუცამ მთელი ცხოვრება მიუძღვნა თავის ერთადერთ შვილს, არ გათხოვილა, უმწიკვლოდ და სასახელოდ იცხოვრა. მას, როგორც სასიქადულო პედაგოგს, აფხაზეთის დამსახურებულ მასწავლებელს, დღესაც სიყვარულითა და მოწინებით იხსენებენ მისი

მრავალრიცხოვანი აღზრდილები. ამ ნათელმა მანდილოსანმა, ღირსეულმა ქართველმა ქალმა 92 წელი იცხოვრა და თბილისში, შვილის ოჯახის თბილ და მზრუნველ გარემოში გარდაიცვალა. სიმონ ზაქარაიამ დედის სიცოცხლეში, 2008 წელს გამოსცა წიგნი „შეუბლალავი მანდილი“, რომელიც საყვარელი მშობლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიუძღვნა.

ბატონ სიმონს გამოცემული აქვს აგრეთვე წიგნები: „ესაე... ქრონიკა... პუბლიცისტიკა“, „ქართველი მხატვრები და მოქანდაკები“, ლექსების კრებული „მონატრება“. იგი გახლავთ საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრი.

ბატონ სიმონ ზაქარაიასა და მის მეუღლეს, სოხუმში კარგად ცნობილ ექიმს ქალბატონ ლუდმილა დიხამინჯიას ჰყავთ ქალ-ვაჟი – ხათუნა და შაატა. ორი შვილიდან უკვე ათი შვილიშვილი ჰყავთ და ამჟამად მათი ბედნიერებისათვის და სამაგალითოდ აღზრდისათვის ზრუნავენ.

სიმონ ზაქარაიას დაუცხრომელ კალამს ფართო შემოქმედებითი გეგმებიც აქვს, გამოსაცემად რამდენიმე წიგნი აქვს მომზადებული.

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია ულოცავს ბატონ სიმონ ზაქარაიას დაბადების 80 წლისათვე; უსურვებს კვლავაც ურყევ ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებს, ოჯახურ სიმშვიდესა და ბედნიერებას და თავისი სამშობლოს ერთიანობის ხილვას, თავისი საყვარელი კუთხის – აფხაზეთის დედასაქართველოში დაბრუნებასა და აყვავებას.

გაიხარეთ კიდევ მრავალ წელს, ბატონი სიმონ! თქვენი სახელოვნად გამოვლილი ცხოვრების გზა კვლავაც დიდხანს გააგრძელეთ სამშობლოს სამსახურში და ამრავლეთ თქვენი კეთილი საქმეები! თქვენ ყოველივე საუკეთესოს ღირსი ხართ!

ქვემოთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ბატონი სიმონ ზაქარაიას იუბილესადმი მიძღვნილ წერილებსა და მის ლექსებს.



აფხაზეთის ტრაგედიის პირველი ძოწე

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრსა და ვიცე-პრეზიდენტს, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს უურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ფედერაციის წევრს, გაზეთ „დიოსკურიას“ რედაქტორის მოადგილეს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, აფხაზეთის ტრაგედიის მონაწილეს, სოხუმ-საკენ-ჭუბერის – „გოლგოთის“ გზაზე ქართველობის ნიშნით გამოდევნილ 200 ათასი უმწეო, მშიერ-მწყურვალთა საშინელების მემატიანეს, კაცობის ეტალონს, კოლხური ჯიშის კოლორიტულ პიროვნებას, დიადი იდეების ავტორს – ბატონ სიმონ დომენტის ძე ზაქარაიას 80 წელი შეუსრულდა, რასაც გულწრფელად ულოცავენ მას უახლოესი ადამიანები, ნათესავ-მეგობრები და უსურვებენ დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ-ახალ წარმატებებს, აფხაზეთში დაბრუნების ნანატრი ოცნების აღსრულებას.

ბატონი სიმონ ზაქარაიას ზემოთჩამოთვლილი ტიტულატურა მეტყველებს მის მიერ განვლილი გზის განსაკუთრებულ მომენტებზე, წარმომავლობაზე, გენეტიკაზე.

მას მამა არ ახსოვს, დიდ სამამულო ომში დაეღუპა, გაიზარდა უმამოდ ძირძველ სამუზაყანოში დედის მზრუნველობის ქვეშ.

დედამ, წუცა ბაგათელია-ზაქარაიამ ყოველგვარ პიროვნულ კეთილდღეობასა და სიამოვნებაზე უარი თქვა და ერთადერთი შვილის

– სიმონის სამომავლო ცხოვრებას და გვარისა და ერის სასახელოდ მის აღზრდას შეალია.

ბატონი სიმონი ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც დღედაღამ იბრძვის აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად, გასამრთელებლად. არის დიალოგის, სახალხო დიპლომატიის მომხრე კონფლიქტის მოგვარებაში, ძმებს შორის ნდობის აღდგენაში და მთელი მისი ტიტანური ენერგია და საქმიანობა აქეთკენ არის მომართული.

მან, როგორც სოფლის მეურნეობის მაღალი რანგის სპეციალისტმა, მთელი რიგი ნაშრომები და სამეცნიერო პუბლიკაციები მიუძღვნა საზოგადოების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

გასაოცარია მისი ფიზიკური სრულყოფილებისა და სულიერი სამყაროს ჰარმონია, რომელიც მშობლებისაგან მოსდგამს მას.

ბატონი სიმონ, შენს დიდებულ ოჯახთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად გილოცავ 80 წლის იუბილეს, გისურვებ დიდ ჯანს, ენერგიას და თქვენთვის დამახასიათებელი პრინციპულობით იმ პრობლემების მოგვარებას, რომელიც ჩვენს ცხოვრებას თან ახლავს და თქვენ ასე განუხებთ.

რაჟდეონ ქარდავა,
სიყრმისა და ცხოვრების მეგობარი,
ფაზისის სამეცნიერო აკადემიის
ნამდვილი წევრი.



საინტერესო ქურთული და ბირთვული ება

არაფერი ისე არ ამკობს ადამიანს, როგორც სულიერი სიმდიდრე: სხვათა სიხარულის თუ წუხილის საკუთარივით განცდა, სამშობლოს სატკივარის საკუთარ ტკივილად მიღება და დღედაღამ ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრი და ქმედება.

სამშობლო ქვეყნისა და მშობელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული იგრძნობა სიმონ ზაქარაძის საქმიანობაში და გარემოცვასთან ურთიერთობაში. თვითონ წარმატებული მეცნიერი სხვათა წარმატებების პოპულარიზაციას უფრო ეწევა, ვიდრე საკუთარისას.

უღალატო რაინდული ბუნება, საქმისადმი

საოცარი ერთგულება, კეთილ საქმიანობაში სხვათა უანგარო მხარდაჭერა, მოზომილი სიტყვა მიმართვისას, – ასეთია ფიზიკურადაც უნაკლო, სულიერად შემკული ბატონი სიმონ ზაქარაძის ცხოვრების წესი.

კუკური ვიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი



სიმონ ზაქარაძის ფენომენი

80 წელი შეუსრულდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ვიცე პრეზიდენტს, აკადემიკოს სიმონ ზაქარაძის.

სიმონ ზაქარაძია რამდენიმე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორია, რომლებიც თავის დროზე წარდგენილი იყო საქართველოს სახელმწიფო და გიორგი შარვაშიძის პრემიებზე. იგი სხვადასხვა დროს იყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ვარჩეს“ ექსპერიმენტული მეურნეობის, სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო ორგანიზაციის დირექტორი. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი და სტატია. წლების განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთ „დიოსკურიას“ პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ. არის საქართველოს მწერალთა და უურნალისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრი. იგი აფხაზეთის ომის მონაწილეა მისი

დაწყებიდან სოხუმის დაცემამდე. ორჯერ იყო მძიმედ დაჭრილი და ჰოსპიტალიზებული. დევნილებს თან ახლდა სვანეთის მაღალმთიანი ზონის გადალახვისას და მათი მწარე ხვედრი გაიზიარა. ომის თემაზე გამოქვეყნებული აქვს 6 წიგნი.

ბატონი სიმონ ზაქარაძია აკადემიის გაზეთ „ქალდეას“ პასუხისმგებელი მდივანია. იგი არის იყალთოსა და ხობის საპატიო მოქალაქე.

ჩვენს ძვირფას მეგობარს, მწერალსა და მეცნიერს ბატონ სიმონ ზაქარაძის გულითადად ვულოცავ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ დიდ ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას – მშობლიურ აფხაზეთში მალე დაბრუნებით.

ვაჟა ეგრისელი,
საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, პოეტ-აკადემიკოსი

კაძაფიშთ

ჩემს ძვირფას და საიმედო მეგობარს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ვიცე-პრეზიდენტს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს სიმონ ზაქარაიას გულწრფელად ვულოცავთ დაპადებიდან ოთხმოც

წლისთავს, ვუსურვებთ ყოველივე კარგს. ვამაყობთ მისი მამულიშვილობით.

შალვა დავითაშვილი,

კომპოზიტორი,
თბილისის საპატიო
მოქალაქე



ქაძულიძე ვილი!

ბატონმა სიმონ ზაქარაიამ მის მიერ გამოშვებული წიგნებიდან ორი მეც მისახსოვრა. პირველს ჰქვია „დევნილი გოლგოთის გზაზე“, რომელშიც თვითმხილველის თვალით ავტორის მიერ ზედმინევნით სიმართლითაა აღნერილი უამრავი ფაქტი და ეპიზოდი, რაც მან ნახა და განიცადა ამ გზაზე, ხოლო მეორე წიგნი ეძღვნება დედას, ქალბატონ ნუკა ბაგათელიას და ჰქვია „შეუბლალავი მანდილი“. პირველი წიგნში სამშობლოს სიყვარულია გადმოცემული, ხოლო მეორეში – დედის. რომელი უფრო ძვირფასია ადამიანისათვის, ამის

გარჩევას ახლა ჩვენ აქ არ შევუდგებით. ეს მარადიული თემაა ალბათ.

ქალბატონი ნუცა ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ მშობლიურ კუთხეში დაბრუნების დარდი მიწაში ჩაიტანა. ბატონმა სიმონმა პირნათლად მოიხადა ვალი საყვარელი დედის წინაშე.

ჩვენ ვუსურვებდით ბატონ სიმონს მრავალი წლის სიცოცხლეს და იმ უდიდესი ოცნების ასრულებას, რასაც მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება ჰქვია.

ცუგზარ კვაშილავა,
ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი



ქეშარიშვი ქართველი

სიმონ ზაქარაია ჩვენი საზოგადოების გამოჩენილი პიროვნებაა თავისი განათლებით, შრომისმოყვარეობით, სამშობლოს სიყვარულით, კეთილსინდისიერებით. ყოველთვის შემართული, დაუღალავი, მებრძოლია კეთილი საქმეებისათვის.

მართალია, ჩვენ ახალგაზრდობიდან არ ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი რომ გავხდი, ბევრი შესანიშნავი ადამიანი: მეცნიერები, ხელოვნების დარგის სპეციალისტები, მხატ-

ვრები, პოეტები, მწერლები, ისტორიკოსები, პოლიტიკოსები რომ გავიცანი, ბატონმა სიმონ ზაქარაიამ მიიქცია ჩემი ყურადღება თავისი თავმდაბლობით, კეთილი საუბრებით. მისი ურთიერთობები ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის წევრებთან მისაბაძია.

ბატონი სიმონ ზაქარაია არის ღვანლმო-სილი მეცნიერი, ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, უურნალისტი, იყალთოსა და ხობის საპატიო მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე, დაუღალავი მშრომელი. ის არის აკადემიის

ვიცე-პრეზიდენტი, სისხლხორცეულად ჩვენი სამშობლოს ჭირისუფალი, ჭეშმარიტი პატ-რიოტი, მას ახასიათებს სულიერი სილადე, გულთბილობა და, რაც მთავარია, ადამიანში კაცობრივობა.

სიმონი ხელოვნების დიდი თაყვანისმცე-მელია, კერძოდ, ძალიან უყვარს მხატვრობა, სახვითი ხელოვნების დარგები: ფერწერა, გრაფიკა, პერსონალურ გამოფენებზე ხშირად გამოსულა სიტყვით. ხელოვნებაზე საკმაოდ ბევრი წერს, ჩემთვის პირადად მისასალმებე-ლია მისი სიღრმისეული ხედვა, შეფასება ამა თუ იმ ნამუშევრისა.

ერთი თვის წინ ჩემთან იყო სტუმრად, ბა-ტონი სიმონი ჩაფიქრებული იყო, ფრთხილად ვკითხე, ცუდად ხომ არა ხარ-მეთქი, მითხრა, მენატრება ჩემი აფხაზეთი, ჩემი სახლ-კარი, წინაპართა საფლავები. წამიერი სიჩუქე ჩამო-ვარდა ჩვენ შორის, შემდეგ ვუთხარი, მაგრად უნდა ვიყოთ, სიმონ ჩემო, მწამს მომავლისა, რომ ზეციერი საქართველოდან გადმოგვცე-

რიან წინაპართა წმინდა სულები, როგორც აფხაზების, ისე ქართველებისა და ერთად ლოცულობენ ჩვენი აფხაზი ძმების და ქართვე-ლების ერთად ყოფნისა და ცხოვრებისათვის.

დიდება უფალს, ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს და ჩვენი მფარველი.

ილია პატაშური,

სახალხო მხატვარი, პროფესორი,
ვაჟა-ფშაველას სახელობისა და ეროვნული
პრემიების ლაურეატი,
„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის
წევრი, აკადემიკოსი
საერთაშორისო მხატვართა კავშირის წევრი,
ღირსების ორდენის კავალერი,
ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის
სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა
საზოგადოების წევრი, ჩოხოსანი რაინდი.

17 სექტემბერი, 2020 წ.



სიმონ ზაქარაია

— 1 —

სულის სავანე

ზეცა სულის სავანეა,
მიწაზე კი ხორცი წამობს,
მინდა მავანს შევეკითხო,
აქ სიკვდილზე რისთვის ნანობს?

არ მოგბეზრდა გვამის თრევა,
სულს რომ ვარდის სურნელს აცლის,
მადლი ნათელ სულინმიდას
საუკუნეს რომ არ გვაცლის.

ნუ აგროვებ ოქროს ჯართებს,
ნუ იძახი „სულ მე მინდა“,
ემსახურე აქ შენს მამულს,
მამას, ძეს და სულინმიდას.

ხელგაცვლილი მუხა

დიახ, სულ სხვაა წვიმა მაისის,
გაუშლელ კოკრებს ეალერსება,
ყვავილი ნელთბილ წვეთებს მიირთმევს,
მინდვრის ჯეჯილსაც გული ევსება.

ტყეში ფოთოლი თავს უკრავს ღრუბელს,
ნაკადული კი წვიმის ღვარს ელის,
ეზოს ჭიშკართან დამდგარა მუხა
და გაუწვდია ზეცისეკნ ხელი.

დაპირება

არ მოსწყინდე... დამიჯერე,
ვარსკვლავს მოვსწყვეტ მოციმციმეს,
გულს ჩაგიკრავ, დაგამშვიდებ,
აგიულერებ ახალ სიმებს.

შენზე ფიქრის ალყაში ვარ,
არ მასვენებს, არ მაძინებს,
მკერდს ფოჩებით დაგიმშვენებ,
ჩამოგყიდებ ოქროს მძივებს.

ციხე-ტაძრები

საუკუნეებს ისევ შენათის,
უამთა ზარდახში გადანახული,
ალავერდი და გრემი, გელათი,
ჯვარი, ბაგრატი, ტაო, ხახული.

„ნანას“ რომ მღერის, დედა მტკვარია,
ქართლის აკვანი რომ დაარწია,
და ცერზე დამდგარ მთებს უხარიათ,
რომ დრო ვერაფერს აკლებს ვარძიას.

ვიცი, არასდროს გაკლდა დარბევა,
დაგიქცევია სისხლი მპყრობელთა,
მთიდან მუქარით მოქრის არაგვი,
მაგრამ მუხლს იყრის სვეტიცხოველთან.

ლექსთა მაჟის

„ვაშა ახალ საქართველოს“,
სვეტიცხოველს, სიონს,
ვაშა მამულს, დედაენას,
უთქვამს გალაკტიონს.

ერთნაირად უმღეროდა
ალაზანს თუ რიონს,
ვაშა მიწას სისხლით მორწყულს,
ვაშა გალაკტიონს.

მედგრად იდგა და ებრძოდა,
ქარიშხალს თუ ფიონს,
ვაშა ასეთ შემართებას,
ვაშა გალაკტიონს.
მისმა ლექსმა გადუქროლა
მაღალ კავკასიონს,
ვაშა ასეთ განდიდებას,
ვაშა გალაკტიონს.

ჩვენც ვუმღერით ლექსთა მეფეს,
მუზის ბაგრატიონს,
ქართულ ლვინის მოტრფიალეს,
ბატონ გალაკტიონს.

სიღიადე მუდამ ახლავს
სვეტიცხოველს, სიონს,
გვჯერა, მამულს ისევ მოჰვერის
ახალ გალაკტიონს.

პასუხი ქალგატონ „პრონეულს“...

მზია ელიაშვილს

როგორ მხიბლავს შენი ლექსი, შენი მუზა,
მე ხომ მესმის ქარიანი მუზის ფასი,
ჰოდა, მინდა შენს წკრიალა ხმას მივაგო
სათაყვანო სადღეგრძელო ღვინით თასი.
ბრონეული როცა ყვავის, რომ გილიმის,
გასუსული მზეს თაკარა სხივებს პარავს,
ოქტომბერში მკერდალვსილი შენკენ იღვწის,
თავდახრილი მორიდებით თვალებს ნამავს.
მიტომ მიყვარს ბრონეული შენკენ დახრილს,
ტაშს ვუკრავ და ვეფერები მის ოცნებას,
მის სწრაფვას და პარმონიას ვუმზერ შორით,
შენი ლექსი ჩემში იწვევს გაოცებას.
შენ რომ მოგწონს ბრონეული ალისფერი,
ჩემს თითებში გაზრდილი და მოწეული,
მისი ფუნჯა ფესვები კი ჩემს გულშია,
სისხლძარღვებში გართხმული და მოქცეული.
ჰოდა, მზეეპრ შენი მზერა უხილავი
ღვთაებრივი ძალაა და მკურნალია,
დამილოცავს ის ბილიკი, შენ რომ მოხველ,
ის დაიკოს დახუნძლული უურნალია.

ღმართის განებით ხურა ყოველი

უკვდავებიდან – უკვდავებამდე,
უამთა სრბოლაში მიქრის ცხოვრება.
კაცობრიობა მუდამ ბობოქრობს
და ვულკანივით ფეოქავს გონება.
ამ დიდ სამყაროს ყველა კიდური
სულის გარშემო ტრიალებს მარად,
ცეცხლი, სინათლე, ჰაერი წყალი,
განგებამ შექმნა ბრძნულად და მყარად,
ახლა მოვედით, ისევ მივდივართ,
აბა, მუდმივად არის რომელი?
ასე იყო და ასე იქნება,
ღმერთის განგებით ხდება ყოველი.

დედის გახსენება

ვინ გამკიცხავს, ოი, ამ დროს
ბევრს მოელის, ვიცი, თრთოლა,
ბერიკაცი დედას ვნატრობ,
როგორც ბალლი თითისტოლა.

დღემდე დარდი არ მინახავს,
ვახ, საწუთროს სატიალეს, –
ამ პატარა გულში ახლა
ცრემლის დიდი ზღვა ტრიალებს.

სად ვიჩივლო, ვინ არის, რომ
დედა მზისებრ შეეჩინოს,
უბედური, უდედობას,
რა ვქნა, როგორ შევეჩვიო?!

განა რამდენს იტირებ, რომ
დაიცალოს ეს ზღვა სევდა?!
ასჯერ ვკვდები, დედაჩემის
სიკვდილი რომ მახსენდება.



ალექსანდრე (ალეკო) ჩაჩანიძე,

გაზეთ „მამულის“ რედაქტორი და გამომცემელი
(ტორონტო, კანადა)

გვია შევდობისა, მოძღვანო!

მამა პავლე (ერისკაცობაში, პაატა ზაქარაია)

აგერ უკვე 23 წელი ხდება, რაც სამშობლო-დან წამოვედი. რა არ გადამხდა თავს, რამდენი საინტერესო და საოცარი ადამიანი შემახვედრა ცხოვრების გზაზე ღმერთმა, ბევრმა მათგანმა წარუშლელი კვალი დაატყო ჩემს ცხოვრებას. დღეს სიამოვნებით და სიამაყით მინდა გესაუბროთ ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებაზე, ვინც

არა მარტო ჩემს, არამედ მრავალი ემიგრანტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას განსაკუთრებული აზრი მიანიჭა. სიამოვნებით იმიტომ რომ არ შეიძლება მიანიჭო ადამიანს იმაზე მეტი სიამოვნება, რაც მისთვის სულიერი საზრდოს გაზიარებაა და სიამაყით, იმიტომ რომ სხვებთან ერთად ასეთი ადამიანის სიახლოვეს რამ-



დეკანოზი მამა პავლე (პაატა ზაქარაია), ვაშინგტონის
თამარ მეფის სახელობის წინამდლვარი



ხათუნა ზაქარაია. ბიზნესის მაგისტრი. (აშშ)

დენიმე წელს მომიწია არსებობა. ეს პიროვნება კანადაში პირველი და ერთადერთი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამაარსებელი და მოამაგე, ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილის სულიერი მამა და მეგობარი – დეკანოზი პავლეა (პაატა ზაქარაია).

იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ასეთი რუდუნებითა და საქმის ერთგულებით ასრულებს თავის მოვალეობას. სამშობლოდან გადმოხვეწილი ათასი მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულების, აღზრდის, მრნამსისა თუ ყველაფერი ამის უქონელთა სულიერ მწყემსად მოგვევლინა მამა პავლე ტორონტოში. როგორც ყოველი საქმე, რასაც საფუძველი ახლად ეყრება, კანადის ქართველთა რჯულზე მოყვანა და ეკლესიური

ცხოვრების გაზიარება იმდენად ძნელი და შრო-მატევადი მიაჩნდა ყველას, რომ დასაწყისში მრავალი ჩვენგანი სკეპტიკურად უყურებდა საქართველოდან მოვლინებული დეკანოზის გულმოდგინე მცდელობას. ამ პერიოდში მე კანადაში არ ვიმყოფებოდი და გადმოცემით ვიცოდი, რომ მამა პავლე კარდაკარ, ქუჩა-ქუჩა აგროვებდა ქართველ ქრისტიანებს, ნათლავდა მათ შვილებს, ქადაგებდა ჭეშმარიტი რელიგიის უზენაესობას და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიინევდა აქაურთა გულებისაკენ.

ჩემი პირველი შეხვედრა მამა პავლესთან მისი ძალისხმევით გახსნილ მცირე ეკლესიაში მოხდა, მანამდე ასეთი რუდუნებით და სითბოთი განმსჭვალული წირვა-ლოცვა მე არ მინახავს. შესანიშნავი ქართული საგალობლები, რომელთაც რამდენიმე ადამიანი ასრულებდა, ისე ორგანულად ჯდებოდა ლოცვაში, თავი სამოთხეში გეგონებოდათ, მამა პავლეს წირვას მედავითნის ლოცვა ენაცვლებოდა, მერე ისევ საგალობლები და... სულგანაბული ვუსმენდი და მიხაროდა, რომ მეც ამ ამაღლებული ზემის ნაწილი ვიყავი. წირვის შემდეგ ვიკითხე, რომელი ქრისტიანული დღესასწაულია-მეთქი დღეს და ახალგაზრდა სტიქაროსასნმა მორიცებული ღიმილით მიპასუხა, კვირაო. აღმოჩნდა, რომ ღვთისმშობლის სახელობის ქართული ეკლესია ტორონტოში მისი წინამძღვრის თაოსნობით ყოველკვირეულად აღასრულებს წირვას, ყოველ შაბათს – ლოცვებს, ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს – საეკლესიო მსახურებას. აღარაფერს ვამბიობ ქრისტიანული დღესასწაულების დღოს ჩატარებულ მსახურებაზე. ბევრად უფრო დიდი ქართული დიასპორის მქონე ქვეყანაში ვერ ნახავთ ქართველ ბავშვებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიბადნენ და ასეთი გულმოდგინებით ღებულობენ ზია-

რებას, გალობენ ქართულ საგალობლებს და, რაც მთავარია, სწავლობენ ისევ და ისევ მამა პავლეს თაოსნობით შექმნილ საკვირაო სკოლაში. დიდი მადლობა ამ ადამიანს იმ უსაზღვრო სიყვარულისათვის, რაც მან კანადის ქართველებს გვაჩუქა, რითაც გაგვაერთიანა და ერთ მუშტად შეგვერა დაქსაქსული და ერთმანეთზე დამდურებული ემიგრანტები, მადლობა იმისათვის, რომ თავისი წვრილშვილი და მეუღლე საქართველოში ჰყავდა და ჩვენ აქ გვიწევდა სულიერ მამობას და მეგობრობას.

ყველაფერს თავისი დრო აქვს, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, სულ ცოტა ხანში საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით მამა პავლე საქართველოში მიემგზავრება, ალბათ უფრო საჭირო და საპატიო მისის შესასრულებლად, აქაც გამოჩნდა მისი ჩვენდამი სიყვარული და მზრუნველობა, მრევლს თავის მაგივრად ადგილზე აღუზარდა სულიერი მწყემსი, რომელიც, იმედია, კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებას.

დასაწყისი და დასასრული-მეთქი, ვწერდი, არა, დეკანოზ პავლეს საქართველოში გამგზავრება ნამდვილად არა მისი აქაური საქმეების დასასრული, რადგან კელაპტარი, მისგან დანთებული, უკვე ნამდვილად აღარ ჩაქრება, ვიდრე კანადაში ერთი ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი მაინც დარჩიება.

მშვიდობით გატაროთ ღმერთმა მოძღვარო!

P.S.

ამჟამად მამა პავლე საქართველოს საპატრიარქომ ვაშინგტონში (აშშ) თამარ მეფის სახელობის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლად მოავლინა. აქაც მამა პავლე ღვთის წყალობით დიდი რუდუნებით ასრულებს იმ ღვთიურ საქმეს, რომელიც მას ეკისრება.



ლაშა გვასალია



ცოტნე დადიანის ქვეპრი

კოჭლი გოთია სირბილისგან ყელზე გულმობჯენილი, ქლოშინით მივარდა სამრეკლოს კიბეზე ჩამომავალ, ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარს, მღვდელმონაზონ ექვთიმეს და უთხრა, – მამაო, ნოვისევის აღმასკომის თავმჯდომარის დავალებით, ექვსი წიჩებითა და ბარებით შეიარაღებული ახალგაზრდა მოვიდა და ამბობენ, მარნიდან დიდი საუფლო ქვევრი უნდა ამოვთხაროთ და აღმასკომის თავმჯდომარის მარანში ჩავასვენოთო. ტყვიანაკრავივით შეხტა წინამძღვარი, – რასაა რომ იძახი, ხომ არ გადაირიე, ვინ ბიჭები, ვინ ეშმაკები, გააფრინეს ეტყობა, – ამოიხულვა და ძუნძულით გაემართა მომხდურებისკენ.

გახამებული შავი ანაფორა ეცვა მამაოს, დიდი სის ჯვარი აბრეშუმის ძაფებისგან დაბეჭილი ბეჭერიათი მკერდს ქვემოთ ეკიდა, წელზე თოკი ჰქონდა შემოჭერილი. გრძელი, მოუვლელი და გაბურდგნული წვერ-ულვაში ღვთიური უბრალობის იერს უსახავდა სახეზე.

– ვინ ხართ, ბატონებო, და რა გნებავთ?!
– მისვლისთანავე მიახალა შრომის იარაღებით აღჭურვილ ახალგაზრდებს მღვდელმა.

– ეშმაკები ვართ, მამაო, ეშმაკები, – შეეპასუხა ხითხითით ერთ-ერთი მომხდურთაგანი, რომელიც გამოირჩეოდა უტიფრობითა და თავხედობით სხვათაგან.

– ფუი, ეშმაკა, თქვენ კი უფლისეული სიკეთე მოგცეთ გამჩენმა, – სცადა სიტუაციის დათბობა ანაფორიანმა.

– ჯერ ეს ერთი, – ისევ აყოყლოჩინდა „უტიფარი“, – ბატონებო კი არა, ამხანაგებო, მეორე – ჩვენ აქ აღმასკომის თავმჯდომარის დავალებით ვართ მოსულები და მისი დავალების არშესრულება არ გვეპატიება, და მთავარი – თქვენი დრო წასულია, შეიგნეთ ეს და შეუშვით მაგ დახშულ ყურებში, მეფე და თავადებიც არ არსებობენ, არც წურპელა მღვდლებსა და დიაკვნებს მოგეცემათ ხალხის ვენებიდან სისხლის წოვის უფლება.

– ღმერთმა დაგიფაროს ეშმაკეული ზრახვებისგან, – პირჯვარი გადასახა მოპაექრეს მღვდელმა.

– ღმერთი არა ისა, თუ ასეთი ყოვლისშემძლეა თქვენი ღმერთი, რატომ არ გეხმარებათ და გიცავთ, რატომ დაგყარათ ასე უპატრონოდ და უარაფროდ. არანაირი ღმერთი არ არსებობს, ღმერთი ისაა, ვინც გაცოცხლებს, გიცავს და პურს გაჭმევს. ღმერთის გამოვებილი და ნაპატრონები არავინ მინახავს ჯერ. ჩვენი ღმერთი, – ხელი თავისი ამხანაგებისკენ გაიშვირა, – ჩვენი პარტია და ჩვენი ბელადია, მორჩია და გათავდა. თუ ჭკვიანად არ იქნები და შენც ასე არ იაზროვნებ, ციმბირს უკან დაგატოვებინებენ, თუ დახვრეტას გადაურჩი, რა თქმა უნდა!..

– მებრალები, ყმაწვილო, დაუღუპიხარ და მოუწამლიხარ იმ უკეთურებს.

სიტყვა არ დაასრულებინა, ავარდა გველნაკებივით უტიფარი ბონია, – შე გველო და ეშმაკისეულოო, – გაიწია საცემად ღვთისმსა-

ხურისკენ, ამოეჯგიმა გვერდით დამხმარედ ელამი გეთია წითელ მობუნტარს და იმანაც დაუწყო ძაგება და ყვირილი მამაოს. – ვინაა შენი გასალანძლი და აუგად სახსენებელი, მოდი აქ, ეგ ანაფორა უნდა გაგხადოთ და სუ პან-ლურები უნდა გირტყათო, – ჩადგნენ სხვები შუაში, ძლიერ იჭერდნენ გაცეცხლებულ ბონიას და გეთიას. მორჩილი გოთია აცრემლებული და შეშინებული ევედრებოდა, – არიქა, თქვენი ჭირიმეთ, ცოდვაში არ ჩადგათ ფეხი, ავადაა, გული ანუხებს მოძღვარს და ეშმაკის გასახარი რამ არ ჩაიდინოთო.

– ეშმაკი ეგაა თავად და სწორედ მაგი-ტომაც გაუჭეჭყო უნდა გველივით თავი ამ აფერისტს, ამას! – არ ცხრებოდა ბონია.

გაოცებული, გაპირქული შეჰყურებდა ამ საცოდაობას მლვდელი და როდის-როდის, რო-ცა გული იჯერეს ცოდვიანებმა ლანძლვა-გი-ნებით, ისევ ნიჩბებს დაავლეს ხელი და ჯიქურ წინ გაინიეს, გადაელობა კვლავ წინ, მუხლებზე დაეცა, ხელები ზე-აღაპყრო და ბლავილივით ალმოხდა, – ვერავინ შეეხება უფლის საკუთ-რებას, მე ვარ მწყემსი ამ ღვთის სახლისა, ჩემი სიკვდილის შემდგომ თუ შეძლებთ მხოლოდ ამის გაკეთებას. არავის შერჩება ღვთის სახ-ლის გაძარცვა, ის ქვევრი, რომლის წალებასაც აპირებთ, ცოტნე დადიანის ქვევრია, მის მამას, დიდ მთავარს შერგილს ჩაუსვენებია ვაჟის სა-ხელზე და საუფლო ოჯალებს აყენებდნენ და ავარებდნენ თურმე იმ ქვევრში. მისი წალება ღმერთის სახლის შეურაცხყოფასთან ერთად, ჩვენი ზნეობრივი გმირის შეურაცხყოფაცაა. ყველაფერთან ერთად, მე აქ ზუგდიდის და მთლიანად ჩვენი კუთხის მუზეუმების ხელ-მძღვანელმა ბატონმა აკაკი ჭანტურიამ და-მაყენა დარაჯად, უნდა გავუფრთხილდე და მომავალ თაობას, თქვენს შვილებს და ჩვენს შვილებს გადავსცე ეს საგანძური, ნუ იზამთ

ამას და ნუ აპეკიდებთ მარადიულ ცოდვას თქვენს მომავალს.

– წამოდით, წამოდით, ამის სისულელებს გინდათ მასმენინოთ? – წინა ჰურა ბონიამ და გზიდან გადააგდო ცისკენ ხელებაშვერილი მლვდელმონაზონი ექვთიმე ნანეიშვილი.

მივარდა წაქცეულ მოძღვარს გოთია, – მამაო, მამაო, ო, არა, ღმერთო, ეს რა ჰქენით, თქვე უღმერთოებო, თქვენა, კაცი მოკალით, დაწყევლილები იყავით უკუნითი უკუნისამდე, თქვენმა ოჯახმა და ჭერმა არ გაიხაროს ამ ბოროტების გამო... – ამის თქმა იყო და ახლა გეთიამ უთავაზა წინა საწყალ მორჩილს და გზა განაგრძეს. ქვითინებდა გოთია... იმ ორის გარდა მარანში ფეხი არავის შეუდგამს, მერე ისინიც შეშინდნენ და გაიძურნენ ტაძრის ეზოდან, მეგობრებს კი ემუქრებოდნენ, თქვენ ამათზე უარესები ხართ და ნახავთ, რაც მო-გივათ ამისთანა საქციილის გამოო.

– კაცი მოკალი და კიდევ აქეთ ხარ გულ-ზეო, – შეუღრინა გაგიჟუბულმა ბითი სასანიამ და მიეშველა მეგობრებს საცოდავად თავგადა-ვარდნილი მოძღვრის კელიამდე მისვენებაში.

ქალივით კიოდა გოთია, თავეუდმოგლე-ჯით მორბოდნენ მეზობლები.

ორი კვირის თავზე ის ქვევრი მაინც ამო-ათხრევინა აღმასკომის თავჯდომარემ და სა-კუთარ მარანში მიუჩინა ბინა. მერე იმ ქვევრში დავარებული ღვინით ლოცავდნენ: ბოლშევი-კურ პარტიასა და ხალხის ბელადებს – ლენინ-სა და სტალინს, რომლებმაც ხალხს, თურმე, უამრავ, ენით აღუნერელ სიკეთეებთან ერთად, თანასწორობა და ერთა შორის სიყვარული ჩა-უნერებეს.

ივსებოდა და იცლებოდა ცოტნე დადია-ნის ქვევრი, რომელსაც რასაც ჩასძახებდნენ, იმასვე ამოსძახებდა!..

ვერაფერს უზამ, საოცარი რამეა დრო!..



გია ხუბუა

„უტუ მიქას“ მოგზაურობა განმუხუში



1

- მამა, ზღვაზე წასაკითხს რამეს ვერ მირჩევ?
 - ქართული გირჩევნია თუ უცხოური?
 - ქართული იყოს...
 - „უტუ მიქა“ წაგიკითხავს?
 - არა. კარგია?
 - კარგზე უკეთესია, მეცხრამეტე საუკუნის სამეცნიეროში გამოგზაურებს... ა, წამოიღე.
 - ძალიან დიდი ყოფილა, რვაას გვერდზე მეტი!
 - ზუსტად ორი კვირის წასაკითხია.
 - ჰო, კარგი.
- გადაშალა-გადმოშალა, ყავისფერ ყდას კიდევ ერთხელ დახედა, მერე დახურა და პარკში ჩადო. ვხედავდი, პარკი მანქანისკენ რომ მიჰქონდა.
- „კარგი წიგნი შევურჩიე“, კმაყოფილებით გავიფიქრე.

2

- ზღვას მომწვანო ფერი გადაჰქვროდა. პატარა ტალღები ირიბად და მშვიდად მოინევდნენ წაპირისკენ. მზე დილიდანვე ძლიერ აცხუნებდა, დიდი ქოლგის ქვეშ ორი შეზღლონგი დავადგმევინეთ.
- იბანავებ?
 - აბა, რას ვიზამ?
 - მე წიგნს წავიკითხავ.

- ცოტა იცურავე, მერე წაიკითხე.
- მოგვიანებით ვიბანავებ.
- როგორც გინდა.

მე ტივტივასკენ გავცურე. უკან რომ მოვბრუნდი, თვალი ვკიდე. შეზღლონგზე წამოწოლილს წიგნი გაეშალა. „კარგი წიგნის კითხვას რომ იწყებ, თითქოს წინასწარ გრძნობ სიამოვნებას, რომელიც გელის.“

3

წაპირზე რომ გამოვედი, მარცხენა ხელში სმარტფონი მოემარჯვებინა და ყურადღებად ქცეული დასჩერებოდა. ჩემს დანახვაზე, ტელეფონი გვერდზე დაიდო და წიგნს მიუბრუნდა.

- კარგად იკითხება.
 - თანდათან უფრო გაგიტაცებს.
 - ამაღამ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალები იწყება. უყურებ?
 - ვნახოთ...
 - მე მგონი, წელს „სიტი“ მოიგებს ლიგას.
 - ბურთი მრგვალია.
- ხელში ისევ ტელეფონს იღებს.

4

წიგნი მეორე დღესაც მოაქვს პლაჟზე. კვლავ შეზღლონგზე წამოწოლილს ვტოვებ და ტივტივასკენ მივცურავ. დღეს ხუთასი მეტრი უნდა დავძლიო შეუსვენებლად.

წაპირისკენ პირს რომ ვიქცევ, უნებურად გავხედავ. წიგნი არ ჩანს.

- რაღაც მოთენთილი ვარ. ცუდად მე-ძინა წუხელ...

- გაცურე ცოტა, გამოგაფხიზლებს.
- ზანტად დგება, წაპირთან მიდის და მუხლამდე წყალში დგება.
- ფიქრიანი მზერით ვუყურებ.
- ხუთიოდე წუთში უკან ბრუნდება, სველ ტანს პირსახოცით იმშრალებს.
- ცივია წყალი!
- გეცურავა და გათბებოდი.
- კითხვის დაწყებას ტელეფონი არ აც-

ლის. განზე გადის და კარგა ხანს ხმადაბლა
საუბრობს.

– ღამით გავაგრძელებ...

5

- მე დავჯდები საჭესთან...
- რატომ შენ?
- უძილარს ჰეგავხარ.
- „რეალი“ გავარდა წუხელ...
- ხომ ამბობდი, „სიტი“ მოიგებს ლიგა-
სო.

– ჰო, მარა ჯერ არ მინდოდა გავარ-
დნილიყო, ლამაზ ფეხბურთს თამაშობს.

– მეოთხედფინალში ყველა მაგრა თა-
მაშობს.

– ესეც კია.

„უტუ მიქა“ ისევ მოპქონდა. ავილე, გა-
დავშალე. მეთერთმეტე გვერდზე ჩაეკეცა.
უსიტყვოდ დავდე ადგილზე.

6

წიგნი გაშლილი ედო მუცელზე. სმარ-
ტფონს ისეთი გატაცებით უყურებდა, ჩემი
მიახლოება არ უგრძნია. ხანდახან ღიმილი
გამოესახებოდა.

– რამდენი გაცურე?

– გეგმა შევასრულე. შენ რამდენი წაი-
კითხე?

– წუხელ ხუთი გვერდით წავინიე წინ.
ნამეტანი დაჩაგრული ყოფილან ყმა გლეხე-
ბი.

– ამიტომაც დაიწყო უტუმ ჯანყი.

– ფეხბურთები რომ არა, უკვე მისული
ვიქნებოდი იქამდე. ორი ნახევარფინალი და
ფინალი, სამი თამაშილა დარჩა. მერე ჩავუჯ-
დები.

– ჰმ!

– ისე, რაფერ გაიფარჩია თავი „ბარ-
საბ“, არა?

– რას იზამ, დრონი მეფობენ. სულ ერ-
თიდაიგივე გუნდი ვერ იქნება საუკეთესო.

– ჰო, მარა წაგებასაც გააჩნია.

– ესეც კია.

7

წიგნი ჯიუტად მოაქვს ყოველდღე.
მხოლოდ მცირე ხნით გაშლის, უფრო
გვერდით უდევს.

როცა ნაპირისკენ მოვცურავ, ვხედავ
მარცხენა ხელში მობილური უჭირავს. მარჯვე-
ნათი სასუსნავს შეექცევა.

– მამა, როგორ ფიქრობ, „პესეუ“ უფრო
ძლიერია თუ „ბაიერნი“.

– „ბაიერნი“ უფრო დაბალნისებული და
შეკრული გუნდია.

– აბა, შენი აზრით „ბაიერნი“ მოიგებს?

– ე, მაგას ვერ გეტყვი. „პესეუ“ თავ-
დასხმა ვარსკვლავებითაა დაკომპლექტებუ-
ლი...

– „ბაიერნის“ დაცვაშიც არის სისუსტე-
ები...

– მაგაზე რას იმტვრევ თავს, უყურე და
ისიამოვნე.

– „პესეუმ“ მინდა მოიგოს, სულ იჩაგრე-
ბა ეს გუნდი ლიგაზე.

– ჩვენს სურვილზე რომ იყოს...

8

მოუამული გამომეტყველება აქვს.

– ვერ დაიძინე წუხელაც?

– ვერა.

– კითხვამ გაგიტაცა ალბათ?

– ჰმ!

ირონიას გრძნობს, იღიმის, მერე ხელში
იღებს რომანს, ჩაბალახით თავზაკრული გმი-
რის პროფილს შეხედავს.

– ახალგაზრდებს წიგნის ალერგია
გაქვთ.

– ალერგია რომ მქონდეს, არ ვატარებ-
დი თან.

– რად გინდა, რომ ატარებდი, მეცხრა-
მეტე საუკუნის სამეგრელოში ვერ იმოგზაუ-
რე.

– სამაგიეროდ „უტუ მიქა“ ვამოგზაურე
განმუხურში.

მეც მეღიმება, შვებულებაში ვარ და...



მურმან ზაქარაია



„ფიქრის პაცია“ ცნობილი სამყარო რომანში „უტუ მიქა“

(წერილი მეორე)

ჩვენ პირველ
წერილში ვნახეთ,
რომ მწერალმა თა-
ვის უკანასკნელ

გზაზე მიმავალი მთავარი გმირის ენით გვამ-
ცნო, რომ ვინც ბოლომდე ვერ მიჰყვება ერთხელ
აღებულ გეზს და შენყვეტს თავისუფლებისთვის
ბრძოლას, ის ზედმეტი ტვირთია ამ ცხოვრებისა.

ეს არაა კონკრეტული ისტორიულ პერიოდში
მიმდინარე სოციალური სამართლიანობისთვის
ბრძოლის სულიერი პათოსის გადმოცემის ცდა,
არამედ მასში მოცემულია კოლხ-იბერიული
მოდგმის გენეტიკური ნიჭის, მისი ხასიათის უმ-
თავრესი შტრიხი – ყოფნისკენ მისწრაფებისა. ამ
ფილოსოფიური და ფსიქოზნეობრივი თვალსა-
წიერიდან ვიხილავთ ამ ტრილოგიას.

გიორგი სიჭინავას ამ რომანის მთავარი
გმირების მისწრაფება სამართლისა და სამარ-
თლიანობისკენ წარმოგვიდგენია კონტინუ-
ტეტურ¹ აქტად; ვინაიდან ფორმულა – „კაცის
კაცი არ უნდა არსებობდეს“ სრულად ასახავს
მოდგმის მარადიულ ლტოლვას თავისთავა-
დობისკენ. შესაბამისად, რომანში სოციალური
სამართლიანობისთვის ბრძოლის ისტორიული
მოცემულობები მხატვრული ასახვის პრო-
ცესში მთელი სისრულით გარდაიქცევა ეროვ-
ნული თავისუფლებისთვის ბრძოლის მიზან-
სწრაფულობის გამოხატულებად. ასეთი ლრმა
წვდომისთვის, კითხვის პროცესში, „უცრად
და საწყისიერად“ უნდა ვპოვოთ თავისთავადი
(ორგინალური) ფიქრისა და გააზრების უნარი.

ამ რომანში მხოლოდ ისტორიული რეალო-
ბის მაძიებელთ მინდა ვუთხრა: მარსელ პრუს-
ტის თქმისა არ იყოს, ამ ისტორიული რომანის
კითხვა ზიარება, ჯადოსნური გასაღები უნდა
გახდეს, რომელიც გვიღებს სულის სავანების
კარს, რომელშიც სხვანაირად ვერ შევაღწევ-
დით. იქიდან უნდა შევისისხლხორცოთ ის გან-
სხვავებული აზრი, რომელიც თანამედროვე
„ინფექციური ჭუუის“ მჩატე ნააზრევებით დაღ-

ლილი გონებისგან მეტ ძალისხმევას მოითხოვს
და შესაძლებლობას მისცემს, „გაცვეთილ“ სა-
კუთარ თავს დაშორდეს და შორიდან შეხედოს.
ამიტომაც არის, რომ „დიდი გონებები ძველ
ნაწერებს ანიჭებენ უპირატესობას (მ.პრუსტი,
გვ.78), ჩვენ ამაში ვხედავთ ამ რომანის სულიერ
საზრისმომცველობას. ასეთი მიდგომის შემ-
თხვევაში აქვს მის კითხვას ფასი, მან სულიერ
ცხოვრების სურვილი უნდა აღვიძრას. სხვა
შემთხვევაში, მკითხველი როცა წიგნის ფურ-
ცლებში ჩადებული მატერიალურ საგნებს თუ
რეალურ ფაქტებს წაეპოტინება, მაშინ კითხვა
საშიში ხდება.

მაშასადამე ამ ტრილოგიის ასეთ გააზ-
რებულ კითხვას შეუძლია სასიკეთო გავლენა
იქნიოს ჩვენს გადაღლილ გონებაზე. სულიერ
ცხოვრებაში ეს გარედან შემოსული იმპულსი,
უეცრად პოვებს გასაქანს ჩვენს ფიქრებში და
სასიკეთო გავლენას მოახდენს გონების აქტი-
ურობაზე.

პრუსტის თქმით: „მაშასადამე, სწორედ
ჩარევაა (ის), რომელიც მართალია, სხვისგან
მომდინარეობს, მაგრამ ჩვენში ხორციელდე-
ბა; სწორედ ასეთია იმპულსი, სხვა გონებისგან
რომ მოდის, მაგრამ განმარტოებაშია მიღებუ-
ლი“ (პრუსტი, იქვე, გვ.57). თამამად შეიძლება
ითქვას, რომ გ.სიჭინავას ამ ისტორიული რო-
მანისთვის სულიერი იმპულსისმიმცემ წყაროდ
არა ისტორიული ფაქტები თუ ხდომილებებია
გააზრებული, არამედ კოლხ-იბერიული მოდ-
გმის გენოკულტურიდან მომდინარე, წარსულის
ნაკვალევის, უკვე არარსებული წეს-ჩვეულებით,
ფსიქოზნეობრივ განწყობათა და განააზრთა
ანარეკლები, რომლის მსგავსი ვერც რომანში
აღწერილ ეპოქას და ვერც თანამედროვეობას
ვერ შეუქმნია. ავტორი ამ უძველესი სიბრძნე-
თაგან მომდინარე ბედნიერებათა ნაგლევს გვა-
ზიარებს, როცა ის სწორედ ამ მიზნით შექმნილ
გმირთა სახით საკუთრივ დაეხეტება კაცობრი-
ობის ტოლ-სწორ კოლხური ეთნოკულტურის
ლაბირინთებში.

¹ მემკვიდრეობითი, სამართლებრივი უწყვეტი აქტი.

მწერალი თავისი შემოქმედებისთვის სული-ერი იმპულსის მიმცემ ამ წყაროზე თვითონვე უთითებს, როცა გვაცნობს უტუს მისწრაფებას, ჩასწვდეს ხალხურ სიბრძნეს და გაიფართოოს ცოდნა.

თავის გამოჩენის სურვილი არ იზიდავდა უტუს. მიუხედავად იმისა, რომ სამჭედლოში ხალხის ნაკლებობას არასადროს გრძნობდა. აკი ამიტომ შეუღრენს მას სამჭედლოს კარებთან უეცრად გამოჩენილი ტაია ჩიქვანი, ეს გადაგვარების გზაზე შემდგარი თავადი (ის სალამს არ აძლევს საკუთარ ხალხს): „— ხმა მომდის, გლეხების თავშესაჭცევ ადგილად გიქცევია, უტუ, ეგ სამჭედლო! ... ენასაც ილესავენ თურმე“ (გვ.130). მიუხედავად ამისა, თავს მაინც მარტოდ გრძნობდა უტუ. ის შინაგანად იყო მომართული, მას თითქოს სულ სხვა შთაგონების ძალა ექარებოდა რაღაც მისთვისაც ჩაუწვდომელი და გაუცნობირებელი ლირებულებებისაკენ, ვიდრე ეს ყოველდღურობა იყო. მაშინდელი გლეხეაცის ცხოვრებისეული რეალობიდან გამომდინარე, არცთუ ურიგოდ, როგორც ავტორი იტყვის, „მას ფიქრები იტაცებდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი სხვა ჰქონდა გადასაწყვეტი და სწორ გზას ვერ პოულობდა“ (131). ამიტომაც მიდის ის ნაგურუს ტყეში, ეკლესიიდან განდგომილი ბერის, რომელიც ახლა უკვე საზოგადოებასაც განსდგომია, საძებრად, მაგრამ მას არ გაუმართლა, „...ვერ იპოვა ის, რისთვისაც წავიდა იმ განდგომილ კაცთან, ქარდას სხვა ცხოვრება ჰქონდა, სოფლისგან და ხალხისგან მოწყვეტილს. უტუს ეს არ შეეძლო. ადამიანებისგან განდგომილი დიდხანს ვერ გაძლებდა. მოუსვენარი სულის პატრონი გახლდათ. იმაზე მეტს ეძებდა, რისი მოცემაც ჩვევლებრივ ცხოვრებას შეეძლო“ (131). ამის მიღწევას კიდევ დიდი ძალისხმევა და ულევი ნებისყოფა სჭირდებოდა. ამას ინტუიციით გრძნობდა იგი.

უტუ გულისყურით უსმენდა ადამიანებს, აკვირდებოდა მათ, იმაზე მეტს ეძიებდა, რაც გაეგონა და შეეთვისებინა, მაგრამ ყოველივე ეს ვერ აკმაყოფილებდა მის ჯერაც სრულად ვერშეცნობილ მოთხოვნებს. ის ცდილობდა, დაბადებასა და სიკვდილს შუა მოსაზღვრულ სივრცეში ბრმასავით მოარული ყოფიერებისთვის (გვ.132) გასაღები მოერგო. თითქოსდა დაყრუებული ამ სოფლისთვის გაეხსენებინა სიკეთის არსებობა. ეს კი დიდ ფიქრსა და ნებისყოფას მოითხოვდა მისგან და არა მარტო მისგან, არამედ კრიზის-

ში ჩავარდნილი მთელი სოციუმის მხრიდან. მას ვერ აკმაყოფილებდა პესიმიზმნარევი სახალხო სიბრძნე, რომ „სოფელს ვერ გააგონებ იმაზე მეტს, რისი გაგონება შეუძლია. ვერ შეასწავლი იმაზე მეტს, რაც უსწავლია. ათასწლეულების მიღმა რაც უკეთებია ადამიანს, იმას აკეთებდა დღესაც. დავინწყებულს იხსენებდა თაობაო. ის გრძნობდა, რომ ეს ფილოსოფია შორს იყო ღვთიური განგებულობისაგან და უფრო ბატონთა ძალადობის გასამართლებლად იყო შეთხული, ვიდრე ბუნებრივი კანონზომიერების განსამარტავად, მან კარგად უწყოდა სხვა სიბრძნეც, რომ „სწავლა სიბერემდეო“ და ისიც ესწრაფოდა მას. მტკიცედ უყალიბდებოდა აზრი, რომ „სიკეთის დამკვიდრებას... ძალა სჭირდებოდა“ და ასე ნელ-ნელა უახლოვდებოდა მისი გონება კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის პრობლემას.

* * *

კეთილისა და ბოროტის ეს პრობლემა ავტორის შემოქმედების ქვაკუთხედია. მას უტრიალებს მის გონება და აზრი კოლხ-იბერული გენოკულტურის თვალსაწიერიდან. ამჯერადაც არ ღალატობს ის თავის ამორჩეულ გზას და არამხუტუს (კოლხური ამირანის) მითოსის შემოქმედებითად დამუშავებით აღწევს უდიდეს ეფექტს კეთილისა და ბოროტის თანაარსებობის ახსნაში, XIX საუკუნის შუახანების ბატონყმური კრიზისული შეგნების ფონზე.

ავტორი წერს: „არამი სხვა იყო და ხუტუ კი სულ სხვა. ერთი ბოროტი იყო, მეორე – კეთილი. ... მერე შეერთებულა ეს ორი სულიერი არსება ერთ სხეულად და სახელიც ერთი და-არქვეს – არამხუტუ. დიდხანს დაფარული იყო ეს საიდუმლოება სოფელში“ (126). ეს დიდი ხანი დიდი კოლხური კულტურის ტოლ-სწორი იყო. ამჯერად ავტორი მას გარდაქმნის და უტუს კონცეფციასთან შესაბამისობაში მოჰყავს, რომ სიკეთის დამკვიდრებას ძალ-ლონე სჭირდება.

არამსა და ხუტუს სხეული ერთი ჰქონდათ, სული კი – სხვადასხვა. ერთ სხეულში ჩასახლებული კეთილი და ბოროტი სულების გამიჯვნა ადამიანისთვის შეუძლებელი იყო და არ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ გამოეხსნათ არამის ტყვეობაში ჩავარდნილი საბრალო ხუტუ (იქვე). კოლხ-იბერული სიბრძნითსწავლებით შეიარაღებული მწერალი თვითონ შედის ბოროტებასა და სიკეთეს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში. მას თან მიჰყევებიან მისი გმირები, მარადიული

ძიების სურვილით აღვსებულნი. მათი თქმით, ბევრი რამ არის არეული ამქვეყნად. შიგ თუ არ შეხვალ, ვერაფერს გაუგებ გარედან. ეს უკვე ბრძოლისკენ მოწოდებაა.

მათ არც იღუზორული მარადიული სიკეთის დამკვიდრებისა სჯერათ. ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში შეიძლება მოისმინოს კაცმა, ასკვნიან გლეხები. მაგრამ, სინამდვილეში, ვერც იქ მოისმენ ასეთ სამარადუამო გამარჯვებას სიკეთისას. იმ ზღაპრებში მარადიულ ბრძოლაზეა აქცენტი გაკეთებული და არა მარადიულად დამყარებულ სიკეთეზე. ცხრათავიანი დევის მოჭრილი თავიდან ახალი აღმოცენდება ხოლმე, მასაც მოჭრა სჭირდება... ბრძოლა მარადიულია... ამაშია ცხოვრების საზრისი... თორემ ყველა კეთილი რომ იქნება, მაშინ მოისპობა ეს ქვეყანაო, ათქმევინებს უტუს ავტორი და ამით მიგვანიშნებს იმაზე, რომ უტუს მაძიებელი გონება ნაბიჯ-ნაბიჯ მიინევს წინ, ცხოვრების საზრისის ახსნისკენ. ის გრძნობს, რომ ბოროტების არგამგონე სამოთხის ადამიანი ვერ დაეტია მარადიულ სიკეთეში. ის დღემდე უმტკიცებს თავის თავს, რომ „სიკეთე არ არსებობს ბოროტების გარეშე. ერთი ლვთისაა, მეორე – ეშმაკის“. თუმცა, როგორც სართანია იკითხავს, ვინ-ვისთანაა, ესაა გასარკვევი, მაგრამ უტუს საბრძოლველად შემართული ნებისთვის ასეთი ფილოსოფიური, მით უმტეს, სოფისტური ძიებანი მოსაწყენია. ის მკვეთრად მოჭრის: „ვინ ვისთან არის, არ ვიცი, მე, ... თვითონაც არ იცის კაცმა, ვინ არის და რა უნდა...“ ის ინსტინქტურად ხვდება, რომ ამ არცოდნის გამოა ადამიანი მარადიულად რაღაცის ძიებაში. იგი თავისი ფიქრებით მიდის იმ შეგნებამდე, რომ ძიებაა ადამიანური ცხოვრების არსი. მთავარია, სწორად მონიშნო და განსაზღვრო ძიების მიმართულება. რაც მთავარია, „ბოროტს რომ ესვრიან, ის ტყვია არ უნდა ხვდებოდეს კეთილს“. ამიტომ ცდილობს უტუ, გაერკვეს, „ცოდვის ჩადენა სიკეთისთვის არის თუ არა მართალი“. ვცდილობ ამაში გარკვევასო, უუბნება ის გლეხებს. მას აწვალებს ის, რომ მის მიერ გამოჭედილი დანა, რომლის გარეშეც ერთი დღეც ვერ გაძლებს ოჯახი, შეიძლება მკვლელობის იარაღადაც იქნეს გამოყენებული და მაშინ ის უნებური მონაწილე ხდება დიდი ცოდვისა. ამ მარადიულ დილემას უტრიალებს მისი თვითნაბადი, მძლავრი ჭკუა-გონება. ის უხსნის გლეხებს, რომ ბოროტებას არაფრის მიღება არ შეუძლია სიკეთისაგან, ის მხოლოდ

იმას ცდილობს, სიკეთედ მოგვაჩვენოს თავი. მას სიკეთე თავისი ბოროტი სულის სამალავად სჭირდება. სიკეთე ერთადერთია, რაც სამაგიეროს არ ითხოვს.

სამაგიეროს მიგება მხოლოდ ბოროტებას სჭირდება. ამ აზრამდე მიჰყავს თავის ფიქრებს უტუ. ამიტომ ათქმევინებს ავტორი მას: „ვისაც გაბოროტება არ შეუძლია, ის თურმე სიკეთესაც ვერ ჩაიდენს“, მაგრამ ამ შემთხვევაში, „გაბოროტება“ მიემართება ბოროტებას. „სიკეთეს არასოდეს აქვს მიზანი“, ის არის „უსრულის ნაშიერი“, თუ მას მიზანს დაუსახავ, ის შეიძლება ბოროტებად გეჟცეს. სხვა რა გითხრათ, მეტი არც მე ვიციო, იტყვის ის ბოლოს და დასძენს: გუმანით ვგრძნობ, რომ სურვილებს იქით არის რაღაც უფრო ჭკვიანური. ამიტომ ეძებს ის ფიქრის კაცებს ხალხში.

* * *

კოლხ-იბერული მოდგმის გენოკულტურის ფორმირების საზრისმანარმოებელი ამ სამი დიდი რომანის სულიერი ნათესაობის დამადასტურებელი გამოკვეთილი ნიშანთაგანია „ფიქრის კაცთა“ ძიებანი; მათი პრიმატის დადგენა უგულო, პრაქტიკოს, საქმის გამჩარხავ კაცთა წინაშე. ეს თავისისტურება ამ რომანებისა მით უფრო ღირებულია, რომ ისინი შეიქმნენ კრიზისულ, „გონების უარყოფის“ ხანაში, როცა ადამიანმა გააღმერთა მატერიალური ცხოვრება. შეაცია რა ზურგი ღმერთს, მას, სინამდვილეში, მხედველობის მიღმა დარჩა თვით ადამიანი.

უგონობის კრიზისულ ხანაში იქმნება გ. სიჭინავას „უტუ მიქაც“, ამიტომაც მასში ფიქრის გორებია წამომართული, რამეთუ ავტორი ცდილობს უნამდლოს უგონობის კრიზისში მყოფ მასას.

ცხოვრების საზრისში წვდომის მაძიებელი უტუს ფიქრები მიმართულია იქითკენ, რომ გაიგოს, თუ რას ემყარება ის გადაწყვეტილებანი, რომელთაც თან მოაქვს უფრო მეტი ბოროტება, ვიდრე სიკეთე. რატომაა, რომ ცხოვრების მიერ გადასაწყვეტად დასმულ საკითხებს არ შეესაბამება ის გზები, რომელიც მიმართული უნდა იყოს მათ გადასაჭრელად? რატომ მოუცავს ადამიანი შიშს ღვთითბოძებული ცხოვრების წინაშე?

ამ ძიებაში ის მიდის იმ აზრამდე, რომ ამქვეყნად იმისთვის კი არა ვართ, რომ ჩვენი არსებობა გონებასა და ფიქრს შევალიოთ, არამედ, პირიქით, ჩვენი აზროვნება მივმართოთ

იქითკენ, რომ ის გავიხადოთ ცხოვრების იმ საშუალებად, რომელიც მიზნის დასახვისა და განხორციელების ძალას მოგვცემს.

უტუს ფიქრები მიმართულია ადამიანისკენ და ამიტომ ეს მიზანდასახული აზროვნებაა. ის ინტუიციური მგრძნობელობით თუ ცხოვრებისეული გამოცდილებით აყალიბებს მეტ-ნაკლებად მყარ წარმოდგენას სიცოცხლის აზრზე, მისი დაკარგვის თუ ხელახლა შეძენის ფილო-სოფიაზე.

სამჭედლოს დიალოგებში უტუ მიდის იმ დასკვნამდე, რომ თუ ადამიანი არასწორად აზროვნებს, ის ცხოვრობს შიშა და ურნებულება-ში, მოუსვენრობაში.

ამდენად, ავტორის აზრთა გამა მიმართულია აქეთკენ – ფიქრის კაცთაკენ. უტუ, ვალურია ქარდა, მართალია თოდუა – ყველა ისინი „ფიქრის კაცები“ არიან, მათ წინ მიუძღვება ავტორი და ხალხს ასწავლიან სწორად აზროვნებას. ამ ლიტერატურულ-შემოქმედებითი ხერხებით ეს ისტორიული რომანი თანამედროვეობის ეგ-ზისტენციალურ მოთხოვნათა დონეს სრულად შეეთანასწორება.

ავტორი უშეუალოდ თუ მისი გმირები გვაჯერებენ, რომ ჩვენი ნამდვილი აზრები, მტკიცე რწმენა ჩვენივე ბედის გამრიგეა. მწერალი თითქმის ორი საუკუნის წინანდელი სოციალური თუ სულიერი ყოფის გააზრების კონტექსტში სრულად აღწევს თანამედროვე, გონებრივ კრიზისში მყოფი სოციუმის სახის დახატვას. ამ ადამიანებმა არ იციან, მათ მრავალ აზრთაგან, რომლებ-საც იაზრებენ, რომელი მოდის მათი ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში. ამ ცხოვრებისთვის აუცილებელი აზრის ძიებაში იყო უტუ მათგან ორი საუკუნით ადრე.

ორტეგას თქმით, ახალი ადამიანის ნიშანია უარის თქმა გონებაზე. იმავე პროცესის აღწერასთან გვაქვს საქმე რომანშიც. გონებაზე უარის თქმის შედეგად, იქაც და აქაც უგუნურობა სინამდვილედაა ქცეული; სიყალბე წარმართავს ცხოვრებას; რწმენისა და მრნამსისგან დაცლი-ლია სულის ჭურჭელი. ცხოვრების ფორმათა მწკრივი, რომლებმიც თაობები ერთმანეთს ცვლიან, ერთიმეორიდან ამოდიან და ქმნიან ერთ მთლიან უნივერსალურ ადამიანს უნივერსალუ-რი კულტურით, განსაცდელშია. სიტუაციათა ასეთ რიგს მივყავართ კანონზომიერ შედეგამდე – ჯანყის იდეამდე.

რომანის მთავარი საკითხის, სამეგრელოს

გლეხთა აჯანყების კონკრეტულ-ისტორიული მოვლენის გაშლის ფორმი გაიაზრება ადამიანის, როგორც სოციალური არსების, მთელი საზოგა-დოებრივი მექანიზმი.

არსებობისთვის მარადიული ბრძოლის ერთ-ერთი ფორმის – „აჯანყების“ აუცილებლობამდე უტუ მიდის გონების ჭყლეტით, ხალხის უმძიმეს გაჭირვებაში ყოფნის მიზეზთა ძიების გზით. იგი გონების კრიზისის ეპოქაში სწორედ გონებას მოუხმობს და წამოწევს ზოგად იდეას – თავი-სუფლებისა და თანასწორობისას, ეს ხდის მას ავტორის მიერ უდიდესი ოსტატობით დახატული „ფიქრის კაცთა“ პლეადის უპირველეს კაცად და კანონზომიერად ხდება ხალხის რჩეული და აჯანყების მეთაური. მას ამიტომაც ვერ აყენებს ჩრდილს მეფის ოხრანკის მიერ დაყრილი ხმები, რომელიც დღემდე წამოტივტივდება ხოლმე ზოგიერთთა კრიზისულ გონებაში.

სამშობლოსა და ხალხზე, ზოგადად, ცხოვრებაზე მოფიქრალი გმირების სახეთა ასე მოზომილად დახატვით ავტორი დიდ წარმატებას აღწევს. ამის ნათელი მაგალითია მართალია თოდუას ტიპაჟი. ის, როგორც სიმართლის მაძიებელი, მართლის პირში მთქმელი კაცი, შორსაა უტუსთვის დამახასიათებელი განზოგადებული წარმოდგენებისაგან. ის უფრო სიტუაციის გავლენით მოქმედებს. მას შორეულ გათვლების არც ძალა აქვს და არც სურვილი. მისი მოჯანყეობა უფრო იმპულსურია, ვიდრე ფიქრისმიერი და გააზრებული, რაც ასახვას პოულობს მოვლენათა პროცესში.

ჯანყის უკიდურესად ნეგატიური ფორმაა „ფიქრის კაცთა“ მესამე წევრის, ვალურია ქარდა განდგომილება ყველასა და ყველაფრი-საგან. ის, მორნშუნის ანაფორაში გახვეული, სწორედ რომ, პირველ რიგში, ოფიციალურ რელიგიას (ეკლესიას) აქცევს ზურგს და იქიდან გარბის. ეს განდეგილობა, ჯანყია სამყაროსეული წესრიგის წინააღმდეგ.

ის არწმუნებს უტუს, ადამიანურ ღირსებაზე რომ იფიქრო, სრულიად თავისუფალი უნდა იყოო, მაგრამ სრულიად თავისუფალი მხოლოდ ღმერთია. მისი ტყეში გაქცევა და ამ გზით სრული თავისუფალი მოპოვების ცდა ღმერთთან გატოლებისკენ გიური ლტოლვაა. ამდენად, მისი ჯანყი საზოგადოების წინააღმდეგ, სინამდვილეში, ჯანყია თვით ღვთის განგებულობის წინააღმდეგ.

მაშასადამე, რომანში ამ ერთი კონკრეტუ-

ლი „აჯანყების“ ფონზე იკვეთება სულიერი ჯანყის მთელი მწკრივი. მათ არეგულირებს უსამართლობის ნინაადმდეგ ხმაამოლებული მებრძოლი მთავარი „მოჯანყე“, – თვითონ ავტორი. ის ამ შინაგანი განცდებიდან მომდინარე „პატარა ჯანყების“ ერთობლიობაში მხატვრულად გააზრების გზით წარმოაჩენს გონითი, ფსიქომორალური, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცხოვრების საზრისმომცველობას კრიზისული ეპოქისას. ამიტომ რომანში გადმოცემული ჯანყის იდეა სრულიად შეესაბამება თანამედროვე მიდგომებს ამ საკითხისადმი და ესაა მის მხატვრულ-ფილოსოფიურ ღირებულებათა ნიშატი.

ორტეგას „მასების აჯანყების“ იდეა არ გულისხმობს ძალადობით ერთი კლასის პატონობის დამხობას მეორის მიერ. „აჯანყება“, „მასები“, „სოციალური ძალაუფლება“ არ არის მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობის შემცველი, მათში მოცემულია ეპოქის სულის განსაზღვრება, მისი ხასიათი: გონითი, მორალურ-ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრება (ვ.კოდუა, ისტორიის საზრისის საკითხისთვის, გვ.162-164, თბ. 1976 წ.).

ეს თანხვედრა რომანის ზოგადფილოსოფიური განაზრებებისა ევროპულ-ზოგადთეორიულ ღირებულებებთან არ არის შემთხვევითობა, არამედ ისინი მომდინარეობენ ჩვენი გენოკულტურის თავურსაწყისებიდან, იმ ცნობიერებიდან, რომელიც სულიერი ნებელობის გზით იჩენდა მიდრეკილებას ევროპული კულტურული თუ პოლიტიკური ფასეულობებისადმი. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს შესატყვისობანი ისტორიულ პლანშიც იკვეთება.

XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყება (სხვა პოლიტიკურ პროცესებთან ერთად) ფაქტობრივად წარმოადგენდა ევროპული რევოლუციებისა და სოციალური აჯანყებების ერთიანი ჯაჭვის რგოლს, რომელიც ნაპოლეონის შემდგომ ხანში დეკაბრისტების გამოსვლებით დაიწყო და დასრულდა 1871 წლის პარიზის კომუნით.

ასეთი მსოფლმხედველობრივი კავშირის არსებობის გააზრების რეალურობას გვიდასტურებს არა მარტო მაშინდელი სრულიად ევროპული პოლიტიკური პროცესები (ომები), რომელიც უშუალოდ შეეხო სამეგრელოს (საქართველოს), არამედ ის იდეურ-მსოფლმხედველობრივი მიდგომა, რომელიც ლოზუნგად ჰქონდათ „გადმოგ-

დებული“ აჯანყებულებს. ამიტომ ამ აჯანყების ხელოვნურად გამოწვევაზე აქცენტის გაკეთება ისტორიის საზრისის, მისი კანონზომიერების სრული უცოდინარობის დადასტურებაა, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით ვიმსჯელებთ მიმოხილვის ისტორიულ ნაწილში.

* * *

რომანში საზოგადოებაზე „ფიქრის კაცთა“ წარმოდგენა აგებულია მარტივ ფსიქომორალურ დუალიზმზე, რომლის მიხედვით, ერთ მშვენიერ უამს ადამიანები დაიყო ორ კლასად:

პირველი – ღვთისნერი ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავმოყვარეობას სწირავენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას;

მეორენი – ფლიდთა და სალახანათა ბრბო, მხოლოდ საკუთარი თავის მოყვარულნი; ვოლტერი განმარტავს: ამ ქვეყნიერებაზე ყველას სურდა და სურს, განეკუთვნებოდეს პირველ კლასს, მაგრამ სულის სიღრმეში მთელი ეს სამყარო განეკუთვნება მეორეს; ყველაზე მშიშრები, მიდრეკილნი საკუთარი თავის განდიდებისაკენ, ყველაზე ხმამაღლა ღრიალებენ, ყველაფერი უნდა შეეწიროთ საზოგადოების კეთილდღეობა... სინამდვილეში ყველაფერი მიმართულიყო იქითკენ, რომ უსიტყვო მორჩილებაში ჰყოლოდათ ხალხი. არ შეიძლებოდა მათთვის (ხალხისთვის) რაიმეს მიცემა ისე, რომ იმათვან დიდად უფრო მეტს თუ არ წამოიღებდნენ (Вольтер, Философские сочинения, გვ. 266/267, М. 1988 წ.).

საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი ეს ევროპული ფილოსოფია უფრო მწვავედაც კი გადმოსცა ავტორმა ორიოდე სტრიქონით, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის პირით: „ეს მათი ყოფა და შენ ნურაფერი შეგაშფოთებს (ჭყონდიდელს, მ. ზ.). მე მათი ღონე მჭირდება და არა გონება. ბუნებით ჩვენზე უფრო ქრისტიანები არიან ისინი. არ განსჯიან, არ განიკითხავენ; თუ ერთ ლოყაზე გააწნავ სილას, მორჩილად მოგიშვერენ მეორეს, არ მრუშობენ, არ კლავენ... მხოლოდ ეს არის, ქურდობენ ზოგჯერ...“ (გვ.34). ვოლტერთან კი პაპი თუ იმპერატორი იმის მცდელობაში არიან, რომ გამოიყენონ მასის ხარბი ბუნება, მოისყიდონ ისინი და დაარწმუნონ, რომ სხვა ადამიანები უფრო კარგად შეძლებენ მათ მართვას, ვიდრე თვითონ, შესაბამისად, რაც შეიძლება მეტად უფრო გაფცევნა ისინი.

დაახლოებით მსგავს რაღაცას სთავაზობს

დავითს ჭყონდიდელი, მაგრამ მთავარს ეს არ სჭირდება. აქ „როგუნჯი“ ჩანგელია იმისგან მოელის წყალობას, ვინც ყოველდღე ცხოვრებას უმნარებს და ტანჯვაში ამყოფებს. გლეხისთვის ბატონის იქით არაფერი არსებობს. ის არის მისი ბედის განმკარგულებელი. ბატონს არ სჭირდება ხალხის გულის მოგებაზე ზრუნვა, მათ თითქოს დაავინებს ადამიანთათვის დამახასიათებელი ეს ავი თვისება – სიხარბეც კი, როგორც გამოყენებული მას კეტავდნენ და დღესაც ცდილობენ მის გააზრებას.

ჩანგელიას არ სჭირდება მოსყიდვა იმის-თვის, რომ თავისი ბატონის სრულ მორჩილებაში იყოს. პირიქით, ის იქით ცდილობს ბატონის მოქრთამვას „ძველით“. მხედემ ის ჯერ დილეგში ჩააგდო, შემდეგ კი თითო ზუთხი ყოველწლიურ გადასახადად დაუწესა. ასეთია უკიდურესად კრიზისულ ხანაში აპსოლუტური ბატონობის ბუნება სამეგრელოს სამთავროში. მათ დავინებიათ, რომ „ღვთის წყალობაზე უფრო დიდი როდის ყოფილა კაცის წყალობა?“ ავტორის მიერ ჩანგელია „როგუნჯის“ მიმართ თქმული ეს ფრაზა მთელ საზოგადოებას მიემართება: ბატონსაც და ყმასაც, მდიდარსაც და ღარიბსაც, მცოდნესაც და უცოდინარსაც...

ამ საყველთაო ადამიანურ დილემას შეეჯახა „ფიქრის კაცთა“ მაძიებელი გონება. უტუმ თითქოს პასუხიც მოიძია, კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს და მიადგა თავისუფლების დიად თემას, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, ის მიუხალოვდა იდეას, რომ თუ ღმერთი თავისუფლებია, მაშინ ეს თავისუფლება ადამიანსაც შეიძლება ჰქონდეს, არავის არ აქვს უფლება ამტკიცოს, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისი თავის უფალი.

ამდენად, „ფიქრები იტაცებდა უტუს...“ ფიქრს კი მარტოობა მოსდგამს ხოლმე, ამბობს ავტორი, რამეთუ შენი ჭურისგან შობილი ეს ფიქრი მარტო შენია, სანამ ენისმიერად დამუშავებულს ცხოვრების გზას არ გაუყენებ. სწორედ აზრთა ლაბირინთში ხეტიალი აყენებს უტუს წინაშე მოთხოვნილებას, ღრმად ჩასწვდეს იმ ეთნიკურ სიბრძნეს, რომელიც მისცემს შესაძლებლობას, პასუხი მოიძიოს იმ მრავალ ბუნდოვან კითხვაზე, როგორიც გარს შემოსჯარვია მის მაძიებელ გონებას. ის თავისი ბუნებრივი ნიჭით, სულიერი ენერგიით დამუხტული გონების ძალით იაზრებს იმას, რომ როგორც ღვთის თავისუფალი ნების ნაყოფი (ღვთის გაჩენილი),

თვითონ უნდა წყვეტდეს იმას, როგორ უნდა წარმართოს თავისი ცხოვრება. ამ თვალსაზრისით, ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს, ამიტომ უტუს ლოზუნგი – „კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს“ – რომაზი, უპირველეს ყოვლისა, გააზრებულია ფსიქო-მორალური (ზნეობრივი) იდეის სახით და არა ოდენ სოციალურ და პოლიტიკურ (მატერიალისტურ) კონტექსტში, როგორ ჩარჩოებშიც მას კეტავდნენ და დღესაც ცდილობენ მის გააზრებას.

ავტორმა სოციალურ (მატერიალისტურ) ცნებას სული შთაბერა და გონებისმიერ, ცნობიერ აქტიად წარმოსახა. ამ გზით მან შეძლო კლასობრივი დაპირისპირებულობიდან მომდინარე ეს ისტორიული მოვლენა ფართო ზოგადეროვნული იდეით დაეტვირთა და წინ წამოენია სამშობლოს გარეშე მტერთაგან დაცვის პატრიოტული მოტივი. ამასთან, მთელი სისრულით ეჩვენებინა რუსული გენისთვის ჩვეული ექსპანსიურობა და ვერაგული ბუნება.

გ. სიჭინავა თავის მოფიქრალ გმირებს აღამაღლებს ადამიანური განცდის უმაღლეს დონეზე. მათი აზრები მიმართულია საზოგადო სრულყოფილებისა და ფსიქო-მორალური მგრძნობელობის წმინდა იდეალებისაკენ. ასე რომ, ავტორი, უდავოდ, შეიძლება დავაყენოთ გამოჩენილ მორალისტ მწერალთა გვერდით, მისი გამოკვეთილი ჰუმანიზმი უწინარესად მორალისტურია.

* * *

უტუს, აჯანყების ბელადის, მთავარი საზრუნავი უხეში ძალის დაუფლება, შეიარაღება და სისხლისძვრა, თუნდაც მოსისხლე მტრისა, კი არაა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება აჯანყებებსა და ომებში, არამედ ფიქრი ცხოვრების საზრისზე. ის ამას უმორჩილებს მთელ თავის საქმიანობას, გლეხებს ეუბნება: „სურვილებს იქით არის რაღაცა, უფრო მართალი და ჭკვიანური“. ისე მგონია, ის ხვდება, რომ ყველაფერი თავს იყრის კეთილისა და ბოროტის არსის ირგვლივ, ცხოვრება კი მათი პერმანენტული შეჯახების არეალია.

მისი აზრით, „მხოლოდ სულმდაბალი ვერ უძლებს კაცური უღლის ტარებას“. „სულმდაბლობა“ და „სულამაღლებულობა“ კიდევ ზნეობის მეტაფიზიკისა და ფილოსოფიის საკითხია, რომლის სფეროშიც უტუს გონება იჭრება და კოლხ-იბერული გენოკულტურიდან მომდინარე ხალხური სიბრძნისა და ზნეთსნავლების მოხმო-

ბით ეძიებს მათზე პასუხს.

„ზნედაცემული ადამიანი სულის სარეველა... მას ქარი თესავს, ხოლო მზე თანაბრად უნანილებს სითბოს ყველაფერს. საღი აზროვნება და გონება სულის სასწორია.“ ვინც ამ საღი აზროვნების უნარს დაკარგავს, „ის ვერც საკუთარ თავს შეიცნობს... და ვერც სხვას...“ მაშასადამე, ყველაფერი ზნეობის პრიზმაში გარდატყდება. საღი აზრი მოითხოვს ბოროტების სარეველასაგან სიკეთის ნათესის გამარგვლას. ასე ფიქრობს წყლის პირას ჩამომჯდარი უტუ, ვინაიდან ის თავის ფიქრებში მუდამ ელტვოდა ეთნოსის სულის მოძრაობის სიღრმისეულად შემეცნებასა და ცხოვრებასთან მიმართებაში მის გააზრებას. სწორედ „აქ, სულის ამ კუნჭულში ექებდა უტუ ამაღლებულსა და ადამიანური ლირსების მასაზრდოებულ ძალას“. მან უწყის, რომ „წყენას სიკეთე არ მოჰყოლია არასდროს“, ოღონდ ისიც კარგად ესმოდა, „წყენაც არის და წყენაც“... ის გუმანით გრძნობდა, რომ „საკუთარ თავზე, საკუთარ უნიათობასა და სულიერ დაცემაზე უნდა განაწყენებულიყო ადამიანი“ (გვ.120).

უტუ ასეთ ფიქრებამდე მიიყვანა იმდღევანდელმა შემთხვევამ, როცა სამჭედლოში მისულ ჯვარზენელ კაცთან ლაპარაკში ცოტა ზედმეტი მოუვიდა და მას გამბედაობა დაუწუნა სახალხოდ, რადგან ის მამის მკვლელზე შურისძიებას ვერ ბედავდა. თავის ამ საქციელს უდიერობად მიიჩნევს, მაგრამ სწორედ ამ სულიერ თვითგვემას მოჰყვება ის ზემოთ მოხმობილი გააზრებები, რომლითაც ის მიდის ადამიანური არსების უმთავრესი ატრიბუტის – ლირსების საკითხის ზოგად გაგებამდე.

ავტორი ხაზგასმით წამოსწევს ამ პრობლემას, როცა იტყვის: ერთი რამ მაინც დაინახა უტუმ, იმ კაცს კაცობა რომ დაუწუნა, წყენა შეატყო. ეს კარგის ნიშანი იყო. ადამიანური ლირსების ნასახი ჯერაც არსებობდა მასში (გვ.120). ამ შემთხვევაში მწერალი არა მარტო წარმოაჩენს ამ ისტორიული რომანის საზრისმანარმოებელ უმთავრეს ფსიქოზნეობრივ საკითხს, არამედ ის წარმოაჩენს ადამიანური არსობის, მისი ყოფა-ცხოვრების კარდინალურ პრობლემატიკას, ე.წ. „ცხოვრების ფილოსოფიის“ საკითხს, დაახლოებით იმ კონტექსტში, როგორადაც მას იასპერის აყენებდა. მისი (იასპერის) თქმით: „თუ ადამიანს სურს, შეიმეცნოს თავისი ყოფიერების საწყისები და იცხოვროს, არა აქვს

უფლება, გული გაიტეხოს. მას შეუძლია, იაროს მათთან ერთად, ვინც იცავს გონიერი საწყისის წარმატების შანსებს, პატივს სცემს ადამიანურ ლირსებას. არაა გამორიცხული, რომ ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს საკუთარ ანტიგონებაზე“ (ისტ. საზრისი (გვ.230)). კრიტიკოსთა შეფასებით, სწორედ ამ ციტატაში აღნევს იასპერის „ცხოვრების ფილოსოფიის“ მისული ფორმულირების სრულყოფილად ჩამოყალიბებას; ამ ციტატის კომენტატორი შენიშნავს: „იარსპერის ეს თვალსაზრისი ადრეულ შრომებში არ იყო ასე ნათლად ჩამოყალიბებული“ (იქვე). თუკი იასპერის ამ ნათლად ჩამოყალიბებულ აზრებს შევადარებთ უტუს ენგურისპირა ფიქრებს, დავინახავთ, რომ მისი აზრები აქ დაყენებულ ყველა კარდინალურ საკითხს მისწვდა თურმე.

1. იასპერისი: თუ ადამიანს სურს იცხოვროს, არ აქვს უფლება, გული გაიტეხოს;

უტუ: ის უტრო მკაცრად აყენებს საკითხს: მხოლოდ სულმდაბლი (გულგატებილი) ვერ უძლებს კაცური უღლის ტარებას.

2. იასპერისი: ადამიანმა უნდა იაროს გონიერი საწყისის წარმატების შანსების იმედით;

უტუ: სწორედ ამ გონიერი საწყისის სფეროში იჭრება, მისთვის საღი აზროვნება და გონება სულის სასწორია. ვინც ამ საღი აზროვნების საწყისებს მოწყდება, ის ვერც საკუთარ თავს შეიცნობს და ვერც სხვას.

3. იასპერისი: ადამიანური ყოფიერების კარდინალურ საკითხად განიხილავს ლირსებას. პატივს უნდა უცემდეთ ადამიანურ ლირსებასო.

უტუ: (ავტორის რემარკით) ერთი რამ მაინც დაინახა უტუმ, იმ კაცს კაცობა რომ დაუწუნა, მას წყენა შეამჩნია, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მასში ლირსების გრძნობის ნიშანი კიაფობდა. მისთვის (უტუ) ლირსების საკითხი მთლიანად შეერწყმის და წარმართავს ადამიანური (ეროვნული) ცხოვრების საზრისმომცველობას.

4. იასპერისი: უშვებს, რომ ასეთი მიდგომით ადამიანი გაიმარჯვებს საკუთარ ანტიგონებაზე;

უტუსთვის ეს „ანტიგონების“ ადამიანი არის ზნედაცემული, სულის სარეველა, რომელსაც ქარი თესავს. მას გამარგვლა სჭირდება, ე.ი. იასპერისივით დაშვებულობის დონეზე არ ჩერდება, არამედ კონკრეტულ საშუალებაზე უთითებს. უტუ გუმანით გრძნობს ამ „ანტიგონების“ არსებობას, რომელიც უნდა იყოს საზოგადოებრივი უბედურების თავი და თავი.

ამდენად, ავტორი აყალიბებს ზნეობრივ

კრედოს, რომ ეს „ანტიგონების“ ადამიანი საკუთარ თავზე, საკუთარ უნიათობასა და სულიერ დაცემაზე უნდა იყოს განაწყენებული. მისი დარღვევის გამო მიეცა უტე თვითგვემას, როცა მწვავე კამათის ჟამს უნებლიერ სხვის ჭკუის სწავლება რომ გამოუვიდა, სათანადო დასკვნაც გააკეთა: „კაცს არ უნდა უთხრა ის, რისი წარმოდგენაც არ შეუძლია“.

* * *

მოცემული მსჯელობებიდან აშკარად იკვეთება, რომ რომანის საზრისმანარმოებელი იდეად ავტორს წარმოსახული აქვს ადამიანური ლირსების საკითხი. ის ტრილოგიის მთავარ თემას, სოციალური უთანასწორობის პრობლემას პირველ რიგში სწორედ ამ ზნეობრივი კონტექსტიდან იხილავს და არა ისტორიულ-კლასობრივი (სოციალური) თვალსაზრისით. ავტორი გამოკვეთილად აღნიშნავს, რომ ელიტას ლირსებაზე თავისებური წარმოდგენა აქვს. მათთვის ლირსების კრიტერიუმია დაბალი ფენების სრულ მორჩილებაში ყოლა. უსიტყვობატონობის დამყარების კენ მიმსწრაფთ „ამ ლირსების ულირსობის შეგრძნების უნარი არ გააჩნდათ“. ავტორის ეს მითითება იასპერის „ანტიგონების“ მხატვრულად წარმოსახვაა.

ასეთი უდიერი დამოკიდებულება დაბალი ფენისადმი არ ყოფილა ჩვენი გენოკულტურიდან მომდინარე ისტორიული განვითარების გეგმაზომიერი პროცესის შედეგი, რომელიც ძირითადად აგებული იყო პატრონულურ ურთიერთობაზე, „ხელ“-„მწიფობაზე“, „ერის“ „მთავრობაზე“ „თავის“ „თავადობაზე“. გრიგოლ რობაქიძე ამას უწოდებს „საკრალურ წყობას“, რომელიც ოქროს ხანაში იყო დადგენილი წმინდა იერარქიად. ის წერს: მანდილოსანს ხელზე „ვაკოცოთ“, ღვთისმშობლის ხატს კი „ვეამბოროთ“, თუმცა ორივე ქალია. შეგვიძლია დარბაზში „ვიმდეროთ“, სალოცავში კი „ვიგალობოთ“, თუმცა ორივე შენობაა. ჩვენ ვხმარობთ საერო წიგნისათვის „მხედრულს“, საღვთო წერილისთვის „ხუცურს“, რათა ზღვარი იყოს გავლებული მათ შორის. ჩვენ მივმართავთ ადამიანს – „ბატონო“, მაგრამ ღმერთს – „უფალო!“ საოცრებაა, „უფლება“ ბატონისგან (ე.ი. ადამიანისგან, მ.ზ.) კი არ მოდის, არამედ „უფლისგან“. მაშასადამე, უფლება საკრალური ბუნებისა ყოფილა (ქართული სიტყვიერება. გრ. რობაქიძე, საკრალური წყობა, გვ.38, თბ., 2012წ.).

კოლხ-იბერიული მოდგმის ამ საკრალუ-

რი წყობის თვალსაწიერიდანაა დანახული ეს „ულირსებო ლირსების“ გამტარებული სოციუმი. ის ყალიბდება სახელმწიფოებრიობაწართმეული და ფუნქციამოშლილი ზედაფენის „ანტიგონის“ გავლენით. ეს ყველაფერი კატასტროფის მომასწავებელი უნდა იყოს, მაგრამ არა. ელიტის გადაგვარების ამ ხანაში, როგორც ყოველ ღრმა კრიზისულ მომენტში, ეთნოსის ბედისწერას განაეხდა ამ ბოგანო ხალხის ის სულიერი მეხსიერება, რომელიც მათ „ოქროს ხანიდან“ მოჰყვებათ „წმინდა იერარქიად“.

ამდენად, ავტორი ელიტის ამ „ანტიგონს“ უპირისპირებს კოლხ-იბერული გენის გენოკულტურას.

ის წერს: ეთნოსის სულიერ ლირებულებებს მაინც ის ბოგანო მასა ქმნიდა, რომელიც მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ისინი თავისი დაუნებურად ქმნიდნენ ზღაპრებს, ხალხურ ლექსებს, ცეკვას, თამაშობებს, სიმღერებს, გამოცანებს და ანდაზებს. ხალხური გენი მუშაობდა და იღვწოდა. როგორც ავტორი გვიხსნის, ეს ჰგავდა უკუნეთ ღამეში გუმანით მავალი კაცის მდგომარეობას, რომელიც შინაგანი ძალისხმევით მიიწევს სასურველი მიმართულებით.

ეს ძალისხმევა კიდევ იმ ოქროს ხანის მეხსიერებიდან მომდინარეობს, რომელშიც თავისუფალი ნება – უფლება ღვთის სახელთან ასოცირდება. მაშასადამე, ეს ბოგანო ხალხი, შემქმნელი ამ გენოკულტურისა, ღვთისნიერი ადამიანები არიან, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, ისინი თავიანთ სულიერებას სწირავენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ავტორი არანაკლები სისრულით აღვინერს ვოლტერისეული მეორე კლასის ადამიანებს, სამეგრელოს სამთავროს ზედაფენის სახით. „სამეგრელოს თავადაზნაურობის უმტესი ნაწილი ხორციელი ტკბობის ვნებებში იყო ჩაფლული, მათთვის დრო თითქოს გაჩერებული იყო, ან კიდევ უკუსვლით მოძრაობდა, ხოლო ვინც წერაკითხვა იცოდა, ისინი სულიერად გაუცხოებული აღმოჩნდნენ საკუთარ სისხლხორციან. სწორედ ეგ იყო უმთავრესი მიზეზი დაბალ და მაღალ საზოგადოებებს შორის იმ ღრმა უფსკრულის გაჩენისა, რომელიც შუა საუკუნეების გვიანდელ ხანაში ასე ძალუმად იგრძნობოდა სამეგრელოში“ (გვ.121). ასეთ ფენას საზოგადოებისას ვოლტერი ახასიათებს მხოლოდ საკუთარი თავის მოყვარულ ფლიდთა და სალახანათა ბრძოდ.

მაშასადამე, რომანში ყოველი ცხოვრებისე-

ული პარადიგმა პრინციპში „გონისა“ და „ანტი-გონის“ შეჯახების ფონზე წყდება. „ანტიგონი“ მთლიანად წარმოსახულია ვოლტერიანული მეორე კლასის ადამიანთა სტიქიის მძლავრობის ფონზე. მათ თითქოსდა სრულიად გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ ღმერთმა დაასაჩუქრა ადამიანები სიამაყით და მისთვის აუტანელია, როცა სხვა ადამიანს ვძულვართ და თვალით არ ვენახვებით. ვეზიზლებოდეთ იმათ, ვისთანაც ერთად ცცხოვრობთ, ამის ატანა შეუძლებელია. ეს ინვევს ორმაგ შიშს ანუ დაუძლეველ ანტაგონიზმს, რასაც მივყავართ გარდაუვალ ჯანყამდე.

ასეთ როტულ მეტაფიზიკურ თუ მსოფლგან-ცდით იდეურ მოსაზრებებს შინაგანად გრძნობდა უტუ. მას უმძიმდა, სულს უფორიაქებდა ის, რომ, ვოლტერის თქმისა არ იყოს, სძულდე და ეზიზლებოდე იმას, ვისთანაც ერთად ცცხოვრობ. ის ამ სიძულვილს ბატონებისა გლეხების მიმართ მთელი არსით ხედავდა, ბოლმითა და შურით გავსებული გარემო მასაც აღავსებდა რისხვით. ის მთელი სისრულით შეიმეცნებდა ამ ანტაგონისტური ურთიერთობის შინაგან არსს.

თუ ვოლტერი ღვთისური განრიგების დარღვევაში ხედავდა არსებულ ორ კლასს შორის ზნეობრივ შეუთავსებლობას და მათი თანაარსებობის ნორმად მიაჩნდა ორმაგ შიშზე დაფუძნებული ურთიერთობიდ და გაწონასწორებულობა, უტუ თავისი გუმანითა და შინაგანი განცდით, გრძნობს ასეთი ურთიერთშიშისმიერი ბალანსის შენარჩუნების შეუძლებლობას. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, მეორე კლასის, მხოლოდ საკუთარი თავის მოყვარულ ფლიდთა და სალახანათა ბრძოს მძლავრობას მოუცავს ქვეყანა. თითქოს დაყრუებულა სოფელი, არავის ესმის ქადაგება ადამიანთა სიყვარულზე, ურთიერთთანადგომაზე.

ამიტომ მისი თითქოსდა მარტივი გააზრებანი, რომ იმას, რაც ათასწლეულების წინათ უკეთებია ადამიანს, აკეთებს დღესაც; დავიწყებულს იხსენებდა თაობა... სინამდვილეში, არის იმის გაცხადება, რომ ღმერთმა გვიბოძა უნარი (ძალა) სიცოცხლისა, მაშასადამე, ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ ამ ძალას ჩვენში. უნდა მოვახერხოთ ჩვენი ნების წარმოჩენა ჩვენივე გონების მითითებით. ამ მითითების გამოხატულების საშუალებად, პირველ რიგში, ღირსების გრძნობა გვევლინება. რამეთუ „სწორედ ღმერთმა მიუბოძა ადამიანს სიამაყე“ (ვოლტერი).

უტუ მიდის იმ შეგნებამდე, რომ ცხოვრებაში

დამკვიდრებული უსამართლობისადმი შეგუება და მონური მორჩილება აკნინებდა ადამიანის-თვის ღვთით ბოძებულ სიამაყეს – ღირსების გრძნობას. ამიტომ მას შინაგანი განცდა ჰკარნახობდა, რომ სიკეთის კეთებისთვის ძალაა საჭირო, რათა ბოროტებასა და ძალმომრეობას ღირსებით აღუდგეს წინ. ის „გრძნობდა, ვერას-დროს შეეგუებოდა იმას, რაც არასწორად მიაჩნდა“. ყოველივე ეს კი ზნეობის კატეგორიასთან გვაკავშირებს და, შესაბამისად, გვიდასტურებს იმას, რომ ამ ისტორიული რომანის იდეურ ხერხემალს სწორედ ღირსების პრობლემის თვალსაწირიდან დანახული საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოადგენს. ამიტომ ტრილოგიის უმთავრესი საკითხი, ადამიანების გათიშულობა, საზოგადოების ნაკლოვანი მხარეების დანახვა, შიდასოციალური დაპირისპირებულობის განსაზღვრება, ზოგადად, საზრისი ადამიანურ ბუნებაზე და მის ადგილზე საზოგადოებაში (სამყაროში) დიდი სიღრმითა და საზრისმომცველობითაა გადმოცემული ღირსების ზნეობრივი კატეგორიის კონტექსტიდან. ამისთვისაა შექმნილი „ფიქრის კაცთა“ მთელი გალერეა, რომელსაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წინ მიუძღვება ავტორი.

მწერალი უტუს გონებრივი ევოლუციის მიმდინარეობას ასე გვიხასიათებს: უტუს თანდათან უყალიბდება საკუთარი აზრი ცხოვრებაზე; ჯერ კიდევ სუსტია ეს გააზრებები, ღრმად არა აქვს ფესვები გადგმული სულის სიღრმეში. ამიტომ ეძებს თანამოაზრებს; მას უნდა, უფრო საფუძვლიანად ჩასწოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების საზრისს; გაერკვეს იმაში, რა არის სიმართლისთვის ბრძოლა და რაშია მისი არსი? ამის მაგალითი მოეძევება ირგვლივ, მაგრამ იმასაც ეუბნებიან, რომ ვინც უსამართლობას იტანს, ამქეცენიურ კეთილდღეობას უარყოფს და ღმერთს მიანდობს თაგვს, ისაა მართალი კაცი. უტუ კიდევ სამართლიანობას მიელტვის, ამისთვის მზადაა, ყოველგვარ უმსგავსობას შეებრძოლოს. ეს უკვე მიზანია! ის კი მოქმედებას მოითხოვს. ასე აყალიბებს ავტორი თავისი მთავარი გმირის სააზროვნო სამყაროს, რომლის მეოხებითაც იკვეთება მიზანიც და მიზნის განხორციელების გზაც – სამართლიანობა და მისთვის ბრძოლა. მაშასადამე, თვითონ ავტორი ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს რომანი, პირველ რიგში, არის ფიქრომორალურ განწყობაზე აგებული

მორალისტური შემოქმედება და შემდეგ – სოციალური დაპირისპირებულობის ამსახველი ისტორიული დრამა.

გონისმიერი, ზნეობრიობაზე აგებული ფილოსოფიური გააზრებები განსაზღვრავენ რომანის ხასიათს, მსოფლალქმასა და უანრულ თავისებურებას. საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები დანახულია ლირსების კარიბჭიდან.

ავტორმა ადამიანისა და მისი საზოგადოების არსებობის უმთავრესი ნიშნის – ლირსების კატეგორიის საკითხი მაღალმხატვრულად წარმოსახა ზნეობის მეტაფიზიკისა და ფილოსოფიის დონეზე. მან თავის „ფიქრის კაცთა“ გააზრებებში წარმოაჩინია საზოგადოებრივი ცხოვრების ავკარგიანობის მთელი ბუნება; მიუთითა, რომ ბოროტებასთან შეურიგებელი ბრძოლის იდეა უნდა წარმოადგენდეს ნების გარდაუვალ მოთხოვნას. ამ ნების მეშვეობით განსაზღვრა ყველა სუბიექტის ლირსების სიდიადე და სიმდაბლე. ლირსების საკითხი წარმოადგენილ იქნა ჭეშმარიტი რეალობის შეფასების კრიტერიუმად. როგორც კანტი განსაზღვრავდა, „ვინც უნდა ახდენდეს ადამიანის შეფასებას, თვით უზენაესი არსებაც კი, მან ადამიანი იმ ერთადერთის მიხედვით უნდა შეაფასოს, ... რაც ადამიანის აბსოლუტურ ლირებულებას ქმნის“... (ემ.კანტი, ზნეობის მეტაფიზიკა..., გვ.224/225. თბ., 2136.). აი, ამ უმაღლეს მეტაფიზიკურ და ფილოსოფიურ გააზრებათა დონეზე დააყენა ლირსების საკითხი ავტორმა. ადამიანის შეფასებისადმი ასეთ მიდგომას კანტი მორალურს უწოდებს. ის წერს: „ამგვარად, მორალი ყოფილა ქმედებათა მიმართება ნების ავტონომიასთან“. რომანშიც ყველაფერი დაიყვანება ქმედების საზრისმო-ცველობამდე. ქმედება, რომელიც უთავსდება ნების ავტონომიას, დასაშვები ქმედება; ქმედება, რომელიც არ ეთანხმება ნების ავტონომიას, დაუშვებელი ქმედებაა (იქვე). ამ ლირებულებით შეფასებასთან სრულ შესაბამისობაში მოდის რომანის „ფიქრის კაცთა“ ტრადიციული ზნეთ-სწავლებიდან (გენოულტურიდან) მომდინარე გააზრებანი, რომელსაც ერთ მთლიანობაში კრავს ავტორი.

ნების ავტონომიიდან მომდინარე ამ დასაშვებ თუ დაუშვებელ ქმედებათა ძიებაშია უტუ. შესაბამისად, ის ამ ინსტინქტურ გააზრებათა საშუალებით მიდის მორალური იძულების ნორმამდე და საკუთარ თავს არწმუნებს, „იძულების გარეშე ვერ შეიცვლება ვერაფერი“. ის ხვდება,

მიზნის მიღწევა მოქმედებას მოითხოვს, მაგრამ უჭირს ამისკენ ნაბიჯის გაკეთება, ვინაიდან არ იცის, საით წაიყვანს იგი. აი, რას უტრიიალებს მისი გონება, ეს კი ზნეობის ფილოსოფიის პრობლემაა.

მაშასადამე, უტუ ცდილობს დასაშვებ და დაუშვებელ ქმედებათა არსში გარკვევას და მათ გამიჯვნას. ამით ავტორი აღნევს საზოგადოებაში სოციალურ წინააღმდეგობათა უკიდურესობამდე გამწვავების ფსიქომორალური საწყისების ნარმოჩენას.

ამ ორმაგი ძალადობით დეგრადირებულ (შიდა, ბატონყუმურ და გარე, იმპერიალისტურ) საზოგადოებაში უტუ ეძებს „სიკეთეს და სამართლიანობას“, ამიტომაა, რომ არკვეეს, რაა სწორი ქმედება და რა – არასწორი. ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ „დაუშვებელია ცხოვრებაში დამკვიდრებული უსამართლობისადმი შეგუება“. ასეთი ვალდებულების დონემდე აყვანილი ობიექტურობით განსაზღვრული ქმედების მოთხოვნილებას მივყავართ მოვალეობის შეგრძნებამდე.

მაშასადამე, „ფიქრის კაცების“ გააზრებების ერთიანობას პიროვნების ამაღლებულობის აუცილებლობისა და ლირსების მოვალეობის ასრულების მოთხოვნილებამდე მიჰყავს უტუ. ეს პიროვნული ამაღლებულობა ექვემდებარება არა მარტო მორალურ კანონს, არამედ ის განპირობებულია ამ კანონის აღსრულებისთვის გარკვეული ქმედებით. ის მიდის იმ გადაწყვეტილებამდე, რომ კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს, ეს კი უდიდესი სიკეთეა, სიკეთის დამკვიდრებას კი ძალა სჭირდება. ასეთ კეთილ ძალას კიდევ ლირსება ფლობს.

* * *

„ფიქრის კაცთა“ ფსიქომორალურ განწყობასა და გენოკულტურიდან მომდინარე ზნეთსწავლების გუმანით ჭვრეტას მივყავართ ერთ ზოგადადამიანურ ლირებულებათა ფილოსოფიურ მოცემულობამდე, რომ საზოგადოებისგან გარიყული უნდა იყო, რომ შენს თავში ვერ მოიძიო გრძნობა ლირსებისა, რომელიც იმ საზოგადოებას სჭირდება, რომელშიც ცხოვრობ და ის ეძიო გარეთ – რელიგიაში (ვოლტერი), დაახლოებით ამ ფონზეა მიუღებლობა უტუსა და რომანის კიდევ ერთ „ფიქრის კაცს“, ვალურიას შორის. ის წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს მხატვრულ სახეს არა მარტო რომანში, არამედ,

საერთოდ, ქართულ ლიტერატურაში (მგონი ზოგადადაც).

უტუმ კი მიაგნო ვალურიას ნაგურუს ტყეში, „მაგრამ ვერ იპოვა ის, რისთვისაც წავიდა იმ განდგომილ კაცთან“. „ქარდას სხვა ცხოვრება ჰქონდა, სოფლისგან და ხალხისგან მოწყვეტილს“, – გვეუბნება ავტორი უტუს მიერ გაკეთებული დასკვნის თვალსაზრისით, მაგრამ, ვალურიას შინაგანი სამყარო უფრო მეტადაა დამუხტყული სამყაროს შეუცნობელობის – ამაბიძა ამაოებათას საზრისმომცველობით და მის შედეგად გამეფებული უსამართლობისადმი სულიერი, მდუმარე პროტესტით.

უტუს ძალისხმევა მიმართულია ძალადობის შედეგად მოჩლუნგებული საზოგადოებრივი ღირსების გამოცოცხლებისკენ. ის შინაგანი არსით გრძნობს კიდევ ერთ ვოლტერიანულ ფილოსოფიურ განააზრს, რომ „იმათ, რომელთაც სჭირდებათ რელიგიის მხარდაჭერა იმისთვის, რომ იყვნენ ნესიერი ადამიანები, იმსახურებენ ყოველგვარ შეცოდებას“ (იქვე) და რამდენადაც ვალურია ღვთის განგებას მინდობია, მისთვის მიუღებელია „სიკეთისთვის ძალადობა“, რომელიც უტყუარად ახალ ძალადობას წარმოშობს.

მაგრამ ვალურიას განდგომილება არ არის რელიგიასთან თავშეფარება. პირიქით, მან დააგდო ეკლესია; ის შინაგანად იმდენად პატიოსანი იყო, რომ მიხვდა, ადამიანს თავისი ღირსების შენარჩუნებისთვის არ უნდა სჭირდებოდეს რელიგიის დახმარება.

მაშასადამე, არც ვალურია არის გამოუსწორებელი პესიმისტი. პირიქით, ის მიელტვის განუსაზღვრელად თავისუფალ ყოფას, როცა მისი სურვილი იქნება მისი არსებობის წარმმართველი და დაეფუძნება მის თავისუფალ ნებას. მაგრამ ამით ის, სინამდვილეში, უარყოფს ღვთის განგებულობას იმაზე, რომ ადამიანებს ეძლევათ ამ უსაზღვრო თავისუფლების ნანილი, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი ხდება, შენი აზრი წარმართო ამა თუ იმ ობიექტის თუ მოვლენის მიმართ და დაიწყო მოქმედება საკუთარი ნებით. სწორედ ამ მიმართულებით მიემართება უტუს ფიქრები. მისი თავისუფლება ღვთის მიერ ბოძებულ შემოსაზღვრულ ფარგლებს სჯერდება და არ მიელტვის უსაზღვრობას. მისი თავისუფლება მოძრაობის, ქმედების უფლების თავისუფლებაა. ვალურიას განუსაზღვრელი თავისუფლება კიდევ – პასიური და უმოქმედო, მხოლოდ საკუთარ არსებაში ჩაყურებული. მიუხედავად ამისა,

ის ბოლომდე მაინც ვერ სწყდება წუთისოფელს. სწორედ მათ დაუგდეს გიუს სახელი უზომო თავისუფლებისაკენ მლტოლველ მღვდელს. „გაგიუდა თუ რა ღვთის რისხვაა ეგ!“ – იტყვის დიაკონი. მთავარმა კი სრულადაც გააკოჭვინა, როგორც შეჰვერის გიუს და დილეგშიც კი ჩააგდო. სულ მალე მთავარს მსახური მოახსენებს: „შეშლილია, თქვენო ბრნებინვალებავ“. საბოლოო დიაგნოზს კი ექიმბაში უსვამს (?), ეკლესიამ განკვეთა. თვით გონიერმა ჭყონდიდელმა ამ „ანტიგონურ“ ქვეყანაში არ თუ ვერ დაიცვა ის. ისევ დავითმა, განათლებულმა მთავარმა იყნოსა, რომ რაღაც ყურადსალები იყო მის გოდებასა და ყმუილში. ამიტომაც ბრძანებს, „ყური დაუგდეთო მის გოდებას“. მაგრამ როცა დარწმუნდება, რომ არაფერია მის გოდებაში მისი საწინააღმდეგო, ექიმბაშის დიაგნოზი საბოლოოდ დაადასტურა, „გიუია“ და გაათავისუფლა.

მართალი იყო მთავარი, ვალურიამ ცას შეჰველებლა, რაც უბედურების მოახლოების ნიშანია, როცა ამას ცხოველი აკეთებს, მაგრამ მამაოს შეყმულება ცისადმი – ეს პროტესტია ღვთისადმი და არა ადამიანისადმი, რამეთუ მღვდლისთვის ცა ღმერთია. ამიტომ ვალურია მთავრისთვის საშიში არ იყო.

მისი გოდება არაა „იერემიას გოდების“ მიმსგავსება, რაზედაც განათლებულმა მღვდელმა თედორემ ალბათ კარგად უწყოდა. მისი გოდება კოლხურია, „იმგვარი, გარდაცვლილის დატირების უამს რომ იცოდნენ მოზარე მამაკაცებმა“ მაშასადამე. მღვდელმა თედორემ საბოლოოდ გამოიტირა ეს ქვეყნიერება და პირისპირ შერჩა ღმერთს ვალურია. ამის შემდეგ ის ღმერთთან მებრძოლი უფრო, ვიდრე სამართლისთვის. სწორედ ამქვეყნიერი სამართალი და სამართლიანობა გამოიტირა მან და მის გამოსაგლოვებლად ტყეს მისცა თავი.

ის არაა ჩვეულებრივი მწირი, რომელიც განდეგილობაში პოულობს სულის შვებას და ხალხს აძლევს სულიერი სიმშვიდისთვის ზრუნვის მაგალითს, თუნდაც ისეთი, როგორიც დაგვიხატა ილიამ, სულისთვის ხორცი რომ გაუწირავს და უწუთისოფლოდ მარტოკა ძლებს, საიქიოსთვის ეს სააქაო რომ დაუთმია. ვალურიასთვის „ღმერთი მსჯავრის და ქეშმარიტების“ არის თავისუფლების სიმბოლო. ის მისგან განუსაზღვრელ თავისუფლებას მოითხოვს, ამით სინამდვილეში უკვდავებას მიელტვის, რასაც მისი სახელიც მოწმობს – **ვალურია (უკვდავი)**,

მაგრამ „სრული თავისუფალი“ გიუია; ამიტომაც მოიგიჟიანებს თავს, როგორც ხალხი ფიქრობს, „ვალურია გიუი კი არა, ზედმინევნით ჭკვიანი კაცია, სიძლეგე თვითონ გამოუგონა საკუთარ თავს“... მაშასადამე, ავტორი ამ სახეში, ერთი მხრივ, გვიხატავს ადამიანთა თავისუფლებისკენ ლტოლვის ღვთითგანგებულობის სურათს; მეორე მხრივ, ვალურიამ გამოიტირა მორალური პრინციპი, რომელიც მთელი სამყაროს ადამიანებს ერთნაირი აქვთ. ამ თვალთახედვიდან ამ „უკვდავი“ სახის გააზრებისას აუცილებლად წამოიჭრება პესიმიზმის პრობლემა.

ნიუტონისეული ფორმულირებით, ჩვენ ღვთის შექმნილები ვართ, მაგრამ ვკვდებით, ამიტომ ასეთივე ბედი ელის სამყაროს; პირველ რიგში, **ამ გარდაუვალი დასასარულის ავბედით იდეას შეიმეცნებს და ამიტომ შეჰქმუის ცას ექსტაზში ჩავარდნილი მლვდელი თედორე**, მისი გოდება კიდევ მიმართულია იმ ლაბირინთისკენ, რომელიც ადამიანებმა თავისთვის აიგეს და ცხოვრება უწოდეს; შემდეგ კი თვითონვე გაიბლანდნენ შიგ სამუდამოდ.

ამდენად, როგორც პასკალი ამბობდა, „ყოველგვარ მიუწვდომელთა შორის ჩვენ თვითონ ვართ მიუწვდომელი“. **ამ თავისთავის შეუმეცნებლობას ვერ უძლებს ის, ამიტომ იგიჟებს თავს და თავისუფლდება თავისი თავისაგან, რათა არავითარი აუცილებლობა არ აწუხებდეს, მით უმეტეს, მოვალეობა.** მისთვის სამყაროს წესრიგიც არარაობაა. „**მე**“ და „**ღმერთი**“ მისთვის – ეს დუალიზმია ყველგან და ყველაფერში. მხედველობის არიდან მთლიანად გაქრა „**შენ**“ და „**ის**“. ამას თავისი გამართლებაც აქვს: „**თუ მე გიუი ვარ, მე არ მაქვს ნება თავი განვიკურნო**“ (ვოლტერი).

მოცემულ შემთხვევაში, ძალაშია მაქსიმა, რომ, როგორადაც უნდა დავუკავშიროთ ფატალობას ჩვენი ქმედება, ფაქტია, ჩვენ მუდამ მოვიქცევით, როგორც თავისუფლები. თავისუფლებას მიყურადებული „**მე**“ ნაკლებად ექვემდებარება პესიმიზმს.

ვალურიას თავისუფლება სრული თავისუფლებაა თითქოს, ეს ჩანს უტუს ნათქვამიდან: „**შენ ხარ იქ, სადაც გინდა**“. ეს კი შეესაბამება თავისუფლების მეტაფიზიკურ მოდუსს: „**ვაკეთებ იმას, რაც მსურს**“. მაგრამ მისი ეს თავისუფლება ფატალობას დაკავშირებული ქმედების ნირს ატარებს. მას სწამის ბედისწერის მეტაფიზიკური არსისა და გადის ქრისტიანული დოგმატიდან,

ამიტომაც გაექცა ეკლესიას შეგნებით თუ შეუგნებლად.

სწორედ მეტაფიზიკურის ძალითაა, რომ მას, ვინც ღმერთთან პირისპირ ყოფნას მიეღობოდა (მისი ღმერთი ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტალურია, დემიურგია), არ ივიწყებს ამქვეყნიურ ფასეულობებს. „**არც ის დამვიწყებია, რომ ჩემი რჯულის ნაწილი ვარ და მათი ბედისწერის თანაზიარი**“. ის უკვე არაა განდეგილი – მწირი. მისი აზრი და გონება დასტრიალებს თავისი მოდგმის ბედს, ამიტომ აცხადებს, მათი თანაზიარი ვარო. **ამაშია ამ სახის სირთულე.**

სულისა და ხორცის სამარადუამოდ ვერგაყრის ილიასეული იდეა, რომ „ნეული ხორცი არ დაწყნარდება“, მისი გააზრება (და არა ქმედება) იწირავს განდეგილს, ის შეცოდებას შესთხოვს ღვთისმშობელს, რომ „დადუმებულ“ ხორცთან შებრძოლება მოუხდა. მან მზის სხივის სარკმლიდან გადმოშვება ღვთის მადლად მიიჩნია: „**არ შერისხულა, ჩანს, ჯერად ღვთისაგანო, მაგრამ მისი ლოცვა მზის სხივმა არ მიიღო „და იქავ სხივქვეშ უტევა სული“**. ვალურია კი რჯულის ნაწილად მიიჩნევს თავს, მის ბედისწერას იაზრებს. ამაშია მისი განდგომილობის თავისებურება. მისი ტყვედ გავარდნა წმინდად პროტესტანტულია და მეტაფიზიკური, ვიდრე რელიგიური, როგორადაც ის შეიძლება ერთი შეხედვით მოერვენოს მკითხველს, რადგანაც ის დიალოგებში ხშირად აპელირებს ღმერთით, მით უმეტეს, ქრისტიანული, სახარებისეული დოგმებით. სინამდვილეში, მისი ღმერთი, როგორც აღვნიშნეთ, მეტაფიზიკური ღმერთია, ბედისწერის ღმერთია. ამიტომ უუბნება უტუს: „**შენ უამის ნებას უარყოფ და ბედისწერისაც ნაკლებად გჯერა. შევნიშნე მე ეგ შენს ნათქვამში**“ (98). რა თქმა უნდა, არც უამის ნება და არც ბედისწერის დაჯერება არის სახარებისეული. ეს უფრო არის შეასაუკუნეობრივი ფილოსოფიური „**ბუნებრივი ღმერთის**“ გააზრება.

შესაბამისად, ვალურიას ქრისტიანული ეკლესიიდან გამოყოლილი ანაფორის შიგნით ძგერს ამ ფილოსოფიური (ლეიბნიცი, ნიუტონი) ბუნებრივი ღმერთის იდეა; „**ამ ბუნებრივი რელიგიის ქვეშ გავიაზრებ მორალის პრინციპს, რომელიც საერთოა მთელი კაცობრიობისთვის**“, ამბობს ვოლტერი. ჩვენც ვალურიას იდეათა გააზრებას მივყავართ ადამიანთა სამყაროს მგრძნობელობითი აღქმისა და მორალის თემადე.

* * *

იდეებს ჩვენ ვიმეცნებთ მგრძნობელობის გზით, ის კი ყველა ადამიანს ერთნაირი აქვს, მათდამი მოთხოვნაც ერთგვაროვანია. ეს კი იწვევს, როგორც ვოლტერი ხსნის, ბაზისად ქცეულ ამ შემეცნებათა და მორალურ საწყისთა გაუხეშებამდე მიყვანას, რაც გამოწვეულია იმით, რომ რამდენადაც ადამიანები ცხოვრობენ საზოგადოებაში, მათვის დამახასიათებელია რამდენადმე საიდუმლო კავშირი, რომლის მეოხებითაც ღმერთმა მოისურვა, ისინი დაეკავშირებინა ერთმანეთთან.

ამ საზოგადობრივად მსგავსად ორგანიზებულ ერთეულებს თუ თანდათანობით არ მიაწვდიან ყველა საზოგადოებისთვის აუცილებელ პრინციპებს, მაშინ ასეთი საზოგადოებები დადგებიან გარდაუვალი კრახის წინაშე. ამიტომაა ყველგან უდიდეს პატივში სიმართლე, მადლი-ერება, მეგობრობა და ა.შ. (შეადარე ვოლტერი, იქვე).

ამ საიდუმლო მორალური კავშირის მაძიებელი ვალურია ფიქრობს, რომ ღმერთმა ისევე შექმნა ადამიანი, როგორც ჭიანჭველა ერთობლივი ცხოვრებისთვის. მასში სხეული და სული წარმოადგენენ ორ არსებას, რომლებსაც არავითარი საერთო არ გააჩნიათ. ამასთან ისიც ფაქტად მიიჩნევა, რომ ისინი ურთიერთზემოქმედებაზე სურს ვალურის ზემოქმედება, სხეულის მოთხოვნების უკიდურესობამდე დაშოშმინება და ოდენ სულის ღვთიური მოცემულობის არსების დაშვება, მაშასადამე, ცდაზე (მატერიალურ) უარის თქმა. **მორალიზმის ამ პუნქტში ვერ თანხმდებიან ვალურია და უტუ.** პირველის ფიქრომორალური განწყობა მთლიანად მიმართულია ზეარსებისკენ; მეორე კი ქრისტიანული მორალისა და ზნეობის ჩარჩოებში ექებს გამოსავალს, მისი მორალიზმი სულისა და ხორცის ჰარმონიული თანაარსებობის იდეაზეა აგებული. ის აქსიომატურად აცხადებს: „ყველანი ღმერთის გაჩენილები ვართო“.

ასეთი ღრმად ფილოსოფიური და მეტა-ფიზიკური განაზრებებითაა გამსჭვალული, კოლხური მოიადური სიტყვათქმათა სიბრძნეზე აგებული უტუსა და ვალურიას, უტუსა და მართალიას დიალოგები თუ ავტორისეული რემარკები.

ამდენად, პოეტურად აუღერებული, ხალხური სიბრძნითგან შობილი მათი „აზრთა კონა“,

მომდინარე გენეტიკური ზანურენოვანი ზნეთ-სწავლებითაგან, შორს სცილდება ანდაზების, შაირების, გამოცანების (მოიადა, შაირი, ემუ-ორე-მუორე) ხალხურ გაგებას, ღრმად იჭრება მეტაფიზიკისა და ფილოსოფიის შრეებში და ინ-ვევს სულის ფორიაქს. ავტორი ასეთ ფორიაქში მყოფი უტუს მგრძნობელობით მდგომარეობას წმინდად მორალისტურ კონტექსტში გვიხასიათებს. ის წერს: „ახლა მთავარია, ტკივილი მოაჭვიანოს, გრძნობები გონებით დაძლიოს. სადაც არ არსებობს გამოსავალი, იქ ბედს ეგუებიან, ასეთ ღროს ფიქრი ყველაზე საიმედო თავშესაფარია ადამიანისთვის. ჭკვიანი თუ ხარ, ადვილად ვერ წაგახდენს იმედგაცრუებით გამოწვეული ნალველი და გონიერი გეთქმის მანამდე, სანამ საკუთარი აზრების მამობა შეგიძლია. მთავარია, შვილად არ ექცე საკუთარ აზრებს“. **ამ რემარკაში სრულადაა გადმოცემული ავტორისეული „მორალიზმის“ მთელი ბუნება. მემას ვუწოდებდი „მოქმედების მორალს“;** კოლხიბერული, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მარადმებრძოლი მოდგმის სულის ძახილს, მისი შინაგანი გზნების ტალ-კვესს. ესაა „ფიქრიანი მორალი“, ვინაიდან რომანის გმირები ყოველ ჩიხურ მდგომარეობაში გონდაძაბვით ეძლევიან ფიქრებს. არადა, კრიზისის მორევში ჩაფლულ სამთავროში ასეთი გამოუვალი ვითარებები თავზე საყრელადაა. ამიტომ, ზოგადად, ადამიანურ ღირებულებებზე ფიქრი მოსძალებიათ ნადირივით ტყეში გავარდნილ გუშინდელ მღვდელს თუ ხალხის მიერ „მენცარ კაცად“ მიჩნეულ მჭედელს, თუ „პირში მთქმელ“ მართალიას (მართალ კაცს). ყველა ისინი გონივრული აზრის ძიებაში არიან.

რომანის უდიდესი ღირებულება იმაშია, რომ ის გამართულია ხალხური სიბრძნითსწავლების კონტექსტში და მთლიანობაში წარმოჩენს კოლხური გენოკულტურის ბუნებას.

რომანში ყოველგვარი გადამლაშების გარეშე გამოყენებულია ზანურენოვანი სიტყვით-მეტყველებითი სტილი. მწერალი სრულფასოვნად წარმოაჩენს კოლხურ-მოიადური სტილის მხატვრულ-მეტაფიზიკურ ბუნებას. მთელი წიგნი, ყოველი აბზაცი, ყოველი დიალოგი ამ ძველთაძველი, ადამის დროიდან მომდინარე კოლხ-იბერული გზნებითაა გაჟღენთილი და უმტკივნეულოდ ეთავსება თანამედროვეობის მხატვრულ-შემოქმედებით მოდუსებს თუ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობით გააზრებას.

ვალურიას გაგიუიანება და ტყეში გავარდნა პროტესტი რომ იყო, როგორც ზემოთ ვთქვით, ამას ის უტუსთან დიალოგში ადასტურებს. ის ეუბნება დაუპატიუბელ სტუმარს: ნასახლარში ცარიელი ქვევრები ვიპოვე, ჩავძახე ქვევრს რაღაც და იგივე ამომძახა აქეთ. არც არაფერი შეუგრძნია და არც გაუგია. სულიერებისგან დაცლილი ადამიანები ცარიელ ქვევრებს ემსგავსებიან. მე სულის უკვდავებაზე ვლალადებდი, თავადაზნაურობა ამტკიცებდა, რომ გლეხები ადამიანთა მსგავსი არსებია, რომლებსაც არა აქვთ სული. მხოლოდ მორჩილება უნდა მექადაგა, ლვთის სახელით დამეშინებინა ისინი, ამას თუ არ გავაკეთებდი, გამხდიდნენ ანაფორას – გავგიშდი და ანაფორაც გამხადეს, მაგრამ აქ ვარ საკუთარ თავთან... (96). ფაქტია, ადამიანისთვის მორჩილების ქადაგებას გაქცეული მღვდელი პროტესტანტია... თავადაზნაურთა მიმართაც და ეკლესის წინააღმდეგაც. ამას უტუც ხედავს და ამიტომ ეუბნება: „ვერ შეეგუე ასეთ ყოფას და გაიქეციო“. ვერშეება კიდევ პროტესტია, მაგრამ პასიური, ის საკუთარი თავის წინააღმდეგაცაა მიმართული. ამიტომ ეტყვის უტუ: „შენ არა მარტო სოფლის ამაოებასთან, არამედ საკუთარ თავთანაც განდგომილი ხარ და დაკარგული გაქვს სწორედ ის, რისი გადარჩენაც გსურს“ (97). ეს სასოწარკუთაა, რომელიც პასიურ პროტესტში – გაქცევაში ვლინდება. პროტესტის ეს ფორმა ქართული მწერლობისთვის ნაცნობია, თუნდაც დავით კლდიაშვილის კაროვნას დუმილის სახით.

გადარჩენის გეზის ძიებას უტუც ზნეობის ნორმამდე მიჰყავს, მას ის აიმედებს, რომ „... ყველაზე დამდაბლებულ და ზნედაცემულ ადამიანს შეუძლია ოდესმე შეიგრძნოს ლირსება. დაცემულები აღდგებიან ერთ დროს... ბუნების კანონია ეს... თუ მათ თვალი აეხილებათ, აღშფოთდებიან თავიანთი ყოფით და მრისხანე ძალად იქცევიან“.

როგორც შეეფერება პასიურ პროტესტს, ისე პასუხობს ვალურია: „მრისხანებას არას-დროს მოუტანია სიკეთე ადამიანთათვის, ჩვენმა მოდგმამ დაკარგა საკუთარი თავი. ჰქონდა ამის გამო აღშფოთების ხანა. იბრძოლა ბევრი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და დაიღალა. მერე დაუდგა შეგუების უამი. ესეც გასავლელია ალბათ. შეგუების ძალაც დაიღლება და სხვა დღრო დაუდგება დაჩაგრულ ხალხს“. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უძრაობის და მეოცნებების „კანონზომიერებას“ ახასიათებს, დავითს

(მთავარს, ბატონს... ძალადობას) გამოქცეული ვალურია ისევე მსჯელობს, როგორც ის. ჩვენმა მოდგმამ დაკარგა თავიო... დაიღალაო, ამბობს ვალურია. დავითი კი, როგორც წინა თავებშიც ვნახეთ, ჭყონდიდელს ეუბნებოდა: „მათი სისხლი, ხორცი და სული დაიღალაო“. ამ შემთხვევაში ვალურიას იდეა – „საკუთარი თავი არ დაკარგო“ – აზრს კარგავს. მან თვალსაწიერიდან მთელი მოდგმა დაკარგა და ამ საკითხში მგონი დავითსაც გადაასწრო. ისე გამოდის, რომ ამ შემთხვევაში ზენოლა ამ ცრუიდეის გამო უშუალოდ ავტორზეც მოდის, ის დაღლილობის თეორიას უტრიალებს. ეს საშიში სინდრომია. შინაგანი დაუძლურების გამოხატულებაა, ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობისგან გაქცევის გამო თავის გამართლების მცდელობა.

ერის დაბერების დრეპეტისეული ეს თეორია წმინდად დიდიმპერიული გამონაგონია; ძველთაძველი კულტურის პირმშო მოდგმის უმტკიცნეულოდ მოსანელებლად შემოგდებული. მას თავის დროზე დიდმა ილიამ და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა საკადრისი პასუხი გასცეს. ჩვენს დროში ეს უკუღმართი, ანტიეროვნული თეორია წამოსწია მამარდაშვილმა და ქართველობაზე განაცხადა: „თავს ყოველთვის ქართველად ვგრძნობდი, იმდენადვე ვგრძნობდი თავს არქაულად და უადგილოდ თანამედროვე სამყაროში“. აი, რატომ ვთქვით, ერის დაღლაზე მსჯელობა საშიშია-თქო. ამ დასკვნამდე მიდის ავტორიც და ის უტუს პირში მიახლებინებს ვალურიასთვის: „ახლა ვევდები, რომ შენი ადგილი გიპოვია შენ, ვალურია... ვერ გამომადგება შენი სიბრძნე მე ვერაფერში“ (101).

ვალურია ვერც ლირსების საკითხშია თანამიმდევარი, რადგან ვერ ერკევეა ლირსების ბუნებაში. ის თვლის, „ლირსება ამპარტავნობის ტყუპისცალია“. ეს უდიდესი შეცოდებაა, მით უმეტეს, განდეგილისთვის, რომელიც თითქოსდა მუდამ სულის გაწმენდაზე ზრუნავს. მან, როგორც არავინ, იცის, რომ ქრისტიანულ დოგმებში ამპარტავნობა ერთ-ერთი უდიდესი ცოდვათაგანია. ეს შეცდომა წითელ ხაზად გასდევს მთელ მონოლოგს. ვალურია ვერ გამოდის ამ დაბნეულობიდან, რადგან სულიერ (ზეციერ) ცხოვრებას და მინიერ (მატერიალურ) ყოფას აპირისპირებს. ამიტომ ეკარგება თვალსაწიერიდან ზნეობის უმთავრესი კოდი – ლირსება. ბოროტების წინააღმდეგ ხმალშემართულ ბრძოლაზე უარის მთქმელი, ის ფატალიზმის

ტყვე ხდება. მაგრამ ამჯერადაც ავტორი ზუსტი აქცენტებით აცამტვერებინებს ვალურიას ფილოსოფიას ოპონენტს.

უტუ აყენებს ცხოვრების მიზნის საკითხს და ამით განკვეთილის ნათქვამი: „სულზე ვზრუნავ და სულის უკვდავება მჯერა“ და „ჩვენი ჯიში მაშინ გადარჩება, თუ სულიერების გზას დაადგება“, სინამდვილეში, მის სრულ უტოპიურობას აჩენს. ის ამ უჩვეულო განდეგილს პასუხობს: „სადაც ხორციელი ცხოვრება ჩამკვდარია და კაცი კაცის მონაა, იქ სულიერ ცხოვრებაზე საუბარი ზედმეტია. ადამიანი ჰაერს ისუნთქავს და მინის ნაყოფს ჭამს. ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი...“ და ამით მიუთითებს სულისა და ხორცის განუყოფლობაზე, მაშინ როცა ვალურია მათი ჰარმონიული თანაარსებობის შესაძლებლობას არც კი უშვებს.

უტუ, რომელიც ვალურიასთან იმისთვის მიდის, რომ ამ გასაოცარი კაცისგან რაღაც ახალი გაიგოს, ვერაფერს საიმედოს ვერ იღებს ვერც ხორცისთვის და ვერც სულისთვის.

ვალურიას განააზრებს მიყვავართ დეკარტისტულ, ჩვენი აზრით, პასიურ იდეალისტურ ფორმულირებამდე, რომ „ადამიანი აზროვნებს და მოქმედებს მხოლოდ ლმერთში“. როგორც ვოლტერი განმარტავს, ეს კი ისე უნდა გავიგოთ, რომ „მხოლოდ ერთადერთი – ლმერთი ფიქრობს და მოქმედებს ჩვენთვის“. ამით ყოფილი მღვდელი, რომელიც ლმერთთან პირისპირ დგომას ლამობს, ვინაიდან სრულ თავისუფლებას მიეღლოს, სინამდვილეში, ლმერთში ექცევა. ამით კი ადამიანს შინაგანი თავისუფლების გარეშე ტოვებს. გამოდის, რომ, როგორც ვოლტერი ასკვინის, ჩვენ მარტო მეტად არათავისუფალი არა ვართ, არამედ, საერთოდ, არავინ – თვით ღმერთის მოდიფიკაცია ვართ (იქვე).

* * *

ავტორმა შეჯიბრების ფორმა მისცა უტუსა და ვალურიას ამ დიალოგს. ამ ფორმით გაგრძელდება შემდეგი შეხვედრებიც. ამჯერად კი უტუ გულში გამარჯვებას ზეიმობდაო, გვეუბნება ამ გონებრივ თამაშში მსაჯად მოვლენილი ავტორი. მის მიერ შეტანილი კორექტივები და გადაწყვეტილებები კიდევ მიმართულია მკითხველისაკენ და მთელ ამ ფიქრთა მდინარებას დასრულებულ სახეს აძლევს.

ეს შეჯიბრობითობა ასახვაა დაპირისპირებულთა მარადიული ბრძოლისა; ასეთია

ცხოვრების არსი. ეს ღვთიური განგებულობაა. მაგრამ კრიზისები, მისგან მომდინარე შეჯახებები, ძალადობანი – ძლიერის მიერ სუსტის დაუნდობელი გვემა, დაპირისპირებულ ძალთა ბალანსის უღვთოოდ დარღვევა აუცილებლად მოითხოვს მიზეზთა მოძიებას და უკურეაქციას. ამიტომ ეძახიან მას სამართლიანობის ძიებას.

ლმერთი უპირობოდ მართალია, მართალთა მფარველი. ამ სამართლიანობის დარღვევის მიზეზთა ძიებაშია უტუ. ამიტომ ეტყვის ის ოპონენტს: „ორცეცხლშუა ხარ, ვალურია, შენ და თვითონაც არ იცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ასე“. უტუ გრძნობს, რომ „უბედურება ის არის, რომ სხვა გზა არ დარჩენია კაცს თავისუფლების მოსაპოვებლად გარდა იმისა, რომ თავი მოიგიფიანოს, ძონძებში გაეხვიოს და ნადირივით იწანწალოს უდაბურ ტყეში ბედის ანაბარად. სათქმელი ბევრი გქონდა, მაგრამ სიმართლის თქმა არ შეგეძლო. დასჯისა და წამების გეშინოდა. ... სიმართლე ბევრია სათქმელი“ (103). რამდენიმე ხნით დადუმებული მასპინძელი ალაპარაკდება. მისი მონოლოგი წინასწარმეტყველებისა და სოფიზმის ზღვარზე მიმდინარეობს. ჩვენ გვმოძლვრავს არა იმდენად ქრისტიანი ღვთისმოსავი მწირი, რომელმაც, როგორც თვითონ ამბობს ამ მონოლოგში, „იმ მრავალი წიგნიდან, რომლებიც მოაზროვნე ტვინის ნაყოფი იყო, მხოლოდ ერთი წამოვილე მე. ეს არის ბიბლია და სახარება. დანარჩენები ყველა იმ ერთიდან არის ნაწილ-ნაწილ გადმოწერილი და ისიც გაყალბებული“ (104). აქედან ისე გამოდის, რომ მისთვის სულიერების ამოსავალი ბიბლია და სახარებაა, რაც მას ქრისტიან დოგმატიკოსად წარმოადგენს, სინამდვილეში, ის შორსაა ამ დოგმატიკიდან, ამაზე ზემოთ საკმაოდ ვიმსჯელეთ, აქ კი მის მიერ ლოცვად წასვლის წინ უტუსთვის დაგდებული სიტყვები – „ახლა კი უნდა ვილოცო, ლმერთს პატიებას შევთხოვ ამდენი ლაპარაკისთვის“ – კმარა.

ქრისტიანობა, როგორც ყველაზე წიგნიერი რელიგია, რომელიც აგებულია ერთ-ერთი სახარების უპირველეს დოგმატზე: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ლმერთთან და სიტყვა იყო ლმერთი“ (იოანე, 1,1), არ შეიძლება სიტყვის თქმას – ლაპარაკს ზღუდავდეს. ის რომ უმტკიცებდა უტუს: „სიმართლე და ჭეშმარიტება მხოლოდ ღვთის კარნახით იწერებაო“, მაშასადამე, ღვთის დიდებას ქადაგებდა და მის სამართალს იცავდა, ეს კი პატიებას არ მოითხოვდა.

ვალურიას წინასწარმეტყველებაც: „სამწუხაროდ, გამოგყვებიან ბევრნი, ... გაგაღმერთებენ, როგორც მხსნელს, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ შეცვლი ამქვეყნად და იმედი გაუცრუვდებათ, მჩაგვრელ ბატონებზე უფრო სასტიკად მოგექცევიან მაშინ“,... ასევე შორსაა წინასწარმეტყველების ქრისტიანული გაგებისგან, რომლის თანახმად, ასეთი პიროვნება (წინასწარმეტყველი) ხალხს ამცნობს სულინმიდის შეგონებით დამრიგებლურ (დამარნმუნებელ) ნუგეშის მცემლურ სიტყვას; მაშასადამე, ვალურიას წინასწარმეტყველური სიტყვაც უფრო ამ ძველთაძველი ეთნოკულტურის გამოძახილია, ვიდრე ქრისტიანულისა. ქრისტიანული წინასწარმეტყველური აზრიდან მასში ოდენ ღვთის სამსჯავროს, სადაც ცველა ადამიანის: კეთილისა და ბოროტის, მართალთა და ცოდვილთა ბედი წყდება, გამოძახილი ჩანს. მისი ეს ქადაგება, მისივე საყვარელი ერთადერთ წიგნის მიხედვით რომ შევაფასოთ, ვერც სამართალს გააჩენს და ვერც დაჩაგრულს დაიცავს, რადგან თავად უმნეუ არის.²

ვალურიას სხვა მსჯელობანიც ვერ გამოდგება ამქვეყნიერი ცხოვრების უმთავრესი იდეუბის, თავისუფლების, სამართლიანობის, დამოუკიდებლობის დამკვიდრებისთვის ბრძოლის ლოზუნგად, მსგავსად უტუსი, კაცის კაცი არ უნდა იყოს, რომ თქვა. მისთვის ათასების ამყოლიებელი წმინდა იდეები ოდენ ჭკუამახვილი და ენაწყლიანი კაცის აკვიატებული აზრებია: ამ შემთხვევაში ის სრულიად ვარდება ფატალიზმის ამოუვსებელ უფსარულში და შიგ უტუს ჩათრევასაც ლამობს. მისი თქმით: ათასების ბედს დრო და მოვლენები ცვლიან მხოლოდ; ყოველგვარი ცხოვრებისეული ჩვეულება და წესები თვითონ იცვლება, როცა ის თავის თავს ამოწურავს და გაიცვითება“ (გვ.104). ეს კატასტროფაა. შემდეგ სიმართლესა და ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი, თუნდაც ღვთის სახელით, ეს მხოლოდ შირმაა. ღმერთს არასდროს მოუწოდებია მორნმუნეთათვის, დროის მომლოდინე იყავითო...

ქალდეაში ეზეკიელს ეცხადება უფლის სიტყვა, რომელიც მოუწოდებს, წავიდეს მოჯანყე ისრაელის ხალხში და იქადაგოს ღვთის სიტყვა, მიუხედავად იმისა, მოუსმენენ თუ არა. ღმერთი ეუბნება: „გინდ მომისმინონ, გინდ არა,

² „ვერც სამართალს განაჩენენ და ვერც დაჩაგრულს დაინახავენ, რადგან თავად უმნეონი არიან, ისინი ყორნებივით არიან ცასა და მინას შორის“ (ეპისტოლე იერემიასი, 1.53).

გინდ მოგისმინონ, გინდ არა... ეცოდინებათ, წინასწარმეტყველნი იყო მათ შორის (ეზეკია, 215). ღმერთი არ უცდის მის მიერვე მოწყობილ დროისა და სივრცის თვითდინებას, არამედ მოუწოდებს გონებით დაჯილდოებულ წინასწარმეტყველს, იმოქმედოს თუნდაც ღვთის სიტყვის არგამგონე გონებადახშულ ადამიანთა შორის, მიუხედავად იმისა, მიიღებენ თუ არა მისი – ღმერთის თუ წინასწარმეტყველის სიტყვას. მთავარი ისაა, მათ ეცოდინებათ, რომ მათ შორის იყო წინასწარმეტყველი. ეს ცოდნა კიდევ მომავალს სჭირდება; ის აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს. მაშასადამე, ღმერთი მოქმედების კენ მოგვიწოდებს. ვალურია ამტკიცებს, ცხოვრების ული ჩვეულებები თვითონ იცვლებაო, ღმერთი კი სწორედ ამ მიუღებელი წესის შესაცვლელად აგზავნის წინასწარმეტყველს.

ვალურია სძრახავს უტუს, შესაბამისად, ადამიანებს, რომ ის (ისინი) გულისთქმით მოქმედებს (მოქმედებენ), სხვებსაც აიყოლიებს, მაგრამ იმას კი ვერ გაიგებ, სამართლიანია თუ არა შენი მოქმედება, სანამ შედეგი არ დადგებაო. მერე შედეგს ვერაფერი შეცვლისო... მას ავიწყდება, რომ ღმერთი წინასწარმეტყველს იმისთვის აგზავნის, რომ ხალხის გულისთქმას მიაყურადოს და გულისთქმითვე უპასუხოს. გულისთქმათა გონებრივი წარმართვით გვაქვს ეს ცხოვრება...

* * *

ვალურიას გაფაციცებით ადევნებს თვალურს ავტორი. ის მისთვის ცხოვრების ბუნდოვანი მხარეების წარმოსაჩენად მოხმობილი ტიპია. რომანში დახატული ფიქრთა გრეხილის ერთი ერთი ურთულესი მწვერვალთაგანი, რომელზედაც ასასვლელი ყველა გზა სასიკვდილოდ საშიშია. ოდნავმა უყურადღებობამ, მით უმეტეს, შეცდომამ შეიძლება ფატალიზმის, პესიმიზმის, დეკადენტური უაზრობების და სხვა მსგავსი ლიტერატურული აბსურდულობის ზვავქვეშ მოგიყოლიოს. ამიტომ იქ, სადაც ვალურია ამთავრებს თავის ამ საშიშ დიალოგებს, თუნდაც სხვებიც (განსაკუთრებით ისტორიული პერსონაჟები), მატერიალური არსობის გაცვეთაზე, საკუთარი შესაძლებლობის ამოწურვაზე, სულის ცარიელ ჭურჭლად ქცევაზე და ა.შ., იქვე ჩნდება ავტორი და გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მეორე მხრიდან შევხედოთ მას. გაცვდა ის, რაც მთელი იყო, ამოიწურა ის, რაც ბობოქრობდა, დაცარიელდა ის, რაც სავსე იყო... მაშასადამე, ყოველივე ამას (ეპისტოლე იერემიასი, 1.53).

განახლება სჭირდება. ეს ბუნების კანონია; ამიტომაც აკეთებს ავტორი ხშირ შედარებებს ემპირიული კანონისა. ადამიანთა ცხოვრების ული (ისტორიულ) კანონზომიერებებთან.

ამ კონკრეტული დიალოგის შემდეგ ავტორი თავს მოვალედ თვლის, მყითხველს **აუსესნას, ვალურიას აზრები – ვალურიასია;** „მარტოს ულ კაცს არ უყვარდა, როცა მის პირად ცხოვრებაში ეროდნენ. დიდი ხანია, ამდენი არავისთან უსაუბრია. თურმე ადამიანებთან ხანგრძლივი ლაპარაკი და ურთიერთობა ცოდვად მიაჩნდა“. თურმე ცოდვად მიაჩნდა, იტყვის ავტორი და მთლიანად თავის უფლდება ვალურიას მონალოგის შეცოდებებისაგან. ამასთან, მისი (ვალურიას) თვითუარყოფა, დაუწერელ კანონთან, ადამიანთა წესრიგთან ჭიდლი, განდგომა და ა.შ. რჩება ცხოვრების ნაწილად და ამ პირობებში ხდება ადამიანის ცნობიერების ფორმირება. ამიტომ მისი გვერდის ავლა დაუშვებელია, სხვანაირად ვერ შედგება სრულყოფილი შემოქმედება. თავისი მდგომარეობის არასრულფასოვნებას თვითონაც ხვდება ვალურია, ამიტომ ეტყვის განშორებისას უტუს: „ვალურია არ არსებობს“. სოფლისკენ მიმავალი უტუ უკან მოიხედავს, „მაგრამ ვალურია არსად ჩანდა“ საბოლოოდ კი მოიკარგება ემპირიულ სამყაროში.

ავტორი არა მარტო ქმნის ამ ორიგინალურ სახეს, არამედ ის სხვა ფიქრის კაცთა უაღრესად ტევად სახეთა აღნერით აღნევს კოლხ-იბერიული მოდგმის ცნობიერი სამყაროს პოეტური პროზისთვის დამახასიათებელი მაღალი ხელოვნების დონეზე გაცოცხლებას. მისი თქმით: „ტრადიციები ... სულიერი ყალიბია, სადაც ხდება ფორმირება ადამიანის ცნობიერებისა... ის ეთნოსის თავისებურებათა დამკვიდრების ერთერთი საშუალებაც გახლავთ“ (105). მაშასადამე, ადამიანის გონების, ფიქრისა და აზრის საკითხი მისი მნიშვნელური იდეალის განუყოფელი ნაწილია. ასეთი მიდგომით ის მიღის თავის უფლების უმაღლეს იდეამდე. ამდენად, ავტორი ზოგადადამიანური მორალური ნორმების გააზრებისას შემოქმედებითი სტიქიის უმაღლეს საფეხურზე ადის და უბადლოა.

უტუსა და ვალურიას მეორე შეხვედრის უნდა მათი დებატებიც ძირითადად სწორედ მას ეხება. ვალურიას ფილოსოფია დიდი ქვეყნების ომზე პატარა, დაუცველი სამთავროს ტერი-

ტორიაზე, როგორც სხვა რამები, მორალიზმის პრინციპთანა შეხამებული. ის უტუს პატრიოტულ აღტყინებას ასე პასუხობს: არ დაიჯერო, არავინ არავის ათავისუფლებს; არავინ ხოცავს თავის ჯარისკაცებს სხვისი ბედნიერებისთვის; დიდ ქვეყნებს მხოლოდ თავიანთი მიზნები ამოძრავებთ. მიუშვით და არ ჩაერიოთ, შეეცადეთ, ნაკლები ზარალი ნახოთ. ის ამ შემთხვევაშიც საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოდის. ჯერ სავსებით სწორად უბნება ოპონენტს, „არავინ არავის ათავისუფლებსო“, ე.ი. თავის უფლება უნდა მოიპოვო; შემდეგ კი ურჩევს: „არ ჩაერიო“, ე.ი. ჩირგვებში დაიმალეთო; შეეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლები ზარალი ნახოთო და დაუცადეთ, ქანცგანვეტილნი, რაღაცაზე მოითაბერებენო. მაგრამ ეს მოლაპარაკებაც მათი ინტერესებიდან გამომდინარე წარიმართება, ესეც ხომ ფაქტია და ჩირგვებში ჩამალულს, ხმაგა კმენდილად მყოფს არავინ არაფერს უწილადებს. ის ამ დუმილით არა მარტო დიდ გასაჭირებები ჩავარდება, არამედ შეიძლება ლირსებაც დაკარგოს და თავიც. ასეთია პასიურობის ვალურიასეული ფილოსოფია. ამ შემთხვევაში ავტორი არა მარტო წარსულზე, არამედ ჩვენ დღევანდელობაზეც მიგვანიშნებს.

ავტორმა „ფიქრის კაცთა“ გონებრივ ჭიდილში აღმოაჩინა უკიდურეს პიროვნულ თუ საზოგადოებრივ კრიზისში მყოფი ადამიანის ის შინაგანი ენერგია, რომელიც შეიძლება გარდაიქმნას ისეთ აქტიურ ძალად, რომელსაც ძალუებს, გამოიყვანოს ადამიანი იმ მოჯადოებულ წრიდან, რომელსაც აღნერდა ვალურია.

რომანში „ფიქრის კაცთა“ კონსოლიდირებული სახის დახატვით, არგენტინულ რომანზე ხულიო კორსერასის თქმულის რომ არ იყოს, რომ „გაჩნდა ნაციონალური ნაწარმოები, რომელიც თავისებურად და უტყუარად გადმოსცემს ლათინურამერიკულ სულს“, XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გამოჩენდა ნაციონალური კლასიკური ისტორიული რომანი, რომელშიც „თავისებურად და უტყუარად“ არის წარმოჩენილი კოლხ-იბერული მოდგმის გენოკულტურული სამყარო. ამ სახეების დახატვით მან შეძლო, ჩვენი ეროვნული არსობა დაენახვებინა მჭვრეტელობაში – გონით გააზრებაში. ... ცხოვრება აქტიურ ქმედებაში (მოძრაობაში) თუ პასიურ უმოქმედობაში (უძრაობაში).

ვალურია თითქოსდა თავს აღნევს ამ პასიურ მდგომარეობას და პროგრესისტულ პოზიციებ-

ზე დგება, როცა საქმე ეხება ისტორიზმის საკითხეს. ის ეუბნება უტუს მის არცთუ გამართულ წარმოდგენაზე ხალხის ინტერესების დაცვაზე: ხალხის წარსული ისტორია; წარსული კიდევ უკვე არაა. უკან მოხედვა დიახაც საჭიროა, მაგრამ ცხოვრებაში თუ ახალს არაფერს ქმნით და მხოლოდ წარსულით ამაყობთ, ისე გაქრებით, როგორც გუშინდელი დღე. ცხოვრება ამაოებაა, მაგრამ თუ ის რეალობად მიგიჩნევიათ, მაშინ კეთილი ინებეთ და იზრუნეთ სიახლეებზე“. მაგრამ აქვე ისევ ეუფლება სოფიზმი და იტყვის: „მოვკვდი იმისთვის, რათა გადავრჩე, თქვენ ცოცხლობთ სიკვდილისთვის“ (459/460).

ავტორმა ვალურიას გაცნობის უამს გაგვაფრთხილა, რომ ეს განსაკუთრებული განდეგილი ჩამოვიდოდა ხალხში და კიდევ იქადაგებდა. მან ეს დანაპირები შეასრულა და ცალკე თავი მიუძღვნა მის ქადაგებას.

უტუ გებულობს, რომ თოვლში ჩამარხული ვალურია უბოვია მონადირეს, ცოცხალმ კვდარი გადაუყვანია მონადირის ფაცხაში და იქ სიკვდილს ებრძოდა „გადარჩენისთვის მკვდარი“ ვალურია. უტუ მიდის მის სანახავად.

ამჯერზე მონადირეთა კარავში შედარებით ფართო აუდიტორია იკრიბება და ვალურიასაც საკმაოდ ძლიერ ქადაგება გამოსდის. რა თქმა უნდა, მისი ქადაგების ობიექტ-სუბიექტი ადამიანისა და ღმერთის ურთიერთმიმართებაა. ის უმტკიცებს თავის ოპონენტებს, რომ ადამიანთა უმრავლესობას მაშინ ახსენდება ღმერთი, როცა რაღაც გაუჭირდება, მიზნის მიღწევის საშუალებას ვერ ხედავთ, მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით სულის გადარჩენა კი შეუძლებელია. უტუს რეპლიკაზე – შენ ხომ თქვი, მარტო (განდეგილად) იმისთვის ცხოვრობ, სულის გადარჩენისთვის ვზრუნავო – ის მოკვეთით პასუხობს: „მე ვცდილობ ვიცხოვრო მაცხოვარში, აქ კი არ შეიძლება შენი თავის სხვებისგან გამოყო“, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, მაცხოვარი არის თუ არა იმ სხვებში ან თუნდაც მასში. ის ამჯერადაც იმეორებს ცხოვრების ამაოების მოიადას: „მე მინდა მოვკვდე სიცოცხლისათვის, თქვენ კი ცოცხლობთ სიკვდილისათვის“ და ისევ აშორი-შორებს ცასა და მინას და ქრისტეში მცხოვრები ივინყებს ქრისტეს შეგონებას: „რასაც დედა-მინაზე, შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება, ხოლო რასაც გახსნით, დედამინაზე გახსნილი

იქნება ზეცაში“ (შეგონებანი იესო ქრისტეს...).

ამჯერად ვალურია მთელი სისრულით ეხება ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ვოლტერისეულ ფილოსოფიას საზოგადოების ორ კატეგორიად დაყოფაზე. ის მიადგა ფილოსოფიის ერთ უმთავრეს საკითხს – ნების თავისუფლებას, რომელიც ერთი შეხედვით ძალზე ადვილია, მეორე მხრივ კიდევ, არაა სხვა საკითხი, რომლის გამოც ადამიანები მეტად იბნეოდნენ. ამიტომაც არის ადამიანური არსებობის უმთავრესი საკითხი – თავისუფლებისა – ასე გაურკვეველი და დამაბნეველი. ვერ ახერხებენ, ყოველმა ადამიანმა ჩაიხდოს საკუთარ არსებაში და მისცეს თავს პასუხი საკუთარ გრძნობაზე (ვოლტერი, გვ. 258). სწორედ ამ გრძნობათა და სურვილთა ზნეობრივ თემას უტრიალებს იგი. ამ შემთხვევაში ავტორს მისი გონებრივ-შემეცნებითი პოტენცია აჰყავს თანამედროვეობის სიცოცხლის ფილოსოფიის ზემოდერნისტულ გააზრებათა კრიტიკის დონემდე. ამ კონტექსტითა გააზრებული ლევანის მიმართვა განდეგილისადმი: თავის დროზე ყველა კვდება, ასეთია ბუნების კანონი. მე კი, სანამ ცოცხალი ვარ, ბედნიერად მინდა ვიცოცხლოო.

ვალურიას პასუხი, რომელიც ავტორს წიგნის ეპიგრაფადაც აქვს გამოტანილი, ამ სურვილს დამორჩილებული აზროვნებიდან მომდინარე ქმედებას ეხება.

ის პასუხობს კვარაცხელიას: „ქარის მდევრა ხელმოცარული რჩება. ნუ გამოეკიდები ბედნიერებას და არ იქნები უბედური... რასაც შენ ბედნიერებას ეძახი, წამიერი ზმანებაა... და მალევე გაგეცლება ხელიდან...“ და მერე აგრძელებს: „ჯერ ის უნდა იცოდე, რა უნდა აკეთო და რაზე უარი თქვა“, „მოკო“ – მინდა უნდა დაამარცხო შენს თავში, ამისთვის იბადება ადამიანი, ბედნიერებისთვის სხვას კი არა, საკუთარ თავს უნდა ებრძოლო. „მინდას“ უნდა უთხრა, „არ მინდა“, თორემ სურვილების ჯაჭვი ისე შეგკრავს, ვერც კი იგრძნობ, შებორკილი რომ ხარ. თავისუფლებას რომ ეძებ, ვერასდროს ვერ მიაგნებ მას. სურვილებთან გამკლავება, მოთმინება და ღვთის მორჩილება უნდა შეგეძლოს... მორჩილება თანხმობა და სიყვარულია. ორივეს თანაბრად უნდა ესმოდეს ეს: ბატონსაც და ყმასაც“. მათ ერთმანეთი უნდა უყვარდეთო. მაგრამ როცა შეახსენებენ: „ასე არ ხდებაო“, მაშინ ის ისევ უბრუნდება სოფიზმს: ბოროტ ბატონებს ღმერთი დასჯის. ძალადობით მოპოვებული თავისუფლება ძალადობითვე მოისპობაო და ა.შ.

ვალურია დილემიდან დილემაში გადადის და ასკვნის, უსამართლობის ჯაჭვი უწყვეტად დარჩება.

იგი მსგავსი ფორმით უტევს თანასწორობის იდეასაც. უტუს განმარტებაზე – „უსამართლობას იმისთვის უნდა ეპროლოს კაცი, სამართლიანობა რომ დაამკვიდროს“ – პასუხობს: თავის მოტყუუბაა ყველაფერი, თუმცა მომხიბლავი აზრია. თანასწორობას უთანასწორობა მოენატრება. თანასწორობის ჭაობში პიროვნებები ჩაიხრიობიანო. გათანასწორებული ყველაფერი იღუპება. უთანასწორობით იზრდება ადამიანის სული, ახალი წესები არ არსებობს ბუნებაში. მისი მიღება და მიჩვევა დიდ მსხვერპლს მოითხოვს, თაობები შეეწირება მას. და უმთავრესი მის სოფისტიკაში: „მე თქვენ გეუბნებით, არ არის კაცის საშველი ამ დედამიწაზე“. ვისაც ეს სოფელი უყვარდა, იმედგაცრუუბული წავიდაო და, სინამდვილეში, ხაზი გადაუსვა ყოველგვარ საზრისს ამ ცხოვრებისას, ის კი არა და, ადამიანების (მახარობელთა) სანუგეშოდ თქმული მაცხოვრის ბოლო ქადაგებაც დაივინება: „ქვეყნიერებაზე ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიერები ქვეყნიერება“. ამდენად, მისი იდეა – ეს „უამიც გადაივლის და ცხოვრებაც თავისთავად შეიცვლება“ – „ცხოვრებისეულ ჭკუაში“ (die Weltklugheit) ვერ ჯდება. ეს უტოპიზმია და ამას შეახსენებენ მას: „თავისთავად არაფერი იცვლება დრო-უამის გარდა... დრო უგრძნობელია და ადამიანის ტკივილებს ვერ ხედავს, ყველაფერი ერთად რომ მოძრაობს, მაშინ არის სიმშვიდე ხალხში. თანასწორობაზე, როგორც სოციალურ ფერმენზე, მსჯელობისას დარწმუნებით იტყვის: „თანაბრობა კი არასოდეს იქნება მაინც, ღმერთმა გვაშოროს, რომ უაზრობად იქცეს მთელი სამყარო“.

ვალურია შემეცნება ამ საკითხში ვერ სცილდება სოციალურ გაგებას, ამიტომ ამბობს, ღმერთმა გვაშოროს, უაზრობად იქცეს მთელი სამყარო და მხედველობაში აქვს სიცოცხლე. მაშასადამე, მისთვის „თანაბრობა“ მატერიალური გაგებაა და არა ღვთით ბოძებული ნება შესაძლებლობისა. ამ გაგებით, ღვთისმოსავ მწირზე ახლოს ღვთის კეთილი ნების ნამდვილობასთან მოჯანყე უტუს გონებისმიერი შემეცნება (die Beronunferke nntnis) უფროა. ამაზე მეტყველებს მისი დევიზი: „კაცის კაცი არ უნდა იყოს, ყველა ღვთის გაჩერილები ვართ“. ტყუილად არაა, რომ

უტუსა და ვალურიას შემდეგი შეხვედრისას სწორედ ამ დევიზის ირგვლივ წავა მსჯელობა, მაგრამ ამჯერად საინტერესოა ვალურიას ქადაგების უტუსეული შეფასება.

ის ვალურიას ქადაგებაზე გადაწყვეტით იტყვის: „ვალურიას სიბრძნე აღარ გამომადეგება მე“. ეს არაა ადრეული ცხოვრებისეულ სიბრძნის მაძიებელი უტუ. ჩვენ თვალწინაა ცხოვრების მამოძრავებელ მიზეზებში კარგად გაცნობიერებული, უპირობო სიკეთის მატარებელი „მე“. მას საზოგადოების თავისთავად მომწიფებისა არ სჯერა. ყოველგვარ ვითარებას, თვით ცხოვრებას, ადამიანები ცვლიან. ის აცხადებს: „ჩემი სავალი გზები და ბილიკები მე უნდა გავიარო თვითონ...“ ამდენად, უტუ ამ ცხოვრებას ისე განიხილავს, როგორადაც განიცდის.

ამ შემთხვევაში, უტუს ცნობიერება მიჰყვება არა მარტო ცხოვრების მდინარებას, არამედ ის აღივსება გენოკულტურის მთელი ისტორიზმით. შესაბამისად, სრულიად კანონზომიერია მისი „ბელადად“ არჩევა. მას ძირისძირამდე აქვს გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რომელსაც ის იღებს არა მარტო აზმყოს, არამედ მომავლის და თვით ისტორიის წინაშე. ამიტომ აცხადებს: „მე თქვენ გეუბნებით, არა შურისძიებისთვის, არამედ თავისუფლებისთვის ვიბრძოლებთ!“.

თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ უტუს მოწოდებას შორიდან მიყურადებული ვალურიას რეაქცია აჯანყებულთა მიერ ფიცის დადებაზე ძალზე აგრესიულია, თუმცა ალსავსეა უტუ-სადმი კეთილისმყოფლური დამოკიდებულების გრძნობით.

ვალურია ვალურიად რჩება, „კეთილი სოფისტიკის“ ტყვედ. ის ისევ აცალკევებს ხორციელ და სულიერ სამყაროს, არ უშვებს მათ ჰარმონიულ თანაარსებობას. უტუს ახსნაზე, რომ ხალხს თავისუფლება სწყურია და წინამდლობად ამირჩია, ამიტომ ველაპარაკებოდი მალობიდანო, ის მისთვის ჩვეული ფატალისტური სტილით პასუხობს: „ისინი ხორციელი კმაყოფილებისთვის ითხოვენ თავისუფლებას. ასეთი თავისუფლება მარცხით მთავრდება. რად ჰპირდები ხალხს იმას, რისი გაკეთებაც არ შეგიძლია“, ან როგორ ბედავ მაღლობზე დგომას, როცა არაფრით განსხვავდები მათგან (543). თითქოს ისე ჩანს, რომ ვალურიას ანუხებს ის, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა

მარცხით შეიძლება დამთავრდეს, მაგრამ, მისი „როგორ ბედავ მაღლობზე დგომას“, რამდენიმეჯერ გამეორებული, აშკარად მიანიშნებს მის რეაქციულობაზე, ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშე რჩება ლვთისმიერობის ქადაგებას შეფარებული ბატონიმური იერარქიის დამცველი; ის უუბნება უტუს, გრიგოლთან რომ იყავით და პასუხი ვერ მიიღე, იქ უნდა დაგემთავრებინა ეს საქმე, უნდა მოგეცადა დედოფლის მოსვლამდე. „ახლა შენ ჰპირდები ხალხს იმას, რისი მიცემაც არ შეგიძლია“. ამაზე უფრო რეაქციულად ამ პრეტენზიას, რომ გაგეცოცხლებინათ, თვით დავით დადიანი ვერ წაუყენებდა უტუს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვალურია რეაქციონერია ან პროგრესისტი თუ სოციალისტი... ის არის ბუნებას შეზრდილი ემპირიული სულით გაუღლენილი სახე, რომლისთვისაც თვით მამაღმერთიც – ბუნებად, ადათ-წესი და ტრადიცია კი ცხოვრების განაწესად მიუჩინებია, რომელიც თავისი უძრაობაში მოძრაობს. მისთვის ამ ემპირიულთან ადამიანურის კავშირი გონების ძალით ხდება. შესაბამისად, ის ვერ წყვეტს კავშირს ადამიანებთან. „უძრაობის ბუნებრიობიდან“ განსჯის ცხოვრების შეუჩერებელ მოძრაობას, მის ორომტრიალს; ამაობებად აღიქვამს ეკლესიასტეს მცდარი წაკითხვის ფონზე.

ამიტომაა, რომ უტუს თქმაზე, ყველანი ერთად (ხალხი) მივაღწევთ საწადელს, კატეგორიულად პასუხობს: ერთიანი ძალა, თუ მას გონიერება არ მართავს, ძალადობად იქცევა. ეს გათამამებული ძალადობა თავს დაესხმის სხვის თავისუფლებას. აქ იკვეთება შეუთავსებლობა უტუსა და მას შორის. უტუსთვის ძალა საჭიროა სიკეთისთვის, ვალურია კიდევ, ძალაში მხოლოდ ძალადობას ხედავს და ბოროტების წყაროდ მიაჩნია. ამ შემთხვევაშიც უტუ უფრო დიდ იდეალისტად გამოდის, ვიდრე მისი ოპონენტი. უტუს ძალა მიდის ცნობიერიდან მატერიალურისკენ; ხოლო ვალურია მასში ხედავს მხოლოდ მატერიალურ უხეშ ძალას, რომელიც აუცილებლად გადაიქცევა ძალადობად. ის ისევ იხლართება დილემაში და გამოდის მათ დამცველად, ვინც მასზე იძალადეს და თავის გაგიუიანება აიძულებს. ის უუბნება უტუს: „თქვენ უგვაროვნოდ გინდათ აქციოთ მთელი ქვეყანა და ამას თანასწორობას ეძახით, როცა ყველაფერი ერთნაირი

ხდება, მაშინ ისპობა სამყარო“, და უფრო მეტიც, მათ დასაცავად ლმერთს იშველიებს. ის ეუბნება უტუს, შენ ერთი რამე უთხარი სწორი იმ ბრბოს, რომ ყველანი ლვთის გაჩენილები ვართ, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო მამა ჰყავს ყველას. ის დაგავინყდა, ვისაც თქვენ ებრძვით, ისინიც ლვთის გაჩენილები არიან. შენ კი ხალხი ხატზე დააფიცე და ძალმომრეობით დაპირდი ბედნიერებას. იცოდე, ასე თუ გაარძელე, იმათაც დაღუპავ და თავსაც დაიღუპავ. ისინი მიგატოვებენ და დაგწყველიან. უთხარი, მოხნან მიწები, მოიყვანონ მოსავალი და დაელოდონ დედოფალს, ის ცოტა რამეს დათმობს, დარწმუნებული ვარ, ეს უკეთესი იქნება იმაზე, რასაც თქვენ მოელით.

მაშასადამე, მოწოდება სრული მორჩილების კენ. ასეთი მსჯელობის შემდეგ, შეიძლება თვითონ ავტორის რეალიზმშიც შეიტანოს ეჭვი მკითხველმა.

მაგრამ, სინამდვილეში, ვალურიას სახით ავტორმა დაგვანახვა ადამიანთა ცხოვრების (მთვარის მეორე, უნახავი მხარესავით) დაფარული სახე, რომელიც ისევ მოქმედებს და წარმართავს ადამიანთა მატერიალურ თუ სულიერ საქმიანობას, როგორც ის ნათლადმჩენი, ყოველდღიურობის წარმმართველი ნაწილი.

ვალურიას ოპონენტობის გარეშე უტუს, ისტორიული პიროვნების, საქმიანობის წარმოჩენა ისტორიულობის სქემატურობაში ჩაიხარშებოდა და ვერაფერს შესძენდა მის მიმართ უკვე არსებულ ნახევარსიმართლეს. ასე კი ავტორმა შეძლო იმ რეალური სამყაროს გადმოცემა, რომელშიც მოქმედებდა უტუ. დაგვანახვა აჯანყების გამომწვევი მიზეზები მთელი სისრულით, როგორც სოციალური (მატერიალური), ასევე სულიერი, მისი ისტორიული და გენოკულტურული ფესვებით.

ვალურია არის ცხოვრებისეული მარადიული დილემის სიმბოლო. ის მარადიული ეჭვის ნაყოფია. ეჭვისა, რომელიც ხრავს ადამიანთა სულსა და გულს, აღძრავს შიშს ცხოვრების მრავალგვაროვნობის წინაშე და მუდამ ჩაგვდახის: – ვაიმე, რაღაც ისეთი არ მოხდეს, რაც ბუნებას არ დაუწესებია. ის გვაიძულებს, ჩვენი სისუსტეები დავფაროთ და უხილავსა და მიუწვდომელს შევაფაროთ თავი.

ლაშა გვასალია

ქართული მწერლობის მრავალღონე...



მურმან ჯგუბურია გარდაიცვალა, მისმა უსაყვარლესმა ძმის-შვილმა ხატიამ შემიცხადა. რაღაცნაირად ჩავწყდი, მაგნიტივით მიმიზიდა მიწამ... ავტკივდი...

სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი გადავანდა ზეშთა საუფლოში, უნიკალური პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი და საუკეთესო ესეისტი.

(„ღობეც შეშაა, თოლიგე, თუკი ზამთარი მკაცრია... – „მისე-ული სტრიქონი ამომივარდა წამისად...“)

იშვიათად მინახავს ბატონი მურმანივით ნაკითხი და დახუნდლული შემოქმედი. ყველაფერს კითხულობდა და ღირსეულის ფასი იცოდა. ძალიან მიყვარდა ჩემი მური, ჩემი კაფანდარა, „ხუმლა კოჩი“... ვისთან ლიტერატურაზე საუბარი ერთ რამედ ღირდა, თავს ევლებოდა ქართულს და მშობლიურს, ღრმაძალიანად იცოდა უცხოური, განსაკუთრებით ჩინური პოეზია, უფრო უკეთესად – რუსული ლიტერატურა.

ქაოსურიც იყო და წყობილიანიც, ტობავარჩხილიც და დაუდე-გარი ენგურიც, ღიმილიანიცა და სევდიანიც... სიყვარულით მოპირთავებული და ჩონგურივით ალექსიმებული...

სხვანაირად ფიქრობდა, სხვანაირად წერდა, სხვანაირადაც, ანუ პოეტურად წავიდა... ქარ-თული ლიტერატურის მრავალლონე – მურმან ჯგუბურია!..

ნათელი დაგადგეს ჩემი თავმდაბალო, მუდამ ჩრდილში მდგომო, სხვებზე გადაგებულო, უსაყვარლესო და უთბილესო უფროსო მეგობარო, მომენატრები, თანაც ძალიან!..

ეს ლექსი მივუძღვენი სტუდენტობისას:

ჯგუბურიასი ვიყიდე წიგნი

(ძველი რვეულიდან)

ჯგუბურიასი ვიყიდე წიგნი:

„შუადლის კარი“,
კარგი ჰერნია სიტყვა და რითმა,
პოეტურ ქარით-
წერს: თუ თორსაში ვით დაჰქროდა
უბელო ცხენით
და მთვარეზ როგორ მოანათა
სასიზმრო ძლვენი...
წერს სიყვარულზე, სინანულზე,
ბაბუ სვიმოზე,
და ეკლესია ვით იმშვენებს
ფრთათერ მიმოზებს...
ნაბურდოვალი ალაგიდან
ლურჯად იები –
ესხივებიან გაზაფხულებს
რია-რიებით...

ესმის სიტყვა და
სიყვარულის აშენებს ტაძარს,
თვით უკიდია, შენც გიკიდებს
ყაყაჩის ხანძარს...
არჩევს ლობიოს, თოხნის ყანას
და ვენახს ფურჩნის,
ხან მსუბუქია სიოსავით,
ხან – მძიმე, ურჩი...
შინამოს არსში გახვეული
ანით, ჰოეთი,
არის ლექსების მეგულძალე
ნაღდი პოეტი...
კვლავ თავს იგიუებს
აფრენილი ხევიდან ქარი,
ჯგუბურიასი მახარებს წიგნი-
„შუადლის კარი“!..

21-ე საუკუნის შემოქმედი, ანუ ზაალ ჯალალონიას პოეტური საწილი...

მე-20 საუკუნის პოეტური მშვენიერება კიდევ დიდხანს გაჰყვება მკითხველსაც და ავტორებსაც ამ ფორმით „გახედნილი“ სმენისა და დაგულებული გემოვნების მესაფუძვლები ვინ იცის, რამდენი დრო დასჭირდება სიტყვათა შეგრძნების ძველი არტახებიდან საბოლოოდ განთავისუფლებას. ეს ცუდ ტონად არვინ მიიღოს, რაც რუსთველის, ბარათაშვილის, ვაჟას, გალაკტიონისა და თუნდაც დაუსრულებელი და ბოლომდე ჯერაც ამოუხილავი გრანელის სტილმა, სიტყვათა წყობამ თუ რიტმულ-რითმულმა მოცემულობამ ერთ კოშკად უნდა მოიყაროს თავი და ახალი პოეტური ტაძრის მოსაძირკვლება დაიწყოს. თანამედროვე მოთხოვნები, ხელვისა და გემოვნების არეალი აბსოლუტურად განსხვავებული საწირით მოილანდება და როგორც ხუთ ლიტრ სითხეს ვერ ჩაატევ ნახევარლიტრიან ჭურჭელში, ისე ამ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებ ბოლომდე დაგემოვნებულ, დაღეჭილ-გადაღეჭილ ლიტერატურულ სამყაროში ფეხმორთხმით დაარხეინებულ სტილსა და ფორმაში. სხვა სათქმელი, სიტყვის ყოველმხრივი გაგებაა საჭირო და აუცილებელიც, რათა საოცარი: „მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული“... სხვანაირად შევიგრძნოთ და სხვა ფორმით გადმოვსცეთ. მავანი ამისირდება და მეტყვის, რა საჭიროა, ასეც დიდებულად გვესმისო, მაგრამ რაც უკვე ღვთაებრივად ითქვა და განსახიერდა, იმას ღვთაებრივად ვერ გაიმეორებ, ახალი ხმითა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ფორმით უნდა გადმოიცეს, თუ გვინდა გავგრძელდეთ და არ გავიყინოთ არსებულ მოცემულობაში.

ფილოსოფოსთა დიდი ნაწილი შემეცნების უმთავრეს და განსაკუთრებულ სახეობად მხატვრულ ტექსტს მიიჩნევს, რამეთუ ხელოვნების ნაწარმოებში მოცემულია თავისებური ცოდნა და გადმოცემის განსაკუთრებული ფორმა და სტილი. ნაჩენებია არსი ადამიანის ცხოვრებისა, სილრმისეული ხედვა იმ მოვლენებისა, რომელთაც ერთ მთლიანობაში მოჰყავს სამყარო და აზროვნების აღმატებული მოტივები. ამასთან, შემოქმედის დანიშნულება მხოლოდ ისტორიული და არსებული სინამდვილის გადმოცემა როდია,

არამედ ყოველივეს გათვალისწინებით, უამრავი წერტილიდან დანახვა, აღქმა და მაღალმხატვრულად, მხოლოდ საკუთარი ხმითა და ტონით გადმოცემა და ახმიანება იმისა, რასაც მრავალნი ვერ ხედავენ და ვერც დაინახავენ, მით უფრო, ვერ გადმოსცემენ – უფლისგან მოუნაგრებელი ნიჭიერებისა, ანუ შესაძლებლობისა გამო. დიდებულად შენიშნა ამაზე დიდმა გალაკტიონმა: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო“...

ყურადღება უნდა გამახვილდეს ხელოვნების სწრაფვაზე მშვენიერებისკენ, რომელიც გამოწვეულია ფორმის მოცემულობით, მხატვრული სახის სილამაზით. მატერიის სიმძიმისა და წერისისგან განთავისუფლებული ფორმა იძენს განსხვავებულ სიმსუბუქესა და ჰაეროვნებას, სტრიქონები კი აბსოლუტური თავისუფლებით დარიალებენ ცაასა და მიწაზე. ამან ფრიდრიხ შილერის ლექსი „იდეალი და ცხოვრება“ მომაგონა:

„არა ნივთებთან ჯაჯგურით და
მტანჯველი ბრძოლით,
არამედ მწყობრად და ჰაეროვნად,
თითქოს იშვაო არარაისგან,
კამკამებს სახე
განცვიფრებულ პოეტის თვალწინ“.

მოდით, მოვუსმინოთ ისევ შილერს, რათა ჩვენს სათქმელს უფროორე განვუმტკიცოთ საძირკველი:

„მხოლოდ სხეული ემონება მძლავრ ბედისწერას,

ხოლო რჩეულთა თანამგზავრი წმინდა სახეა.

არ ჰმონებს იგი დროის სრბოლას,
კრთის სინათლეში,

როგორც ღვთაება ღვთაებებს შორის!“

ხელოვნების საიდუმლოება, მხატვრული წარმოსახვის, ანუ ფანტაზიის ძალაშია, სწორედ ეს აძლევს ხელოვნებას შემოქმედების ძალას!

„ვინ ხარხარებს ასე ხმამაღლა,
სახლს ლამისაა ჭერი ახადოს?!

შეძახილი – ბაგირივით გაჭიმული,
უკონტროლოა წინ და უკუვარდნა.

რამდენად თანმიმდევრულად
ხდება ეს მოვლენები, ისევ მიზეზებში აირეკ-

ლება.

უმიზეზოდ სიცივეც არაა ჰაერში,
არათუ განზომილებათა მდინარება და გა-
დანაცვლებები". – ეს ზაალ ჯალალონიაა,
სხვანაირად, ანუ მხატვრულ სინამდვილეს
არა მხოლოდ თვალების, არამედ სულისა და
გონის, გულისა და სიზმრის მზერით ჩაღ-
რმავებული შემოქმედი. ის უბრალოდ, ანუ
ჰარიჰარად არ იყითხება, არ მოგცემს თავს
საამისოდ და რასაც წერს – გააზრებით, გა-
ნათლებულად წერს, ეს განათლებულად
ბრჭყალებში შეგნებულად არ ჩავსვი, რადგან
ზაალი მოაზროვნე, წიგნიერი კალმოსანია და
როგორც ჰარი იტყოდა: „ფიქრისეული ტექ-
სტების ავტორი".

„მე ზედ დავაწერე განშორების ლექსი,
რადგან ვიცოდი, რომ მაინც დადნებოდა.
განშორება ეწერა ფრინველის ფრთებზეც,
ადამიანი რომ იპადება, ესეც განშორებაა,
ხანგრძლივი განშორება საკუთარ თავთან.
ცხოვრება მუდამ ერთადერთია,
რადგან სხვა მას ვერაფერი შეცვლის.“ –
ესეც ზაალია, სამადაშვილი არა, ჯალალო-
ნია, ძალიან მაგარი პოეტი, ახალი ქართული
პოეზიის ერთ-ერთი მესაძირკვლე. ზაალი
განსაკუთრებული მხატვრული წარმოსახვის
უნარით, განსხვავებული წესებითა და კანო-
ნებით ქმნის ახალ სინამდვილეს, რომელსაც
კანტი გენიალურს უწოდებდა. სხვათაშორის
დიდი ფილოსოფოსი მხოლოდ ხელოვნების
სფეროში სცნობდა გენიოსობას. დიდი ხელო-
ვანი და არა დიდი მეცნიერი მიაჩნდა კანტს
გენიოსად.

ვინმეს მოეწონება თუ არა ეს, ასეა,
როგორც დიდი კონსტანტინე ბრძანებდა:
ღმერთის „მეტოქე“ შემოქმედი, ხელოვანია
მხოლოდ, ორივე ქმნიან, ის „ღმერთთან მებ-
რძოლი იაკობია“. ამიტომაც აქვს რელიგია-
საც ხშირი უკამაყოფილება თავისუფალ, უკი-
დეგანო შემოქმედებასთან.

„მე არ ვთამაშობ, – მე ვქმნი.

მუდმივი ზრდით
უკან ვბრუნდები სახლში,
რომელიც სხვა ადგილას დამახვედრეს.
მარტო ჩემში რომ ვიყო,
სიცოცხლეს ნიხლს ვკრავდი,
როგორც ყველაზე უსარგებლო ბუტაფორი-
ას.

მე ვიღებ არჩევანს,

და ვირჩევ შეუძლებელს..

მზე ყველა ოთახში აღარ შემოდის.

ჩემი ნაბიჯების ხმაც აღარ მესმის,

მაგრამ ყურს მჭრის,

შენი გაურკვეველი ჩურჩული.-

გრიგალი, რომელიც ხეებს არ არხევს.

ჩაგდებულ ქვისგან

ირხევა წყლის ზედაპირი, ფართოვდება

არამარტო ის,

არამედ მასთან ერთად ჩემი მზერაც.

როგორ ყვითლდება შემოდგომა,

ეს მისი შინაგანი მდგომარეობაა,

თუ შეძენილი თავისებურება.?

შესაძლებლობის ზღვარზე ირყევა

ყოფიერების უსახური არსებობა.

ყოველთვის სამყაროში ვეძებ ჩემს,

რაც ჩემში არ არის,

არ არის არსად..

სინათლეში შევდივარ

სიბნელის ნიღბით.“ – აი, როგორ ხედავს
და აზროვნებს ზაალ ჯალალონია. მისი პოეზი-
ის თემა, სალექსო ფორმა, გამოხატვის საშუა-
ლებანი და მხატვრული სახეები აპსოლუტურად
განსხვავებულია. მის ლექსებში საგნები განსა-
კუთრებული მდგომარეობით აღიბეჭდებიან, ის
უფრთხილდება და ინახავს შთაბეჭდილებებს,
რომლებსაც შემდგომ მისეული ქარგით გვთა-
ვაზობს ხოლმე. ჯალალონია შთაბეჭდილებე-
ბის შემგროვებელიცაა და აღქმათა ოსტატიც.
„სინათლეში შევდივარ სიბნელის ნიღბით“. ეს
სამყაროზე განაწყენებული, მორიდებულად
მომზირალი კალმოსნის პორტრეტია, მეტაფო-
რული სიღრმით გადმოცემული. მის ქმნილე-
ბებში პრაქტიკული ინტერესებიც იგნორირე-
ბულია, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს
საგნებს ვუჭვრიტოთ უშელავათოდ.

„გამოუცდელი მკითხველის მოტყუებას
დიდი არაფერი უნდა. განელე ლექსი, მიახტი
ღრუბლებს, მოტეხე ლავინი, მერე სულ მჯი-
ლი იოტყი მკერდზე. საქართველოს კუთხეების
სახელები, ან ტაძრების სახელები მიურითმე
ერთმანეთს. სულ იმუშავე ეფექტებზე. მთის
დიალექტებზე თუ მოუქცევ, ეს ხომ მთლად
მისწრებაა. აქა – იქ სატრფიალო თემატიკაც
გაურიე. მე შენ გეტყვი, რილკე ზედ კედელ-
თან არ გეყოლება მიყენებული და „დუინური
ელეგიები“ კი არა, აბრახუნოს დოლ-გარმონი,
თუ უნდა, ვის რაში დაჲკარგვია. იფ, ზოგჯერ
მართლა კარგია გამოუცდელობა და მდარე გე-

მოვნება.“ – წერდა ერთხელ ფეისგუპ გვერდზე ბატონი ზაალი. გული წყდება მას, ამ შემთხვევაში, როგორც განსწავლულ ლიტერატორს გამეფებულ მანკიერებებსა და უგემოვნებაზე, მაგრამ ვერაფერს იზამ, ესაა ჩვენი მოცემულობა, ჩვენი სოციუმის ანი და ჰოე!

შეამჩნევდა მკითხველი, რომ ბატონი ზაალის ლექსების გარჩევას ვერიდები, არ მინდა მკითხველს ჩემი საზრისი მოვახვიო თავს, მინდა ის ისევე დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს, როგორიც თავად ავტორია ამ ბრწყინვალე ლექსებისა.

ზაალ ჯალალონია ვერლიბრში აღწევს იმ სიმაღლეს, რომლის თვალის მიდევნება უბრალი და გაუწაფავი მკითხველისთვის ძალიან რთული და უმეტესად შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ის კონვენციურ ლექსებშიც ბრწყინვალე და საინტერესოა, მაგრამ თავისუფალი ლექსის შემოუღობავი არე-მარე ხელებს შეუზღუდავად აშლევინებს და უახლოვდება „ცათა ბჭეს“. დგას წვეროსანი მოგვივით შეუვალი და განუსაზღვრელი. ბობოქარი ზღვის დარად ჭირს მისი კიდეებისთვის თვალის გაწვდენა, ჭირს და ბევრიც არ შეიწუხებს თავს, არ დაძაბავს მზერას, არ მოიმარჯვებს „ჭორიტს“ ანუ ცოდნას, და გამომდინარე ასეთი ზერელე დამოკიდებულებისა, არ და ვერ წაიკითხავს რთულად აღსაქმელ ტექსტს. ამიტომაც ის განთლებული, ჭარბად მზეჩამდგარი მკითხველების პოეტია. მის პოეზიაში, განსაკუთრებით კონვენციურში ილანდება შორეული ლანდები კოლეური, პელაზგური, „გილგამეშური“, ჰომეროსული სიდიადისა, რიტმულდება პოლიფონიური უნიკალიზმის მელოდიურობა, მაგრამ მისეული აღქმის ხერხებით.

სახელმწიფო და სამართალი მაშინ გახდა აუცილებელი, პირველყოფილ საზოგადოებაში, როცა მინა შემოღობა გლეხმა და გახდა მესაკუთრე. საკუთრებას სჭირდება დაცვა, კანონი და ნორმები... შემოუკავებელი, შემოუზღუდავი „პოეტური საკუთრების“ მფლობელია ჩვენი პოეტი და ამიტომაცაა ასე „ბედნიერი“ ტექსტებში (ბედნიერების საზომიც სხვადასხვა და განსხვავებულია საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ინტერესთა გაერთიანებებში).

„რით მოგაგონო, შენ ვინა ხარ, მე ვინ ვიყავი, აქ სურნელებით ემსგავსება გარემო კამას.

არ დამიტოვო შემოდგომა წაუკითხავი, მივდივარ,

ვტოვებ სულის ხეზე გაკიდულ ჰამაკს.

ცა დამთამაშებს, როგორც სხივი მოლურჯო ალმასს,

მე ჩუმად წავალ, ამ გზის გარდა, ათასი გზა მაქვს.

არ დამიტოვო შემოდგომა წაუკითხავი, ყვითელყდიანი ეს წიგნი ხომ მე შენთვის დამაქვს.

აქ სურნელებით ემსგავსება გარემო კამას, მივდივარ,

ვტოვებ სულის ხეზე გაკიდულ ჰამაკს.“ – აი, როგორ ახერხებს აცამალლებას რითმულ ლექსშიც, თითქოს აქაც მორღვეულია კარიბჭე, აწყვეტილია არტახები, მაგრამ აი, ეს სხვა მწვერვალია მაინც:

„ჩემს ეზოში ძალლი რომ მება,

ახლა მხოლოდ მისი ჯაჭვია

შემორჩენილი,

ისიც საკმაოდ დაუანგული,

ერთობ გამცვდარი...

ჩემი მთვარევ,

ჩემი ღრუბელო,

ჩემი სიბერიდან ამოგყურებთ

ახლა ორთავეს.

არ მაქვს სახელი,

არ მაქვს სახლი.

თხემით – ტერფამდე შიშველი ვარ,

თავისუფალი და უგარსებო.

სიბერეს გავივლი,

ბავშვობას გავივლი,

უფრო წინ წავალ,

ჩემს სიცოცხლეში,

ისევ ჩავალ საშვილოსნოში,

ოღონდ არ ვიცი,

ვისი სახე უნდა გამომყვეს.

განა მაშინ რამე ვიცოდი,

ჩემს ერთ – ერთ დაბადებაზე

ცა და ქვეყანას

ამ სახით რომ გამოვეცხადე?!

იქნებ ეს სახე

ისევ იმას უნდა მოვარგო,

ვისაც იგი ჩემამდე ჰქონდა.

პირველ გზაზე ვარ გამოსული.

ამ გზის იქით,

სხვა გზა არ არის...

მე არასოდეს მეუბნებიან,

რომ მართალი ვარ.

ამის მიზეზს

მე ჩემს გულში ვეღარ ვიპოვი.

არავინ იცის ჩემი ყოფის

ლურჯი სათავე.

ის მუდამ აღმა მიედინება...“ – აი, ამას ჰქვია

მაგარი ლექსი.

საინტერესოა ბატონი ზაალის პოეტური საგანი. მისეული მხატვრული აღქმა, შეგრძებების მოჯარება მხატვრულ სახეში, ქმნის საგანს, რომელიც არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ აღქმაში ასახული საგნისგან, რადგან მისი სილამაზე და სიკაშკაშე განპირობებულია საგნის განუმეორებლობიდან და ინდივიდუალობიდან. პოეტის საგანს გამოარჩევს რაღაცნაირად სავსე მშვენიერება – ეს კი პირდაპირ კავშირშია ჯალალონიას თავისუფალ სულთან, მის შემოქმედებაში ზოგადი ცნებები და მატერიალურ-პრაქტიკული ინტერესები ზომაზე მეტად მკრთალია, ან საერთოდ არა და ამიტომაც იხედება ასე შორს, სუფთად და გამჭვირვალედ.

ზაალ ჯალალონია პოეზიაში – პატრიოტიცაა და კოსმოპოლიტიც, თბილიცაა და ჯიქურიც, შორსაცაა და მეტად ახლოც, მისაწვდომიცაა და მიუწვდომელიც, ურთულესია და მარტივიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უმარტივესი!.. ის სავსე შემოქმედია, ინტელექტით მოპირთავებული ლიტერატორი და მოაზროვნე.

„სულში სულით ვიხედებით

სულში სულით ვიხედებით,
სხეულით კი არსად.

ხატად გარდავიხატებით,
მსგავსებად და მსგავსად.

ზეცის ძალა გვიმეუფებს
და დიდების აღთქმა,

სული მალე ისაუბრებს,
ის რაც ენამ არ თქვა.

სიტყვა ნათლად გაცხადდება,
ცაზე დაინინდება.

ეს მდინარეც დაწყნარდება,
უფრო დაინინდება.

ბოროტს ტახტი დაექცევა,

ლექსი მოვა მთიებად.

სული სანთლად გადიქცევა,

სული მონანიებად.

ბერი ტაძრად ილოცება,

გულო, ამიკვნესდები,

ცა მტრედისფრად იმოსება,

მტრედს ფრთაზე აქვს ფრესკები.

სულში სულით ვიხედებით,

სხეულით კი არსად...

ხატად გარდავიხატებით,

მსგავსებად და მსგავსად.“

პოეტის შემოქმედებაში არ ჩანს საზღვრები, არ ემორჩილება დროსა და კანონებს, ლიმილს და ტაშს, კმაყოფილდება საკუთარი აზრით – საკუთარ შემოქმედებაზე, რადგან იცის, რასაც წერს, რასაც აკეთებს და საითკენ მიდის!

დიდებმა იციან ასე!

ზაალ ჯალალონიას პოეტური შუქი ყველგან წვდება, ამიტომაცაა, რომ თითქოსდა შინაგანი ნათება აცისკროვნებს მის მხატვრულ სიტყვას და იპყრობს მკითხველს, ოღონდ ნაღდ, წიგნიერ მკითხველს, რომელსაც ძალუძს წაკითხულის მიღმა შეფარული აზრებისა და კოდების გაგება.

სხვა დროს უთუდ უნდა შევეხო მის თარგმანებს, ეს ცალკე ნიჭი და შესაძლებლობაა. ზაალი თარგმნის ინგლისურიდან, მეგრულიდან, პირიქით, მეგრულ სამშვინველს აცმევს სხვა ენებიდან გადმოჩვენებულ ტექსტებს. არის დიდებული პუბლიცისტი, მკულევარი და კრიტიკოსი...

ქმნის ორ ენაზე, მეგრულად და ქართულად, ორივე ენას ფლობს უნიკალურად და არის მართალი მწერალი.

სულიერი ნათესაობით ვამსგავსებ უიტ-მენს, აპოლონ ადონიას, შოთა ჩანტლაძეს, სამადაშვილსაც...

ზაალ ჯალალონია ახალი პოეტური სიტყვის მეგულსიტყვეა...

უმაგრესი პოეტია...

ნაიკითხეთ, აღიქვით და თავადაც დარწმუნდებით!..

ჯერ ყველაფერი წინაა, ახალგაზრდაა, უამრავჯერ გაგვაოცებს და გაგვახარებს!

მიხარია და მეამაყება!..

ენით ქართულით...

ქართულ ენაზე ფიქრისას ლევან გოთუას „ქვის დედაენა“ გამიცოცხლდა. ზის სადღაც მიუვალ კლდესა თუ გამოქვაბულში, ირმის ძუძუნაწოვი გაცქნაფულ-მოწკნუპული პატარა ქართველი და ქართულ ენასავით ბრძენი, ჯეროვანი მოხუცი უზარმაზარ ქვის ლოდზე ნახშირით გამოყვანილი ასო-ბეგერებით ასწავლის დედაენას. მის სამშობლოს კი, როგორც ყოველთვის, მტერი შემოსევია. ვისაც ხმლის ქნევა შეუძლია – იბრძვის, ვისაც არა, დედაენისა და საერთოდ ქართულის გადარჩენაზე ფიქრობს. და ფეთქავს მარადისობას შეხიდული ენა ჩვენი, ცასავით მაღალი და ანგელოზივით სპეტაკი. ენა სინტაქსია, სიტყვათა მარაგი... გამოხატულების საშუალებანი და ელასტიურობა. ენა მუსიკაა, ფოლკლორია, სიტყვაკაზმულობაა, პოზიაა და პროზა, გალობაა და პოლიფონიური ფერადოვნება. ენა ზმნაა, დიახ, შემასმენელიცაა ენა... რომელსაც ყოველგვარი კაზმულ-მორთულობის გარეშე შეუძლია ყოველივესა და ყველაფრის გამოხატვა. ისე მკვრივად და სისხლისად ნაგებია, ისეთი ისტორიული დუღაბითაა ნაგებ-ნაგვირისტები – ყოვლისშემძლეა ნატვრისთვალივით, სუნთქვა და გულთქმა მითაუამინდელი და ულრმესი ნაციისა. ამ ენით და ამ ენაზე შეიქმნა პლანეტარული ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. ამ ენით და ამ ენაზე წყობილისტყვაობდნენ: ცურტაველი, მერჩულე, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... ამ ენაზე სევდა-კალმობდა ტერენტი გრანელი... უდიდესი მოქართულეები ბრძანდებოდნენ ჩვენი ბრწყინვალე კალმოსნები, ქართული პროზის დიდოსტატები. რომელი ერთი გავიხსენოთ: მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ და სხვა; ვასილ ბარნოვის „ტრიობა წამებული“ და სხვა; კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და სხვა; ოთარ ჩხეიძის „ბორიაყი“ და სხვა; ნოდარ წულეისკირის „თუთარჩელა“ და სხვა; რეზო ინანიშვილის „ბარისკენ მიფრინავს ჯაფარა“ და სხვა. გიორგი შატბერაშვილის „თვალადური ქართული ჭაშნიკი – ლექსიკონი“ და სხვა; ოთარ ჭილაძის „აველუმი“ და სხვა. ეს ის ჩაუქრობად მოციალე ვარსკვლავებია, რომლებიც

ამ წამისად ამომიციმციმდნენ ცნობიერებიდან. დანარჩენების წინაშე ქედს ვიხრი და ვითხოვ მიტევებას. მიხეილ ჯავახიშვილი, პავლე ინგოროვა, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და ეპეე... რამდენი და რამდენი... მეროჭიკე ბერი საქართველოისა, ჩვენი პირბამბა პაპა – სულხან-საბა ორბელიანი. ჩვენი საოცარი თედო სახოკია... იქნებ თქვენც გაგახსენდათ, ძვირფასო მეგობრებო, რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ გურამ გოგიაშვილისული თარგმანი – ზემით და ალფროთოვანება ქართული ენისა. ბაჩანა ბრეგვაძისული „დონ კიხოტ ლამანჩელი...“ დავით წერედიანის – ფრანსუა ვიონის „ანდაზების ბალადა“; თამაზ ჩხენკელის „თვალსაწიერი“; ჯემალ აჯიაშვილის – იეჰუდა ჰალევის „საქორწინოდ მორთულ დედოფალს“ და მთლიანად ძველებრაული პოეზია. რა ამოუნურავი შესაძლებლობებისაა ჩვენი ქართული, რომელიც პლანეტარულ 14 ენასთან ერთად ამაყად იბრძვის მსოფლიოს დაკავშირებასა და ინტეგრაციაზე... არ ვიცი რატომ, მაგრამ ცნობიერებაში შემოცურდა სულმნათი ომარ კელაპტრიშვილი... დგას ღურლულა მზის ქვეშ, ტრიალ მინდორში, სიცხისგან დაქიმითებულ, ათაგთაგებული ნაგაზებით გარშემორტყმულ ცხვრის ფარასთან ეს ღვთაებრივი მესალამურე, გაჰყურებს ნისლის ჯანღში ზღაპრულად ჩაძირულ მთებს და ჯერ ერთი, მერე მეორე სალამურით განუმეორებელ რამებსა უკრავს. ისეთ ჰანგებს აფრევევს, ცა და მინა სმენად ქცეულან, სიკვდილის ანგელოზსა ჩამოუვლიან თითქოს. ეს ამქვეყნიური მელოდია სულაც არაა, ღვთაებრივი და უკიდეგანოა... მეცხვარულ და ჩვენებურ რამებს რომ მორჩება, უცხოურ „ტოროლას“ დაუკრავს და ხელახლა ააცახცახებს დედამიწას. ამ დროს, შორიახლო, ეულად მდგარ ხის ჩრდილში მხართეძოზე წამონოლილ მეცხვარეს მზერა შორს, ცის სილრმეში მორიალე არწივისკენ გაქცევია და ნეტარებს. არ იმჩნევს, თითქოს არაფერიო, მაგრამ მასავით ცოტამ თუ უწყის ძალა და მნიშვნელობა ამ ღვთაებრივი ჰანგებისა. გულისჯიბეში უდევს სატურე გაშავებული სალამური, მაგრამ როგორ შეპბედავს

ამ უფლისგან გამოგზავნილ მაესტროს... და ფეთქავს ენა ქართული... ლელა თათარაიძეც გამახსენდა, განელილი გარმონითა და ანსამბლ „კესანეთი“. ამირან არაპული და ეთერ თათარაიძე აღმა-დაღმა ლეგენდებში წონიალით. ძუკუ ლოლუა, კინი გეგეჭკორი და სულ ახლახან გარდაცვლილი გომარ სიხარულიძე მომაგონ-დნენ. ჩვენი მაესტრო ანზორ ერქომაიშვილი „რუსთავთან“ ერთად ჰამლეტ გონაშვილი: „ჩაკრულო“, „დაიგვიანეს“, „გარეკახური მრა-ვალუამიერი“... კიდევ, ლვთაებრივი „ლილე“, „ოდოია“, ანგელოზების „ნანა“... და კიდევ, „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიონ.“ ჩვენი „ერისონი“, „სუხიშვილები“... როკვა გა-ლობად განფენილი... ნიკო ნიკოლაძე – გამორ-ჩეული ქართულმოსაქმე მამულიშვილი. დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე. ფეთქავს ქართული ენა, ვითარცა გული საქართველოსი! იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, „აი ია და აი თითი და აი თოხი, ისნავლე, თორემ წა-მოვიდა წკეპლა და ჯოხი..“ აუჰ, რა საოცრადაა ნათქვამი: „ეპე, მოდის, ბეპე მოდის, ბეპე შვილი ბეპემოთის...“ ნაზი კილასონია, გივი ჭიჭინაძე, მაყვალა მრევლიშვილი... ჩვენი უკვდავი „მარ-ტვილი და ალამდარი“... კლდისა და სიცოცხლის მოძახილი „ვარადო“... ერთგულებისა და თავდა-დების ღაღადისი „ჰაკი აძბა“... ჩვენი ჩონგური, ფანდური, ჭუნირი და აფხიარცა... ასფურცელა, კომბლე, ლვთისავარი და ჩვენებური, რაღაცნა-ირად საყვარელი ზღაპარ-დევები... ცისფერყან-ნელები– ტიციანი, პაოლო, კოლაუ, ვალერიანი

გაფრინდაშვილი, გოგლა... უგანათლებულესი სიმონ ჩიქოვანი. ლადო, მირზა, მიხა ხელაშვი-ლი, გაბრიელ ჯაბუშანური... მამუკა წიკლაური; ჯერაც ამოუცნობი და დაუფასებელი აპოლონ ადონია; მაფშალია ლაშა გახარია; „ცასწავალა“ – გოდერძი ჩოხელი; ქართულ მიწაზე ლექსად ამოსული ნოდარ ჯალალონია. ქართული ენის საგალობელის ავტორი – ირაკლი აბაშიძე: „ო, ენავ ჩვენო, დედაო ენავ, შენ ჩვენო ნიჭო, სრბო-ლავ და ფრენავ...“ ანა კალანდაძე; მუხრან მაჭა-ვარიანი: „შენ სისხლო ჩემო, სისხლო ხნიერო...“ მოდით, აქ შევჩერდეთ, გულიც ვერ გაუძლებს ასე უცებ ამდენ მოგონებას, ამდენი გენიალუ-რი ადამიანის წარმოსახვას!.. ოტია პაჭკორია, ოტია იოსელიანი, რეზო ჭეიშვილი... მომიტევონ თანამედროვე ავტორებმა, მწერალთა კავშირ-მა, მომიტევონ დიდმა გურამ დოჩანაშვილმა, როსტომ ჩხეიძემ, იოსებ ჭუმბურიძემ, გიორგი სიჭინავამ, ზაურ მოლაშხიამ, ჯემალ შონიამ, იკა ქადაგიძემ, გური ოტობაიამ, შუკო ჯიქიამ, ელ-გუჯა მარლიამ, გია ჯიჭინაიამ, ნატა ვარადამ, კატო ჯავახიშვილმა და ყველამ, ყველამ, მეცნი-ერებმა, პროზაიკოსებმა, პოეტებმა, ესეისტებმა, პუბლიცისტებმა, მთარგმნელებმა... ქართული ენის დღეს გილოცავთ, ძვირფასებო! მრავალ-უამიერ ჩვენს სათაყვანო ქართულთან ერთად! უნდა გვიყვარდეს უფალივით ჩვენი ქართული, არ გავაკაროთ ბარბარიზმი... ციდან მიწამდე, წინაპართაგან მოქარგული, სხივით მორთული – გვრამდეს ფიცივით სიკვდილამდე, ლოცვად ვიცავდეთ!..



მრავალტომეული აუზაზეთის ქართული მწერლობის ისტორიაზე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებული ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 2011 წლიდან ახორციელებს მეტად მნიშვნელოვან პროექტს აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიის შესაქმნელად, რაც, უდავოდ, განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაში.

პროექტის ავტორი და მრავალტომეულის რედაქტორია სოხუმის უნივერსიტეტის პროფესიონალობის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი პოეტი, კრიტიკოსი და ქართული ლიტერატურის მკვლევარი ბატონი ტიტე მოსია.

პირველი ტომი მრავალტომეულისა „ქართული მწერლობის ისტორიიდან“ გამოიცა 2014 წელს. მასში წარმოდგენილი არიან ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ივანე გეგია, ფუცუ დგებუაძე-ფულარია, მოსე გვასალია, კლიმენტი გოგიავა, შოთა აკობია, მირიან მირნელი, ეთერ სამხარაძე-ჯლამაძე და გენო კალანდია. მათი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წერილების ავტორები არიან უნივერსიტეტის პროფესორ-მასნავლებლები მედეა კვარაცხელია, ციალა მესხია, ტიტე მოსია, მარინე ტურავა, მარინე ჯაიანი და ლელა ჯაფარიძე.

2017 წელს გამოიცა მეორე ტომი, რომელიც ეძღვნება ევგენი აქუბარდიას, გივი ბერაიას, დავით გაბუნიას, დიმიტრი გიგიბერიას, რენე კალანდიას, ინდიკო კვეკვესკირის, ვლადიმერ მისაბიშვილის, ოთარ მიქაძის, ზურაბ ნაყოფიას, გურამ ოდიშარიას, გიორგი სიჭინავას, მურმან ხურცილავას, ნოდარ ხუნდაძის, ჯანო ჯანელი-



ძის, ალექსანდრე ჯიქიას, ვლადიმერ ჯოლოგუას ცხოვრებასა და შემოქმედებას. ამ ტომის თანაავტორები არიან ირმა ზაქარაია, მირანდა თოდუა, მედეა კვარაცხელია, ნონა კუპრეიშვილი, ნონა კუცია, ჯონი მარლანია, რობერტ მესხი,

ციალა მესხია, მარიამ მირესაშვილი, ლელა მირცხულავა, ტიტე მოსია, ზეინაბ სარია, მარინე ტურავა, დარიკო ფიფია, მარინე ჯაიანი და ლელა ჯაფარიძე.

მიმდინარე წელს გამოვიდა მრავალტომეულის მორიგი, მესამე ტომი. მასში წარმოდგენილი არიან ქართული მწერლობის წარმომადგენლები აფხაზეთიდან: მანონ ბულისკერია, ხუტა გაგუა, მირიან დგებუაძე, რამაზ კუპრავა, რობერტ მესხი, ანდრო უვანია, ანატოლი სოსელია, მარინე ტურავა, დარიკო ფიფია, ნანა ქარდავა, ალიო ქობალია, ჯემალ შონია, ამირიდონ ჩეგიანი, დალი ცაავა, სერგო წურწუმია, შოთა ხოჭავა, გია ხუბუა და ჯემალ ჯინჯიხაძე. მესამე ტომის თანაავტორები არიან ნანა არახამია, ნინო ვახანია, ირმა ზაქარაია, მირანდა თოდუა, სალომე კაპანაძე, მედეა კვარაცხელია, ნანა კუცია, ციალა მესხია, ლელა მირცხულავა, ტიტე მოსია, მარინე ტურავა, დარიკო ფიფია, რუსუდან ფიფია, ჯემალ შონია, როსტომ ჩეგიძე, თამარელა წონორია, ლევან ჯინჯიხაძე.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეოთხე ტომის გამოცემაზე.

ჩვენი უურნალის მკითხველებს ახალგა-მოცემული მესამე ტომიდან ვთავაზობთ მედეა კვარაცხელიას წერილს რამაზ კუპრავაზე და ნანა არახამიას წერილს დალი ცაავაზე.

მედეა კვარაცხელია

რამაზ კუპრავა

რამაზ კუპრავას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცნობდი მის პუბლიცისტურ წერილებს, რომლებშიც პროფესიონალიზმი და დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა იგრძნობოდა, ვიცნობდი მის ადრეულ ლექსებსაც. ეს ლექსები, როგორც რუსთაველი იტყოდა, არ არის დაწერილი „სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“, არამედ მათში ჩანს კაცობრიობის მარადიულ თემებზე, გარემომცველ სამყაროზე, ადამიანის როლზე ღრმად დაფიქრებული ახალგაზრდა კაცის გრძნობები და განცდები, სიხარული და ტკივილი“. ზოგჯერ იმედგაცრუებაც, რასაც ჯაბნის იმედი, რწმენა.

ბედმა რაც უნდა დამსაჯოს, მწყევლოს, მაინც გულდაგულ ბოლომდე ვივლი“ (1,84).

ბოლომდე მართლაც გულდაგულ იარა საქმით და არა მხოლოდ სიტყვით და მაინც აწვალებდა კითხვა

„თუმცა ამდენს რომ ვლაპარაკობ, რა ვარ და ვინ ვარ?“ (2,20).

არადა, როგორც სვეტლანა კვიკვინია წერს: რამაზ კუპრავა იყო „ღრმად განსწავლული, საქართველოს ისტორიის ზედმინევნით მცოდნე, პოეტი და ჟურნალისტი, ამაყი, შეუდრეველი პიროვნება“. მისგან შორს იყო კარიერისტული მიზანსწრაფვა, რეგალიები; ვერ გულბდა სიყალბეს, ფლიდობას, გაუტანლობას“ (9).

იგი დაიბადა 1939 წელს ზუგდიდში. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ჟურნალისტის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო სოხუმში გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ („აფხაზეთის ხმა“) რედაქციაში, სადაც 30 წელი იმუშავა; შემდეგ რედაქტორობდა გაზეთ „აფხაზეთის მოამბეს“ (1990-1991წწ), რომლის მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა; შემდგომ აფხაზეთის ტელე-რადიო კომპანიის ქართული პროგრამების რედაქტორი იყო. ყველგან, სადაც კი უმუშავია, თავისი ნათელი კვალი დატოვა, მისი სიტყვა ფასობდა. ისევ სვეტლანა კვიკვინიას დავესესხები: „მოუთმენლად ველოდით შენგან ნომერში გასული ჩვენი სტატიების შეფასებას. სარედაქციო თათ-

ბირამდე, დერეფანში, შენგან მხარზე დადებული ხელი პირველი შეფასება იყო. ასე იხვეწებოდა ჩვენი კალამი“ (8).

სრულიად საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას განსაკუთრებული გამოძახილი მოჰყვა აფხაზეთში. როგორც ამბობენ, რამაზ კუპრავას კაბინეტში იკრიბებოდნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები. იგი პირადად იცნობდა და მეგობრობდა ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასთან და სხვებთან. მოკლედ „აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ „აფხაზეთის ხმის“ თანამშრომლები გოგი ხაფთანი, რამაზ კუპრავა გიორგი სიჭინავასთან, ანზორ გვარამიასთან, გოჩა ბახიასთან, მურმან ზაქარაიასთან, რევაზ კეშულარიასთან და სხვებთან ერთად, სადაც უკვე იყვნენ ამ მოძრაობის გამოკვეთილი ლი-დერები: ვოვა ვეკუა, ნუგზარ მგალობლიშვილი, თემურ მჟავაია, თემურ ლორთქიფანიძე, ჯემალ შონია, ბესო ნაყოფია და სხვები“ (10,4).

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ტიტე მოსია 1983 წლის ზამთარში სოხუმში ზვიად გამსახურდიას სტუმრობას იხსენებს: „ჩემს საცხოვრებელ ბინაში რომ მოვედით, გამაფრთხილა (ზვიად გამსახურდიამ მ.კ) სუფრაზე მხოლოდ თითო-ოროლა მეგობარი მოიწვე, ვისაც შენ ენდობი და არ გაგყიდის. ისე კი მოიკითხა ნუგზარ მგალობლიშვილი, რამაზ კუპრავა, ანზორ გვარამია... გათენდა თებერვლის ღრმად თოვლაანი დილა. ჩემს ბინაზე ბატონი ზვიადის გაგრაში გასაცილებლად მოვიდნენ ანზორ გვარამია, რამაზ კუპრავა და სხვები“ (3,2).

ქართველი ერის ბრძოლა თავისუფლებისთვის ეროვნული ხელისუფლების არჩევით და, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა თავისუფლებით მოგვრილი სიხარული (10,4).

1992 წლის დასაწყისში პარტიულმა ნომენკლატურამ, კრიმინალურმა სამყარომ და წითელმა ინტელიგენციამ რუსის ჯართან ერთად, იარაღით

დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, პირველი პრეზიდენტი და იგი ედუარდ შევარდნაძით ჩაანაცვლეს.

ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. თბილისში ზე-დიზედ დაიხვრიტა კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგები. 1992 წლის შობა დღეს სოხუმში, ჩერნომორეცის მოედანზე, დიდი მი-ტინგით დაწყებული სახალხო მოძრაობაც სულ უფრო იკრებდა ძალას, დღის ნესრიგში დადგა დამოუკიდებელი, არაკონტროლირებადი გაზე-თის გამოცემა. როგორც მურმან ზაქარაია იხსე-ნებს, „... მართალია, „აფხაზეთის ხმის“ რედაქცია თამამად ბეჭდავდა უკანონო ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილებს, მაგრამ აშკარა იყო, რომ არც თბილისის უკანონო და არც ადგილობ-რივი ხელისუფლება ამას დიდხანს არ დაუშვებდა. „ჩვენი დელეგაცია ა. გვარამიას, მ. ზაქარაიას, რ. კუპრავას, ს. საჯაიას, გ. სიჭინავას შემადგენლო-ბით, ვეწვიეთ აფხაზეთის იუსტიციის მინისტრს ლაკობას...“ (8) პარალელურად მიმდინარეობდა სარედაქციო საქმიანობა, სადაც ძირითადად თავი მოიყარეს „აფხაზეთის ხმის“ ჭეშმარიტად პროფესიონალმა, პატრიოტმა და კანონიერი ხე-ლისუფლების აღდგენისთვის თავდადებულმა მებრძოლებმა... სარედაქციო – შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული, „აფ-ხაზეთის ხმის“ სხვა მოღვაწენიც, პოეტები რამაზ კუპრავა, რენე კალანდია, პოლიტიკური მოღვაწე ზურაბ კვარაცხელია და სხვები.

გაზეთ „აღდგომის“ რეგისტრაცია ხელოვ-ნურად ჭიანურდებოდა, მაგრამ ეს ადამიანები დი-დი რისკის ფასად კვირაში ერთხელ ახერხებდნენ მის გამოცემას, 1992 წლის 15 მაისს კი, გროზნო-დან ზვიად გამსახურდიას და ჯოპარ დუდაევის ჩარევის შემდეგ, იგი რეგისტრაციაში გაატარეს.

აფხაზეთში ინსპირირებულმა ძმათამ-კვლელმა ომმა თავდაყირა დააყენა ყველაფერი და რამაზ კუპრავას, ათასობით ქართველის მსგავ-სად, დევნილის სვედრი ერგო. იგი ოდაბადეში დაე-ფუძნა, სადაც 2006 წელს მეგრულ ენაზე გამოსცა გაზეთი „მაფშალია“ (ბულბული). ამ გაზეთის გამოცემას საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ლი-ტერატურული ხასიათისა იყო, ზოგმა მასში სე-

პარატიზმის საშიშროება დაინახა. მისი პირველი ნომრის გამოსვლას „ქართული გაზეთი“ (№10, 1-8 მარტი, 2007წ). ინტერვიუთი გამოხმაურა რამ-დენიმე ადამიანთან: რედაქტორ – გამომცემელი რამაზ კუპრავა, ენათმეცნიერი ნათელა ქუთელია, პოეტი დილარ ივარდავა, ლიტერატორი თემურ ქორიძე, პოეტი გენო კალანდია, „ჯორჯიან თაიმ-სის“ პრეზიდენტი მალხაზ გულაშვილი. ძირითადი კითხვა სწორედ სეპარატიზმის საშიშროებას შე-ეხება, რამაზ კუპრავას პასუხი კი შემდეგია: „რა მიზანი მქონდა და არ უნდა დაიკარგოს ეს ენა (მეგრული – მ.კ.), არ უნდა დავუკარგოთ იგი ჩვენს ქვეყანას. სეპარატიზმის სუნი როგორ გეცათ, კა-ცო, სეპარატიზმი კი არა, პირიქით, მეგრული უნდა შევუნარჩუნოთ დედაქართულს. სეპარატიზმს მწამებენ მე? არ დავიტრაბახებ და ჩემნაირი პატ-რიოტები საქართველოში ქუჩაში არ ყრია“ (12).

მართალიც იყო. რამაზ კუპრავას ანტისა-ხელმწიფოებრივ განზრახვას ნამდვილად ვერა-ვინ დასწამებდა, რესპონდენტთა უმეტესობასაც, გენო კალანდიას გარდა, ლიტერატურული „მაფ-შალიას“ საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს, მაგრამ ჰუმინგუების მეგრულად თარგმნისა და გამოქვეყნების საჭიროება ვერ დაინახეს, რაშიც მეც ვეთანხმები მათ. ჩემი აზრით, მეგრულ ენაზე, ამ უძველეს და უმდიდრეს ქართველურ ენაზე, წერის უფლება ყველასა აქვს, მაგრამ როცა არ-სებობს მსოფლიო კლასიკოსთა უმშვენიერესი, აკადემიური თარგმანები, რატომ უნდა გაისარ-ჯოს მავანი მათ მეგრულად თარგმანზე, არ მესმის და უფრო აკვიატებული უაზრობა მგონია, ვიდრე სეპარატიზმი.

2009 წელს რამაზ კუპრავამ გამოსცა მეგ-რულ ენაზე დაწერილი მშვენიერი ლექსების კრე-ბული „ლაზონა და მარგალონა“.

ამ ლექსების თემა ოდაბადე-სამეგრელო და მშობლიური აფხაზეთია. მათში იკითხება აფხა-ზეთის დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილი. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს – „ვემგოტე დო ვემმოტუა“ (არ დაგტოვებ, არ დამტოვო)¹ ალინა ჩაგანავასეულ თარგმანს.

¹ უფრო სწორია – „არ მიგატოვებ, არ მიმატოვო.

ნიგნის თარო

„ვემგოტე დო ვემმოტუა
გურს დაჩინირი ელმორზუნი
სი შეილებ თიშ შეირიტუა,
ოდო შური ქენმაქანც?
ვემგოტე დო ვემმოტუა.

სქან უმუშო ვეგნმალინე
კაკალია დღა დო სერი
თეს ვარწყექო, გირაგადუქ
დო კოს თოლშა ენგასერუ.

იმენდ მიღუ, დომართუქ
შურსუ თის გინვორთუა,
ცა დო დიხაქ იკინწყვას,
ვემგოტე დო ვემმოტუა.

მა მილინდას, სი ყოფედა
სასაფულეს ქიგმოთუას,
ჩქიმ შური თევზრე ვემგოტენს,
მა სი ათაქ ვემმოტუა.“

მინდა, ერთი სტროფი მოვიყვანო ლექსიდან „ოდაბადე“:

„მა ვორდიკო სოდგა-სოდგა,
სქან ცოროფაშ ვამიღ კილი,
გონწყ კიდირი, ქომხუტოლე,
რთხინ ბირგულ მოდირაკილი...“

ალბათ ამ სტრიქონების გამოძახილია სვეტლანა კვიკვინიას გამოსათხოვარი სიტყვები: „ვერც შენმა დალლილმა გულმა გაუძლო გაუსაძლის ტყივილს. აფხაზეთიდან იძულებით აყრილთა ბედის მოზიარე მიწიდან აწეულ პატარა ბორცვად დააჩნდი მშობლიურ მიწას. საკინძეშეხსნილმა ოდაბადემ ჩაგიკრა გულში და მარადისობის ბინადარი გახდი“. (9) რამაზ კუპრავა გარდაიცვალა 2010 წლის 11 სექტემბერს. დაკრძალულია ზუგდიდის მანცხვარკარის (მაცხოვრისკარის) სასაფლაოზე.

რამაზ კუპრავას ლექსების სულ რამდენიმე კრებულია გამოცემული: „ლექსები“ (1976), „მონოლოგი“ (1979), „ლურჯი ბორანი“ (1984), „მიხაკები მთვარეზე 1988) „ლაზონა და მარგალონა“ (2006).

მრავალფეროვანია მისი ლექსების თემა-ტიკა და ვეცდები, ამ ნიშნით შევეხო ზოგიერთ

„არ დაგტოვებ, ნუ დამტოვებ,
გულზე ცეცხლი მომდებია,
შენ ერთს ძალგიძს, რომ ჩააქრო,
სულიერად დაქანცული
არ დაგტოვებ არ დამტოვო.

უშენოდ დღე არად მიღირს
და არც ღამე მიღამდება,
ვერა ხედავ? ვლაპარაკობ
და კაცს თვალნი მიბნელდება.

იმედი მაქვს, დავბრუნდები,
სული შვებას ამით ჰპოვებს
ცა და მიწაც რომ დაიქცეს,
არ დამტოვო, არ დაგტოვებ.
შენ იყავი, მე წავიდე და
საფლავზე დამათოვოს
/ა. ჩაგანავა, პირადი არქივი/

სადაც უნდა ვყოფილიყავ,
შენს ტრფობაში არ მაქვს კილი¹
გახსენ მკერდი, ჩამიხუტე,
გვედრი მუხლებმოდრეკილი.
(ა. ჩაგანავა, პირადი არქივი).

მათგანს. უპირველესი თემა, რა თქმა უნდა, სამშობლოს განცდა, სადაც „ხარბად ისუნთქავ იმავე ჰერს და იმავ ზეცას, დაბადების უამს დაინახე რაც პირველად“ (1,4) – და რომელიც გადარჩა „ერის შვილთა უმზევესი სულითა“ („საქართველოს“ (1,5).

იგი მტკიცნეულად განიცდის სოფლებიდან ახალგაზრდების სწრაფვას დიდი ქალაქებისკენ:
„...შვილიშვილები ეძიებენ ბედს დიდ ქალაქში,
კვდება სოფელი შენთან ერთად, კაცო კეთილო?..“

ან კიდევ:

„ბიჭები საშოვარზე ქალაქში წასულან,
რამდენმა დაგტოვა შენ ძემ და ასულმა!
ვაი, რა გვიშველის, იმითდა ვსასოობთ,
რომნიკორწმინდა ცათამდე ასულა?!“ (2,32)
1979 წელს თუ ეს საკითხი ასე მძაფრად

¹ კილი – ქართულად: ნაკლი, ზადი.

იდგა, მაშინ რა უნდა ვთქვათ დღეს, როცა მილიონ-ნახევარი ქართველი (შეიძლება მეტიც) ლუკაბაპურის საშოვნელად მთელ პლანეტას მოსდებია და მათ დაბრუნებას პირი არ უჩანს.

პოეტი ეკითხება მათ, ვინც აფეტიშებს ყველაფერ უცხოურს: „შენ რომ მსოფლიო შემოგივლია, შემოიარე შენი მამული?!”

ზემოხსენებულ კრებულებში, რა თქმა უნდა, უხვადა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სურათები წელიწადის სხვადასხვა დროს, უმეტესად კი ზღვის პეიზაჟები სჭარბობს. მათ არ აკლია არც ფერთა პალიტრა, არც მხატვრული სახეები და არც გამომსახველობა.

პოეტის განსაკუთრებული ჭვრეტის საგანია ადამიანი მისი ავ-კარგით, მაგრამ „ჩვენდა საოცრად „გაჩენილია ამ ქვეყნად რაიც, არის უბრალო ადამიანი“ (1,8), რაც ალბათ ასე უნდა გავიგოთ: უ-ბრალ-ო, ანუ ღირსეული, პატიოსანი ადამიანი, დუნია კი, როგორც იტყვიან, ჭრელია. ვის არ შეხვდებით აქ: ნიღბიანები თუ კარიერისტები, რომლებიც მხოლოდ კარიერული კიბიდან დანარცხების შემდეგ იღიმებიან ნალდად; სწობები – „ქალი, რომელიც მანქანას უვლის“, თუნუქის კოლოფის: „არ გავოცდები, ქალბატონო, რომ ამ მანქანის ძრავა საკუთარ გულში გადაინერგოთ“ (2,23). პოეტს ეცოდება სწობის კარადაში დატყვევებული დიდი ჰომეროსი.

გამოირჩევა ქართველი პოეტების – გალაკტიონისა და ტერენტი გრანელისადმი, ასევე ნიკო ფიროსმანისადმი, მოდელიანისადმი მიძღვნილი ლექსები. მართლაც, რომ გალაკტიონის საკადრისია ლექსი „გალაკტიონი“, საიდანაც ერთ ძარღვიან სტროფს მოვიყვან:

„ბრძოლის ქარცეცხლი,
ლექსთა მთაგრეხილი,
ქროლვა – აწყვეტილი,
ძარღვი – დაწყვეტილი“.

რამდენიმე ლექსი ეძღვნება საინტერესო პოეტს – სიმა ჩანტლაძეს, რომელთანაც მეგობრობდა რამაზ კუპრავა. როგორც „ლაზონა და მარგალონას“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ. მას უნივერსიტეტის პარალელურად „ჩანტლაძის აკადემიაც“ დაუმთავრებია. საერთოდ, მეგობრობის თემა გამოკვეთილია მის შემოქმედებაში,

მეგობრების წაადრევი გარდაცვალების სევდა კი უმძიმესია.

„ჩემში ხართ ყველა, უკლებლივ, მენდეთ, უდროოდ მკვდარი ყველა ძმობილი, ვარ გულდანყვეტილ ჩემი ლექსებით თქვენს სამარეზე გადამხობილი (2, 48).

რამაზ კუპრავას ახლო ურთიერთობა ჰქონია ბევრ ქართველ პოეტთან. მურმან ხურცილავა იგონებს: „გულრიფშის აგარაკზე ვენვიეთ კარლო კალაძეს ანზორ გვარამია, ლერი ალმონაკი, რამაზ კუპრავა და მე. ნარდს ვეთამაშებოდით „ძია კარლოს“ (ასე მიმართავდა მას რამაზ კუპრავა) ... რამაზ კუპრავას მეშვეობით გავიცანი სოხუმში იმხნად ჩამოსული შოთა ჩანტლაძე და ოტია პაჭორია“ („დევნილის ჩანაწერები“, „ჩემი აფხაზეთი“, 2018).

გამოსაყოფია ლექსების რკალი „უბრალო ფილოსოფია“ მარადიული თემებზე ხატოვნად გამოთქმული მოსაზრებებით: „არის დღე, რაიც არარას გვმატებს და სიცოცხლეში აღარ გვეთვლება“. ცხოვრება ჩვენი ერთად აღებულ სამყაროში სხვა არარაა, თუ არა გაელვება წამიერი“; „მოდი ხშირ-ხშირად და მის ჩრდილქვეშ (აქ ისე გრილა) სული მოითქვი... თორემ იცოდე, მოვა დრო, როცა შენ ამ მაგნოლიის ჩრდილქვეშ ვერ ჩამოჯდები“ (1,42).

არც სხვა ლექსებში იგრძნობა ასეთიაზრების ნაკლებობა: „ძალგიძეეთ უნდა არმოწყენა და ჭირთამენა... ნუ დაბერდებით წაადრევად, სიბერე მოვა“. „გრძელია წამი... გრძელი წუთი... მოკლეა უამი“ (1,41).

კრებულში შესულია წინაპრებისადმი მიძღვნილი ლექსები და არც სიყვარულის თემაა პოეტისთვის უცხო, მაგრამ მათზე ამჟამად არ შევჩერდები.

დაბოლოს, რამაზ კუპრავას ცხოვრებისეული კრედო იკითხება შემდეგ სტრიქონებში:

„იმად მოვსულვარ ამ ქვეყანაზე,
გადაუხდელი არ დამრჩეს ვალი,
ჩემი გულიდან ამოსულ ბწყარებს
აჩნდეს წინაპრის კეთილი კვალი. (2,41)
ვფიქრობ, რამაზ კუპრავას, ამ შესანიშნავ პირვერებას, არ დარჩენია არც მამულის, არც წინაპრების, არც პოეზიის და არც უ-ბრალ-ო ადამიანების ვალი.

ნანა არახამია

დალი ცაავა

ჭეშმარიტი მწერლობა ერებს შორის მე-
გობრობის პატიოსანი შუამავალია. მხატვრული
სიტყვა დღიდი საშუალებაა ხალხთა შორის მეგობ-
რობის, პატრიოტიზმის იდეების საქადაგებლად,
ამ სულისკვეთებით მიმოვიხილავ აფხაზეთში
მოღვაწე შესანიშნავი ქართველი პოეტის დალი
ცაავას შემოქმედებას. იქნებ ასე მაინც შევძლოთ
მივაწვდინოთ ხმა ჩვენს მოძმე აფხაზ მეგობრებს
ჩვენ შორის ღრმა პატივისცემის გრძნობის, მე-
გობრობის და სიყვარულის აღდგენის იმედით.

დალი ცაავა არაორდინარული აზროვნე-
ბის, მეტად საინტერესო პოეტია. იგი მოდერნუ-
ლი ავანგარდის შესანიშნავი წარმომადგენელია.

დალი ცაავა 1947 წელს დაიბადა ქალაქ სე-
ნაკში. ბავშვობა და ყრმობა ქ.სოხუმში გაატარა.
ლექსების წერაც აქ დაიწყო. სოხუმში საშუალო
სკოლის დამთავრების შემდეგ სასწავლებ-
ლად პეტერბურგს გაემგზავრა. მოგვიანებით
თბილისში ჩამოვიდა და გურამ რამიშვილის
სახელობის მე-6 გერმანულ სკოლაში რუსული
ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწ-
ყო მუშაობა.

„ღრმად განათლებული, არაორდინარული
ხასიათის, იუმორის გრძნობით, ხელგაშლილო-
ბით, გარევნობითაც და ჩატარის სტილითაც კი
გამორჩეული იყო ..სული ჰქონდა დაუდგრომე-
ლი, თვალი – მახვილი, გემოვნება – დახვეწილი,
მოსწავლებზე ამოსდიოდა მზე და მთვარე და
მიიჩნევდა, რომ ეს საქმე არანაკლებ მნიშვნე-
ლოვანი იყო, ვიდრე პოეზია.

„ცეცხლო დაიფარე,
წყალო დაიფარე,
მიწავ დაიფარე,
ბალები მზისადარი“

პირვენება, პედაგოგი, პოეტი, სიტყვის
ხელოვანი“, – ასე იხსენებენ ახლო მეგობრები
დალი ცაავას.

მისი ლექსების კრებული – „სიზმრები ტყავის
სავარძელში“ პირველად 1984 წელს სოხუმში გა-
მოიცა. მეორე კრებული – „თორმეტი კაპრიჩიო“
თბილისში 1988 წელს დაიბეჭდა, ხოლო მესამე –
„პონტოს ევესინოსი“ 2000 წელს იქნა გამოცემული

თბილისში, რისთვისაც პოეტს გიორგიშარვაშიძის
პრემია მიენიჭა.

სანამ დალი ცაავას პოეზიას შევეხებით,
მინდა ყურადღება შევაჩერო მისი, როგორც
ადამიანის, მოქალაქის პიროვნულ ლირსებაზე.
ასევე მის უზადო ნიჭისა და განათლებულობაზე.
გარკვეული პერიოდი პოეტმა იცხოვრა პეტერ-
ბურგში, სადაც იგი დაუახლოვდა და მეგობრუ-
ლი ურთიერთობები აკავშირებდა ანა ახმატო-
ვასთან, იოსებ ბროდსკისთან. ნინო ბექიშვილი
დალი ცაავას მოსაგონარ წერილში წერს : „დალი
ცაავას პეტერბურგიდან ნამდვილი სიმდიდრე
ჰქონდა წამოღებული- ანა ახმატოვას ნაჩუქარი
პატარა ჩანთა და თავისი ახლო მეგობრის იოსებ
ბროდსკის ამერიკიდან გამოგზავნილი ავტოგ-
რაფიანი წიგნები, ღია ბარათები და წერილები.
ბროდსკის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ პოე-
ტის სხვა მეგობრებთან ერთად ისიც უვლიდა და
პატრონობდა მის მოხუც მშობლებს.

ერთი ამბობდნენ, რომ ამ პოეტესას, რო-
მელიც სრულიად ნორჩი ჩავიდა ლენინგრადში
სოხუმიდან, პლატონურად უყვარდა ბროდსკი.
სხვები კი, მაგალითად, დალი ცაავას მეგობარი,
პიტერული ანდერგრაუნდის წარმომადგენელი
ელენე იგნატოვა საკუთარ მოგონებებში წერს,
რომ დალის ბროდსკი სერიოზულად უყვარდა
და მთელი ცხოვრება მასზე იყო შეყვარებული.
რომ ქართველი პოეტი ქალი ბროდსკისთან შეხ-
ვედრას თავისი ცხოვრების უმთავრეს მოვლე-
ნად მიიჩნევდა. დალი ცაავამ ბროდსკის ლექსიც
მიუძღვნა. მოკლე ხანში ბროდსკიმაც ლექსით
უპასუხა.

იოსებ ბროდსკი დიდი ინტერესით იყო სა-
ქართველოს მიმართ, ერთხელ ესტუმრა კიდეც
ჩვენს ქვეყანას. შესანიშნავად აქვს ნათარგმნი
ოთარ ჭილაძის ლექსი, „გამოთხოვება“. არ არის
გამორიცხული, დიდი რუსი პოეტისა და ამერი-
კელი ესეისტის, როგორც თავის თავს უწოდებდა
ბროდსკი, გატაცება და ინტერესისაქართველოს
მიმართ, დალი ცაავასთან მეგობრული კავში-
რითაც შიძლება ყოფილი იყო განპირობებული და
ერთგვარი შემოქმედებითი იმპულსის როლიც
შეესრულებინა ჩვენს პოეტს ამ საქმეში. თუ გა-

ვითვალისწინებთ ელენე იგნატოვას მოგონებას, სადაც ვკითხულობთ: „საქართველო ბროდსკის-თვის ძმები ჭილაძები იყვნენ და კიდევ ერთი პიროვნება – ცნობილი ქართველი პოეტესა დალი ცაავა. ეს ის დალია, ბულატ ოკუჯავას „ქართული სიმღერის მუზა რომ იყო. ლეგენდა-რულმა პოეტმა მის შესახებ დაწერა ცნობილი ლექსი „და იმღეროს ჩემთვის ჩემმა დალიმ“. ასევე იოსებ ბროდსკის დიდი სიყვარული გა-ლაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი უდავოდ დალი ცაავას დამსახურებაა. აი, რას წერს ე. იგნატოვა თავის მოგონებებში: „ბროდსკის და-უნიყი გალაკტიონის ლექსის „ცამეტი წლის ხარ“ თარგმნა, მაგრამ მეორე სტროფის შემდეგ აღარ ან ვეღარ გაუგრძელებია. დალი ცაავას სიტყვები გალაკტიონის „მერის“ ბელა ახმადულინასეულ თარგმანზე: „გალაკტიონამდე მიწვდომა ყვე-ლას უნდა, თუმცა ის ჯერ ვერავინ შეძლოო“ – საკმარისი გახდა ბროდსკისთვის, ეთხოვა დალი ცაავასთვის ტაბიძის ერთ-ერთი ლექსის სიტყვა-სიტყვით თარგმანი. სწორედ „ცამეტი წლის ხარ“ არის ის ლექსი, რომელიც მხოლოდ ერთი სტროფი თარგმნა და გაუმხილა დალი ცაავას: მთელი ღა-მე გავათიერ, მაგრამ მეტი ვერაფერი დავამატეო. დაიხ, ეს იყო იოსებ ბროდსკი, ხოლო გალაკტი-ონი ბროდსკისთვის მთელი საქართველო იყო. როგორიც თემების ესოდენ მძლავრი ნაკადი დალი ცაავას პოეტურ სამყაროში, ვფიქრობთ, რომ იოსებ ბროდსკის შემოქმედების გავლენი-თაა შექმნილი. მას თითქმის ზეპირად სცოდნია ბროდსკის ლექსები.

საინტერესოა დალი ცაავას მეგობრული კავშირი და ურთიერთობა მუსიკოს თომას პოიზერმანთან, რომელმაც კარგად შეისწავ-ლა ქართული ენა, ქართული ფოლკლორი და, როგორც ლიტერატორმა, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე ნაშრომიც გამოსცა. თომასი სვიმონიშვილების ოჯახში ხვდებოდა ხშირად დალი ცაავას, თავის მეგობარსა და ახლობელ ადამიანს. ერთად ისხდნენ და საუბრობდნენ სასიამოვნო თემებზე. ამ შემთხვევაშიც, ვფიქ-რობთ, მეტად ორიგინალური აზროვნებისა და დიდი განათლების მქონე დალი ცაავამ უფრო გაუცხოველა ინტერესი თომას პოიზერმანს ჩვენი ქვეყნის კულტურის, ფოლკლორის და ლი-ტერატურული ტრადიციების მიმართ.

დალი ცაავას დიდ ღირსებებზე მიგვანიშ-ნებს არჩილ ფირცხალავას უსათაურო ლექსიც

„და მანუგეშებს დალი ცაავა, ახლა ფილტვებით არ კვდებიან“..... ხო-ლო ლექსის დასარულს ვკითხულობთ: „.... სხვის ნიშნულ მთაზე მაინც არ ავალ, თუმცა სხვაგვარი ალი მედება... ისევ დღე, ლექსი, დალი ცაავა“. გულშიჩამნვდომია ნინო ბექიშვილის სიტ-ყვები დალი ცაავასადმი: „ის ნამდვილად გა-მორჩეული ადამიანი იყო: საინტერესო, ლრმა, განათლებული. უამრავ რამეს ასწავლიდა ბავ-შვებს ბერძნული მითოლოგით დაწყებული ბიბლიური სიუჟეტებით დამთავრებული. ჩემი შვილი დღემდე იმეორებს, რომ არ შეხვედრია „დალიმასზე“ უფრო საინტერესო, განათლებუ-ლი და მაგარი ადამიანი, რომ ყველაფერი, რაც უსწავლია, დალი მასწავლებლისგან იცის.“

დალი ცაავას ხსოვნისადმი მიძღვნილ მოსა-გონარ წერილში გურამ რამიშვილის სახელობის მე-6 გერმანული სკოლის ერთ-ერთი მასწავლე-ბელი წერს: „დალი ცაავა იყო საოცრად ახლო-ბელი და უსაზღვროდ კულტურული ადამიანი. ამიტომ მოსწონდა ყველას ამიტომ ილტვოდნენ მისკენ. ათას ქურაში გამოწრობილი მისი ხა-სიათის უცნაური შტრიხები ზოგს აცბუნებდა კიდეც. ის არ გავდა რაფინირებულ ინტელექ-ტუალებს, რომელთაც მაღალი სენტენციებით უყვართ საუბარი.

სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი ბა-ტონი ტიტე მოსია იხსენებს, „მეორე კურსის სტუ-დენტი ვიყავი და მონაწილეობას ვლებულობდი ტერენტი გრანელის პოეზიის სალამოზე. ეს ის დრო იყო, როცა გრანელზე იკრძალებოდა თავი-სუფლად საუბარი. ამ სალამოს გავიცანით დალი ცაავა მედა ჯემალ შონიამ. მონაწილეები მიგვი-პატიუა თავის ბინაში და ვსაუბრობდით მეტად საინტერესო ლიტერატურულ თემებზე. დალი იყო მეტად თავაზიანი, უზომოდ განათლებუ-ლი, სტუმართმოყვარე და პატრიოტი ადამიანი“.

დალი ცაავა საკუთარი სტილის პოეტია. ამის თქმის საშუალებას არა მარტო მისი სა-ოცრად განსხვავებული მეტად ავანგარდული პოეზია იძლევა, არამედ მისი ლექსების დასათა-ურების ორიგინალური ჩანაფიქრიც. ერთ კაპ-რიჩიოს მოყვა მეორე კაპრიჩიო, მეორეს მესამე და ასე შეიქმნა კაპრიჩიოსავით მუსიკალური პოეტის სამყარო.

კაპრიჩიო (იტალ. capriccio, სიტყვასიტყვით

ჭირვეულობა, უინიანობა), ცვალებადი ხასიათისა და თავისუფალი ფორმის ბრნყინვალე, ვირტუალური საკრავი პიესაა (ჩაიკოვსკის „იტალიური კაპრიჩო“, რომსკი-კორსაკოვის „ესპანური კაპრიჩო“). ცვალებადი ხასიათი, თავისუფალი ლექსი, დალი ცაავასთვის ნიშანდობლივი განწყობილებებით, იმპულსებით არის ნაკარნახევი. ამიტომაც ასე უხდება და ხდის ორიგინალურ-საც მის პოეზიას მხოლოდ კაპრიჩიო ლექსების სათაურად.

პლატონის აზრით, პოეტი ღმერთის „მთარგმნელი“ და განმამარტებელია: „...თვით ღმერთი მეტყველებს მათი პირით... არცერთი პოეტი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის მთარგმნელი და განმამარტებელი...“ ნამდვილად არ არის გადამეტებული, თუ ვიტყვით, რომ დალი ცაავას პოეზია ძალიან ახლოსაა ღმერთის ქადაგებასთან სიყვარულზე, კაცომიყვარეობაზე, ნამუსიანობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე...

და მაინც რაზე წერს პოეტი? რა არის მისი ლექსის მთავარი სათქმელი? როგორია პოეტი ქალის შინაგანი სამყარო? რა თემებს დასტრიალებს მისი ფიქრები? ვინაა დალი ცაავას ლექსების ლირიკული გმირი? რა საკუთარი ნიშნები უტყობა დალი ცაავას პოეზიას?

სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი წითელ ხაზად გასდევს პოეტის შემოქმედებას. „ერთი ფრთა თეთრი გაქვს, მოლალურო, მეორე კი შევი“, რა თქმა უნდა, პოეტი ქალი ამ სიტყვებით შეგვახსენებს ქვეყნის დასაბამიდან არსებულ პრობლემას – ბრძოლას კეთილსა და ბოროტს შორის. თემა, რომელიც ყველა დროის ესთეტიკოსს აწუხებდა, პოეტი ფიქრობს, რომ ბოროტება გაცილებით ზემობს ამქვეყნად, ვიდრე სიკეთე: „კაენის მოდგმავ, შენს სიხარბეს არ ადევს კლიტე,“ იმდენად მძლავრობს ბოროტება, რომ პოეტი თავის საყვარელ თუთიყუშს შესჩივის: „ვის ვუხმო სუზი-ჩემო საბრალო თუთიყუშო? ფუძის ანგელოზი სახლიდან წავიდა, ბუხარი გაცივდა,

ნაცრის ჩხრეკას აზრი არა აქვს, რადგან
საწნახელი საგსეა ჭინკებით
და ტყის დედოფალს მგელი შეუკაზმავს“.

გულისტკივილით წერს პოეტი: „და გაცვეთილი ნამუსის ქუდი გვიდევს ზანდუკში“.....„ეპლის გვირგვინი ადგას კეთილს, ბოროტს დაფნის გვირგვინი ამკობს“ ან კიდევ: „ყოველი ქვის ქვეშ მორიელი, ყოველ ხვრელში გველის წინილა იზ-

რდება დღე დღე.“ რაც უფრო ცდილობს პოეტის ლირიკული გმირი, აკეთოს სიკეთე ამქვეყნად, ბოროტებად უბრუნდება, რის გამოც შიშსა და სასონარკვეთაში ვარდება:

„შავი წყალი მოდიოდა,
შავი გველი მოყვებოდა,
ჩაკარ ხელი –
შავი გველი დავკიდე კაწანს,
ისე ჭკნებოდეს, ისე დნებოდეს,
ქალი თვალებით მოსული არსაიდან!
წითელი წყალი მოდიოდა,
წითელი ქალი მოყვებოდა
ორშაბათი იყო
ჯარა დავატრიალე
თავშესაქცევი ამწყვიტა
სამშაბათი იყო
ხვიმარში საფქვავი ჩავყარე
დოლაბი გამიხეთქა....
ოთხშაბათი იყო:
ცხენის თავი მარგილზე წამოვაცვი
მესერი დამიქცია.
ხუთშაბათი იყო:
სელის შეკრულას ცეცხლი წავუკიდე –
ჩამიქრო.
შავად გაუთენდეს წითელი პარასკევი!“

შეიძლება ითქვას, რომ პოეტის თითქმის ყველა ლექსი გაჯერებულია ცხოვრების ამაოებით, სასონარკვეთით, უიმედობით. ტრადიციის გათვალისწინებით ცდილობს ავტორი ეს თემები მოდერნული ავანგარდით წარმოაჩინოს:

„რეკენ ზარები
შიმისმომგვრელ სიმარტოვეში
იღვიძებს ჩემი მთვლემარე გონი
და სიცხიანი ქალაქის მიღმა,
ავისმეტყველი,
ძვალთშესალაგს დაჰყურებს ქარი.“

ლირიკული გმირის ტანჯვა ალუნერელია, წამება გაუსაძლისი „იტირე ჩემო ბედისწერავ, შვებაა ცრემლი“. ნუგეშისმცემელიც კი არავინაა: „და მინდობილი უსაზღვრო სტიქიონის, მე ვამშვიდებდი საკუთარ ტკივილს...“ მისი „მწუხრი ნერვადაა ქცეული“ ხოლო გულს „შემოაფექვნეს ხეჭო და ჭვარტლი“, მხარს „მძიმე ჯვარი ველარ მიაქვს“, თითები „ნერვიულად ცაცახებენ“. მზეს გადაჩვეულა გული. სევდით, ტკივილით ნასაზრდოები პოეზია არის ჭეშმარიტი პოეზია და არა მოდური ორიგინალობისთვის შექმნილი.. მაიაკოვსკი წერს: „რომ თვით სევდა

ანერინებდა ლექსებს“. გენიოსი მწერლის ეს მოსაზრება დალი ცაავას პოეტურ სამყაროზეც ვრცელდება. არატრადიციული მეთოდებით შემოსილი პოეტი საკუთარი სტილის ერთგული რჩება. ფსიქოდელიური რაკურსით იკვეთება ის მთავარი სათქმელი, რაც წითელ ხაზად გასდევს პოეტის ლექსებს, ეს ლაიტმოტივებია: სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, აფხაზეთის მონატრება, მარტოობა, სულით ობლობა, სიყვარულში უილბლობა, გაუტანლობა, ადამიანთა გულგრილობა, ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, სიცოცხლე და სიკვდილი, ტყუილი და მართალი, ოცნება და სინამდვილე, მითი და რეალობა და სხვა თემები, რომლებიც ყველა დრომი აქტუალურ თემებად რჩება. მწერლის შინაგანი ლირსება ხომ ისაა, რა მოვლენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად.

პოეტის სევდას არა აქვს დასარული:

„წვიმს უკიდეგანოდ, ნოემბრის ნისლებით დამძიმდა სხეული,

სადღაც შორისახლო ობლად დარჩენილი ტირის მოლალური...

მასაც ჩემდაგვარად ტკივა უსათუოდ და-მე - უსახური.“

ან

„იყუჩე სულო, იბობოქერე გლოვის მდინა-რევ,

ქარო აშარო გამიშალე ნარის ფარდაგი“.

„ისევ ერთად ვართ მარტოობავ ისლის კარავში, „ ეს გვიანი ფოთოლცვენაც თვით-მკვლელობას გავს“, თითქმის ყველა ლექსში მარტოობას და უიმედობას ჩივის პოეტი. სუ-ლიერი განგაშის პირობებში, „ნერვად ქცეულა მწუხრი“. დალი ცაავას ფაქიზ, მიამიტურ, და მგრძნობიარე ნატურაში მიმდინარეობდა ენით ალუწერელი სულიერი განგაში. ისევ და ისევ უიმედობის გამო „მდუმარე სამრეკლო უხატო კანკელი ალარ არს იმედი“, „მე გულგრილობის საშიშ წრეში ვზი მარტოსული. “ განხეთქილებას პოეტის სულში ინვევს ცხოვრების მწვავე საკითხებთან ძალიან ახლოს მისვლა. მწერლის შინაგანი ლირსებაც ხომ ესაა. მარტოობის გან-ცდა არ ტოვებს პოეტს:

„რა დამრჩენია?! მხრები მტკივა, ვწევარ პი-რალმა,

ჰო, მარადის იდუმალო თვალსანიერო!“

მომენატრება გათენება ნისლებს გადამა-

ისევ შლეგი ვარ და ქარივით უმეხსიერო

რა დამრჩენია?! უსასრულოდ ცივი ზამთარი,

ჩანგი მწუხარე - ხელს ჩამოვკრავ, აქვითინდე-ბა...

იტირე ჩემო ბედისნერავ, შვებაა ცრემლი...
სარგუნებელი მოირებმა უკვე გარგუნეს
აპრიალდება ერთხელ კიდევ სატანის გრდემ-ლი

და სულში დიდი მარტოობა დაისადგურებს“.

დალი ცაავას მისი ამ დიდი სევდის გამო-სახატავად თავისი ფრაზეოლოგია, საკუთარი მხატვრული მიდგომა აქვს. ზოგჯერ ეს სევდა მეტად ორიგინალურად, ბიბლიური პასაჟებით არის გამოხატული:

„ო, ლოტის ცოლო შენი სოდომი,
ვერ შეედრება ამ ტკივილს ახლა!“

აყრილი ლირსება, შიში, შიმშილი, ზნეობის კრიზისი, გულგრილობა, სამყარო, რომელიც მხოლოდ ბოროტებით და გაუტანლობითაა სავსე უფრო და უფრო უძლიერებს პოეტს სევდას. იქნება ეს რელიგიურ ჭრილში, ფილო-სოფიურად, ქრისტიანული შეკითხვის კონტექსტში თუ სხვა ფორმით გამოხატული:

„რბილხორციანი მოლუსკივით ვზივარ ნიუა-რაში

ტყავის ვეებერთელა სავარძელში და ბელადო-ნის

მწარე ნაყენით ამაოდ ვცდილობ დავიყუჩო ჩემი ხსოვნიდან დაძრული სევდა.“

დიდი ექსპრესიით გამოირჩევა კაპრიჩიო 11, სადაც უკიდეგანო სევდას, ამქვეყნიური ცხოვ-რებისგან უზომოდ დალლას ჩივის პოეტი.

მძულხარ!

სიცოცხლე ტვირთია მხოლოდ,
აღარ გრძნობს ტკივილს უკვე გულის
არც ერთი ფესვი, ...

ან:

ო, დღეის იქით,

ვარ დაწყევლილი თემის შვილი და სიკვდი-ლამდე

ქვაა ჩემი თავსასთუმალი.

ზიზღი - საბანი.

მართალია, საწუთრო პოეტისთვის არის ამაოება და ამქვეყნად, სიბრძნეს მოაქვს დარდი. უფრო მეტიც:

„ქარბორბალა აშრობს უდაბნოს.

ეკლის გვირგვინი ადგას კეთილს,

ბოროტს დაფნის გვირგვინი ამკობს.

თიბნის თარო

უკეთუ მარყუჯში გვესვრის უამი,
უმოწყალოდ გვიღარავს სახეს.“

ამიტომაც „არც სიცოცხლე, არც სიკვდილი სულს არ სწადია“, წერს პოეტი: ვთიქრობთ, ამ შემთხვევაში დალი ცავა აშკარად განიცდის ტერანტი გრანელის პოეზიის გავლენას. გრანელი მის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში „გულიდან სისხლის წვეთები“ წერს: „არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“. იქნებ პოეტი ქალის სულს სიყვარულის, „პირველყოფილი სილამაზის“ დედოფლური სამყარო უხმობდა, რადგანაც წერდა: „როცა თამამად ამბობენ მძულხარ, სად არის გრძნობა პირველყოფილი სილამაზე – სიყვარული?“

იგი დაბადებულია სიყვარულისთვის და ეს სტრიქონებიც ამის დასტურია

„შეეხე სიმებს!

დაშრეს წყარო.

ყელი-ლერწამი

და ნერვიული თითების სიცხით დაქანცე სიმი,
რომ ძველი სარკის ოთხკუთხედში გამომ-

წყვდეული

აენთოს სახე – ჩამქრალი ცვილი

შეეხე სიმებს!

დაშრეს სმენა.

ყური ნიუარა“

და შენი ყოფის უწყვეტ ნაწილად აქციე

ჩემი სახელი-დალი!!!!

ჭეშმარიტი სიყვარული ტანჯვაა, განუწყვეტელი მსხვერპლშენირვაა, და ეს განუწყვეტელი მსხვერპლშენირვა და ტანჯვა არაფრით არ ნაზღაურდება. უფრო სწორად,

ყველაზე დიდი საზღაური ის არის, ამგვარი ტანჯვის განცდის და ამგვარი მსხვერპლის გაღების უფლება რომ მოგეცა (ოთარ ჭილაძე). დალი ცაავასთვის სიყვარული მათლაც რომ მსხვერპლშენირვაა...

„მე მოგიტანე სათნობა და ვაზის ჯვარი,
რომ შენს ტაძარში

მუხლმოდრეკით შენზე მელოცა,

დაილებოდა, როცა გვემით სული – სალოსი

და უფლის ცრემლი წმინდა სანთლად აენთებოდა.

... შენი სიმების უმწარესი მე ვარ ტკივილი
და ღვთის წყალში განბანილი

შენი სიმღერა.“

ფაქტია, რომ სიყვარულის მოტივი დიდ როლს თამაშობს პოეტის ინტიმურ-მედიტაციური სამყაროს წარმოსაჩენად და უფრო გამ-

ჭვირვალეს ხდის შემოქმედის სულს. მოციქული გვამცნობს : „ნაყოფი სულისა არს სიყვარული“. პოეტი ქალისათვის ეს გრძნობაც ტრაგიკულია. აქაც ავანგარდული ექსპრესიონიზმის პათოსს ინარჩუნებს პოეტი:

„მიყვარხარ,

როცა წინ – ზვავია, უკან-მეწყერი

და ფიქრი შავი არტახებით არის შეკრული,

როცა ეშვება ცეცხლის წვიმა

ციდან მიწაზე

და ფეხშიშველი უკანასკნელ აღმართს მივყვები.
მიყვარხარ.

როცა მზე ღრიან კალს ეძებს სილაში

და სიცოცხლესთან

ბედისნერის ყრილია კენჭი,

როცა სიკვდილიც აღარ არის უკვე წამება....

სიყვარულში უილბლობას ჩივის ავტორი, რაც სასოწარკვეთაში აგდებს მას „ეს იმას ნიშნავს, რომ მერმინდელი არის წამება ჩვენი შეხვედრა“, „წარაფზე ნაკადად გადმოდის ნაღველი, თუ გზნებით დაღლილი კვლავ ჩემთან არა ხარ,“ გამძაფრებული გრძნობებით და ქალურობით არის გაჯერებული სიტყვები:

„ცისადცისადი სხივით ნაკემსი – სული დალლილი ცოდვით ცრემლებით,
საბედისნერო გზაჯვარედინთან ეთხოვებოდა სხეულს წვალებით.

ისევ უმწეოდ კვნესის გვირილა-პირქარცი, მშვიდი და უზაკველი,

„აღარ უყვარხარ!“... წუხელ გრიგალებს ჩაუმსხვევიათ თურმე სარკმელი

შემორჩენია ვერცხლის მონეტას, მხოლოდ სახელი-ცეცხლის ტვიფარი...“

ერთ დროს ყველაზე უძვირფასესი, ახლა დუმილით მოსაგონარი.“

ოცდაორი წლის შეყვარებული პოეტი ქალი კი აღიარებს:

„ოცდამეორე გაზაფხული ჯადოქრობს ჩემში,
თითქოს გულს-

თიხის უმჩატეს ფრინველს

ცხოველმყოფელი შეეხო ხელი,

ალბათ სამყაროს პირველი დილა იყო ასეთი – უზენაესი და დიდებული...“

ეჭვებით შეპყრიბილი უცნაურად ცდილობს ავტორი გაერკვეს:

„ვუყვარვარ?“...

„არ ვუყვარვარ“?

თეთრი ცრემლები სცვივა გვირილას.“

მედიტაციას, ინტიმურ ლირიკას ანიჭებს

უპირატესობას პოეტი და მისეული მუსიკალობითა და წერის მეტად თავისითავადი მანერით არგებს მოდერნულ ავანგარდს მის სათქმელს.. ეს ეხება პოეტის თთქმის ყველა ლექსის, მაგრამ განსაკუთრებული ექსპრესია ჩანს სიყვარულის თემაზე დაწერილ კაპრიჩიოებში.

„დაბნელდი მზეო!

დღეს ჩემს გულში გაჩეხილ ნაპრალს აკმარე
მისი მხურვალება,

ცეცხლს იმქვეყნიურს

რომ მუჭა ღვერფლი მაინც გადარჩეს“

პოეტი უყვარს, როცა „გონი ტყვევა“, როცა „სუნთქვაა უმწეო“, უყვარს ფოთოლცვენის და მარტოობის დროსაც... და მაშინაც როცა... მზე ღრიანკალს ეძებს სილაში

და სიცოცხლესთან ბედისნერის ყრილია კენჭი
როცა სიკვდილიც აღარ არის უკვე წამება

და ვით ფესვები ნამეხარ მუხას

შუბლს დაზღმურდული,

აღარ სტკივა უკვე ძარღვებში“.

აფხაზეთის თემატიკას ქართველი მწერლების მხატვრულ მემკვიდრეობაში ხშირად ვხვდებით, მაგრამ ამ წალკოტ მხარეს ნაზიარებ ქართველ პოეტთა შემოქმედებაში ეს თემა მეტად განსხვავებული ექსპრესითაა წარმოჩენილი. მათ აფხაზეთის გარეშე სუნთქვაც და შესაბამისად არსებობაც უჭირთ. მათი სულითობლობის მიზეზი აფხაზეთია. ლექსები, რომლებიც შეტანილია პოეტის უკანასკნელ კრებულში „პონტოს ევქსინოსი“, სწორედ ამ თემას ეძღვნება – აფხაზეთი. (შავ ზღვას ძველი წელთაღრიცხვის მექექსე-მეხუთე საუკუნეებში ბერძენი ზღვაოსნები უწოდებდნენ პონტოს აქსინოს. (pontos axeinos) სიტყვასიტყვით – არასტუმართმოყვარე ზღვა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან პონტოს ევქსინოს (pontos evxeinos) მოიხსენიებდნენ, როგორც სტუმართმოყვარე ზღვა).

განსაკუთრებული სიყვარულით და ეროვნული ძალისხმევითაა გაჯერებული ლექსები აფხაზეთზე. დალი ცაავას პოეზიაში იმდენად ჩქეფს ეროვნული სისხლი და იმდენად ძლიერია აფხაზეთის მონატრების გრძნობა, რომ ამ მოტივზე შექმნილი ლექსები განსაკუთრებულად ამახსოვრდება მკითხველს. ნიჭიერი ხომ ის მწერალია, ვისი ნანარმოებებიც რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, კიდევ სურვილს აღვიძრავს ახლად წაიკითხო, სწორედ ასეთი ლექსები აქვს პოეტს მიძღნილი აფხაზეთისადმი.

აქაც უსაზღვროა პოეტი ქალის სევდა

: „სულს ამძიმებს აგვისტოს ფერფლი

და გარდაცვლილ ქალაქთა ძილი –
ლეთარგიული.

ასე იწყება ალბათ ვარამი,

როს დამარცხებულ ლაშქარს დახრილი
მოაქვს ალამი

და უშენობით სავსე ლამეში არ არის სულ-
თქმა.

ასე იწყება, სიმღერა უკანასკნელი.“

დროის უხეში ხელიც კი ვერას აკლებს
ხსოვნაში ჩარჩენილ აფხაზეთს. გულისტკივი-
ლით წერს პოეტი:

როგორ მენანება.... ზღვა და ქოსაგარზე ქოხი-
ბალაგანი,

დაუბრუნებელი თეთრი ხომალდების მშვიდი
ქარავანი,

მთვარით მონუსხული ფიქრი ვარსკვლავებზე
მაღლა მაბუდარი

ვაი...იანვარი...ბედი, ნათელივით შუა გადამ-
ტყდარი

დავთმე, ვინც მიყვარდა... განა მკურნალია
დროთა მდინარება?!

ახლაც სასწაულის ჩუმი მოლოდინით სუნ-
თქავს მონატრება

სადღაც შორიახლო ობლად დარჩენილი ტირის
მოლალური,

თეთრო იალქანო, ნუთუ გათენდება ღამე უსა-
ხური?!”

ერთ ამოსუნთქვაში იკითხება თითქოს ლექსი,
რომელიც პოეტმა მიუძღვნა თავის
სამშობლოს.

„შენ ხარ საწყისი ყველაფრისა, ყველა ნაყოფი
ჩასახულია შენს წიაღში და კურთხეული –

სრულყოფილია შენი სახის ხუთივე ხატი
პირველყოფილი შენ ხარ სიჩუმე
და როგორც ბალლი მთვარის მოვანებისას
შობილი

არის უმწიკვლო შენზე სიმღერა.

და ყველა სიმი ხმა შეწყობილი.

მზე შენით ჩადის და სისხამ დილით,

როგორც ზამბაკში მარგალიტის გამოღვიძება
ჩაუქრალია მისი კაშკაში..”

აფხაზეთისადმი უსაზღვრო სიყვარულითაა
გაჯერებული კაპრიჩი 23, რომელიც ქართული
ენისა და ლიტერატურის ამაგდარ პედაგოგს
თამარ გუჯაბიძეს მიუძღვნა პოეტმა. ლექსი გა-
მოირჩევა ემოციური ზემოქმედების საოცარი
მუხტით. დალი ცაავა თთქმის ყველა ლექსეში

ნიგნის თარო

ახერხებს ააფორიაქოს და გამოალვიძოს მკითხველის შინაგანი სამყარო, გააქტიუროს მისი ფსიქიკა. ამას პოეტი „საკრამიტე თიხაში აზელილი შავნალველის“ წრფელი გადმოცემით აკეთებს.

...რას მღერის ალი-ნაკვერჩალზე მროკავი
ამორძალი,

როცა გავლილია უკვე ნახევარი ტევრი ცხოვრებისა,
მოდის ქარავანი და ნაქესკნელარი ფიქრი ბაირალებს
შლის, რომ დამიამოს ზურგი ნაშოლტარი,

მტკივა უსასრულოდ ყველა განშორება, ყველა
პაემანი

სიმზე დამსხვრეული ლამე სიზმარია,
მთვარე კეთროვანი.

რას მღერის ქნარი – ნიფულის ტოტი ოხვრით
ჩამომხმარი,

როცა მდუმარეა ქარი-ოქროპირი ცა-
განუჭვრეტელი,
დღეა დღეთაგანი, არსით ნუგეშინის ალარ ჩანს
მცემელი,
იქ სადღაც, ოდესალაც ზღვა იყო მღელვარე
და ყოველ ცისმარე, ზვირთებს მოაპოდა თეთრი
იალქანი.....

სიმზე დამსხვრეული ლამე სიზმარია,
სული კიდობანი.“

პოეტის „დამძიმებული სხეული“ ობლად
დარჩენილი მოლალური, „თეთრი ხომალდების
მშვიდი ქარავანი“, ხსოვნაში ჩარჩენილ ტკივი-
ლად აფხაზეთი არ აძლევს სიმშვიდეს პოეტს და
სულის შემაშფოთებელი მონატრებით წერს იგი:
„მე იქ ვცხოვრობდი, ფინალზე მეგო ჭილოფი,
მქონდა სამშობლო და სალბუნიც ჩემი სამყოფი,
ამოდიოდა ზღვის ქაფიდან მთვარის ქალღმერთი,
მძულდა, მიყვარდა... შორეული... ის... ერთადერთი.“

„როგორც ჩანს, სამშობლო ისაა, ურომლი-
სოდაც სიცოცხლე არ შემიძლია. (ნ. დუმბაძე)
ეს სიყვარული, ეს განცდაა საოცრად მძაფრი
ემოციებით და ძლიერი ექსპრესით ნათქვამი
პოეტის სიტვებში :

....ტირის თებერვალი, მხოლოდ სიზმარია
თეთრი მაგნოლია,

ქარის აგონია აფრებს გადაედო, თითქოს ალ-
სასრული

გარდაუვალია, თითქოს ჯოჯოხეთის შავი
ჭიშკარია

პონტოს ევქსინოსი...

... წვეთავს სიმაღლიდან შხამი სისხლისფერი,
სიმი, სიყვარულით

გულში ანაუდერი ჩანყდა, ჩაიფერფულა მხარე
საზღაპრისი.

ჩემი აკვანია მკვდარი ოაზისი. მღერის იავნანას
ქარი კუდიანი.

ო, ანა მარია... ტირის თებერვალი...

პოეტს უნდა დაბრუნდეს მის აფხაზეთში, მის
ბუდეში, სადაც გაიზარდა, სადაც დატოვა მშობ-
ლიური სახლ-კარი. მაგრამ იცის, მისი ნატვრა
მშობლიურ ქალაქში დაბრუნებაზე აუხდენელ
ოცნებად რჩება, სწორედ ეს აგდებს პოეტს სა-
სოწარკვეთაში:

„ვიცი ბრუნდება ყველა ბარტყი ბუდის ძა-
ხილზე,

მაგრამ სადაა ჩემი ბუდე ან სამარტვილე?!"

ყველა პოეტის მხატვრულ მემკვიდრეობაში
არის ლექსები, რომლებიც განსაკუთრებულად
მოგწონს და ასევე განსაკუთრებულად გამოხა-
ტავს მისი პოეტის მთავარ სათქმელსაც და სუ-
ლის სულში ჩადებულ იდუმალებასაც. ერთ-ერ-
თი ასეთი ლექსთაგანია კაპრიჩიო 30. ამ ნოტაზე
მინდა დაგასრულო საუბარი აფხაზეთის თემაზე,
რომელიც უდიდესი ტკივილის და სევდის მიზეზი
იყო დალი ცაავასათვის.

„ასეა, ცოდვილ ვარ ნინაშე უფლისა, ქალი ქა-
რაფიდან,

ბედი მაქვს პოეტის, სანთელ-საკმეველი სხვისი
რაღად მინდა,

ვებრძვი ქარბორიებს, ნიშანდადებული შეგირდი
მთვარისა,

ურჩი და უგრეხი ძირით ძირობამდე კოლხური
გვარისა.....

ზღვა დამესიზმრება, წამით გაცხადდება არე
ბბუნდოვანი,

მზერას დაატყვევებს მოსული სხვაგნიდან უცხო
კიდობანი.“

და მაინც სიკეთისა და სინათლისათვის
იბრძვის პოეტი. ამ ბრძოლაში მისი იარაღი
სიტყვაა. ამიტომ სრულიად გასაგებია პოეტის
მუდარა „იყავ სიტყვაო ჩემო, მყარი და ურყე-
ვი-კლიტე და ბოქლომი“. ეს სტრიქონები ჩვენი
ფოლკლორიდანაა და წარმოადგენს ხალხური
შელოცვის რემინისცენციას.

დალი ცაავა არა მარტო ძალიან შთამბეჭ-
დავი და ორიგინალური ხედვის გამორჩეული
პოეტური სახეა თანამედროვე ქართული პოე-
ზისა, არამედ იგი მეტად განსწავლულია მითო-
ლოგიაში, კარგად იცნობს ჩვენს ფოლკლორს,
ავლენს უზადო ცოდნას ბიბლიისა. დალი ცაავა

აგრძელებს ბიბლიური სიმბოლიკის ტრადიციას, რაც აისახა ვ.ბარნოვის, გ.რობაქიძის გ.ლეონიძის, გ.ტაბიძის და სხვათა შემოქმედებაში. დასტურად მოგვაქვს მაგალითები როგორც ბიბლიური გმირებისა, ასევე მითოლოგიურ და ფოლკლორული სამყაროს სახე პერსონაჟთა გალერეადან. „საწნახელი სავსეა ჭინკებით“, „ტყის დედოფალს მგელი შეუკაზმავს“. „ალქაჯების ჭრელი მარაქა“, „ელდორადო ოქროსფრად წვავს ჰორიზონტს“

....„და ასფურცელას ვუფევ იარებს“, „სირიუსი ნათობს მაღალი“, ტოვებს წიაღს წმინდა ნილოსი, „ქალაქთა ძილი ლეთარგიული“, „ჯადობაზის ცივი პროფილი“, „პატონო კაიაფა“, „აბელის კრავები“, „არიადნას ძაფის გორგალი“, „ყვითელ ჰორიზონტზე ამოსულ ეფემერას“, „სამოთხის ვაშლი“, „თავსაფარი ვერონიკასი“, „ლევიათანის ხახა“, „პოსეიდონის მკაცრი სამკაპი“, „არონის კვერთხი“, „ლოტის ცოლი“, „დემონი ყვავი“, „კაენის მოდგმა“, „შეკრთა ედემი“, „სატანის პირმშო“, „დავითის ქარი“, „ტირის სემირამი“, „მონა ალასფერი“, „გორგონა გრძნეული“, „სატანის გრდემლი“, „კასიოპეა-უნუგეშო ცის სახსოვარი“, „მესმის სუნთქვა ზევსის ასულთა“, „ლერთები ხელმეორედ სჯიან იკაროსს, „მონახულე კითერიავ ჩემი კუნძული“.

საგულისხმოა დალი ცაავას მხატვრული სამყარო, სადაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს ავტორის მეტაფორული სახეებით აზროვნების არქიტექტორიკა. დიდი მოაზროვნე არის ტოლელე ცდილობდა გაერკვია ენის მხატვრული შესაძლებლობების არსი. იგი წერდა: „თუ სათქმელი შედგება მეტაფორისაგან, იგი გამოცანაა, სწორედ გამოცანის ხარისხი ქმნის მეტაფორის შინაარსის გაგების სირთულეს. არის ტოლელეს ეს ნათქვამი ჩვენს პოეტზეც ვრცელდება. იგი მეტაფორას იყენებს არა ფერადოვნებისთვის და კეკლუცობისთვის პოეზიაში, არამედ მისი ყოველი მეტაფორული სახე გააზრებული და გრძნობებით დატვირთულია. ლირიკული გმირის სულიერების და ემოციურობის გამოხატვის დატვირთვის მატარებელია. მოგვეხსენება ლიტერატურა სახეებით საუბარია, ხოლო გასა-

ლები ლიტერატურისა, ძირითადად მეტაფორის აზროვნებაშია მოქცეული. ასეა ჩვენი ავტორის შემთხვევაშიც. გთავაზობთ ნაწილს ამ პოეტური სამკაულისა, რაც ასე ამშვენებს და ორიგინალურს ხდის პოეტი ქალის პოეზიას. „მთვრალი კაქტუსი“, „ყრუ-მუნჯი ფასკუნჯი“, „ქარის იავნანა“, „თებერვლის ტირილი“, „ქარი კუდიანი, „ვარამის მდინარე“, „უამი აფთარი“, „წყვდიადის ყვავილი“, „ველური სიზმარი“, „გლოვის მდინარე“, „აშარი ქარი“, „ხსოვნის ყვავილი“, „ქარი ურჯუკი“, „გული ზანდუკი“, „მკვდარი ორქიდეა“, „მზე კინოვარი“, „ცეცხლის გვირგვინი“, „სმარავდის თვალებით“, „ბერწი ყვავილი“, „ნარღვნის ქარები“, „ლურჯი ფრინველი“....

ამდენად, პოეტი მხატვრულ სამკაულებს იყენებს მკითხველზე ემოციური ზემოქმედები-სათვის და საშუალებას გამოაღვიძოს მკითხველის შინაგანი სამყარო:

გააქტიუროს მისი ფსიქიკა, გამოიწვიოს მასში თანაგანცდა და შესაბამისად ექსპრესიული ეფექტი, რასაც შესანიშნავად ფლობს ჩვენი პოეტი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დალი ცაავას პოეზია მისი ინელექტუალური უნარების კომპლექსია პოეტურ პრიზმაში ორიგინალურად წარმოჩენილი. მისი პოეზია ელოდება ლიტერატურულ კრიტიკას, მომავლის პრეროგატივაა ამ შესანიშნავი, მეტად ორიგინალური პოეტის პოეზიის კომპლექსურად შესწავლა, რაც ბევრ ახალ პლასტი წარმოაჩენს თანამედროვე სალიტერატურო სივრცეში. დალი ცაავას პოეტური შემოქმედება მომავალში ელოდება თავის ღირსეულ წამკითხველს, შემთასებელს და დიდ აღიარებას, რასაც წამდვილად იმსახურებს.

ჩვენ კი საუბარი გვინდა დავასრულოთ პოეტის უახლოესი მეგობრის იოსებ ბროდსკის სიტყვებით: „ჩვენ მივდივართ, სილამაზე კი რჩება, ჩვენ მომავლისკენ მივემართებით, სილამაზე კი მუდმივი ანძმყოა.“ ეს სიტყვები ნამდვილად ვრცელდება დალი ცაავას პოეზიაზე, რომელიც ყველა დროის ადამიანისათვის იქნება... „სილამაზე მუდმივი ანძმყოსი.“

ჯევაზ შონია



ეს წიგნი გახლავთ მეორე, შევსებული გამოცემა ავტორის წიგნისა „ინეზა“, რომელიც რეზო ხარებავამ გარდაცვლილ მეუღლეს – ინეზა გოშუა-ხარებავას უძღვნა. მეუღლის დაკარგვიდან, 2014 წლიდან დღემდე ბატონი რეზო თავის თანამეცხედრეზე, ცხოვრების უპირველეს და უებრო მეგობარზე დარდითა და ფიქრით ატარებს ყოველ დღეს, ყოველ საათს, უვლის და ეფერება საყვარელი არსების ხატებას, მის სიყვარულს – ცალად დარჩენილს, მაგრამ მაინც ძველებურად ძლიერსა და გაუნელებელს. სწორედ ამიტომ დაარქვა მან თავის ახალ წიგნს „ინეზას სიყვარული“.

ძნელია ახლობელ და საყვარელ ადამიანთან განშორება. იგი ყველაზე მძიმეა ცალად დარჩენილი მოსიყვარულე მეუღლისთვის. როგორც ბატონ რევაზ ხარებავას, ამ გაუტეხელ, შეუდრეველ, ჭირთამთმენ და მართალ კაცს სამეგობროში ამოოხვრით აღმოხდა, ის ცოცხლობს და არა ცხოვრობს. დიახ, ეს სავსებით ბუნებრივია. მან დაკარგა მეგობარი, ცხოვრების თანამგზავრი და მოსიყვარულე მეუღლე. იგი დაიარება თვალცრემლიანი, ყოველდღე ელოლიავება ინეზას საფლავს, ეფერება მარმარილოს ქვაზე გამოსახულ სურათს... ძველთაგან თქმული შეგონებისა არ იყოს, თურმე სიყვარული რომელიმე მიჯნურის გარდაცვალების შემდეგ კი არ ქრება, არამედ პირიქით, უფრო ძლიერდება და წმინდა ხდება; იგი იძინებს და იღვიძებს მასზე ფიქრით, ხმამალობაც ბევრჯერ გაუმეორებია: „ასე იქნება

რედაქტორისაგან

(რევაზ ხარებავა, „ინეზას სიყვარული“)

მანამ, სანამ ინეზას იმ ქვეყნად არ მახილვებს ჩემი წუთისოფლის გზის დასალიერი.“


ინეზა გოშუა ზუგდიდის რაიონში დაიბადა, ბავშვობა მშობლებთან ერთად წალენჯიხაში გაატარა. ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე ჩაირიცხა, ისწავლა, იღვანა...“

ასე შეიძლება მის ბიოგრაფიულ ჩანაწერებში ჩვეულებრივ ამოიკითხოთ, თუმცა მან უფრო შთამბეჭდავი, წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოებაში, წაცნობ-მეგობრების, ახლობლების, ოჯახის წევრების ხსოვნაში. ეს კარგად ჩანს მეუღლისადმი გულწრფელად მიძღვნილ ამ წიგნში.

როცა რევაზ ხარებავას და ინეზა გოშუას თანაცხოვრების ტკივილიანი, ბევრისთვის უცნობი ეპიზოდების შესახებ აღალ მოგონებებს კითხულობ, თვალს ცრემლი მოადგება, პირად ურთიერთობებზე უთუოდ დაფიქრდები, დაგეუფლება თანაგრძნობის განცდა და მოუფრთხილდები იმ დიდ გრძნობას, რომელიც მარადიული სიყვარული ჰქვია.

ბატონი რევაზი წინათქმაში წერს, არ ვფლობ ადამიანის სულიერებისა და ფაქიზი გრძნობების აღწერის ფსიქოლოგიურ ხელოვნებას, არც მწერლობაში ვარ

გაწაფულიო, თუმცა ღვანწლმოსილ მეცნიერს პირადი გრძნობების გადმოსაცემად კალამი მშვენივრად უჭრის-მის გულწრფელიბას, განცდათა სიღრმეს იოტისოდენა შელამაზება არ ურევია, ყველაფერი უშუალო, ბუნებრივია და სავსეა სითბოთი, რომელსაც ქალბატონი ინეზა უთუოდ იმსახურებდა. ამით რევაზ ხარებავამ მეუღლის სახელი სამარადისოდ უკვდავყო.



ინეზა
სიყვარული

კუკური ფიზია

კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა
და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი

მეგრული (იბერიული) ბგერა-სიტყვები – ეპრაული ასოციაციის შექმნის საფუძვლი

ცნობილია, რომ მნიშვნელობის მქონე მორფემები, ანუ სიტყვები წარმოადგენენ გარკვეული მიმდევრობით დალაგებულ, მნიშვნელობის არმქონე ფონემების, ანუ ასობგერების ერთობლიობას. ე.ი. სიტყვის შემადგენლობაში არსებული ასობგერები, ცალცალკე, მნიშვნელობის მატარებელი არ არიან, მაგრამ ერთობლიობაში ქმნიან მნიშვნელობის მქონე სიტყვებს. ეს ჭეშმარიტად ასეა, მაგრამ შეუძლებელია, დამოუკიდებლად აღებული თანხმოვანი ბგერა რომელიმე ერის წარმომადგენელმა წარმოთქვას ირაციონალური, ნახევარხმოვანი გ (მ) ბგერის თანხლების გარეშე. ამიტომ, როგორც მამანტი ძაბამია აღნიშნავს, საოცრად სადაგია, რომ არახმოვან ბგერას თანხმოვანი ჰქვია. ე.ი. დამოუკიდებლად გამოთქმული თანხმოვანი ბგერები წარმოადგენენ თანხმოვანი ფონემისა და ნახევარხმოვანი გ (მ) ფონემის ერთობლიობას.

აღნიშნული ჭეშმარიტების საფუძველზე თანხმოვანი ბგერები, ცალკე, დამოუკიდებლად გამოთქმული, იბერიულ ენაში სრული მნიშვნელობის მქონენი არიან. ამიტომ თანხმოვან ბგერებს, დამოუკიდებლად გამოთქმულს, ბგერა-სიტყვებს ვუწოდებთ. მაგრამ ბგერა-სიტყვები ფიგურირებენ დედამიწაზე მხოლოდ ერთადერთ მეგრულ(იბერიულ) ენაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჯერჯერობით, ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია, რომ რომელიმე სხვა ენაში თითო თანხმოვით გამოხატული სიტყვები ფიგურირებდეს. ენათმეცნიერების ინსტიტუტში მითხრეს, უდურ ენაში არისო, მაგრამ არ დადასტურდა.

მთელი საოცრება და საინტერესო ისაა, რომ ამ იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახულია ის ლვთიური თვისებები, რომლებმაც ორფეხა ველური ცხოველი, რომელსაც თავიდან გაბმული ზმული შემულის გარდა არაფერი შეეძლო, მოაზროვნე არსებად, ადამიანად აქცია. მეორე საოცრება კი ისაა, რომ ეს ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები (ბგ, გგ, დგ,

ვგ, ზგ და ა.შ., ტყვ, ჩხ, ჭყვ, ჯლ, რტყვ, რჩხ და ა.შ.) უზენაესი შემოქმედის ფიზიკურმა გამოვლინებამ – ბუნებამ უკარნახა ორფეხა ველურ ცხოველებს. ველური წინაპრები კი თავიდანვე ჩადებული ლვთიური ნათელით (მოდით, ასე ვუწოდოთ) აღიქვამდა, იმახსოვრებდა, იმეორებდა და საგნებსა და მოვლენებს იმას არქევდა, რა ბგერასაც და ბგერათა კომპლექსებს ესა თუ ის საგანი ან მოვლენა გამოსცემდა. თვით ამ ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების მნიშვნელობების მიღების საფუძვლებსაც ბუნება კარნახობდა ორფეხა ველურ ცხოველს და ყველაფერი ეს ასახულია ე.წ. მეგრულ ენაში. მაგ., როცა მყუდრო გარემოში თოვს და თოვლის ფიფქი თავზე და მხრებზე გვეცემა, გავიგონებთ ბგერას თვ-თვ-თვშდა ა.შ. [თვ/თვგზმეგრულად ნიშნავს თოვა-სა; ასევე, როცა ხე, ან გრძელი ხის მორი წაიქცევა, მისი მიწის სწორ ზედაპირზე გართხმისა და გაწოლის მომენტში გავიგონებთ ბგერას ჯვევა. ამიტომ თავიდან ხეს ეწოდა ჯვე, ხოლო გ ბგერის გახმოვანების შემდეგ ჯვა ჰქვია. აღსანიშნავია, რომ ირაციონალურ \(ნახევარხმოვან\) გზგბგერას აქვს მიდრეკილება სრულად გახმოვანებისაკენ და ხმოვანდება ხმოვნებით ა, ე, ი, ო და უ-თი. მსგავსად აღნიშნულისა, ყველა ბგერა-სიტყვისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების სახელდებანი და მნიშვნელობები მიღებულია ამ ბგერებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების გამლებრეალობებზე ხმაბაძვით.](#)

ყველაფერი ეს დამადასტურებელია იმისა, რომ იბერიული ენა ადამიანინდელი, კაცობრიობის დასაბამისდროინდელი ენაა. გარდა ამისა, არსებობს ბევრი სხვა მტკიცებულება, რომლებიც ადასტურებენ იბერიული ენის პირველადობას, რაც კარგად ჩანს მ. ძაბამიას შრომებში.

მოგეხსენებათ, რომ ასონიშნები წარმოადგენენ ფონემების, ანუ მნიშვნელობის არმქონე ასობგერის აღმნიშვნელ გრაფიკულ გამოსახუ-

კუკური ფილია

ლებას და შეუძლებელია ისინი რაიმე თვისების მატარებლები იყონ. ასევე, მოგეხსენებათ, რომ არსებობენ ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერები, მაგრამ ძირითადი სამეტყველო ბგერები ყველა ენისათვის დედამიწაზე ერთია, ხოლო ბგერების აღმნიშვნელი ასონიშნები სხვადასხვა ენისა და დამწერლობისათვის სხვადასხვაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნებისგან ნაკარნახევი ბგერა-სიტყვებისგანაა მიღებული სამეტყველო ბგერები და ამდენად ისინი ღვთიური წარმოშობისაა, ხოლო ამ ბგერების აღმნიშვნელი ასონიშნები, რა თქმა უნდა, ღვთის ნებით, მაგრამ ადამიანის შექმნილია და, გამორიცხულია, რომელიმე დამწერლობა ღვთიური წარმოშობისა იყოს.

აკად. თამაზ გამყრელიძეს თავის ნაშრომში „წერის ანბანური სისტემა და ძეველი ქართული დამწერლობა“ განხილული აქვს ორიგინალური დამწერლობანი და აღნიშნავს, რომ როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ცივილიზაციებში ზოგი უუძველესი ორიგინალური დამწერლობანი ღვთაებრივი ძალის პროდუქტად არის მიჩნეული, მაგრამ ცივილიზებული სამყარო-სათვის დამწერლობის ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ წარმოდგენები უცხოა და ასეთ წარმოდგენებს „ფანტასტიკურს“ უწოდებენო. არადა, აშკარაა, რომ იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახული ადამიანური თვისებებისათვის გამოუგონებიათ პირობითი გრაფიკული ნიშნები და იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახული თვისებების მიხედვით შეუქმნიათ შესაბამისი ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნები. ე.ი. თავიანთი ასონიშნებისათვის მიუნიჭებიათ შესაბამისი იბერიულ ბგერა-სიტყვაში ასახული თვისებები და ასონიშნები „თავიანთი თვისებებით“ აღფავიტური რიგის უკუმიმართულებით, ვითომ, მიდიან შემოქმედთან, წარმოუდგენენ, „თავიანთი თვისებების“ უპირატესობას და თითოეული მათგანი თხოულობს მისი თვისებებით შექმნას სამყარო და ეს პროცესი და თვისებები ისეთი სიზუსტითაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ოღონდ თავისებური კაბალისტური ინტერპრეტაციით, რომ ამ პროცესისა და თვისებების სიღრმისეული ანალიზი და გაცნობიერება სულიერი განვითარების გზაზე დააყენებს ადამიანს.

არცერთ სხვა ენაში, გარდა იბერიულისა

(ე.წ. მეგრულისა), მათ შორის ებრაულშიც, არ არის თითო თანხმოვნით გამოხატული სიტყვები (ებრაელები და, საერთოდ, სემიტური ენები დამწერლობაში სონანტებს (ხმოვან) ბგერებს არ ხმარობენ, მათი დამწერლობა კონსონანტურია.

მაში, საიდან შეეძლოთ ებრაელებს აეღოთ ასონიშნებისათვის მინიჭებული თვისებები, თუ არა იბერიულ ენაში არსებული შესაბამის ბგერა-სიტყვებში ასახული თვისებებიდან?

ებრაულ ალფავიტში ბოლო ასონიშანია ტ(გ), სახელდებით ტავ. პირველი წარსდგა (თურმე, კ.ფ.) შემოქმედის წინაშე ასონიშანი ტავ-ი და თქვა: „სამყაროს მპყრობელო! კარგია და შეგეფერება ჩემით შექმნა სამყარო, რადგან მე ვარ შენი ბეჭედი, რომელიც იწოდება ჭეშმარიტებად და თავდება ასონიშნით „ტავ“. ამიტომ იწოდები შენ თვითონ ჭეშმარიტებად და ამიტომ შეგეფერება მეფეს სამყაროს შენება ჩემით და ჩემი თვისებებით“. შემოქმედი პასუხობს: „ლამაზი და პირდაპირი ხარ შენ, მაგრამ შენით ვერ შევქმნი ჩემს მიერ ჩაფიქრებულ სამყაროს, რადგან შენ ეწერები შუბლზე ჭეშმარიტად მონამე პირებს, რომლებიც შეასრულებენ თორას ალეფ-დან ტავ-ამდე და იმათ შუბლზე, ვინც შენს გამო დაიღუპებიან, ანუ სიტყვა „მავეტ“ (სიკვდილი) შენით მთავრდება“. ე.ი. წმინდა მონამენი შენი სიმკაცრის გამო დაიღუპებიანო. ტავ-ის „თვისებების“ გამომხატველი აქ მოტანილი არგუმენტები ბევრად სუსტია იბერიულ ბგერა-სიტყვებში ტგ ასახულ არგუმენტებთან შედარებით, რადგან ტ-თი დამთავრებულ სიტყვებში ემეტ (ჭეშმარიტება), მავეტ (სიკვდილი) და პლუტ (განთავისუფლება) ასონიშანი ტ ისევე ვერ განსაზღვრავს ამ სიტყვების მნიშვნელობას, როგორც ამ სიტყვებში შემავალი დანარჩენი ასონიშნები, რამეთუ ამ სიტყვებში შემავალი ნებისმიერი ასონიშნის ამოღება ისევე უკარგავს აღნიშნულ სიტყვებს მნიშვნელობას, როგორც თვით ტ-ს ამოღება. რადგან აღნიშნულ სიტყვებში შემავალი ბგერები და მისი აღმნიშვნელი ასონიშნები თანაბარი მნიშვნელობისაა.

როგორი სურათია იბერიულ ენაში?

იბერიულ ენაში ბგერა-სიტყვას ტგჩაქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1) ტგჩ// ტოვა-ს; მაგ., „ჭკვერი კოჩიქ ნათელი კვალი დი-ტგ“ (ბრძნეკაცმა ნათელი კვალი და-ტოვა); 2) ტგჩ// ტევა-ს. მაგ., „ლეხიქ შური გო-ტგ“ (ავადმყოფმა

სული განუ-ტევა); 3) **ტგ // შვა-ს.** მაგ., „ბალანაქ ჩიტი გოუ-ტგ“ (ბავშვმა ჩიტი გაუ-შვა); 4) **ტგ // არჩინა-ს.** მაგ., „გიორგი მაყალე ღურას გინა-ტგ“ (გიორგიმ მეგობარი სიკვდილს გადა-არჩინა); 5) **ტგ // ცური.**

როგორც ვხედავთ, იბერიულ ენაში ბგერა-სიტყვა **ტგ-ს** ყველა მნიშვნელობა **ტოვა, ტევა, შვა** და **არჩინა** ხილვადი რეალობებია და ოთხივე შემთხვევაში ნივთმტკიცებულებებთან, ანუ აბსოლუტურ ჭეშმარიტებებთან გვაქვს საქმე. ასევე, აღსანიშნავია, რომ ებრაული სიტყვების **ემეტ** (ჭეშმარიტება), **მავეტ** (სიკვდილი), და **პდუტ** (განთავისუფლება) ეტიმოლოგიას ვერ არკვევს ებრაული ენა, რადგან მათ ენაში არ არის თითო თანხმოვნით გამოხატული სიტყვები, ხოლო ეს ებრაული სიტყვები უნდა წარმოადგენდეს სრულყოფილი იბერიული წინადადებების შეკვეცილ ფორმებს: **ე, მექ] ტ[გ** (ე, მეტ ტოვა); **მაქ] ვეზტ[გ]** (მეტ ვაება ტოვა); **პ[გ] დ(ო) ტ[გ]** (მყო და მშვა), რომლებიც ზემოთ მოტანილი ებრაული სიტყვების სრულ მნიშვნელობას ადასტურებენ.

წარსდგა ასონიშანი **შ(შ)** სახელდებით შინ შემოქმედის წინაშე და უთხრა: „**სამყაროს მპყრობელო, მე შემეფერება სამყაროს შექმნა, რადგან ჩემით იწყება შენი სახელი „შადაი“.** უპასუხა მას შემოქმედმა: **თუმცა შენ კარგი, ლამაზი და მართალი ხარ, მაგრამ რამდენადაც სიტყვა „შექერის“ (სიცრუის) თვისებებმა აგიყვანეს შენ, არ შემიძლია შენი თვისებებით შევქმნა სამყარო, იმიტომ რომ „შექერი“ (სიცრუე) არსებობს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ასონიშნებმა ქოფ-მა და რეშ-მა აგიყვანეს შენ“.**

ებრაული ბრძენის არგუმენტი ისაა, რომ ასონიშან **შინ**-ის დადებით ძალას განსაზღვრავს შემოქმედის სახელის **შადაი** ამ ასონიშნით დაწყება, ხოლო მის უარყოფით თვისებას კი ის, რომ ამ ასონიშნით იწყება სიტყვა **შექერი** (სიცრუე). მაგრამ ეს არგუმენტი ძალზე სუსტია, რადგან ნებისმიერი სხვა ასონიშნის ამოღება იმდენადვე უკარგავს ამ სიტყვებს მნიშვნელობას, როგორც ეს ასონიშან **შ-ს** ამოღებით ხდება. ხოლო ის მტკიცებულება, რომ ასონიშან **შ** შედის შემოქმედის სახელში და ამიტომ ის საზღვრავს **სამყაროს და მასზე დასახლებულების არსებობას** (იხ. მ. ლაიტმანი, ზოჰარი, გვ. 317), როგორც ასონიშან **ტ-ს** შემთხვევაში, შეიძლება შევადაროთ დანიშნულ ადგილზე შორეული და გაუკვალავი, შემოვლი-

თი გზით მისვლას, როცა არსებობს მოკლე და პირდაპირი ფართო შარაგზა.

რომელია ეს მოკლე და ფართო შარაგზა?

ბგერა-სიტყვა **შგ** მე-3 პირის ზმნაა და მეგრულ(იბერიულ) ენაზე ნიშნავს: ახსოვს, ზოგადი ფორმით – **ხსოვნას, მახსოვრობას.**

ალბათ დამეთანხმებით, რომ **სამყაროს და მასზე დასახლებულების არსებობა** გამორიცხულია, იბერიულ ბგერა-სიტყვაში **შგ** ასახული ღვთაებრივ-ადამიანური თვისების **მახსოვრობის** გარეშე, რადგან ადამიანში არსებულ მახსოვრობის დონეზე დამოკიდებული გონებრივი განათებულობის ხარისხი და, შესაბამისად, მოაზროვნე არსების – ადამიანის და თვით სამყაროს არსებობა. ამავე დროს, ყველა დიდი ბოროტების საფუძველს მახსოვრობა წარმოადგენს. ასევე, საეჭვოა ებრაულმა ენამ გაშიფროს შემოქმედის სახელი **შადაი**, რადგან მათ ენაში არ არსებობენ ბგერა-სიტყვები. თუ განვიხილავთ შემოქმედის სახელს **შადაი** იბერიული ენის მონაცემებით, ის მიღებული ჩანს არქაული ხანის ძირისეული ფორმიდან **შგ დჯ**, სადაც **შგშმახსოვრობას** ნიშნავს, **დგჭ// დგგჭი** დო-ს, ზოგადი ფორმით, **დება-ს.** თუ ამ ორ სიტყვას დავაკავშირებთ ერთმანეთთან, მივიღებთ: **მახსოვრობის მდები.** როგორც ვხედავთ, შემოქმედის 70, თუ 72 სახელიდან **მახსოვრობის მდები** ერთეულთი საკმაოდ სადაცი სახელია. ებრაულ დამწერლობაში ასონიშან **პ(პ)-ს** პეი პევია, რაც **პირს** ნიშნავს. შედის ასონიშანი პეი შემოქმედთან და ეუბნება: **სამყაროს მპყრობელო, კარგია ჩემით შექმნა სამყარო, რამეთუ მე ჩანერილი ვარ სიტყვაში „პდუტ“** (განთავისუფლება), რომელსაც შენ გაკეთებ მომავალში, მაგრამ შემოქმედი პასუხობს: **ბრწყინვალე ხარ შენ, მაგრამ შენ ჩანერილი ხარ, ასევე, სიტყვაში „პება“** (ცოდვა, დანაშაული) შენილბულად, გველის მსგავსად, რომელიც იკინება და თავს მალავს ტანში. ე.ი. საბა ამენონას არგუმენტი ისაა, რომ სიტყვები **პდუტ** (განთავისუფლება) და **პება** (ცოდვა, დანაშაული) იწყება ასონიშნით **პ**, თითქოს, მხოლოდ ის განსაზღვრავდეს ამ სიტყვების მნიშვნელობებს, მაგრამ ასონიშანი **პ** ისევე ვერ განსაზღვრავს აღნიშნული სიტყვების მნიშვნელობებს, როგორც ამ სიტყვებში შემავალი ნებისმიერი დანარჩენი.

როგორი სურათია იბერიულ (ე.ნ. მეგრულ) ენაში?

მეგრულ ენაზე **პგშმყო-ს**, მქმნა-ს ნიშნავს.

ასევე, ორმაგი პგ-ს პგპგ გახმოვანებული ფორმა პიპუ ბაგეებს ნიშნავს. ე.ი. სანამ გახმოვანდებოდა, ბაგეები პგპგ-თი იწოდებოდა.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ბუნებისა გან ნაკარნახევი ბგერა-სიტყვების აღქმისა და მათზე ხმაბაძვით ბაგეებიდან გამოსულმა სიტყვებმა აქცია ორფეხა ველური ცხოველი ადამიანად. ამიტომ ნიშნავს ბგერა-სიტყვა პგშმყო-ს, მქმნა-ს. ხოლო იმ ჭემმარიტების გამო, რომ ჩვენს გარშემო ყველაფერი ღმერთია, ანუ უზენაესი შემოქმედის ფიზიკური გამოვლინება, ამიტომა ნათქვამი: **თავდაპირველად იყო სიტყვა, სიტყვა იყო ლმერთთან და სიტყვა იყო ლმერთი. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი.**

მოგეხსენებათ, ვინც არ აზროვნებს, ისინი მკვდართ მიეკუთვნებიან. ხოლო ადამიანმა აზროვნება დაიწყო იმ დროიდან, როცა მან დაიწყო ბუნებისგან ნაკარნახევი ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების აღქმა და საგნებისა და მოვლენებისათვის იმ სახელდებების შერქმევა, რასაც საგნები და მოვლენები გამოსცემდნენ. მანამდე კი ორფეხა ველური ცხოველების მიერ გაღებული ბგერები უაზრო გაბმული ზმულით, ან ცხოველებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერების მსგავსად, ბუნებრივად თანდაყოლილი ველური ცხვენისდებულით შემოიფარგლებოდა, რომელსაც დღესაც გავიგონებთ მეგრელი ქალებისგან სამწუხარო ამბავის შეცხადებისას. ე.ი. ველური ცხოვრების მდგომარეობიდან ორფეხა ველური ცხოველის განთავისუფლება მოხდა პგპგ – პიპუ-ს, ანუ ბაგეების საშუალებით და არა ასობგერა პ-ს, ანუ ფონემა პ-ს აღმნიშვნელი გრაფიკული გამოსახულებით, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. ხოლო ბგერა-სიტყვა პგ მყო-ს, მყოფიერებელს] ნიშნავს და, სწორედაც, რომ პიპუმ, ბაგეებმა, პირმა ჰყო ირფეხა ველური ცხოველი ადამიანად. ამასთან, პიპუდან, ანუ ბაგეებიდან მოდის ყველა ის უბედურებები, რომლებიც სტანჯავს კაცობრიობას და ხშირად სისხლისლვრისა და სიკვდილის მიზეზი ხდება.

როგორც ვხედავთ, საბა ამენონას არგუმენტი აქაც, დასახულ მიზნამდე შორეული, შემოვლითი გზით მისვლას ჰგავს, მაგრამ ებრაულ ენას სხვა საშუალება არ გააჩნია.

წარსდგა შემოქმედის წინაშე ასონიშანი ს(თ) სახელდებით სამეხ-ი და თქვა: „სამყაროს შემქმნელო, კარგია ჩემი თვისებებით შექმნა სამყარო, რადგანაც ჩემშია სმიხა(მხარდაჭერა) დაცემადებისათვის, როგორც ნათქვამია: „მხარს უჭერს (სამეხ) შემოქმედი ყველა დაცემადებს“. უპასუხა მას შემოქმედმა: „ამიტომ ხარ აუცილებელი შენ შენს ადგილზე და არ გახვიდე იქიდან. მაგრამ თუ გადაიწევი ადგილიდან, დაცემადები დაკარგვავნე საყრდენს, რამდენადაც ისინი შენს თვისებებს ეყრდნობიან“. ამის გაგონება და ასონიშანი სამეხი გაშორდა იქაურობას.

საბა ამნონას აზრით, ასონიშან სამეხ-ში „ღვთისგან ჩადებული“ (?) მხარდაჭერის თვისებას განსაზღვრავს სიტყვის სმიხა (მხარდაჭერა) ასონიშან ს-თი დაწყება, მაგრამ, როგორც ყველა ზემოგანხილულ შემთხვევაში, ვერც აქ განსაზღვრავს ასონიშანი ს მხარდაჭერის მნიშვნელობას. ხოლო იბერიულ ენაზე ის ასე იშიფრება: **სმიხა – სგ მიშხი**(შვება, მე, შობა//შვება მესთვის შობილი). მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ასონიშანი ს, როგორც ყველა დანარჩენი ასონიშანი ღმერთმა მზამზარეული და აქ აღნიშნული თვისებებით აღჭურვილი უბოძა ეპრალ ხალხს, ადამიანის ტვინის ზომბირების მცდელობას და შემოვლითი შორეული გზით მიზნამდე მისვლას უფრო გავს, როცა იბერიულ ენაზე, პირდაპირ, ერთ ბგერა-სიტყვაში სგ ასახულია ადამიანში ხანდახან გამოვლინებადი შვება-ნეტარების მნიშვნელობა.

მოგეხსენებათ, ფიზიოლოგიური მოთხოვნები ჩვეულებრივი მოვლენაა ცოცხალი არსებებისათვის, მაგრამ ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დრო და პირობებია საჭირო. ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება ნებისმიერ დროს და პირობებში, უხერხული რომც არ იყოს, შეუძლებელიცა და, ხშირად, საკმაოდ ხანგრძლივი დროით თავშეკავებას მოითხოვს, რომლის შემდეგ, მაგ., შარდისაგან განტვირთვა შვებას და სიმსუბუქეს, ზოგჯერ სიამოვნებასა და ნეტარებას ჰგვრის ადამიანს. ამ ფიზიოლოგიური მოვლენის დროს გვესმის გაბმული ბგერათა კომპლექსი სსსსგ. ამიტომ მიიღო იბერიულ ენაზე ბგერა-სიტყვამ სგშმე-3 პირის ზმნის – შარდას მნიშვნელობა, რომლის დროსაც მიღებული განტვირთვისა და ნეტარების გრძნობის გამომხატველი მნიშვნელობა შემდგომ, აისახა ბევრ სხვა ადამიანურ ქმედებებში. მაგ., როცა დავისახავთ მიზ-

ნად, შესაძლოა, ძალზე მძიმე, მაგრამ დიდად სასარგებლო სამუშაოს შესრულებას და, როცა ვუახლოვდებით მიზანს, ქრება დაღლილობა და გვეუფლება სიამოვნების განცდა; ხოლო როცა ვალნევთ კულმინაციის მომენტს, ნეტარებაში ვიძირებით. და ამ განცდის გამოხატულება მეტყველებაში უნდა ასახულიყო ძირისეული ფორმით **სე ხე**, სადაც **სე ნიშნავს შვებას, ხე კი შობას**, ერთობლიობაში – **შვების შობას**, მაგრამ ამ ფორმაში იშბგერის შეკვეცით მივიღეთ **სხ** კომპლექსი, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო შემდეგი სიტყვების შექმნას: ა) მეგრულში – ირ-სხეზ(იხსნა), მიო-რ-სხე (მია-ბა); ბ) ქართულში – **სხ-და, [ფრთა] შეი-სხ-ა** და ა.შ. მაგრამ ეს არა ბუნებრივი ჰარმონიული კომპლექსი და ამიტომ გვაქვს შებრუნებული ფორმაც **სხ(შობა შვებისა)**, რაც იგივე მნიშვნელობისაა და ასახულია სიტყვებში: [საინტერესო წარსულის] გა-სხ-ენება, [რაიმე საიდუმლოს] გა-სხ-ნა, [უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილის] სხ-ნა და ა.შ.

შვება-სიამოვნება-ნეტარების განცდის თვისება რომ არ ჰქონდა ადამიანს, ის სიცოცხლეს არ ისურვებდა, მაგრამ შვება-ნეტარების განცდა იმდენად ძლიერი და დიდი მხარდაჭერა ადამიანისათვის, ის ხანგრძლივ ტანჯვას იტანს ამ განცდის მიღების მოიმედე.

იბერიული ენის ბგერა-სიტყვებში **სუშა-ხული, სწორედ, ეს ჭეშმარიტება აიტაცა ეპრალმა ბრძენმა საბა ამენონამ და ეპრაული ასონიშანი ის**(ა) ამ თვისებით შექმნა.

წარდგნენ ასონიშნები **დ(ე) დალეტი და გ(ა) გიმელი** შემოქმედის წინაშე, მაგრამ მაშინათვე უპასუხა შემოქმედმა: **საკმარისია, რომ თქვენ ერთად ხართ, სანამ არ გა მქრალან ღარიბები დედამიწიდან, რომელთაც გულმოწყალება უნდა უყოთ. დალეტი ხომ იწოდება სიტყვიდან „დალუტი“, (მათხოვარი), ხოლო გიმელი, წარმომდგარი სიტყვიდან გომელეტ (გულმოწყალება) უკეთებს მას გულმოწყალებას.**

რის საფუძველზე ნიშნავს **დალუტი მათხოვარს**, როცა ამ სიტყვაში, უფრო სწორად, წინადადებაში (**დგ ლგ ტგ**) შემავალი ვერცერთი ბგერა-სიტყვის მნიშვნელობა ეპრაულმა ენამ არ იცის? ან რის საფუძველზე მიიღო სიტყვამ გომელეტი გულმოწყალების მნიშვნელობა, როცა, ისევე, როგორც დალუტის შემთხვევაში, ვერც ეპრაულში და ვერცერთ სხვა ენაში დედამიწაზე, ბგერები და, მით უმეტეს, მათი

აღმნიშვნელი ასონიშნები მნიშვნელობის მატარებელი არ არიან?

საქმე იმაშია, რომ ძვ.წ.აღ. მე-6 საუკუნიდან იბერიაში მცხოვრებმა ებრაელებმა ბრნყინვალედ იცოდნენ იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა და იცოდნენ. რომ დალუტი გახმოვანებული ფორმაა იბერიული ძირისეული წინადადებისა დგ ლგ ტგ, სადაც დგ ნიშნავს დებას, ლგჭ-ვარდნას, ტგჭები შვას. ე.ი. თანამედროვე იბერიულ ენაზე – ქართულზე დგ ლგტგზნიშნავს დებად ვარდნილი შვა. ცხადია, დებად ვარდნილის, ანუ უმოქმედოდ დაცემულის შობა, უფრო სწორად, უმოქმედოდ დაცემისთვის შობილი მათხოვრობისთვის არის განწირული.

მეგრულში იტყვიან: „**ლორონთიში წოხოლე ვალი გინი-გგ**“ (ლოთის წინაშე ვალი გადაი-ხადა), ან კიდევ, „**მარდი გინა-გგ**“ (მადლი მია-გო). ამ მეგრული წინადადებიდან ჩანს, რომ ბერა-რა-სიტყვა გგ ნიშნავს ხადა-ს და გო-ს. გადახდა და მიგება, ანუ გაცემა გულმოწყალებაა, წმინდა ღვთიური თვისებაა, რითაც ადამიანი ღმერთს ემსგავსება.

გომელეტი გახმოვანებული ფორმაა ძირისეული წინადადებისა გგშმგშლგშტგ- ბერა-რა-სიტყვა გგ აქ, როგორც ვნახეთ, გაცემას ნიშნავს, მგჭ-მეს, ლგ – ვარდნას, ტგჭ – შვას. ე.ი. გგ მგ ლგ ტგზნიშნავს: **ვარდნილად შობილზე გაცემა მესგან**. ვფიქრობთ, გულმოწყალება, ებრაულად (?) გომელეტ, მეტი სხვა არაფერია.

შევიდა ასონიშანი **ბ(ე) ბეტ-ი** შემოქმედთან და უთხრა: **სამყაროს შემქმნელო, კარგია ჩემით შექმნა სამყარო, რამეთუ ჩემით გადიდებენ შენ უმაღლესნიც და უმდაბლესნიც.** „**ბეტ-ი** ხომ ბრახაა (კურთხევაა). უპასუხა მას შემოქმედმა: დიას, მე შენით შევქმნი სამყაროს, და შენ იქნები სამყაროს დასაწყისი.

ეპრაულ ენას და ეპრაული ასონიშნების შემქმნელს სხვა არავითარი მტკიცებულება არ გააჩინა ასონიშან ბეტით შექმნას სამყარო, გარდა იმისა, რომ ამ ასონიშნით იწყება სიტყვა ბრახა (კურთხევა).

როგორი სურათია იბერიულ (ე.წ. მეგრულ) ენაში?

ე.წ. მეგრულში იტყვიან: „**ჩხოუ ჯას მიკობგ**“ (ძროხა ხეზე მი-ბმულია), ან „**გუდა ჯას მუკო-ბგ**“ (გუდა ხეზე ჰ-კიდია), ან კიდევ, „**ჩიტიქ ჯას კუჩინით ქიმკი-ბგ**“ (ჩიტი ხეზე ფეხით ჩამო-ეკიდა). როგორც ვხედავთ, მე-3 პირის ზმნებში: ბმულია, კიდია, ეკიდა განხორცი-

ელებულია ბმა, კავშირი, რაც ბგერა-სიტყვა ბგ-შია ასახული.

რა მნიშვნელობით ჩაისახა ეპრაული(?) სიტყვა ბრახა?

ამ სიტყვის ძირისეული ფორმა ბგ რგ ხგ უნდა ყოფილიყო, სადაც ბგშნიშნავს ბმას, კავ-შირს, რგშ//რე-არის, ხგ, კიდევ, შვა-ს. მაგ., იტყვიან: „თხაქ ქაცარი ფინახარც ქინა-ხგ“ (თხამ თიკანი შიგ ფარეხში შვა). ე.ი. ბრახა // ბგ რგ ხგ ნიშნავს: კავშირით არის შობილი. და, მართლაც, სამყარო პლანეტებს და გალაქტიკებს შორის მუდმივი კავშირით, მიზიდულობისა და მათი ორბიტის გარშემო მარადიული ბრუნვისას წარმოშობილ ცენტრიდანულ ძალთა წონასწორობითა შობილი, ანუ განხორციელებული და სამყაროს არსებობის ეს უნიკალური საფუძველი იბერიულ ბგერა-სიტყვა ბგ-შია ასახული.

ზოპარის შემსწავლელი კაბალისტი პროფ. მიხაილ ლაიტმანი წერს, რომ ასონიშნებს **(ა)** ალეფს და ეპრაულ ალფავიტში მე-16 ასონიშანი **(უ)** აინს არა აქვთ დამოუკიდებელი ბგერითი მნიშვნელობა, არამედ გამოითქმება მათი თანმხლები ხმიანობა (იხ. მ. ლაიტმანი, ზოპარი, გვ. 298), ე.ი. რომელიდაც სხვა ბგერაზე დართვის შემთხვევაში გამოითქმება.

იქვე ვკითხულობთ: „იდგა ასონიშანი ალეფი და არ შედიოდა შემოქმედთან“. უთხრა მას შემოქმედმა: შენ რატომ არ შემოდიხარ ჩემთან, როგორც ყველა დანარჩენი? უპასუხა მას: იმიტომ, რომ დავინახე ყველა დანარჩენი ასონიშნები გამოვიდნენ შენგან სასურველი პასუხის გარეშე და, ამასთან, დავინახე როგორ მიეცი ეს დიდი საჩუქარი ასონიშან „ბეტ“-ს. ხოლო სამყაროს მეფეს ხომ არ შეუძლია უკან დაიბრუნოს თავისი საჩუქარი და სხვას გადასცეს! უპასუხა მას შემოქმედმა: თუმცა მე ბეტ-ით შევქმნი სამყაროს, მაგრამ შენ დადგები ყველა ასონიშნის, (ანუ თვისებების, ძალების, სურვილების) სათვეში და არ იქნება ჩემთან ერთიანობა შენს გარეშე, ყოველთვის შენგან დაინყება ყველაფრის ანგარიში და ამ სამყაროს ყველა საქმიანობა, ხოლო ყველას ერთიანობა მხოლოდ შენშია. ე.ი. შემოქმედმა უთხრა ასონიშან ალეფს, ძირითადი ბგერის თანმხლებ ასობგერას, რომელსაც არა აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი ბგერადობა, არამედ წარმოითქმება იმ ძირითადის წარმოთქმის შემთხვევაში: არ იქნება ჩემთან ერთიანობა შენს გარეშე.

მაშ, რომელია ის ძირითადი ბგერა, მხოლოდ რომლის წარმოთქმის შემთხვევაში წარმოითქმება ასობგერა ა და, რომლის გარეშე შეუძლებელია ერთიანობა ღმერთსა და იმ თვისებებს შორის, რომელთაგან ერთერთი მათგანის გარეშე ვერ შეიქმნებოდა სამყარო?

უეჭველია, საბა ამენონამ ბრწყინვალედ იცოდა იმ ძირითადი ბგერის არსი, მაგრამ ეს რომ გაეცხადებინა, ყველაფრის ფარდა აეხდებოდა და ამიტომ დამალა.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ე.წ. მეგრულში პირველი პირის ნაცვალსახელი – მა, ხშირად თავმოკვეცილი ფორმით გამოითქმება. მაგ., იტყვიან: „ა-შო ქომუჩი“ (აქეთ მომეცი). „აშო ქომუჩი“ ქართულად ითარგმნება „აქეთ მომეცი“, მაგრამ ქართულ აქეთ-ს უფრო ზუსტად შეესატყვისება იბერიული ათაურე (აქეთ). აქეთ (ათაურე), შეიძლება იყოს ჩემს მხარეს, მაგრამ ჩემგან მარჯვნივ ან მარცხნივ, ხოლო ა-შო, პირდაპირ მიუთითებს მა(მე)-სთვის და ეს უესტითაც, ხელის მკერდის ცენტრში მიდებით, ნათლად ჩანს. ე.ი. სიტყვა ა-შო, იგივე მა-შო, ზედმინებითი თარგმანით ნიშნავს ა-სთვის, ანუ მა(მე)-სთვის.

მაშ, ვინ ყოფილა ის უმთავრესი, რომლის გარეშე შეუძლებელია ყველა ღვთიურ თვისებათა თავმოყრა და შემოქმედთან ერთიანობა? ცხადია, ესაა მა (ქართულად, მე), სამყაროს გვირვენი – ადამიანი, რომლის გარეშე ამ უსაზღვრო სამყაროს და, თვით, უზენაესის არსებობას არავითარი აზრი არ ექნებოდა, რადგან, მის გარეშე, ვერავინ გააცნობიერებდა სამყაროს და შემოქმედის არსებობას.

კაბალისტების ცნობით, თორა და სხვა წმინდა წერილები დაწერილია უზენაესი შემოქმედის არსის შესაცნობად. მასში აღნერილია უზენაესი შემოქმედის არსში წვდომის გზები და მეთოდები.

საბა ამენონა გადმოგვცემს, რომ ეს ინფორმაცია კაბალისტებს, ე.ი. ყველაფრით ამაღლებულებს სულიერ სამყაროში და ამიტომ შემოქმედთან უშუალო კავშირის მქონეთ, დაჰყავთ ჩვენამდის ოთხი ენით:

1. ენა თანახა (თ – თორა, ხუთწიგნეული, 6 – ნევიმ, წინასწარმეტყველები, ხ – კტუვიმი – წმინდა წერილები). ამ ენითაა დაწერილი მთელი თორა (ე.ი. ენა „თანახა“ ებრაელი კაბალისტების გადმოცემით არის

თორას, წინასწარმეტყველებებისა და წმინდა წერილების დამწერი ენა, რომელიც უხსოვარი დროიდან არსებობდა, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმებით, რადგან ბიბლიურ „დაბადება-ში“ აღმოვაჩინე 21 არგუმენტი, რომლებიც ადასტურებენ, რომ „დაბადება“ დაწერილია იბერიულ ენაზე.

2. აღსრულების ენა (აღსრულებანი წეს-დება-კანონებისა).

3. თქმულებათა ენა.

4. კაბალის ენა.

ყველა ენა გვეუბნება ერთზე – შემოქმედის შეცნობის გზაზე(მეთოდზე კ. ფ.) ჩვენგან, რომლებიც ვცხოვრობთ ამ სამყაროში, რადგან ჩვენ მხოლოდ ამისთვის ვართ შექმნილნი და შემოქმედის ჩანაფიქრით მხოლოდ ამისთვის უნდა გამოვიყენოთ მთელი ჩვენი გონებრივი, ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობანი. და თუ მხოლოდ ამისთვის განვაწყობთ ჩვენს მისწრაფებას, ბუნებრივია, მხოლოდ ამისთვის გამოვიყენებთ ჩვენს საურთიერთობ ენას. რადგან ყველაფერი, რაც მოცემულია ჩვენ-თვის, მოცემულია მხოლოდ ჩვენი ამოცანების ამ სამყაროში აღსრულებისათვის, შემოქმედის წვდომა– შეგრძნებისათვის ჩვენს სიცოცხლეში.

ამიტომ პირველი ენა, ათვისებული ხალ-ხით, იყო „ივრითი“. მაგრამ დანიშნულებისგან დაშორების გამო, ხალხმა შეიძინა დამატებითი ენები და მსოფლიოს ყველა დანარჩენ ენებში არის შინაგანი მიზანი, მაგრამ, რადგანაც მათი ალფავიტები არაა გახსნილი კაბალისტებისა-გან, ჩვენ ვსწავლობთ სულიერ ძალებს, გამოსა-ხულს ივრითული ალფავიტით, რომლებიც წყა-როა ყველა დანარჩენისათვის“ (იქვე, გვ.293).

თუ კაბალისტები ივრითში გულისხმობენ კაცობრიობის პირველად ენას – იბერიულს, რომლისგან ნაწარმოები ჩანს ტერმინი ივრითი (– იბრითი – იბერითი), შეუძლებელია, მთლი-ანად ამ ვრცელ ციტატაში ჩამოყალიბებულ აზრს არ დაეთანხმოს ობიექტური მკითხველი და პატივი არ მიაგოს ეპრაელ ბრძნენ, მაგრამ, თუ ეპრაული ენა მიაჩნიათ პირველად ენად, მაშინ ეპრაელ ბრძნენთათვის შეუფერებელი შეცდომა აქვთ დაშვებული, რადგან, ჯერ ერ-თი, ტერმინის ივრითი ეპრაული ეტიმოლოგია უცნობია; მეორეც, წიგნი შესაქმისა-ში, რო-მელიც აბრაამის დაწერილად არის მიჩნეუ-ლი, წერია აბრაამ იბრი (– იბერი); მესამეც,

პირველადი ენის მონაცემები, რომლებიც იბერიულ ენას აქვს შემონახული, ნებისმიე-რი სხვა ენისათვის და, მათ შორის, ეპრაული ენისათვის წარმოუდგენელია; მეოთხეც, ეპ-რაულ ენაში სულ 22 ასონიშანია. მათ შორის, ზოგიერთი მათგანი, სხვადასხვა სიტყვაში სხვადასხვანაირად იკითხება, რაც დაუხვენე-ლი ენის შთაბეჭდილებას ტოვებს; მეხუთეც, 36 ბგერისა და მათი აღმნიშვნელი იმდენივე ასონიშნის მფლობელი ენისა და 22 ასონიშნის მფლობელი ენის გამომსახველობითი უნარის ურთიერთშედარება, უპრალოდ, უხერხულია; მეექვსეც, ეპრაული ასონიშნები შექმნილია შესაბამის იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახული თვისებების მიხედვით; მეშვიდეც, იბერიული ენის 36 ასობგერიდან, 30 ბგერა-სიტყვაში (6 ბგერა ხმოვანია და მნიშვნელობის მატარებელ-ნი არ არიან) ასახულია ღვთისგან მომადლე-ბული ყველა ის თვისება, რომლებმაც ორფეხა ველური ცხოველი ადამიანად აქცია; მერვეც, ეპრაული ასონიშნები ღვთაებრივი წარმოშო-ბისაა და მზამზარეული მიეცა ეპრაელ ხალხს ღმრთისაგან, რომელშიც, თითქოსდა, ასახუ-ლი იყო ადამიანური თვისებები, სურვილები და აზრები და, რომელიც შემდგომ ამოხსნეს ეპრაელმა ბრძნებებმა, – დაუჯერებელია, რად-გან გრაფიკა შექმნილია და იქმნება ადამიანის მიერ ცნობილი (არსებული) მონაცემებისა და მნიშვნელობების მიხედვით და არა პირიქით.

მოგვყავს შემდეგი ციტატა: „არის გან-სხვავება ენისა ალფავიტისაგან, როგორც ჩვენს სამყაროში არის ხალხი მფლობელი სა-მეტყველო ენისა, მაგრამ უცოდინარნი წერა-კითხვისა (წერა-კითხვის უცოდინარში, ალბათ, მეგრელებად წოდებულ იბერებს გულისხმობენ, რადგან ისინი მოწმენი არიან, როგორ დაკარგეს იბერებმა სახელმწიფოებრიობა და იბერიულ-მა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსი, როგორ აუკრძალეს მწერლობა და დავიწყეს უზენა-ესთან მეკავშირეობა, კ.ფ.). ყველაზე უძველესი სამეტყველო ენაა – ენა თანახა, აღმავალი ადა-მისკენ. მისგან წარმოიშვა აღმასრულებელი ენა, შემდეგ თქმულებათა ენა. ყველა ეს ენები ერთად და თითოეული ცალცალკე გამოიყენება ჩვენს რელიგიოზურ ლიტერატურაში“ (იქვე, გვ. 293). როგორც ვხედავთ, ეპრაელი ბრძნენი პირდაპირ არ უთითებს რომელია ენა თანახა, ეპრაულად საკითხი (თნხ) იბერიული, თუ ეპრაული.

ჩვენი აზრით, ტერმინი **თანახა** გახმოვანებული ფორმაა ადამიანდელი ძირისეული წინადა-დებისა **თვიშმება**, სადაც თვი წინავს **ნათელს**, ნე – წყალს, წყაროს სიცოცხლისა, მეტაფორულად, ღმერთ **შემოქმედს**, ხეშ – **შობას**. ე.ი. თვი წე // თანახა იგივეა, რაც [პირველადი] ღვთიური ნათელით **შობილი** ენა.

ცოცხალია თუ არა ეს ენა და თუ ცოცხალია, რომელია კაცობრიობის ყველა ენათა დედა – თანახა? ყველა მეცნიერული მონაცემებით: დედამიწაზე არსებული ოთხივე ტიპის ენობრივი მონაცემებით; სამეტყველო ბგერების ნარმოშობის მექანიზმებით; თავდაპირველი ძირისეული ფორმების წარმოშობისა და მნიშვნელობების მიღების მექანიზმის ფლობით; კაცობრიობის პირველი დამწერლობების, ჩვენი მხედრულისა და ასომთავრულის წარმოშობისა და შექმნის საიდუმლოებების ამავე დამწერლობებში არსებობით; ბიბლიური დაბადების შემქმნელი ენის რომელადობის დამადასტურებელი 21 არგუმენტით; ბგერა-სიტყვების მნიშვნელობებში ასახული თვისებებით და სხვა მრავალი მაჩვენებლებით ეს ის ენაა, რა ენაზეც ადამი მეტყველებდა და შეინარჩუნა იმ ხალხმა, რომელსაც 523 წლამდე იპერი, ხოლო დღეს მეგრელი ჰქვია (თვიშმებული თიბერი იპერი იგერი ეგერი ეგრი მეგრი მეგრელი) და მავანთა სურვილით მისი ენა უმწერლობო ენადაა ცნობილი. ე.ი. ენა **თანახა – ნათელით ღვთისა შობილი** ენა შეინარჩუნა (უზენაეს) ნათელთან კავშირის ქონები, თვიშმებული ანუ უზენაეს ნათელთან მოკავშირედ ყოფიერმა ხალხმა და ერთადერთს მას ძალუძს დედამიწაზე ეტიმოლოგის დადგენა იმ ადამიანიდელ სიტყვათა, რომლებიც შეინარჩუნეს ერებმა და ენებმა, როცა ეს ერები და ენები ასეთის შესაძლებლობას მოკლებულია.

ებრაელმა ბრძენმა საბა ამენონამ ებრაული ასონიშნები შექმნა შესაბამის იპერიულ ბგერა-სიტყვებში ასახული თვისებების მიხედვით, ხოლო, რადგანაც ეს სიტყვები ნაკარნახევია ბუნებისაგან, ღვთისაგან, მათ თავიანთი ასონიშნების ერთობლიობას უწოდეს ნებინდა დამწერლობა, ებრაულ ენას ნებინდა ენა, ხოლო ხალხს ღვთის რჩეული, ანუ ნებინდა ერი. მაგრამ ერი, რომელმაც ღმერთი ჯვარს აცვა, არ შეიძლება ნებინდა იყოს, თუმცა, განწმენდვა შეუძლია.

შეიძლება ჩემს ზემოგანხილულ გამოკვლევაში ებრაელ ბრძენთა კრიტიკა ჩანდეს, მაგრამ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დაუფასებელია ებრაელი ბრძენების მიერ განეული უდიდესი სამსახური, რომელიც მათ იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახული თვისებების დაფიქსირებით გაგვიკეთეს. რომ არა ებრაელი ბრძენები, შეიძლებოდა, ამ ბგერა-სიტყვებში ასახული ღვთიური თვისებები, რომლებიც ადამურ-იაფეტურ-იპერიული მოდგმის ერის ეროვნულ ენერგიას და მის სასიცოცხლო ძალას განაპირობებდა, სამარადისოდ გამქალიყო, როცა თვით იბერთა მოდგმამ ნაცარი მიაყარა და დაივიწყა ეს უდიდესი ღვთიური საგანძური. ამიტომ ძალიან მინდა პირველადი ფორმით აღდგეს ჩვენს სალიტერატურო ენაში იპერიული ბგერა-სიტყვები, რომლებიც ეროვნული ენერგიის წყაროდ წარმომიდგენია.

სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერებს შორის არიან პიროვნებები, რომლებიც მეგრული ენის ფენომენის წარმოჩენას, სეპარატიზმად გვითვლიან, მაგრამ იმედია, საზოგადოების მონინავე ნანილი გააცნობიერებს ღვთისგან ბოძებულ ამ უდიდესი საგანძურის მნიშვნელობას და ქართველი ერი მყარად დაიკავებს ღირსეულ ადგილს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. არადა, არარსებული სეპარატიზმის მეგრელებზე დაბრალებით, ღმრთისგან ნაკარნახევი და მასთან დამაკავშირებელი ბგერა-სიტყვების მნიშვნელობების უგულებელყოფა-უარყოფით და მათი სხვისთვის გადალოცვით, ანუ ღვთიური ძალის მომცემი ეროვნული ენერგიის არაფრად ჩაგდებით, ისტორიული სინამდვილისათვის ნაცრის მიყრითა და გაყალბებით, ამ გაქანებული მასონური გლობალიზაციის ხანაში, ისედაც ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე დაცემული ქართველი ერი, ღმერთმა ნუ ენას, მაგრამ, მალე აღმოჩნდება ისტორიის სასაფლაოზე.

დაბოლოს, ბოდიშს ვუხდი პატ. მკითხველს თემიდან მცირეოდენი გადახვევისა და ასე დასრულებისთვის. უნდა აღმენიშნა, რომ ზემოთ განხილულ კვლევაში არაფერია თქმული, ჰქონდათ თუ არა იპერებს დამწერლობა იმ უძველეს ხანაში, როცა სემიტები ე.ნ. კვადრატულ დამწერლობას ქმნიდნენ? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ბიბლიური „დაბადება“.

მოსაზრება „შაზისისა“ და „აი-ას“ საერო-სამაცნელო აკადემიების წევრის, პატონ კუკური ფილიას ნაზროვანი, „მაგრული (იგარიშული) გაერა-სიტყვები ეპრაული ასონიშნების შექმნის საფუძველი“

უნდა ითქვას, რომ ნაშრომის ავტორს, პატონ კუკური ფილიას მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიუმართავს იმის წარმოსაჩენად, რაც წერილის სათაურში აქვს გამოტანილი.

ავტორი ვარაუდობს, უფრო სწორად, სრულიად დარწმუნებულია, რომ „იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახულია ის ღვთიური თვით-სებები, რომლებმაც ორფეხა ველური ცხოველი, რომელსაც თავიდან გაბმული ზმუილის გარდა არაფერი შეეძლო, მოაზროვნე არსებად, ადამიანად აქცია“ და

„...რომელია კაცობრიობის ყველა ენათა დედა-თანახა? ყველა მეცნიერული მონაცემებით... ეს ის ენაა, რა ენაზეც ადამი მეტყველებდა და შეინარჩუნა იმ ხალხმა, რომელსაც 523 წლამდე იბერი, ხოლო დღეს მეგრელი ჰქვია (თვ ბგრგ თიბერი იბერი იბერი ეგერი ეგრი მეგრი მეგრელი) და მავანთა სურვილით მისი ენა უმწერლობო ენადაა ცნობილი. ე.ი. ენა თანახა – ნათელით ღვთისა შობილი ენა შეინარჩუნა (უზენაეს) ნათელთან კავშირის მქონე, თვ ბგრგ, ანუ უზენაეს ნათელთან მოკავშირედ ყოფიერმა ხალხმა და ერთადერთს მას ძალუს დედამიწაზე ეტიმოლოგის დადგენა იმ ადამშამინდელ სიტყვათა, რომლებიც შეინარჩუნეს ერებმა და ენებმა, როცა ეს ერები და ენები ასეთის შესაძლებლობას მოკლებულია“. ე.ი. ენა თანახა – ნათელით ღვთისა შობილი ენა უმწერლობო ენადაა ცნობილი. ე.ი. ენა თანახა – ნათელით ღვთისა შობილი ენა შეინარჩუნა (უზენაეს) ნათელთან კავშირის მქონე, თვ ბგრგ, ანუ უზენაეს ნათელთან მოკავშირედ ყოფიერმა ხალხმა და ერთადერთს მას ძალუს დედამიწაზე ეტიმოლოგის დადგენა იმ ადამშამინდელ სიტყვათა, რომლებიც შეინარჩუნეს ერებმა და ენებმა, როცა ეს ერები და ენები ასეთის შესაძლებლობას მოკლებულია“.

აქ არსებითად ყველაფერია ნათქვამი, რისი თქმაც ავტორს სურდა.

თავი დავანებოთ ფონეტიკურად გაუგებარ გარდაქმნებსაც და უხერხულ აქცენტებსაც და ვიკითხოთ – რა არის ეს სასწაულებრივი „ენა-თანახა“?

